

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ისრაელის ცენტრი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
Center for Israel Studies

**კულტურის ისტორიისა და  
თეორიის საკითხები**

**XXXI**

**ISSUES OF HISTORY AND  
THEORY OF CULTURE**

**XXXI**



**Ivane Javakhishvili**  
**Tbilisi State University**

**ISSUES OF HISTORY AND  
THEORY OF CULTURE  
XXXI**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**კულტურის ისტორიისა  
და თეორიის საკითხები  
XXXI**



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული  
აკადემიის ნ. კ., პროფ. გურამ ლორთქიფანიძე

Editor-in-Chief – **Guram Lortkipanidze, Correspondent Member of the  
Georgian National Academy of Sciences, Professor**

ტომის რედაქტორი – თსუ პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორი მარიკა მშვილდაძე

Volume Editor – **Marika Mshvildadze, Doctor of  
Historical Sciences, Professor**

სარედაქციო კოლეგია: ბრაუნდი დევიდ (დიდი ბრიტანეთი), ბუცხრიკიძე მამუ-  
კა (საქართველო), გეგეშიძე ელენე (საქართველო), გელა-  
შვილი ნანა (საქართველო), დავარაშვილი ზაირა (საქარ-  
თველო), დათუკიშვილი მალხაზ (საქართველო), დოლიძე  
რუსუდან (საქართველო), კარტლეჯი ტრევეორ (დიდი ბრი-  
ტანეთი), ლორთქიფანიძე ქეთევან (საქართველო), მშვილ-  
დაძე მარიკა (საქართველო), ოფირი იაკობ (ისრაელი),  
პლონტკე-ლუნიჩვი ანნეგრეტ (გერმანია), პაატაშვილი  
გურამ (საქართველო), რუსიეშვილი-კარტლეჯი მანანა  
(საქართველო), ჩაჩიბაია მარიკა (საქართველო), ყოლბაია  
დავით (პოლონეთი), ყუფარაძე გიორგი (საქართველო)

Editorial Board: **Braund David (Great Britain), Butskhrikidze Mamuka (Georgia),  
Cartledge Trevor (Great Britain), Chachibaia Marika (Georgia),  
Datukishvili Malkhaz (Georgia), Davarashvili Zaira (Georgia),  
Dolidze Rusudan (Georgia), Gegeshidze Elene (Georgia), Gelashvili  
Nana (Georgia), Kolbaia David (Poland), Kuparadze Giorgi (Geor-  
gia), Lortkipanidze Ketevan (Georgia), Mshvildadze Marika (Geor-  
gia), Ofir Jacob (Israel), Paatashvili Guram (Georgia), Plontke-Lü-  
ning Annegret (Germany), Rusieshvili-Cartledge Manana (Georgia)**

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადანყვეტილებით

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017

თსუ ებრაული კულტურისა და იუდაიკის კაბინეტი  
TSU Classroom of Jewish Culture and Judaica  
ISSN 1512-0694

## შინაარსი

### CONTENTS

#### **ზაირა დავარაშვილი, ირმა პაატაშვილი**

საქართველოში პირველ ლეგიტიმურ ებრაულ საზოგადოებრივ  
ორგანიზაციას – საქართველოს ებრაელთა საერთაშორისო  
კულტურის ცენტრს დაარსებიდან 30 წელი შეუსრულდა .....9

#### **Zaira Davarashvili, Irma Paataashvili**

Cultural Centre of the Jews of Georgia is 30 Years Old .....41

#### **ნათელა ნათლიაშვილი-კვინიკაძე**

„ძეგლი ავიგე ხელთუქმნელი, უნეტარესი...“  
(შოთა რუსთაველის 850 წლისთავის იუბილესათვის –  
პოემის ახალი ინგლისური თარგმანი) .....42

#### **ნათელა ნათლიაშვილი-კვინიკაძე**

«Я памятник себе воздвиг нерукотворный...» (К 850-летнему юбилею  
Руставели – новый английский перевод поэмы) .....52

#### **გურამ პაატაშვილი**

აზრთა კრებული „მაესტროს აზრთა სამყარო“ (გაგრძელება) .....56

#### **Guram Paataashvili**

The World of Maestro’s Ideas .....80

#### **იაკობ ოფირი**

საქართველოს ებრაელთა ავანგარდული  
როლი მათი რწმენის შენარჩუნებისა  
საბჭოთა სინამდვილეში .....81

#### **Jacob Ofir**

The Leading Role of the Jews from Georgia in the Preservation of  
Jewish Religion during Soviet Reality .....89

<b>მარია მშვილდაძე</b>	
იმპერატორის კულტი რომის იმპერიის რელიგიურ სისტემაში .....	91
<b>Marika Mshvildadze</b>	
Emperor's Cult in the Religious System of the Roman Empire .....	98
<b>ქეთევან დიღმელაშვილი</b>	
ებრაელების განსახლების საკითხი ქართლის ძველ დედაქალაქში ისტორიული და არქეოლოგიური მასალების მიხედვით .....	100
<b>Ketevan Digmelashvili</b>	
The Issue of Jewish Settling in the Old capital of Kartli according to Historical and Archaeological Sources .....	113
<b>ევენი ჭანიშვილი</b>	
თამარ მეფის და ლაშა-გიორგის ახალი საფასეები ქსოვრისიდან ....	114
<b>Evgeni Tchanishvili</b>	
The New Coins of Queen Tamar and George IV from Qsovrisi Village.....	120
<b>გურამ ლორთქიფანიძე</b>	
ნიკო მარი და არქეოლოგია .....	121
<b>Guram Lortkipanidze</b>	
Niko Marr and Archaeology .....	127
<b>ინგა ზაბახიძე</b>	
იერუსალიმი 1949 წლის ისრაელ-ეგვიპტის ხელშეკრულებებში .....	128
<b>Inga Zabakhidze</b>	
Jerusalem in the 1949 Israel-Egypt Treaties .....	131
<b>ელენე გეგეშიძე</b>	
სუფრის ეტიკეტი, ებრაული კულტურის უნიშვნელოვანესი ელემენტი .....	132

**Elene Gegeshidze**

Table Etiquette – the most Significant Element of the Jewish Culture..... 139

**მანანა ბანძელაძე**

ეთიკის ზოგიერთი ასპექტი ფილოსოფიასა და რელიგიაში ..... 141

**Manana Bandzeladze**

Some Ethical Aspects in Philosophy and Religion ..... 145

**ავთანდილ ნიკოლეიშვილი**

გიორგი ხუბაშვილი

(მტრიხები ლიტერატურული პორტრეტისათვის) ..... 147

**Avtandil Nikoleishvili**

George Khukhashvili (features for a literary portrait) ..... 171

**ნათელა ნათლიაშვილი-კვინიკაძე**

გიორგი (გიგლა) ხუბაშვილი

ლექსის, ფუნჯისა და სიტყვის უბადლო ოსტატი ..... 172

**Natela Natliashvili-Kvinikadze**

Master of Poetry and Painting ..... 180

**მანანა რუსიეშვილი-კარტლეჯი**

ინგლისელი მოგზაურები საქართველოს შესახებ ..... 184

**Manana Rusieshvili-Cartledge**

English Travellers about Georgia ..... 189

**ქეთევან ლორთქიფანიძე**

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული თურქული ანდაზები ..... 191

**Ketevan Lortkipanidze**

Turkish Proverbs Connected with Health and health Issues ..... 195

**გიორგი ყუფარაძე, ციური ახვლედიანი**

ენობრივ ფორმათა თავისებურებები თარგმანში

(ინგლისური, ფრანგული და ქართული ენების მასალაზე) ..... 196

**Giorgi Kuparadze, Tsiuri Akhvlediani**

Peculiarities of Linguistic Forms in Translation

(On the Material of English, French, Georgian Languages) .....203

**ხათუნა თუმანიშვილი**

ბილინგვურ იდიომთა შედარებითი შესწავლის

მნიშვნელობისათვის (არაბული და ქართული

კორპუსის მაგალითზე) .....204

**Khatuna Tumanishvili**

On the Importance of Comparative Study of Bilingual Idioms

(based on Arabic and Georgian material).....215

**გია ლომთათიძე**

პრაქტიკოსი ექიმი-სტომატოლოგის მიერ შემჩნეული

თავისებურება ქართველებში, ზედა მეორე მცირე

სალეჭი კბილის (ე.წ. მეხუთე კბილის)

განსხვავებული ანატომიური აგებულების შესახებ .....217

**Gia Lomtadze**

A Specific Feature Noticed by a Doctor-Dentist in

Practice different anatomical structure of upper jaw second

bicuspid (so-called 5<sup>th</sup> tooth) in the Georgian nationality .....219

**უჩა ოქროპირიძე**

კოლექტიური მონოგრაფიის „ლაზები და

ლაზეთი თურქეთის გამოცემებში“ რეცენზია.....220

**Ucha Okropiridze**

Laz People and Lazika in Turkish Editions .....229



ზაირა დავაშვილი  
ირმა პაატაშვილი

**საქართველოში პირველ ლეგიტიმურ ებრაულ  
საზოგადოებრივ ორგანიზაციას – საქართველოს  
ებრაელთა საერთაშორისო კულტურის ცენტრს  
დაარსებიდან 30 წელი შეუსრულდა**

2017 წელს დაარსებიდან 30 წელი შეუსრულდა საქართველოში და ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში პირველ ლეგიტიმურ ებრაულ საზოგადოებრივ ორგანიზაციას – საქართველოს ებრაელთა საერთაშორისო კულტურის ცენტრს. ფრიად მნიშვნელოვანია ფართოდ გაშუქდეს ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, 1987 წელს დაარსებული ამ პირველი მერცხლის – საქართველოს ებრაელთა საერთაშორისო კულტურის ცენტრის როლი და დამსახურება; წარმოჩნდეს მისი დამაარსებლისა და უცვლელი პრეზიდენტის, გამოჩენილი შემოქმედის, კომპოზიტორის, მეცნიერის, პუბლიცისტის, საზოგადო მოღვაწის, საერთაშორისო პრემიების ლაურეატის, ღირსების ორდენოსნის, საქართველოს ეროვნულ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლეს მეცნიერებათა (ვაშინგტონი) და ნიუ იორკის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოს გურამ პაატაშვილის მოღვაწეობა და დამსახურება. აღსანიშნავია, რომ ბატონი გურამ პაატაშვილი ასევე გახლავთ საქართველოში 1989-90 წლებში „მაქაბი“-ს მსოფლიო კავშირის საქართველოს ორგანიზაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტი.

**საქართველოს ებრაელთა საერთაშორისო კულტურის ცენტრი და მისი დამაარსებელი და პრეზიდენტი – გურამ პაატაშვილი.**

1987 წლის 27 დეკემბერს თბილისში, საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში (ხმს) გამართულ ხალხმრავალ კრებაზე გურამ პაატაშვილი, როგორც დამაარსებელი, ერთხმად აირჩიეს საქართველოში პირველი ლეგიტიმური ებრაული საზოგადოებრივი ორგანიზაციის – საქართველოს ებრაელთა სა-

ერთაშორისო კულტურის ცენტრის პრეზიდენტად. ხელმოწერედ, 1989 წლის 15 იანვარს, თბილისში, ისევ საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში გამართულ საქართველოს ებრაელთა საერთაშორისო კულტურის ცენტრის დამფუძნებელ კონფერენციაზე, კულტურის ცენტრის პრეზიდენტად კვლავ ერთხმად აირჩიეს გურამ პაატაშვილი.

კულტურის ცენტრის პირველი საბჭოს და აქტივის შემადგენლობაში აირჩიეს ებრაული თემის მრავალი სახელოვანი მოღვაწე: ოთარ სეფიაშვილი, გიგლა ხუხაშვილი, ჯემალ აჯიაშვილი, გურამ პაატაშვილი, აბრეკ ბათოშვილი, ჯემალ სეფიაშვილი, შალვა წინუაშვილი, სიმონ შათაშვილი, რუბენ კაჟილოტი, იოსებ ზონენაშვილი, მარკ პოლიაკოვი, არიელ ლევინი, ლეონიდ პეისახოვი, ჟანა ვულფმანი, იოსებ ბარდანაშვილი, ლეილა თეთრუაშვილი, ხაიმ შტოკი, ვლადიმერ ფიჩხაძე, ლევ სამოსკი, რივა კრუპნიკი, მიხეილ გოლდმანი, ვიქტორ მუშუგიანი, მარკ ამჩემსლავსკი, ლევან იანოვსკი, აბონ ციციანაშვილი, ლეონიდ ეიჩისი, გერცელ აჯიაშვილი, დავით მელუხა, ალექსი იაკობაშვილი, ლული შათაშვილი და სხვ. საბჭოს საპატიო წევრებად აირჩიეს ქართული კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწეები: კოტე წერეთელი, ირაკლი აბაშიძე, ალექსი მაჭავარიანი, ანდრია აფაქიძე, ზურაბ წერეთელი, გიგა ლორთქიფანიძე, თენგიზ აბულაძე, გრიგოლ აბაშიძე, აკაკი ბაქრაძე, ელდარ შენგელაია, ლევან სანიკიძე, გურამ ფანჯიკიძე და სხვ. 1989 წლის არჩევნებამდე, საქართველოს ებრაელთა საერთაშორისო კულტურის ცენტრი ფუნქციონირებდა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში (ხმს), ოპერისა და ბალეტის ექსპერიმენტულ კამერულ თეატრთან ერთად (თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გურამ პაატაშვილი). იმ წლებში (1983-1991) გურამ პაატაშვილი არჩეული იყო საქართველოს ხმს გამგეობის მუდმივმოქმედი შემოქმედებით-საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარედ და შემოქმედებითი კოლექტივების სამხატვრო ხელმძღვანელად (მოგვიანებით, საქართველოს ხმს-ის სამხატვრო ხელმძღვანელად). გურამ პაატაშვილის მეგობრული და კოლეგიალური დამოკიდებულების

გამო, საქართველოს „ხმს“ დირექტორის, ილია კაპანაძისა და გამგეობის თავმჯდომარის, გამოჩენილი კომპოზიტორის, გურამ პაატაშვილის პედაგოგის და უფროსი მეგობრის, სსრკ სახალხო არტისტის, შ. რუსთაველის სახ. პრემიის ლაურეატის, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საკომპოზიტორო კლასის პროფესორ ალექსი მაჭავარიანის მხარდაჭერით, საქართველოს ებრაელთა საერთაშორისო კულტურის ცენტრს, ყოველგვარი ანაზღაურებისა და შენობის ფართის საფასურის გადახდის გარეშე, თბილისის ცენტრში, ხმს-ის შენობაში მოღვაწეობის ნება დაერთო.

საქართველოს ებრაელთა კულტურის ცენტრში, თეატრთან ერთად (1989 წლიდან თეატრი იწოდება ექსპერიმენტულ კამერულ-მუსიკალურ თეატრად), გურამ პაატაშვილის ხელმძღვანელობით იმართება კონცერტები, შეხვედრები, ფესტივალები, საღამოები, თეატრალური დადგმები, გამოფენები, კულტურის დღეები, სამეცნიერო კონფერენციები, წიგნების პრეზენტაციები, ლექციები; უმასპინძლეს სტუმრებს: პუბლიცისტს და ხელოვნებათმცოდნე არკადი როვნერს (აშშ, ნიუ იორკი), პარიზის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის დირექტორს და აღმანახ „სტრელეცის“ მთავარ რედაქტორ ალექსანდრე გლეზერს, ისრაელის პრემიერ-მინისტრის მრჩეველს, დოქტორ იცხაკ დავიდს, სამეცნიერო ფირმა „სანხოსეს“ ვიცეპრეზიდენტს კალიფორნიიდან მაიკლ ბურშტეინს, პოეტს, მედიცინის დოქტორს გერმანიიდან ისააკ მეგრეს, ისრაელის ქნესეთის (პარლამენტის) წევრ ეფრაიმ გურს, ისრაელის სსრკ-დან გამოსულთა ასოციაციის პრეზიდენტ სოფიო ლანდვერს, კომპანია „ალექსის“ პრეზიდენტს მონრეალიდან ალექს კუშნირს, რეჟისორს, დრამატურგს ჰერმან ვედეკინდს (გერმანია), გაზეთ „ალია საქართველოდან“ გამომცემელს და მთავარ რედაქტორ აბრამ საფირს (ისრაელი), ლიტერატორს და საზოგადო მოღვაწეს ისრაელიდან შალომ დავიდს და სხვ.

გაიმართა გამოჩენილი მხატვრის, ისრაელში რეპატრირებული ჩვენი თანამემამულე მიშა (მორდეხაი) ჯანაშვილის ხსოვნის საღამო, რა დროსაც ნაიკითხეს 1969 წელს მიშა ჯა-

ნაშვილის წერილი გურამ პაატაშვილისადმი და სამახსოვრო წარწერა მის პორტრეტზე. აი, ისიც: „ჩემი პირველი გამოფენის და გამარჯვების სულისჩამდგმელს, ჩემს საყვარელ, ძვირფას მეგობარს, უნიჭიერეს კომპოზიტორს და კეთილშობილ ადამიანს გურამ პაატაშვილს, დიდი მადლიერების გრძნობით და სიყვარულით მიშა ჯანაშვილი“. წერილში მიშა ჯანაშვილი გულწრფელად აღნიშნავდა და წერდა: „მრავალი იმედგაცრუების შემდეგ ხელი მქონდა ჩაქნეული, იმედი აღარ მქონდა, რომ როგორც მხატვარი, რაიმე წარმატებას მივალწვედი ოდესმე. გურამის მოწყობილმა გამოფენამ იმხელა გამარჯვება და სიხარული მომგვარა, რომ ჩემზე ბედნიერი დღეს არავინ მეგულებოდა. თითქოს ხელმეორედ დავიბადე, ვირწმუნე საკუთარი შემოქმედებითი ძალების და ოპტიმიზმით აღვივსე, რისთვისაც ვლოცავ და დიდ მადლობას ვუხდის შეხინით გაბრწყინებულ ჩემს მეგობარს გურამ პაატაშვილს“.

საქმე ისაა, რომ იმ პერიოდში გ. პაატაშვილი, როგორც ახალგაზრდა კომპოზიტორი, აირჩიეს საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლის სამხატვრო საბჭოს აქტივში და მისი ინიციატივითა და რეკომენდაციის საფუძველზე 1969 წლის 11 ივლისის საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიხსნა მიშა ჯანაშვილის ნამუშევრების (ფერწერა, გრაფიკა) პირველი პერსონალური გამოფენა, რამაც მას პირველი დიდი წარმატება და აღიარება მოუტანა. გამოფენის შემდეგ, ხელოვნების მუშაკთა სახლის დირექციასთან და გამგეობასთან შეთანხმებით, გურამ პაატაშვილმა სასწრაფოდ მოამზადა შუამდგომლობის ტექსტი ზემდგომ ინსტანციებში გასაგზავნად მ. ჯანაშვილისათვის დამსახურებული მხატვრის ნოდების მინიჭებისა და საბინაო პირობების გაუმჯობესების თაობაზე. გაიმართა აგრეთვე გამოჩენილი მეცნიერისა და ლიტერატორის, უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ ებრაულად ბრწყინვალედ მთარგმნელის, ბორის გაპონოვის ხსოვნის საღამო, რომელზეც ასევე წაკითხულ იქნა ბორის გაპონოვის წერილები თავისი მეგობრის – გ. პაატაშვილისადმი. „წერილები და გ. პაატაშვილის მოგონება ბორის გა-

პონოვზე“ გამოქვეყნებულია გ. პაატაშვილის წიგნში „ისტორიის ფურცლები“, თბ., „პლანეტა“, 1998წ.

ბ. გაპონოვი საუბრისას აღნიშნავდა: „მიუხედავად ჩემი მრავალი ცხოვრებისეული პრობლემებისა, თავს ბედნიერად ვგრძნობდი, როდესაც ჩემი უახლოესი და უსაყვარლესი მეგობრების, ისაკ დავითაშვილის (იცხაკ დავიდის) და გურამ პაატაშვილის გარემოცვაში ვიმყოფებოდი, როდესაც ჩვენ სამივე ერთად აღმოვჩნდებოდით. ეს მეტწილად ქუთაისში ხდებოდა. როდესაც ისაკი და გურამი მესტუმრებოდნენ, ჩემზე ბედნიერი კაცი ქვეყანაზე არ მეგულებოდა. მახსოვს, ერთხელ გურამი მამასთან ერთად საირმეში ისვენებდა. მე და ისაკმა იქ ავაკითხეთ, დაუფინყარი შეხვედრა გვექონდა. სამახსოვროდ სურათიც კი გადავიღეთ სამივემ ერთად. ხშირად ვწერდი წერილებს ორივეს. გურამი ხანდახან პასუხს მიგვიანებდა. მე ელსმენი არ გამაჩნდა, ხოდა ვწერვიულობდი, ჩემს გურამს რაიმე ცუდი ხომ არ შეემთხვა. ორივეზე, ისაკზე და გურამ პაატაშვილზე დიდ იმედებს ვამყარებ. ორივე საოცრად ნიჭიერები და განათლებულები არიან, რაც მთავარია, ორივე საოცრად წესიერი, სათნო ბუნებისანი, კაცთმოყვარულნი და სიკეთით სავსენი არიან. ისაკზე, როგორც პოლიგლოტზე, უკვე მთელმა ქვეყანამ შეიტყო; გურამზე, როგორც უნიჭიერეს კომპოზიტორზე, პრესა წერს და გამოჩენილი კომპოზიტორები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. მე ვამაყობ ჩვენი მეგობრობით. მწამს მათი ბრწყინვალე მომავლის“. ბორის გაპონოვი 1970წ.

გავიდა წლები. იცხაკ დავიდი და გურამ პაატაშვილი საქვეყნოდ აღიარებული და ცნობილი პიროვნებები გახდნენ. აღსრულდა ბორის გაპონოვის ნატვრა. მისი ორი უძვირფასესი ადამიანი – ი. დავიდი და გ. პაატაშვილი დღესაც უღალატო მეგობრებად დარჩნენ, ორივე უზარმაზარ პატივს მიაგებს დიდი ბორის გაპონოვის ნათელ ხსოვნას.

მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი, მრავალი მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი იცხაკ დავიდი ყოველთვის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იხსენებს გურამ პაატაშვილს: „ჩემი ერთგული და უძვირფასესი მეგობარი, უნიჭიერესი კომ-

პოზიციონერი და საზოგადო მოღვაწე გ. პაატაშვილი უფლისაგან და ბუნებისაგან უხვად არის დაჯილდოვებული ხალასი ნიჭითა და დიდბუნოვნებით. ჩემთვის ის ყოველთვის გამორჩეული იყო. დღემდის გურამს დიდ პატივს მივაგებ და გულთ ვატარებ მის სიყვარულს. ჩემს პოეზიაზე შექმნილი მისი მუსიკალური ნაწარმოებები უდიდეს სიამოვნებასა და ბედნიერებას მგვრის. ხშირად მიხდება გამოსვლები, ვკითხულობ ლექციებს მსოფლიო ავტორიტეტულ სამეცნიერო თუ კულტურის ცენტრებში, აკადემიებში, მათ შორის ოქსფორდში, კემბრიჯში, ჰარვარდში, სორბონაში, აშშ კონგრესის ფონდში, ყველგან სიამოვნებით ვუნევ პროპაგანდას გურამ პაატაშვილის მოღვაწეობასა და შემოქმედებით მემკვიდრეობას. ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში სრულიად შემთხვევით, მოულოდნელად გურამ პაატაშვილის შემოქმედების და მოღვაწეობის შესახებ პუბლიკაციებისათვის მომიკრავს თვალი და რადიო-ტელევიზიით მომისმენია მისი ნაწარმოებები. გული სიხარულით მევსება ჩემი უღალატო, საყვარელი მეგობრის დიდი მიღწევების გამო. ამავე დროს გურამი შესანიშნავი ნიგნებისა და შრომების ავტორია. ჩემს გურამს უდიდესი, ბრწყინვალე გზა აქვს გავლილი, რომლის სიკაშკაშეც არასდროს განელდება“. იცხაკ დავიდი, 2001წ.

კულტურის ცენტრში ხშირად იმართებოდა „მუსიკისა და პოეზიის“, „მუსიკისა და ფერწერის“ საღამოები. ერთ-ერთ ასეთ საღამოზე შესრულდა გურამ პაატაშვილის ნაწარმოებები, რომელიც შექმნილი იყო მისი მეგობრების, იცხაკ დავიდის პოეზიის და ნიუ იორკში მცხოვრები ცნობილი მხატვრის, სოსო ჯინჯიხაშვილის ნახატების მიხედვით. საღამოზე ბატონმა გურამ პაატაშვილმა წარმოადგინა სოსო ჯინჯიხაშვილის ორი გრაფიკული ნახატი „მარტოხელა ხე“, ავტოგრაფით: „სახსოვრად გურამ პაატაშვილს, დიდად ნიჭიერ შემოქმედს და მეგობარს“ – სოსო ჯინჯიხაშვილი. მეორე ნახატი კი უფრო ვრცელი ავტოგრაფით: „ჩემს ძვირფას მეგობარს, უშუალო, თვითმყოფადი ნიჭის კომპოზიტორს გურამ პაატაშვილს, ჩვენი ტკბილი მეგობრობისა და შემოქმედებითი ურთიერთობის მოსაგონებლად, ჩვენი შეხვედრებისა და საუბრებისა ჩემთან სახელოსნო-

ში თუ შენ დიდებულ ოჯახში, მშვენიერ მეუღლეს ნელის და პატარა პაატას თანდასწრებით. ჩემო საყვარელო ძმაო, გურამ! ის შესანიშნავი ნაწარმოები, რომელიც შენ შექმენი ჩემი ნახატის მიხედვით და შენი ხელნაწერი ნოტები მისახსოვრე, ჩემთვის რელიკვიას წარმოადგენს. მასთან შეხება ყოველთვის მათბობს და მახსენებს იმ განუმეორებელ დღეებს, რომელიც იყო და მარად დარჩება“, შენი სოსო ჯინჯიხაშვილი.

კულტურის ცენტრში და მუსიკალურ თეატრში შედგა ახალი მუსიკალური ანსამბლებისა და კოლექტივების პირველი გამოსვლები: „დერეხ ლეშალომ“-ის (ლ. მინცვეა), კამერული ორკესტრის, სიმებიანი კვარტეტის, ბავშვთა თეატრის, ვოკალური, ინსტრუმენტული, საგუნდო და ქორეოგრაფიული ანსამბლების. თვეების მანძილზე დარბაზი უფასოდ დაუთმეს ახლადჩამოყალიბებულ ებრაულ კამერულ გუნდ „დერეხს“ (ლ. ბეზროდნი, რ. კაჟილოტი) სარეპეტიციოდ და კონცერტებისთვისაც კი, ხოლო კონცერტებიდან შემოსული თანხა უკლებლივ გადაეცა „დერეხს“. ახალი შემოქმედებითი კოლექტივების გამოჩენა სცენაზე სტატუსით არცთუ ისე ადვილი იყო, მაგრამ პრემიერა შედგა. იმ დროისათვის პროფესიონალურ სცენაზე პირველი ებრაული პროფესიონალური გუნდის, ანსამბლების, თეატრალური დადგმების, კონცერტების რეპერტუარის დამტკიცება, ვიზირება და სცენაზე ფართო აუდიტორიის წინაშე გამოჩენა გურამ პაატაშვილის მხრივ უპრეცედენტო შემთხვევა გახლდათ. პირველ თეატრალიზებულ კონცერტებზე მუსიკოსები და მსახიობები ციციტიმოსხმულები, ხელში ანთებული შაბათის სანთლებით გამოჩნდნენ ხალხით გადაჭედულ დარბაზში და სინაგოგის საგალობლების სიმღერით ერთი მეორის მიყოლებით ადიოდნენ სცენაზე. იმ დროისთვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური რეჟიმის პერიოდში ეს არნახული, გაუგონარი, საოცარი მოვლენა გახლდათ. დარბაზში არ წყდებოდა ფეხზე წამომდგარი, ცრემლმორეული მაცურებლების ოვაციები, შეძახილები და მქუხარე ტაში. აღსანიშნავია, რომ იმ დროს ქვეყნის კულტურის სამინისტროს, მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ საზოგადოებას და სხვა ოფიციალურ ინსტანციებს ნება დართუ-

ლი ჰქონდათ მხოლოდ და მხოლოდ ებრაული მოყვარულთა (თვითშემოქმედებით) გუნდის ან ანსამბლის შექმნისა. ბატონმა გურამ პაატაშვილმა უზარმაზარი პასუხისმგებლობა აიღო საკუთარ თავზე და ებრაული გუნდი და სხვა ანსამბლები თავისი მუსიკალური თეატრისა და კულტურის ცენტრის სახელით პროფესიონალური გუნდისა და ანსამბლების სტატუსით აღჭურვილი წარუდგინა სცენაზე ფართო აუდიტორიას. ასე გაიმართა საქართველოში პირველი ებრაული პროფესიონალური გუნდის, თეატრალური დადგმების, ანსამბლების, კონცერტების პრემიერები, რასაც საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდა. საფუძველი ჩაუყარა და სამომავლოდ გზა გაუხსნა ფართო ასპარეზზე ებრაული კულტურისა და საზოგადო მოღვაწეობის დამკვიდრებას; უდიდესი წვლილი შეიტანა კულტურის აღორძინებასა და განვითარებაში. კულტურის ცენტრში და მუსიკალურ თეატრში კონცერტები და ღონისძიებები იმართებოდა მაღალ პროფესიულ დონეზე პრესისა და რადიო-ტელევიზიის გამოხმაურებით, მოსაწვევებით, პროგრამებით, ფასიანი ბილეთებითა და ქალაქში გაკრული აფიშებით. ყოველივე ზემოხსენებული იმ დროს სირთულეებთან და რისკთან იყო დაკავშირებული. მაშინ არც ისრაელის საელჩო იყო საქართველოში, არც საკონსულო, არც „სოხნუთი“ და არც „ჯოინთი“, მაგრამ გურამ პაატაშვილმა თავის კოლეგებთან და თანამოაზრეებთან ერთად ეს შეძლო.

საქართველოში ახლადდაარსებულმა საქართველოს ებრაელთა საერთაშორისო კულტურის ცენტრმა მუსიკალურ თეატრთან ერთად მძლავრი სამომავლო იმპულსი მისცა და ახალი ელფერი შესძინა ებრაულ მოღვაწეობას. იმ პერიოდში საქართველოს ებრაელთა საერთაშორისო კულტურის ცენტრი წარმოადგენდა ფართო საზოგადოების თავშესაფარს ერთადერთ ადგილს, სადაც იკრიბებოდნენ, ერთიანდებოდნენ, ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ აზრს, ენეოდნენ ნაყოფიერ მოღვაწეობას ებრაელთა კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების ცნობილი წარმომადგენლები, ინტელიგენცია, ნიჭიერი ახალგაზრდობა, საზოგადო მოღვაწეები: მირა ფიჩხაძე, ალექსი იაკობაშვილი



ლი, ჩესი ლეზგიშვილი, ლუბა ფელგრონი, უშანგი რიჟინაშვილი, მიხეილ როკეტლიშვილი, ლული შათაშვილი, ემილ კრუპნიკი, დავით ბუზუკაშვილი, ბორის ჩიკვაშვილი, დავით ბააზოვი, იზაბელა რინენბერგი, ლეონიდ ბეზროდნი, ლუდმილა მინცევა, ლუიზა მანაშეროვა, ლუდმილა სუხინა, ვილი გრიგორიანი, ლუიზა მარკოვა, რაფიელ ელიგულაშვილი, იან გორელოვი, ლევ ვეჩხაიზერი, რიმა თოფჩიაშვილი, რუბენ, ბორის, ბადრი და პაატა პაატაშვილები, ალექსანდრე ბარახოვიჩი, მიხეილ ბენიშვილი, ბორის ჩაჩანაშვილი, ზაირა დავარაშვილი, მიხეილ გუნდიევი, დავით მანაშეროვი, შოთა იაკობაშვილი, აბრამ თეთრაშვილი, მერაბ მანონაშვილი, მიხეილ ხანანაშვილი, თამარ კაკიტელაშვილი, აკაკი ჯანაშვილი, ილია ბრინერი, დავით იოსებაშვილი, მამუკა თეთრაშვილი, ინა ფრადკინა, ბორის ვაისმანი, ილია ბუზუკაშვილი და სხვები, ზემოაღნიშნული კულტურის ცენტრის საბჭოს წევრებთან ერთად.

კულტურის ცენტრის და მუსიკალური თეატრის ერთობლივ ღონისძიებებს და კონცერტებს ხშირად ესწრებოდნენ, მისასალმებელი სიტყვებით გამოდიოდნენ და, საერთოდ, კულტურის ცენტრთან აქტიურად თანამშრომლობდნენ და მოღვაწეობდნენ საქართველოს ხელოვნების, ლიტერატურის, კულტურის და მეცნიერების გამოჩენილი წარმომადგენლები: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი, აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე, პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, სსრკ სახალხო არტისტები, სახელმწიფო პრემიების ლაურეატები, კომპოზიტორები ალექსი მაჭავარიანი და ანდრია ბალანჩივაძე, მწერალი-აკადემიკოსი გრიგოლ აბაშიძე, რეჟისორი, თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე, სსრკ სახალხო არტისტი გიგა ლორთქიფანიძე, საქართველოს სახალხო არტისტები, კომპოზიტორები ოთარ გორდელი და შოთა მილორავა, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი, პროფესორი ნოდარ გაბუნია, საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი ჯანსუღ კახიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები, აკადემიკოსები: კოტე წერეთელი, მარიკა ლორთქიფანიძე, ვახ-

ტანგ ბერიძე, გურამ ლორთქიფანიძე, მერაბ მამარდაშვილი, საქართველოს სახალხო არტისტები, მსახიობები რამაზ ჩხიკვაძე და გიორგი გეგეჭკორი, კონსერვატორიის პროფესორი თამარ ჩარეიშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორები, პროფესორი ნადეჟდა შალუტაშვილი და თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის რექტორი ეთერ გუგუშვილი, კინორეჟისორები, კანის საერთაშორისო კინოფესტივალის ლაურეატი თენგიზ აბულაძე, ვახტანგ ტაბლიაშვილი, სერგო ფარაჯანოვი, პროფესორები: ლევან სანიკიძე, ოთარ ეგაძე, აკაკი ძიძიგური, გივი ღამბაშიძე და სხვ.

გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლთან შეიქმნა ორიგინალური მუსიკალურ-პოეტური აუდიოვიზუალური სპექტაკლების პროგრამა “ყოველი ირჩევს თავისთვის“. სპექტაკლების სიუჟეტი აგებული იყო მათზე, რომელთა სახელებიც ათეული წლების მანძილზე ოფიციალურად თუ არაოფიციალურად აკრძალული იყო. აი, მათი სახელები: ი. ბროცკი, მ. ბულგაკოვი, ვ. ვისოცკი, ა. გალიჩი, ო. მანდელშტამი, ბ. ოკუჯავა, ბ. პასტერნაკი, ა. სახაროვი, ა. სოლჟენიცინი, ტ. ტაბიძე, ა. ტარკოვსკი, მ. ცვეტაევა, ე. შალამოვი, პ. იაშვილი... სპექტაკლების წარმატებას ხელი შეუწყო იმდროინდელი საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლის გამგეობის მუდმივმოქმედი შემოქმედებითი-საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის, კამერული მუსიკალური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, საქართველოს ებრაელთა საერთაშორისო კულტურის ცენტრის პრეზიდენტის, ცნობილი კომპოზიტორისა და საზოგადო მოღვაწის გურამ პაატაშვილის პრინციპულმა მხარდაჭერამ. ვინაიდან სპექტაკლებში ისმოდა იმ დროისათვის თამამი და საბჭოთა წყობილებისათვის ჯერ კიდევ მიუღებელი გამონათქვამები, წარმოდგენების განმეორებითი ჩვენებები ხშირად ფერხდებოდა. ეს რომ არ მომხდარიყო, გურამ პაატაშვილი ამ და სხვა ახალი სპექტაკლების დემონსტრირების ვიზირებას ხელს აწერდა როგორც უკვე კამერული მუსიკალური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და კულტურის ცენტრის პრეზიდენტი.

ეს ორსაათიანი სპექტაკლები, რომლებიც ყოველთვის ან-შლაგებით მიდიოდა, წარმოდგენილ იქნა მოსკოვში, ლენინ-გრაღში და სხვა ქალაქებში. მაყურებლები წარმოდგენის დამ-თავრების შემდეგაც კი არ იშლებოდნენ, საათების განმავლო-ბაში დარბაზსა თუ სცენაზე გრძელდებოდა გამაცოცხლებელი დისკუსიები. მოგვიანებით, „ფურიმშპილი“ და სხვა ებრაული დღესასწაულებისადმი მიძღვნილი წარმოდგენები საქართვე-ლოში პირველად საქართველოს ებრაელთა საერთაშორისო კულტურის ცენტრში იმართებოდა.

1987 წელი იდგა. ვლადიმერ ფიჩხაძეს დიდი ასოებით დაწე-რილი ტრანსპარანტი ჰკიდია გულზე და ამაყად დგას თავი-სუფლების მოედანზე (იმდროინდელი ლენინის მოედანი), მი-წისქვეშა გადასასვლელთან. ტრანსპარანტზე წერია შემდეგი: საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში პრემიერაზე გინ-ვევთ საქართველოს ებრაული კულტურის ცენტრის პრეზიდენ-ტი გურამ პაატაშვილი“. ჩამონერილი იყო შემსრულებლების გვარები და პროგრამა; ამავე დროს ვ. ფიჩხაძე პრემიერაზე და-სასწრებ ბილეთებსაც ყიდდა. ამ დროს მანქანით გამოიარა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ. მა-შინ მსგავსი რამ არ ხდებოდა, ხალხიც მიუჩვეველი იყო ასეთ სანახაობას, ამიტომაც ვ. ფიჩხაძის გარშემო ხალხს მოეყარა თავი. ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე გადმოვიდა მანქანიდან და ვ. ფიჩხაძეს გაოცებულმა მიმართა: „ვინ ბრძანდებით? აქ რას აკეთებთ? ვინ მოგცათ უფლება?“ ვ. ფიჩხაძე არ დაიბნა, მშვიდად მიუგო ვინც იყო; უთხრა, რომ ეს ახალი ნაციონალუ-რი ორგანიზაციაა და ყოველ ახალ წამონყებას მხარდაჭერა სჭირდებაო. ასევე აღნიშნა, რომ მისი იქ ყოფნა შეთანხმებული იყო კომიტეტის თავმჯდომარე გურამ პაატაშვილთან.

ქალაქის საბჭოს მესვეურნი, ბუნებრივია, დაუკავშირდნენ გურამ პაატაშვილს და მკაცრად მოსთხოვეს, რომ მსგავსი ფაქ-ტი აღარ განმეორებულიყო. მიუხედავად აზრთა სხვაობისა, პრემიერა მაინც შედგა და არაერთგზის. უფრო მეტიც, მას შემ-დეგ ქალაქის ცენტრალურ ადგილებში გამოჩნდა გ. პაატაშვი-ლის ხელმოწერილი, სტამბური წესით დაბეჭდილი ებრაული

კონცერტებისა და სხვადასხვა ღონისძიების მაუწყებელი პირ-ველი ოფიციალური აფიშები. მოგვიანებით, პრესა და რადიო-ტელევიზიაც უკვე ფართო პროპაგანდას უწევდა ზემოხსენებულ ღონისძიებებს. ხოლო, რაც შეეხება ვ. ფიჩხაძეს, ცოტა ხნის შემდეგ ახალი, უფრო დიდი ზომის ტრანსპარანტიანოც-მული კვლავ ყიდდა ბილეთებს მორიგ წარმოდგენებზე დასას-წრებად, ოღონდ, ამჯერად ადგილი ჰქონდა შეცვლილი, მოძრა-ობდა, ხან სად დადგებოდა, ხან – სად. იმ პერიოდში ეს გამირო-ბის ტოლფასი იყო. ვ. ფიჩხაძე იხსენებდა, რომ მისთვის ყველაზე რთულ სიტუაციებში, როდესაც ის მოკამათე ფართო აუდიტო-რიის წინაშე აღმოჩნდებოდა უმცირესობაში ან მარტო, ხშირ შემთხვევაში მხოლოდ გ. პაატაშვილს დაუჭერია მისთვის მხარი.

იმ წლებში, როდესაც საბჭოთა კავშირსა და ისრაელს შო-რის არ არსებობდა დიპლომატიური ურთიერთობა, საქართვე-ლოს ებრაელთა საერთაშორისო კულტურის ცენტრი (პრეზი-დენტი გ. პაატაშვილი) და მასთან დაარსებული „ებრაული ჰუმ-ანიტარული გზა“ (ხელმძღვანელი ვ. ფიჩხაძე), რომელიც მო-მავალში ასოციაცია „დერეხ იეჰუდი“-ში გადაიზარდა, უანგა-როდ ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ ფუნქციას.

მუსიკალურ თეატრში და კულტურის ცენტრში, ასევე სხვა საკონცერტო დარბაზებში სრულდებოდა გ. პაატაშვილის ნა-წარმოებებიც, ზოგიერთი მათგანი ადრე შექმნილი და შესრუ-ლებული; მათ შორის მუსიკალური სპექტაკლები და კომპოზი-ციები: „ფესახი“, „ხანუქა“, „როშჰაშანა“, „შაფუოთი“, „იომქი-ფური“, „ფურიმი“, „დახურულ კარს მიღმა“ – ყ. სარტრის ნა-წარმოებების მიხედვით, „მარგარიტა“ – მ. ბულგაკოვის რომა-ნის მიხედვით, „დილეტანტთა მოგზაურობა“ – ბულატი ოკუჯა-ვას რომანის მიხედვით, ოპერა „ორი სამშობლო“ – იცხაკ დავი-დის პოეზიის მიხედვით, „მზის შვილები“ – ბორის გაპონოვის ტექსტის მიხედვით, სიმფონია №7, სიმებიანი კვარტეტი №6, საფორტეპიანო სონატა №8 და პრელუდიების ციკლი – იბნ ეზ-რას და იბნ გაბიროლის პოეზიის მიხედვით, მონოოპერები და მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიციები: „სიზმარი ტყე-ში“, „ფშაფური ჩანამღერები“ – ვაჟა-ფშაველას პოეზიის მიხედ-

ვით, „აჩრდილი“, „განდეგილი“ – ილია ჭავჭავაძის პოემების მიხედვით, „სვეტიცხოველი“ – კონსტანტინე გამსახურდიას და დავით გურამიშვილის ნაწარმოებების მიხედვით, „უკვდავება“ – შოთა რუსთაველის, ნიკოლოზ ბარათაშვილის და აკაკი წერეთლის პოემებისა და პოეზიის მიხედვით, „ნიკორწმინდა“ – გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის მიხედვით, „მოციმციმე ვარსკვლავები“ – შექსპირის, გოეთეს, ჰაინეს, შილერის სონეტებისა და პოეზიის მიხედვით, „მარადიული დიდება“, „არ დაგივინყებთ“, „ფსალმუნები“, „ჩემი მიქელანჯელო“ – ტოლსტოის, დოსტოევსკის, პუშკინის, ლერმონტოვის, ესენინის, ბლოკის, პასტერნაკის, მანდელშტამის, ცვეტაევის, შალომ-ალეიხემის, ბროდსკის ნაწარმოებების მიხედვით; ერთმოქმედებიანი ბალეტები და საბალეტო სუიტები: „მანდილი“, „გულთა ტრაგედია“, „ჯადოსნური ფერია“, „პოემა სიყვარულზე“, „გაზაფხულის ნიავი“, „პოემა ია“, „ნელიანა“, „მშვიდობის ეგიდით“. საბალეტო ნაწარმოებების დადგმა თავდაპირველად თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე და ქორეოგრაფიულ სასწავლებელში განახორციელეს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატმა, ლეგენდარულმა ვახტანგ ჭაბუკიანმა, საქართველოს სახალხო არტისტმა ბექარ მონავარდისაშვილმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ნუგზარ მახათელმა, ზაქარია ამონაშვილმა და სხვ. კულტურის ცენტრში და მუსიკალურ თეატრში პირველად აჟღერდა ცნობილი ებრაელი კომპოზიტორების: მ. ზეირის, ი. ხადარის, ნ. შემერის, ე. ბლოხის, ე. გამლიელის, უ. გიგონის, ა. სტაერლენის, მ. ახარონის, რ. კაჟილოტის, ი. ბარდანაშვილის, ჯ. სეფიაშვილის ნაწარმოებები, ებრაული ხალხური მუსიკა და სინაგოგის საგალობლები; გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორების: ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის, ვ. დოლიძის, ა. ბალანჩივაძის, ა. მაჭავარიანის, ო.თაქთაქიშვილის, დ. თორაძის, ს. ცინცაძის, რ. ლალიძის, ვ. აზარაშვილის და სხვათა ნაწარმოებები, მსოფლიო კლასიკის უკვდავი ქმნილებები.

1999 წლიდან, საქართველოს ებრაელთა საერთაშორისო კულტურის ცენტრისა და „მაქაბის“ საზოგადოების სახელით, ორივე ორგანიზაციის პრეზიდენტ გ. პაატაშვილის კულტურულ-საგანმანათლებლო-სამეცნიერო პროგრამით „საქართველოს ებრაელთა ისტორია და კულტურა“, საქართველოში ამერიკის „ჯოინტი“ წარმომადგენლობის კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის ოფისში, რომლის საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ბატონი გურამ პაატაშვილი და თბილისის ებრაულ სათემო სახლში ეწყობა შეხვედრები, საღამოები, კონცერტები, წიგნების პრეზენტაციები, ლექციები, გამოფენები. კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის „საქართველოს ებრაელთა ისტორია და კულტურა“ პროგრამით, რომელსაც ბატონი გურამ პაატაშვილი ხელმძღვანელობს, მოქმედებს რამდენიმე რუბრიკა: „საქართველოს ებრაელთა ინტელიგენცია და ამოჩენილი მოღვაწეები“, „ებრაელი მეცნიერები“, „მუსიკა, პოეზია, ფერწერა“, „მუსიკალური ნაწარმოებების პრემიერა“, „კულტურის ძეგლები“, „ახალი სახელები“, „ლექცია-დისპუტი“, „თემის ღირსეული წარმომადგენლები“, „ებრაელი მხატვრები“, „ახალი ანსამბლების დათვალიერება-პრეზენტაცია“, „საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების დიასპორის წარმომადგენლები“. გამართულ გამოფენებზე წარმოდგენილი იყო ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, აკვარელი, ქანდაკება, გობელენი, ჭედურობა, აპლიკაცია, კოლაჟი, ხალხური რენვის ნამუშევრები. რეგულარულად იმართება ხელოვნების, კულტურის, მეცნიერების, სპორტის ცნობილი წარმომადგენლების საღამოები, შეხვედრები.

აი, რას წერდა პრესა საქართველოს ებრაელთა საერთაშორისო კულტურის ცენტრ, „მაქაბის“ საზოგადოებასა და გურამ პაატაშვილის საქმიანობაზე. გთავაზობთ მცირეოდენ ამონარიდებს პუბლიკაციებიდან: «Выдающийся творец, композитор, ученый, публицист и общественный деятель, лауреат международных премий, академик Гурам Пааташвили основатель и президент Еврейского культурного центра Грузии и грузинского общества Всемирного Союза «Макаби», ученый-эксперт парламента Гру-

зии, член Совета и президиума межнациональных отношений правительства и государственной канцелярии президента Грузии, чьи симфонии, оперные, балетные произведения, концерты, сонаты, струнные квартеты и пьесы исполнялись и издавались как в нашей стране, так и за рубежом прекрасно считает творческую деятельность с общественной. Это личность разносторонняя, очень талантливая и деятельная, человек творчески неутомимый, автор многих книг создав еще «назаре» еврейского движения в Грузии первый Еврейский культурный центр. К сожалению, в то время диктовало свои условия. Но он даже в годы, когда это могло отразиться на его карьере, обращался к близкой ему еврейской теме. Он продолжал и продолжает активно работать в направлении пропаганды еврейской культуры, науки. Гурам Пааташвили создал и организовал серию музыкально-драматических постановок, посвященных еврейским праздникам: Песах, Пурим, Шавуот, Ханука, Рош-Ашана. Под руководством Гурама Пааташвили набирали творческую зрелость еврейский камерный ансамбль, еврейский камерный хор, театр. Это прекрасное начинание. Таково единодушное мнение всех. Он проводит встречи с представителями еврейской интеллигенции». Газета «Шалом», №6, 1992 г. №6, 1998 г. №3-4, 2000 г.

„არიან ადამიანები, რომლებიც ერთგულად ემსახურებიან თავიანთ ხალხს, ქვეყანას, საკუთარი ღვაწლით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქვეყნის აღმშენებლობის, ხალხთა შორის კულტურულ და მეგობრულ ურთიერთობათა განმტკიცების საქმეში, სულიერად ამდიდრებენ და ალაამაზებენ თავიანთ ქვეყანას. ასეთი ადამიანების რიცხვს მიეკუთვნება გამოჩენილი შემოქმედი, კომპოზიტორი, პუბლიცისტი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საერთაშორისო, მსოფლიო, საკავშირო და რესპუბლიკური ფესტივალებისა და პრემიების ლაურეატი, საქართველოს ებრაული კულტურის ცენტრის და საერთაშორისო „მაქაბის“ საქართველოს საზოგადოების დამფუძნებელი და პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის სწავლული ექსპერტი, საქართველოს მთავრობისა და პრეზიდენტის სახელმწიფო კანცელარიის ეროვნებათშორის ურთიერთობის პრეზიდენტის და

სათათბიროს წევრი, ღირსების ორდენოსანი, აკადემიკოსი გურამ პაატაშვილი. აღსანიშნავია, რომ ებრაული კულტურის ცენტრი იუბილარია, მისი დაბადებიდან ათი წლისთავი აღინიშნა. ორივე ორგანიზაციამ ბატონ გურამ პაატაშვილის ხელმძღვანელობით და არაერთი სასიკეთო საქმით მრავალჯერ ისახელეს თავი“.

ჟურნალი „დროშა“, №99, 1998წ; ისრაელი, გაზეთი „მენორა“, №12, 1989წ.

«Гурам Пааташвили личность широко известная: композитор, ученый, общественный деятель, президент Грузинского общества всемирного союза «Маккаби» и международного культурного центра, лауреат международных премий, академик, его уникальный архивный фонд, успехи творческой и общественной деятельности отмечались средствами информации 90 стран мира пяти континентов. Это - несомненное свидетельство популярности автора и масштаба его деятельности. Хотя, когда говорят о Гураме Пааташвили, человеке разностороннем, в первую очередь отмечается его музыкальная и общественная деятельность.

В Вашингтоне в фонд Конгресса США внесены музыкальные произведения, книги Гурама Пааташвили, сведения о его творческой и общественной деятельности. Он также недавно был награжден почетным дипломом и медалью международной организации «Европа-Америка-Азия-Африка-Австралия» за большие достижения в творческой и общественной деятельности и создание личного архива – «Международный фонд сокровищ мировой культуры». Газета «Свободная Грузия», №244-245, 1999 г., газета «Комсомольская правда», №25, №110, 1999 г.

„დღეს გვინდა გესაუბროთ ცნობილი ხელოვანის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, საერთაშორისო ორგანიზაცია „მაქაბის“ მსოფლიო კავშირის საქართველოს საზოგადოებასა და საქართველოს ებრაელთა კულტურის ცენტრის პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა მრჩეველის კულტურის, მეცნიერებისა და განათლების დარგში, საერთაშორისო საარქივო ფონდის „მსოფლიო კულტურის



საგანძური“ დამაარსებლის და თავკაცის, საერთაშორისო სამშვიდობო ორგანიზაცია „მშვიდობის ელჩის“ საკოორდინაციო საბჭოს პრეზიდენტის, საერთაშორისო პრემიების ლაურეატის, აკადემიკოს გურამ პაატაშვილის ფრიად მნიშვნელოვან საქმიანობაზე.

გურამ პაატაშვილს თავისი მოღვაწეობითა და არაერთი სასიკეთო საქმით მრავალჯერ უსახელებია თავი. ბატონმა გურამმა თავი მოუყარა და მის პირად არქივში ინახება ქართული, რუსული, ევროპული, აზიური და ებრაული კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელთა უნიკალური ხელნაწერები, ფოტოსურათები, ადრინდელი ეპოქისა და გასული საუკუნეების ამსახველი დოკუმენტები, რომლებსაც დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს და, უდავოდ, ქართულ და მსოფლიო კულტურის საგანძურს შეადგენს. დიდი ნაწილი ამ მასალებისა გამოუქვეყნებელი და უცნობია ფართო საზოგადოებისათვის, ნაწილი გურამ პაატაშვილმა გამოაქვეყნა თავის საინტერესო ნიგნებში: „სახელოვანი გზა“, „ხელოვანი და ცხოვრება“, „ისტორიის ფურცლები“, „ხელოვნების ოსტატები“, „დასაწყისი“, „ქმნა მშვენიერებისა“, „უდიდესი წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში“, „ცხოვრებისა და შემოქმედების ფურცლები“ და სხვ. ზემოაღნიშნული ხელნაწერები, გამოცემები და მასალები აღდგენილია ბატონ გურამ პაატაშვილის მიერ. რაც მთავარია, აღდგენის პროცესმა საგრძნობლად გააუმჯობესა ხელნაწერთა და მასალების ხარისხი. ყველა ხელნაწერი, გამოცემა და მასალა თავისუფლად იკითხება და თავის დანიშნულებას ასრულებს, როგორც ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი და კულტურის ძეგლი.

გურამ პაატაშვილის მიერ ფასდაუდებელი, საშვილიშვილო საქმეა განხორციელებული – ერთად თავმოყრილი ყველა ზემოაღნიშნული ხელნაწერი, გამოცემა და მასალა დიდ იშვიათობას წარმოადგენს და, რაც მთავარია, საუკეთესო ხარისხით არის შემონახული, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას და ღირებულებას ანიჭებს მის არქივს.

ცოცხალი ხნის წინ გურამ პაატაშვილს ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის გადაეცა გერმანული მედალი „ხელოვნებას არა აქვს საზღვრები“ და პარიზის „თანამედროვე ხელოვნების“ მედალი. ხოლო სამშვიდობო მისიაში, მსოფლიოს მთელ რიგ სამშვიდობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან, საგანგებო და სრულუფლებიან ელჩებთან, ხელოვნების, მეცნიერების და სახელმწიფო მოღვაწეებთან ერთობლივ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობისათვის და შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის, რომელიც იმართებოდა გაეროსა და იუნესკოს ეგიდით, დაჯილდოვდა საერთაშორისო ორგანიზაციის „მშვიდობის მედროშის“ საპატიო დიპლომითა და მედლით“. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ №39, 1995წ.; გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №27, №316, 1998წ.; №6, 2004წ.

«Университетские фонды Оксфорда, Кембриджа (Англия) и Гарварда (США) пополнились новой книгой известного композитора, ученого и общественного деятеля академика Гурама Пааташвили «Страницы истории». Туда же вошли музыкальные произведения, биография и данные о творческой и общественной деятельности автора. Помимо того, что он - президент грузинского общества Всемирного Союза «Маккаби» и культурного центра, президент координационного совета международных миротворческих организаций «Посол мира», деятельность которого осуществляется согласно декларации и программы действия в области культуры мира, принятых 53-ей сессией Генеральной Ассамблеи ООН 13 сентября 1999 г., лауреат международного, всемирного, всесоюзного и республиканских фестивалей и премий, Гурам Пааташвили известен как основатель и руководитель международного фонда «сокровища мировой культуры», в который входят рукописи выдающихся деятелей, исторические документы, отражающие грузинскую, русскую, европейскую, азиатскую и еврейскую культуры. За три тысячи перевалило число экспонатов фонда. Эти раритеты могли бы украсить стены любого музея мира». Газеты «Московские новости», № 5, 1996 г., «Аргументы и факты - Тбилиси», № 37, 38, 1997 г. № 42, 2000 г. № 25, 2002г. № 49, 2003г.

«Многие из принимавших участие в деятельности культурного центра евреев Грузии (КЦЕГ), музыкального театра и «Маккаби» Грузии уехали жить в зарубежные страны. Но уверен, где бы они ни были, они сохранят в памяти тепло тех незабываемых встреч в КЦЕГ, в музыкальном театре и в ебществе «Маккаби». И всем этим мы обязаны видному общественному и политическому деятелю, советнику по делам внешних отношений, культуры, науки и просвящения Парламента Грузии, прекрасному, талантливому человеку, который пользуется большим авторитетом, любовью и уважением, нашему соотечественнику Гураму Пааташвили, который даже в те годы, когда это могло отразиться на его карьере и было связано с большим риском, возглавил культурный центр евреев Грузии. В те годы это была первая официальная легитимная еврейская организация в Грузии. Его плодотворная творческая и общественная деятельность приобрела международные масштабы и заслужила высочайшую оценку», Михаил Гольдман, ответственный секретарь КЦЕГ и «Маккаби» Грузии. 1993 г., «Творец», 1996 г.

«Еврейский лидер избран академиком. Выдающийся творец, композитор, основатель и лидер ряда еврейских организаций республики Гурам Пааташвили избран академиком Академии Наук Нью-Йорка. В свое время высокую оценку музыкальным произведениям Гурама Пааташвили дали такие выдающиеся композиторы, деятели искусства, литературы и науки как Дмитрий Шостакович, Святослав Рихтер, Арам Хачатурян, Мстислав Ростропович, Дмитрий Кабалевский, Алексей Мачавариани, Давид Торадзе, Вахтанг Чабукиани, Евгений Сахаров, Леонид Коган. Маэстро известен и как основатель первых легитимных еврейских общественных организаций республики на всём постсоветском пространстве. В 1987 году создал Культурный Центр Евреев Грузии, президентом которого является поныне. Возглавляет и грузинское общество Всемирного Союза «Маккаби». АЕН. Агентство Еврейских Новостей. Москва, Иерусалим, Нью-Йорк, 24,04,2004 г. 02,12,2012г.

2 декабря 2008 года в Тбилисском еврейском общинном доме (ТЕОД) представительства «Джоинт» Америки в Грузии состоялся юбилейный вечер, посвященный шестидесятилетию выдающегося творца, композитора, ученого, публициста, общественного и политического деятеля, лауреата ряда международных премий и всемирно почетных званий, академика Национальной Академии Грузии, Академий наук Нью-Йорка, Высшей науки США (Вашингтон) и Академий ряда стран, кавалера ордена чести, господина Гурама Пааташвили.

В большом зале, на видном месте по случаю торжества был вывешен специально изготовленный цветной плакат с портретом господина Гурама Пааташвили, так же содержащий поздравительный текст и украшенный извечным благословением – Ад меа веэ-рим! До ста двадцати лет!

На юбилейном вечере был представлен фильм ( слайд-шоу), посвященный творческой деятельности маэстро Гурама Пааташвили, его балетная сюита «Весенний ветерок», постановку которой в 1988 году на сцене Тбилисского государственного академического театра оперы и балета им. З. Палиашвили осуществил народный артист СССР, лауреат Ленинской и Государственной премий СССР, легендарный Вахтанг Чабукиани. Прозвучали новые музыкальные произведения маэстро. Параллельно ведущая вечера доктор исторических наук Заира Даварашвили читала отрывки из «Сборника мыслей» Гурама Пааташвили, которые вызвали большой восторг присутствующих.

Юбилей господина Гурама Пааташвили превратился в истинный праздник, в своих выступлениях все ораторы отмечали ту большую человеческую теплоту, любовь, справедливость, мужественность и доброту, что являются характерными качествами этого необыкновенного, неординарного и сверхталантливого человека. Народ и собравшееся общество также любовью ответили юбиляру, высоко оценили внесенный им огромный вклад, искренне пожелали счастья и успехов.

В современной истории это первый случай, когда община по своей инициативе и на собственные средства, в столь торжественной обстановке, единодушно, с большим уважением и любовью отметила юбилейную дату верного сына, который стал гордостью своего народа. А это участь избранных. Почти весь зал пел, танцевал, звучали бурные аплодисменты и скандирование: «Браво, маэстро! Ад меа веэсрим! До ста двадцати лет!»

Газ “Shield of David”, № 122,2008 г., USA. NEW-YORK. “OUR ISRAEL”, 26.01.2009г.

**ОСНОВАТЕЛЮ И ПРЕЗИДЕНТУ  
МЕЖДУНАРОДНОГО КУЛЬТУРНОГО ЦЕНТРА  
ЕВРЕЕВ ГРУЗИИ ГОСПОДИНУ  
ГУРАМУ ПААТАШВИЛИ**

*Дорогой, глубокоуважаемый г-н Гурам!*

Сердечно поздравляем вас, выдающегося творца, композитора, ученого, публициста, мецената, общественного и политического деятеля, лауреата ряда международных премий и всемирных почетных званий, академика Академии наук Нью-Йорка, высшей науки США (Вашингтон) и Академий ряда стран, достойного представителя нашего народа со славным юбилеем Культурного центра евреев Грузии. Эта первая легитимная еврейская общественная организация в Грузии и на всём постсоветском пространстве под вашим руководством внесла огромный, неоценимый вклад в возрождение еврейской культуры и жизни в Грузии, в укрепление национального самосознания, в развитие и пропаганду еврейской культуры и истории. Благодаря вам Культурный центр был основан тогда, когда об этом можно было только мечтать. Мысль о создании Культурного центра появилась в период перестройки в СССР. 27 декабря 1987 года вас как основателя единогласно избрали президентом Культурного центра евреев Грузии. Неоспорим ваш личный вклад в создание и успешную деятельность этого центра на благо Общины, двух братских народов и наших сооте-

чествённых за рубежом. Вы, как неизменный президент Культурного центра, являетесь живым примером гражданина, творца, истинного лидера, который лучшие годы своей жизни с честью посвятил служению святому делу. Целесообразно вспомнить состав первого совета и актива Культурного центра, видных представителей нашего народа: Георгий (Гигла) Хухашвили, Отар Сепиашвили, Гурам Пааташвили, Джемал Аджиашвили, Шалва Цицуашвили, Абрек Батошвили, Владимир Пичхадзе, Ариэль Левин, Симон Шаташвили, Тенгиз Зоненашвили, Рубен Кажилоти, Марк Поляков, Сосо Барданашвили, Лейла Тетруашвили, Лев Самовский, Джемал Сепиашвили, Виктор Мушугян, Хаим Шток, Леонид Пейсахов, Ривка Крупник, Шота Якобашвили, Заира Даварашвили, Давид Манашеров, Марк Амчеславский, Жанна Вульфман, Леонид Эчис, Абон Цициашвили, Герцель Аджиашвили, Лули Шаташвили, Леонид Безродный, Вилли Григорян, Давид Баазов, Луиза Манашерова, Давид Мелуха и др.

С первых же дней основания Культурный центр совместно с Экспериментальным театром оперы и балета под руководством художественного руководителя этого театра и Дома искусств Грузии Гурама Пааташвили на высоком профессиональном уровне с отзывами прессы, радио и телевидения, пригласительными билетами, концертными афишами устраивали концерты, встречи, фестивали, литературные вечера, театрализованные постановки, выставки, вечера памяти выдающихся деятелей, лекции, презентации книг, праздничные представления, дни культуры, премьеры, научные конференции, вечера; сформировали первые хоровые – Камерный хор «Дэрэх» (Л. Безродный, Р. Кажилоти), «Дэрэх Шалом» (Л. Минцева) – вокально-инструментальные и хореографические ансамбли, создали разные кружки, принимали гостей стран зарубежья. В Культурном центре и музыкальном театре впервые прозвучали произведения известных еврейских композиторов: М. Зеири, И. Хадар, Н. Шемер, Э. Блох. Э. Гомлиер, У. Гивон, А. Ста-

ерлен, М. Ахарон и др. Еврейские народные песни и синагогальные песнопения.

Ваша заслуга, дорогой Гурам, в том, что в те годы благодаря вашему исключительному старанию, как председателя постоянно действующего творческо-организационного комитета правления Дома работников искусств (ДРИ) Грузии, художественного руководителя ДРИ Грузии и художественного руководителя Экспериментального театра оперы и балета, культурный центр евреев Грузии обосновался в прекрасном помещении в центре Тбилиси в Доме работников искусств Грузии, без выплаты арендной платы, чему активно содействовали и поддержали ваши старшие друзья - директор ДРИ Грузии Илья Капанадзе и председатель правления ДРИ Грузии, ваш педагог, выдающийся композитор Алексей Мачавариани. Мы помним ваши слова, господин Гурам: «Ничего не бойтесь, главное дело творить чистыми руками, любовью и высоким профессионализмом». Мы гордимся, что вместе с вами, без всякой оплаты на полном энтузиазме создавали великолепный духовный мир.

Честь и хвала Господину Г. Пааташвили за его огромный вклад как учредителя и президента первой организации «Маккаби» Грузии, в ее успешную деятельность и возрождение со дня ее основания (1989 г.) и по сегодняшний день. Академик Г. Пааташвили, как президент международного Культурного центра евреев Грузии является учредителем организации «Маккаби» Грузии. Огромную радость вызывают большие победы грузинских маккаби-йцев на всемирных и европейских маккабиадах (олимпийской и др.), многочисленные золотые, серебряные и бронзовые медали, титулы чемпиона и других призовых мест всемирной и европейской маккабиад.

Вместе с другими авторами в Культурном центре, как и на сцене Музыкального театра, и в других концертных залах исполнялись отличавшиеся многожанровыми и художественными ценностями выразительные композиционные творения Гурама Пааташвили. Среди них оперные произведения, мини и моно оперы, вокаль-

ные циклы: «Эхо», «Синай», «Мерцающие звезды» «Микеланджело», «Сон в лесу», «Бессмертие», «Две родины», «Вечная слава», «Псалмы»; балетные произведения, одноактные балеты, балетные сюиты: «Волшебная Фея», «Поэма Ия», «Мантия», «Трагедия сердец», «Под знаком мира», «Неллиана», «Поэма о любви», «Весенний ветерок», постановки последних двух произведений осуществил народный артист СССР, лауреат Ленинской и Государственной премий СССР, легендарный Вахтанг Чабукиани (1977, 1988 г.г.), семь симфоний, двенадцать сонат для фортепиано, 24. прелюдии, шесть струнных квартетов, десять монологов для баритона, три концерта для двух фортепиано, пьесы для скрипки: «Серенада», «Фантазия», «Элегия», «Романс», «Адажио»; произведения для хора, музыкально-поэтические, музыкально-литературные композиции, музыка для спектаклей: «За закрытыми дверями», «Маргалита» «Песах», «Виктория», «Маскарад» «Пурим», «Фрески», «Светицховели», «Грустные напевы», «Ханука», «Мольба», «Лунный вечер» и др.

Местная и зарубежная пресса, радио, телевидение, известные деятели высоко оценили деятельность Культурного центра и Музыкального театра. В первые же годы Культурный центр совместно с музыкальным театром под художественным руководством Гурама Пааташвили дал мощный импульс для будущего и новые окраски еврейской деятельности. В то время Культурный центр евреев Грузии являлся единственным местом, где собирались, общались, объединялись, вели активную деятельность известные представители культуры, искусства, литературы, науки, талантливая молодежь, общественные деятели. Многие из них первые шаги сделали в Культурном центре, позднее они создали новые еврейские организации.

Скажем без преувеличения, в то время, в советском периоде если бы не трезвомыслие, как лидера, Маэстро Гурама Пааташвили, обдуманное, точно рассчитанные и продуманные действия, принципиальность, его личные большие контакты, широкий круг друзей, Культурный центр не смог бы обосноваться, или же мог бы



функционировать на короткий срок, и то не по тому реальному направлению. Культурный центр евреев Грузии обосновался, развернул широкомасштабную деятельность и привлек широкий круг людей благодаря личному большому авторитету и профессионализму Маэстро Пааташвили. Если бы не господин Гурам, в тот период никто другой не смог бы так успешно осуществить эту почетную миссию.

Педагог господина Гурама Пааташвили, выдающийся композитор, народный артист СССР, лауреат Государственной премии СССР и премии Руставели, экс-председатель Правления Союза композиторов Грузии, профессор композиторского класса Тбилисской государственной консерватории Алексей Мачавариани в ряде публикаций отмечал: «Гурам Пааташвили на редкость одаренный и плодотворный композитор, который за короткий срок достиг больших успехов. В его творчестве чувствуется новое веяние, стремление уйти от проторенных дорог и прописных истин, индивидуальный почерк автора, оригинальная, певучая музыкальность и высокий профессионализм. Его симфонии, оперные и балетные произведения, сонаты, струнные квартеты, концерты, прелюдии с большим успехом исполняются как у нас, так и в лучших концертных залах зарубежья, транслируются по радио и телевидению, издаются лучшими издательствами. Произведения Гурама Пааташвили в свое время удостоились высокой оценки выдающихся композиторов, корифеев музыкального искусства, народных артистов СССР, лауреатов ленинских и Государственных премий СССР, профессоров Московской государственной консерватории Дмитрия Шостаковича, Арама Хачатуряна, Дмитрия Кабалевского. Я являюсь его педагогом, воспитателем и старшим другом, хорошо знаю его трудолюбие и большой талант, широкую и многостороннюю эрудицию, высокую культуру и профессионализм». Творческую деятельность Гурама Пааташвили высоко оценили корифеи мирового искусства и науки, лауреаты Нобелевской премии, выдающиеся личности, академики, профессора: Мстислав Ростропович, Святослав Рихтер, Леонид Коган, Иван Козловский, Ольга

Лепешинская, Вахтанг Чабукиани, Реваз Лагидзе, Давид Торадзе, Борис Покровский, Владимир Высоцкий, Андрей Сахаров, Георгий Товстоногов, Лев Кербель, Кара Караев, Тихон Хренников, Андрей Вознесенский, Евгений Евтушенко, Александр Солженицын, Белла Ахмадулина и др. «В музыке Гурама Пааташвили чувствуется новое мышление и звучание. Сочинения композитора выделяются среди сочинений многих авторов своей непосредственностью, свежестью красок, индивидуальным почерком, острым драматизмом, оригинальной, певучей, яркой мелодичностью, внутренним вкусом, высоким профессиональным мастерством, в нем чувствуется напряженный пульс современной эпохи. Г. Пааташвили природой на редкость щедро одаренная творческая личность, с большой многосторонней эрудицией, высокой культурой, с трезвым, аналитическим мышлением, тонкой интуицией, живостью воображения. Он многосторонне плодотворный деятель широких масштабов. Вызывает удивление его титаническая работоспособность и великие достижения».

Академик Гурам Пааташвили автор ряда изданных интересных книг – «Славный путь», «Страницы истории», «Мастера искусства», «Творец и жизнь», «Книга мудрости», «Вклад в мировую цивилизацию» и др. Огромного интереса и высокой оценки удостоилась недавно изданная книга господина Гурама Пааташвили, фундаментальный труд «Страницы жизни и творчества» (хроника), «Сборник мыслей». «Мир мыслей маэстро», куда вошли мысли и высказывания академика Гурама Пааташвили. Маэстро Пааташвили исполнил, издал и опубликовал свыше 180-ти музыкальных произведений, научных трудов, монографий и книг. Он автор свыше десяти внедренных рационализаторских предложений и изобретений в области медицинской науки, удостоившие почетными премиями. В 1993 году, в пору войны и невзгод в Грузии, Гурам Пааташвили, можно сказать, спас от голода своих сограждан. С помощью господина Гурама и при поддержке деятелей искусства, медицины и государственных деятелей Германии в Грузию дважды завезли и распределили больше 48 тонн гуманитарной

помощи, которая была распределена детям, оставшимся без родителей, больным, беженцам, инвалидам, чем Гурам Пааташвили заслужил искреннюю благодарность и благословение очень многих бедствующих людей, официальных властей и Координационного совета международной гуманитарной помощи, почетное звание «мецената» и специальную письменную благодарность – «За большую гуманитарную и моральную помощь в пору войны и бедствий (28.06.1993, № 100)».

В разное время, кем бы не являлся господин Гурам Пааташвили: главным редактором издательства «Шемокмеди» («Творец») г. Тбилиси; генеральным директором Союза Экономического возрождения (СЭВ) Грузии и художественным руководителем творческого объединения СЭВ Грузии; соректором по научной и учебной части, научным руководителем института искусств г. Тбилиси; сопрезидентом Внешнеполитической ассоциации Грузии; председателем редакционного совета международной газеты; в правительстве или в парламенте Грузии, всюду поощряет любимую ему еврейскую тему и дружбу между народами.

Гурам Пааташвили награжден почетными дипломами, премиями, званиями лауреата всемирных, международных, государственных, всесоюзных и республиканских орденов, медалей, фестивалей, конкурсов.

Международный Культурный центр евреев Грузии с первых же дней основания на протяжении 28 лет внес огромный вклад в развитие общественной жизни, в самосознание, в создание среды еврейской культуры, ее развитие и возрождение, что уже является принадлежностью современной истории. Журнал «BneiSion», December, 2007; АЕН. Агентство Еврейских Новостей. Москва, Иерусалим. 02, 12, 2012 г., 09, 10, 2013г. газета «Shield of David», USA, NEW-YORK, №1, 2003г., № 80, 2006г., №100, 2007г., № 153, 2010г., № 191, 2012г. № 218, 2013г, № 227, № 234, 2014 г.

„ჩვენ სტუმარია გამორჩენილი ხელოვანი, კომპოზიტორი, მეცნიერი, მეცენატი და საზოგადო მოღვაწე, საერთაშორისო საარქივო ფონდ „მსოფლიო კულტურის საგანძურის“, სა-

ქართველოს ებრაელთა საერთაშორისო კულტურის ცენტრის და „მაქაბის“ ორგანიზაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტი, ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლეს მეცნიერებათა (ვაშინგტონი) და ნიუ იორკის მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი, საერთაშორისო პრემიების ლაურეატი გურამ პაატაშვილი. საპატიო ნოდებები გურამ პაატაშვილმა დაიმსახურა აზრთა კრებულისათვის – „მაესტროს აზრთა სამყარო“, მაღალი შემოქმედებითი მიღწევებისათვის, უნიკალური საარქივო ფონდ „მსოფლიო კულტურის საგანძურის“ შექმნისათვის და ეროვნული და მსოფლიო კულტურისა და ხელოვნების განვითარების საქმეში შეტანილი პირადი უდიდესი წვლილისათვის.

გურამ პაატაშვილი დაჯილდოებულია „იერუსალიმი 3000“, რომის პაპის – „იოანე პავლე მეორის სახელობის“, „ნიუ იორკ სიტი ხელოვნების“, „მეცენატის“, „ხალხთა მეგობრობის“ საპატიო დიპლომებითა და მედლებით.“ АЕН. – 28.09.2006წ., რადიო „ამერიკის ხმა“, 08.04.2006წ., „ისტოკი“ №15, 2006წ., „ფესვები“ №3, 2007წ.

Четверть века исполнилось международному Культурному центру евреев Грузии. В то время это была первая легитимная общественная еврейская организация в Грузии, да и на всем постсоветском пространстве, создание которой стало возможно благодаря высокому авторитету выдающегося творца, композитора, ученого, публициста и общественного деятеля Гурама Пааташвили. Посвященная этому событию встреча- концерт, состоялась в концертном зале Тбилисского еврейского общинного дома. В ней приняли участие видные представители культуры, искусства и науки, а также грузинская и еврейская общественность.

Открывая это мероприятие, общественность выразила огромную признательность основателю Центра композитору, лауреату ряда международных премий, академику, обладателю многих других почетных званий Гураму Пааташвили.

Было отмечено, что Г. Пааташвили, как президент Культурного центра евреев Грузии является также учредителем и президентом организации «Маккаби» Грузии. За свои заслуги Гурам Па-

аташвили, отмечен званиями академика национальной академии Грузии, академика Академий наук Нью-Йорка и высшей науки США (Вашингтон). АЕН. Москва, Иерусалим. 02.12.2012 г., «Тбилисская неделя », № 49, 2012 г. Еврейская община Тбилиси отметила 65-летие Гурама Пааташвили – выдающегося творца, композитора, ученого, публициста, лауреата Государственных и международных премий, автора симфонии, оперных и балетных произведений, циклов «Синай», «Мерцающие звезды», «Микеланджело», «Бессмертие», «Две родины» и многих других.

Г. Пааташвили исполнил, издал и опубликовал свыше ста пятидесяти музыкальных произведений, научных трудов, монографий и книг. Он является основателем и президентом международного архивного фонда «Сокровища мировой культуры».

В собранном и восстановленном им архивном фонде хранятся уникальные рукописи, экспонаты, документы, фотоматериалы прошлых веков выдающихся людей мировой культуры и истории, связанные с грузинской, еврейской, русской, европейской, азиатской и американской культурами и историями.

Но особенно неоценим вклад Пааташвили в возрождение еврейского образа жизни в Грузии. Он активно участвовал и участвует в деятельности еврейской общины, является бессменным президентом общества «Маккаби».

Местная и зарубежная пресса, радио, телевидение, известные деятели высоко оценили деятельность Культурного центра и Музыкального театра. В первые же годы Культурный центр совместно с музыкальным театром под художественным руководством Гурама Пааташвили дал мощный импульс для будущего возрождения культуры, и новые окраски еврейской деятельности.

Как говорится, если человек талантлив, то он талантлив во всем. Именно этими словами можно охарактеризовать многообразную деятельность этого неординарного человека.

АЕН, 09.10.2013 г., “Shield of David”, USA. NEW-YORK, № 204, № 218, 2013 г., № 227, № 234, 2014 г.

ზაირა დავარაშვილი: დიდი მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო ბ-ნ გურამ პაატაშვილის შვილები – პაატა და ირმა პაატაშვილები, რომლებმაც კულტურის ცენტრს და საქართველოს „მაქაბის“ საინტერესო და ფაქტებით არგუმენტირებული ვრცელი პუბლიკაციები მიუძღვნეს და გამოაქვეყნეს კიდევ ცალ-ცალკე. პაატა პაატაშვილი: „საქართველოს ებრაელთა კულტურის ცენტრის 10 და 15 წლისთავისადმი მიძღვნილი სტატია, კულტურის ცენტრის დაარსებისა და წარმატებული მოღვაწეობის ისტორიის შესახებ“. ასევე „საქართველოს „მაქაბის“ საზოგადოების 10 და 15 წლისთავისადმი მიძღვნილი სტატია საზოგადოების დაფუძნებისა და წარმატებული მოღვაწეობის ისტორიის შესახებ“. ირმა პაატაშვილი კი – „საქართველოს ებრაელთა კულტურის ცენტრის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი“ ვრცელი სტატია.

საქართველოს ებრაელთა საერთაშორისო კულტურის ცენტრმა თავისი დაარსების პირველსავე დღიდან დღემდე, 30 წლის განმავლობაში, აქედან 10 წელი მუსიკალურ თეატრთან ერთობლივი მოღვაწეობით, მძლავრი სტიმული მისცა მომავალს და თამამი, ახლებური ელფერი შესძინა ებრაულ მოღვაწეობას, დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საზოგადოებრივი ცხოვრების, თვითშეგნებისა და ებრაული კულტურის გარემოს შექმნის, განვითარებისა და აღორძინების საქმეში, რაც უკვე თანამედროვე ისტორიის კუთვნილებად იქცა.

## ლიტერატურა – REFERENCES

1. პაატაშვილი გ., „ისტორიის ფურცლები“, თბილისი, „პლანეტა“, 1998.
2. ცილერი ა., „ებრაელები და საქართველო“, პაატაშვილი პ., „საქართველოს ებრაელთა კულტურის ცენტრი 15 წლისაა“ (დაარსების, მოღვაწეობისა და განვითარების ისტორია); „საქართველოს „მაქაბის“ საზოგადოება“ (დაფუძნების, მოღვაწეობისა და განვითარების ისტორია), თბილისი, „რესპუბლიკა“, 2003.

3. პაატაშვილი გ., „ებრაელთა წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში“, „საქართველოს ებრაელთა კულტურის ცენტრი“, „საქართველოს „მაქაბის“ საზოგადოება“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, მეთორმეტე კრებული, თბ., 2002წ.
4. გარშაულაშვილი მ., „საქართველოს ებრაელთა კულტურის ცენტრი, მისი დამაარსებელი და პრეზიდენტი – კომპოზიტორი გურამ პაატაშვილი“, საქართველოს დ. ბააზოვის სახელობის ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, კლუბი“ 26 საუკუნე“, თბ., 2002წ.
5. პაატაშვილი პ., „საქართველოს ებრაელთა კულტურის ცენტრი 10 წლისა“. კონფერენცია, კლუბი „დიპლომატი“, თბილისი, 26.09.1997წ. გაზ. „მაცნე“, 06-12.10.1997წ.
6. Газета «Шалом», «Культурному Центру Евреев Грузии 15 лет», Тбилиси, №12, 2002 г.
7. Газета «Новости Недели», «Гурам Пааташвили – Человек без границ», Тель-Авив, Израиль, 21,10,1999 г., 24,11,1999 г
8. ჟურნალი „დროშა“, „გურამ პაატაშვილი – მუსიკოსი, საზოგადო მოღვაწე“, ისრაელი, 99, 1998წ.
9. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, „კიდევ ერთი კულტურის კერა“, №39, 1995წ.
10. «Коль Исраэль», «Композитор, академик Гурам Пааташвили», Радиостанция «Река», 27,01,2003, Израиль.
11. ათანელოვი ი., „ქართულ-ებრაული სული მსოფლიოში“, „გურამ პაატაშვილი – კომპოზიტორი, მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე“, ისრაელი, 2000წ.
12. პაატაშვილი პ., „საქართველოს ებრაელთა კულტურის ცენტრი 15 წლისა“, „სოხნუთი“, კონფერენცია, კლუბი „ისრაელი“, თბილისი, 2002წ. Газ. «Шалом», «Отличный сюрприз... яркое событие в жизни общины», №12, 12, 2002 г.
13. Газета «Московские Новости», №5, 1996 г.

14. Газета «Комсомольская Правда», «Признание», №11, 2005 г.
15. Газета «Аргументы и Факты – Тбилиси», «Поздравление», №49, 2003 г.
16. გაზ. – „დავითის ფარი“, „გურამ პაატაშვილის ჰორიზონტები“, „ადამიანი საზღვრებს გარეშე“, №1, 2003წ.; №80, 2006წ. აშშ, ნიუ იორკი.
17. Газета «Свободная Грузия», «Талант без границ», №3, 2004 г., «Личный вклад ученого», №56, 2005г.
18. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, „ალიარება“, №6, 2004წ.
19. «Радио Свобода», 21.04.1998 г.
20. Радио «Голос Америки», 08.04.2006.
21. პაატაშვილი გ., „ცხოვრებისა და შემოქმედების ფურცლები“, თბილისი, „პლანეტა“, 2006წ.
22. გაზ. „ფესვები“, №№3-4, „დიდი ადამიანი“, საქართველო, ისრაელი, 2007წ.
23. ჟურნალი „CREAT connections“, გურამ პაატაშვილი – 60. „ოქროს ფურცლების ავტორი 60 წლისაა“ 6(6) 2008წ.
24. პაატაშვილი პ., „საქართველოს ებრაელთა კულტურული ცენტრი 20 წლისაა“ დ. ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი, ტ. №5, 2008.
25. Газета “Our Israel”, «Гураму Пааташвили 60! Браво, маэстро!» 26. 01. 2009 г.
26. დავარაშვილი ზ., „თვალსაჩინოდ მოღვაწენი“, ჟურნალი „ებრაული სამყარო“, №7-8, 2009წ.
27. ჟურნალი „ერთობა“ („THE UNITY“), „გურამ პაატაშვილი – 60“. საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესი. №2.04.2009წ.
28. Ян Смилянский, «Двадцать лет спустя», газета «Еврейский камертон», «Новости», 27.12.2007 г. Израиль.
29. პაატაშვილი პ., „საქართველოს ებრაელთა კულტურის ცენტრმა უკვე 20 წელს გადააბიჯა“, „საქართველოს ებრაელთა ისტორია და კულტურა“, 12.03.2008წ.



30. ლორთქიფანიძე გ., „გურამ პაატაშვილის უჩვეულო, არაჩვეულებრივი წიგნი“, ჟურნალი „ებრაული სამყარო“, №5, 2010წ.
31. Самовский Л., «Культурному центру евреев Грузии 20 лет». Газ. «Шалом», №10, 2007 г.
32. ჭელიძე (გურული) დ., ღრმად შინაარსიანი და წარმატებული 20 წელი“, გაზ. „ჟამიერობისა“, №1,4,5, 2011წ.
33. დავარაშვილი ზ., საქართველოს ებრაელთა კულტურის ცენტრი 25 წლისა“. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XXVIII კრებული, თბილისი, 2013.
34. АЕН. Агентство Еврейских Новостей. Москва, Иерусалим. «Культурному центру евреев Грузии 25 лет». 02, 12, 2012., «Тбилисская неделя», № 49, 2012.
35. АЕН. Москва, Иерусалим. «Гураму Пааташвили 65лет», 09, 10, 2013. Газета «Shield David», USA, NEW-YORK, N 204, N 218, 2013 г. №227, № 234, 2014 г.

**Zaira Davarashvili**  
**Irma Paataashvili**

### **Cultural Centre of the Jews of Georgia is 30 Years Old**

#### **Summary**

Cultural Centre of the Jews of Georgia was founded in Tbilisi on 27 December 1987. It became the first official Jewish public organization in Georgia. Its founder and President is a famous composer, scientist, publicist and public man, laureate of many international prizes, Academician Guram Paataashvili. During 30 years of its activities the Centre has made a great contribution to the revival and development of culture of the Jews of Georgia.



სიმბოლური იყო, რომ „თბილისობა-2015“-ის ფარგლებში თბილისში, უორდროპების სკვერში გაიხსნა **ოლივერ და მარჯორი უორდროპების** ძეგლი. ძეგლის შექმნისათვის თბილისის მერიამ გამოაცხადა კონკურსი, რომელშიც ცნობილმა მოქანდაკემ, **ჯუმბერ ჯიქიამ** გაიმარჯვა. ძეგლი ჩამოსხმულია ბრინჯაოსაგან და წარმოადგენს და-ძმის, მარჯორი და ოლივერ უორდროპების სკვერში სეირნობის იმიტაციას.

ეს ფაქტი დიდი მოვლენაა ქართული საზოგადოებრიობის კულტურულ ცხოვრებაში და ცხადყოფს „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ ენაზე პირველ მთარგმნელთა დამსახურებულად აღიარებას.

უორდროპებმა თავიანთი მოღვაწეობა საქართველოს ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას მიუძღვნეს. მათი ძალისხმევით ევროპაში უმდიდრესი ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა შეიქმნა.

ინგლისელი დიპლომატი, მოგზაური და მთარგმნელი **ოლივერ უორდროპი** თბილისში პირველად 1881 წელს ჩამოვიდა. სამშობლოში დაბრუნებისას მან დაწერა წიგნი „საქართველოს სამეფო“. 1919წ. ოლივერ უორდროპი გახდა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი უცხოელი ელჩი. გამოჩენილ ლიტერატორთან – ოლივერ უორდროპთან ერთად საქართველოში რამდენიმე წლის განმავლობაში ცხოვრობდა მისი დაც – **მარჯორი სკოტ უორდროპი**, გამოჩენილი ინგლისელი პოეტი. მან შეისწავლა ქართული ენა, გაიცნო ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი ისტორია და კულტურა. უორდროპები დაუახლოვდნენ ქართული კულტურის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეებს. მარჯორი სკოტ უორდროპმა ინგლისურ ენაზე თარგმნა ილია ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი“, „ქართული ხალხური ზღაპრები“ და გადანყვიტა შოთა რუსთაველის უკვდავი ნაწარმოების – „ვეფხისტყაოსნის“ მშობლიურ ენაზე თარგმნა.

ათ წელზე მეტი მიუძღვნა მან ამ რთულ საქმეს. თარგმანი გამოვიდა 1912წ. ლონდონში ოლივერ უორდროპის მეთვალყურეობით; იმ დროისთვის მისი და უკვე აღარ იყო ცოცხალი. მარჯორი უორდროპის თარგმანი შესრულებულია პროზაუ-

ლად, მაგრამ მაღალი ოსტატობით და გამოირჩევა დიდი მეცნიერული სიზუსტით. თარგმანს თანდართული აქვს კომენტარები და საცნობარო მასალა.

რუსთაველის ენის შესანიშნავი მცოდნე, აკადემიკოსი **ნიკო მარი** ამ თარგმანს იმ დროისთვის ყველაზე ზუსტად მიიჩნევდა. მარჯორი უორდროპის თარგმანმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ევროპაში „ჯიქისტყაოსნის“ (რუსთაველი ჯიქში გულისხმობს ვეფხვს) პოპულარიზაციაში.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მესამე კორპუსში აქტიურად და მაღალ პროფესიულ დონეზე ფუნქციონირებს მარჯორი და ოლივერ უორდროპების სახელობის ინგლისურ-ამერიკული სამკითხველო დარბაზი, რომელიც მრავალრიცხოვან მკითხველს ფართო სპექტრის ინფორმაციას და სერვისებს სთავაზობს.

ინგლისურ ენაზე არსებობს რუსთაველის პოემის პოეტური თარგმანი, შესრულებული **ვენერა ურუშაძის** მიერ, გამოცემული თბილისში, 1968წ.

„ვეფხისტყაოსნის“ პროზაული ინგლისურენოვანი თარგმანები ეკუთვნის **რობერტ ლუის ბალფურ სტივენსონს** და **ქეთრინ ვივიანს**. ისინი გამოცემულია აშშ-სა და ინგლისში, 1977წ.

პოემის ახალი ინგლისური თარგმანი შეასრულეს ამერიკელმა ქ-ნმა **ლინ კოფინმა** და ქართველმა ქ-ნმა **დოდონა კიზირიამ**.

ქ-ნი **ლინ კოფინი** ცნობილი ამერიკელი პოეტი, პროზაიკოსი და მთარგმნელია. მას გამოცემული აქვს სამი პოეტური თარგმანი. მისი ლექსები, ესეები, მოთხრობები და პიესები მრავალი წლის განმავლობაში ქვეყნდება პერიოდულ პრესაში. ის მონაწილეობდა პოეზიის საღამოებში უდიდეს პოეტებთან – იოსებ ბროდსკისა და ჩესლავ მილოშევიჩთან ერთად. ქ-ნი **ლინ კოფინს** თარგმნის მრავალწლიანი და წარმატებული გამოცდილება აქვს. მისი თარგმანები გამოყენებული იყო ჩეხი პოეტის – იაროსლავ სეიფერტისათვის ნობელის პრემიის მინიჭების

დროს (1984წ.). ლინ კოფინმა ინგლისურ ენაზე თარგმნა ჩეხი, პოლანდიელი, მონღოლი და ირანელი პოეტების ლექსები.

უკანასკნელ წლებში ქ-ნი ლინ კოფინი თარგმნის ქართულ ლიტერატურას. მან თარგმნა ნაწყვეტები შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“ (ადრეულ წლებში), გამოჩენილი ქართველი პოეტების – გალაკტიონ ტაბიძის, ვაჟა-ფშაველასა და სხვ. ლექსები. ქ-ნი ლინი თანამშრომლობს ქართველ პროფესორ **გია ჯოხაძესთან** (მუშაობს ილია ჭავჭავაძის სახ. უნივერსიტეტში), რომელმაც შეასრულა ბნკარედი თარგმანები ინგლისურ ენაზე. ლინ კოფინი მუშაობს ვაშინგტონის შტატში, ქალაქ სიეტლში, ერთ-ერთ უნივერსიტეტში, კითხულობს შემოქმედებითი ლიტერატურის კურსს, სტუდენტებს ასწავლის წერის კულტურას, მართლწერას.

ქ-ნი დოდონას რედაქტირებით 2013წ. აშშ-ში გამოიცა ძველი ქართული პოეზიის ლინ კოფინის თარგმანების ნიმუშების „ქართული პოეზიის ანთოლოგია“ (XIX საუკუნის ჩათვლით).

ქ-ნმა ლინ კოფინმა თარგმნა აგრეთვე თანამედროვე ქართველი პოეტების – დათო ბარბაქაძის, გიორგი კეკელიძის, გივი ალხაზიშვილისა და ზაზა აბზიანიძის ნაწარმოებები.

\* \* \*

თავს ბედნიერად ვთვლი, რომ დღემდე ვმეგობრობ ჩემს ახლო, საყვარელ, ერთგულ, დიდი ხნის სკოლის მეგობართან – **დოდონა კიზირიასთან**, რომელიც ცხოვრობს და ეწევა ლიტერატურულ, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოღვაწეობას აშშ-ში 1971 წლიდან. ასე რომ, უკვე შესრულდა აშშ-ში მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის 46 წელი.

ქ-ნი **დოდონა კიზირია** გახლავთ ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ფილოსოფიის დოქტორი, კინომცოდნე, ქართველოლოგი, მკვლევარი, მეცნიერი, მთარგმნელი, ინდიანის უნივერსიტეტის სლავისტიკის დეპარტამენტის პროფესორი; ხუთჯერ იყო არჩეული უნივერსიტეტის საპატიო, საუკეთესო ლექტორი.

რად. ის გახლავთ უნივერსალური ადამიანი, პოლიგლოტი (ფლობს 9 უცხო ენას); კინო და თეატრი მისი სულიერი საზრდოა, ინტელექტუალური ფიქრის მასალა. ის აცხადებს, რომ მისთვის ყველაზე მთავარია ის, რაც ნათქვამია ბიბლიაში; სიყვარულს თვლის ყველაზე იშვიათ ბედნიერებად; ქალში აფასებს ინტუიციის ძალასა და გამძლეობას; წერს დახვეწილ, რაფინირებულ ლექსებს მშობლიურ, ქართულ ენაზე (გამოცემული აქვს ორი პოეტური კრებული); მისთვის ქართული ენა მსოფლიოს მერვე საოცრებაა. ამერიკელი სტუდენტები ძალიან არიან დაინტერესებულნი ქართული ენით, რადგან უძველესი ქართული ენა ძალიან მდიდარი, ღრმა, ლამაზი და კეთილხმოვანი ენაა.

ადრეულ წლებში დოდონა კიბირიამ ინგლისურ ენაზე თარგმნა დიდი ქართველი მეფის, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ და ქართული პოეზიის დედოფლის – ანა კალანდაძის ლექსი „ფეხი დამადგით გულზე ყოველმან...“

ხუთიოდე წლის წინ ქ-ნმა დოდონამ გამოუშვა სახელმძღვანელო „ქართული დამწყებთათვის“. ამ სახელმძღვანელოში მან საზოგადოებას ინდიანის უნივერსიტეტში ქართული ენის სწავლების თავისი ორმოცწლიანი გამოცდილება გაუზიარა. სპეციალისტები ძალიან მაღალ შეფასებას აძლევენ ამ სახელმძღვანელოს, რადგან ის ძალზე სწორი მეთოდით ასწავლის მსურველებს ქართულ ენას.

ქ-ნი დოდონას სამომავლო გეგმებია: გამოსცეს პასუხები კულტუროლოგიურ საკითხებზე; გამოიკვლიოს, როგორ არის ისინი აღქმული დღეს საზოგადოებაში; როგორი რეზონანსი აქვს „ოთარაანთ ქვრივის“ გმირს, აგრეთვე, გიორგი სააკაძის გმირს და ა.შ. ქ-ნ დოდონას სურს, პროფესორ, ქ-ნ **თინათინ ბოლქვაძესთან** ერთად ინგლისურ ენაზე გამოსცეს „ქართული ენის გრამატიკა“. რამდენიმე წლის წინ ქ-ნმა დოდონამ გამოჩენილ ამერიკელ მეცნიერ, ქართველოლოგ **ჰაუვარდ არონსონთან** ერთად გამოუშვა „ქართული ენის სახელმძღვანელო“. გასულ წელს ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ (მთავარი რედაქ-

ტორი ცნობილი მწერალი და ლიტერატორი **როსტომ ჩხეიძე**) დაიბეჭდა ამერიკაზე მისი მოგონებებიდან ერთი თავი.

ქ-ნი **დოდონა კიზირია** გვიამბობს: „არასოდეს ვიფიქრებდი, რომ ოდესმე შევეჭიდებოდი გენიალური ქართველი პოეტის, შოთა რუსთაველის უკვდავ პოემა „ვეფხისტყაოსანს“ და ინგლისურ ენაზე შევასრულებდი მის ბნკარედ თარგმანს. ბაქოში ცხოვრობს ქართველი მეცენატი, დიდებული ქ-ნი **ნატო ალხაზიშვილი**. ის მუშაობს გაეროს ერთ-ერთ ოფისში. ქ-ნი ნატოც და მეც ვიცნობთ ცნობილ ამერიკელ პოეტს, ქ-ნ **ლინ კოფინს**, რომელთანაც ჩვენ შემოქმედებითი კონტაქტები გვაკავშირებს“.

მას შემდეგ, რაც მე და ქ-ნი ლინ კოფინი ერთად ვმუშაობდით ქართველი პოეტების პირველ პოეტურ კრებულზე, – განაგრძობს ქ-ნი დოდონა კიზირია, ქ-ნმა ლინმა თავად გამოთქვა სურვილი, რათა მე ვყოფილიყავი „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ ენაზე ბნკარედი თარგმანის ავტორი. მეცენატმა ნატო ალხაზიშვილმა ქ-ნ ლინ კოფინს შესთავაზა შოთა რუსთაველის პოემის ინგლისურ ენაზე თარგმანის შესრულება, ხოლო ქ-ნმა ლინ კოფინმა, თავის მხრივ, შემომთავაზა მასთან მეთანამშრომლა. მე დავთანხმდი და ჩვენ, ორივემ, ერთად ხელი მოვკიდეთ ძალზე სერიოზულ, ურთულეს და შრომატევად სამუშაოს. გვინევდა დღედაღამ მუშაობა, ერთსა და იმავე სტროფზე 4-5ჯერ დაბრუნება, კორექტირება. რასაკვირველია, დიდი შრომა ჩავდეთ. ვმუშაობდით პოემის ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ მომზადებული 1966წ. გამოცემის მიხედვით.

თუ შევადარებთ ამ ახალ ინგლისურ თარგმანს რუსულ თარგმანთან, ირკვევა, რომ რუსული თარგმანი შეიცავს 1587 სტროფს, ხოლო ჩვენ მიერ წარმოდგენილი ინგლისური თარგმანი შეიცავს 1661 სტროფს. თარგმანზე ვმუშაობდით 2012 წლიდან 2015 წლის ჩათვლით.

**„ვეფხისტყაოსნის“ ახალი ინგლისური თარგმანი დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობაში „პოეზია“. დაფინანსება – ნატო ალხაზიშვილის; თარგმანი – ლინ კოფინის; ბნკარედი თარგმანი და საერთო რედაქტირება ეკუთვნის დოდონა**

კიზირიას; თარგმანის რედაქტორი, კომენტარების ავტორი – გამოჩენილი ლიტერატორი და პოლიტიკოსი, პროფესორი ნოდარ ნათაძე; ილუსტრაციები – მიხაი ზიჩის.

**თარგმანი მიეძღვნა შოთა რუსთაველის დაბადებიდან 850 წლისთავის იუბილეს.**

არც შემთხვევითია და არც გასაკვირი, რომ სიყვარული და პატივისცემა წარმომავლობით ებრაელი, დიდი უნგრელი მხატვრის – ზიჩის მიმართ დღესაც არ განელეზულა.

ვის არ დაუსურათებია რუსთაველის პოემა! მინიატურების უცნობი ავტორი (XVI ს.), მამუკა თავაქარაშვილი (XVII ს.), ლადო გუდიაშვილი, სერგო ქობულაძე, თამარ აბაკელია, ირაკლი თოიძე, ლევან ცუცქერიძე, უჩა ჯაფარიძე, ნათელა იანქოშვილი და სხვ.

ცნობილი ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „ჯერჯერობით იმაზე უკეთესი არაფერი მოგვეპოვება, ვიდრე ცნობილი, შესანიშნავი მხატვრის, მიხაი ზიჩის მიერ ილუსტრირებული „ვეფხისტყაოსანი“. ხოლო აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი წერდა: „რუსთაველის გმირები შემოვიდნენ და დამკვიდრდნენ ქართველი ხალხის ცნობიერებაში ზიჩის შესანიშნავი ილუსტრაციებით“.

დიდი ქართველი მხატვარი ლადო გუდიაშვილი ძალიან მაღალ შეფასებას აძლევდა მიხაი ზიჩის შემოქმედებას:

**„ზიჩის ილუსტრაციები დღესაც არ კარგავენ ემოციური ზეგავლენის ძალას. ისინი დღესაც ერთ-ერთი საუკეთესოა“.**

ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე პოემის მრავალ გამოცემას ამშვენებდნენ და დღესაც ამშვენებს ზიჩის ილუსტრაციები, რომელთა დაჩრდილვა ვერ შეძლეს ილუსტრირების შემდგომმა მცდელობებმა ვერც ჩვენთან და ვერც საქართველოს საზღვრებს გარეთ.

მიხაი ზიჩიმ (1827-1906წწ.) უმაღლესი იურიდიული განათლება მიიღო ბუდაპეშტსა და ვენაში. საქართველოში, თბილისში, 1881 წლის შემოდგომაზე ჩამოვიდა. საქართველოში ჩამოსვლამდე ზიჩი მუშაობდა რუსეთში სამეფო კარის მხატვრად, ასურათებდა მსოფლიო ლიტერატურის შედეგებს. 1858 წელს



შესანიშნავი მხატვარი, მიხაი ზიჩი, პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსად აირჩიეს.

**მიხაი ზიჩი რუსთაველის პოემას „ქართველთა ბიბლიას“ უწოდებდა.**

მიხაი ზიჩის ხელმძღვანელობით, 1882 წელს თბილისში, ქუთაისში, ხოლო შემდგომ პეტერბურგში, მოსკოვსა და ხარკოვში დიდი წარმატებით იდგმებოდა „ცოცხალი სცენები – სურათები“ (სულ 11) „ვეფხისტყაოსნიდან“, რომლებშიც მონაწილეობდნენ ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები. რუსთაველის პოემის პერსონაჟების პროტოტიპებად გამოდიოდნენ თავიანთი გარეგნული სილამაზით გამორჩეული ქართველი მამაკაცები და მანდილოსნები. მონაწილეთა შორის იყვნენ პოეტები **მამია გურიელი** და **გიორგი შერვაშიძე**. ცოცხალი სურათები ინვევდა ემოციებისა და განცდების, აღფრთოვანებისა და აპლოდისმენტების შეუკავებელ ამოფრქვევას და, ამგვარად, მაყურებელთა აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა.

მიხაი ზიჩიმ ხელი მოჰკიდა საშვილიშვილო საქმეს – პოემის ილუსტრირებას **გიორგი ქართველიშვილის** რედაქციით მომზადებული გამოცემისათვის. ქართული კულტურის მოწინავე მოღვაწეები – ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ივანე მარჩაბელი, ნიკო ნიკოლაძე, იონა მეუნარგია და სხვები დიდი სიხარულით შეხვდნენ ცნობილი მხატვრის ამ კეთილშობილურ წამოწყებას. მიხაი ზიჩის მიერ შესრულებული ბრწყინვალე ილუსტრაციები შევიდა გ. ქართველიშვილის დიდებულ გამოცემაში, რომელიც გამოიცა თბილისში, 1889 წელს.

**მალე მიხაი ზიჩიმ საქართველოს საჩუქრად გადასცა „ვეფხისტყაოსნის“ ესკიზები და ილუსტრაციები (სულ 34) ამაღელვებელი წარწერით:**

**„თბილისის ლიტერატურულ საზოგადოებას – ქართველი ხალხის მიმართ ჩემი სიმპათიისა და ერთგულების ნიშნად“.**

**ზიჩი**

**ს. პეტერბურგი, 10 მარტი, 1889წ.**

ალიარებული, დიდი მხატვრის, მიხაი ზიჩის სახით, ქართველმა ხალხმა ელიტარული და სახელგანთქმული, წარჩინებული და ერთგული მეგობარი შეიძინა.

მადლიერების ნიშნად, ქართველმა ხალხმა შოთა რუსთაველის გენიალური პოემის უდიდეს პოპულარიზატორს, ჩინებულ მხატვარს – მიხაი ზიჩის თბილისის ცენტრში, ალექსანდრეს ბაღში ძეგლი აღუმართა.

ასევე დედაქალაქის ცენტრში, სოლოლაკის რაიონში, ერთ-ერთი ქუჩა ატარებს მიხაი ზიჩის სახელს.

დიდ მხატვარზე მისმა მშობლიურმა ქვეყანამ – უნგრეთმა გადაიღო მხატვრული ფილმი, რომელშიც ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს ცნობილი ქართველი მოცეკვავე, ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ანსამბლის სოლისტი **იამზე დოლაბერიძე** ასახიერებს.

ახალი ინგლისური თარგმანის პრეზენტაციამდე, 2015 წლის სექტემბერში მისი წარდგინება გაიმართა დიდ ბრიტანეთში, ლონდონში. ქართული კინოფილმების მე-4 კინოფესტივალის ფარგლებში შედგა თარგმანის წარდგინება, რომელშიც მთარგმნელის – ლინ კოფინის გარდა მონაწილეობდნენ ქართველი მწერალი აკა მორჩილაძე, მთარგმნელი-ისტორიკოსი დონალდ რეიფილდი; სტროფებს პოემიდან კითხულობდა სახელგანთქმული ინგლისელი აქტიორი დაიან კვიკი.

დაახლოებით იმავე დღეებში „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის წარდგინება შედგა აგრეთვე ვესტენდის კინოთეატრში, ეგიდით „კინოში ასახული ცხოვრება“. კინოფესტივალის ჩარჩოებში ნაჩვენები იყო უკანასკნელ ხანებში გამოშვებული საუკეთესო ქართული კინოფილმები.

ბუნებრივია, რომ რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი ინგლისური თარგმანის გამოცემამ ქართულ საზოგადოებაში დიდი რეზონანსი გამოიწვია. წიგნის პრეზენტაცი შედგა ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში; ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში (ინგლისურ ენაზე); საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეროვნული გმირის, მარო მაყაშვილის კაბინეტში (წითელი ჯვრის მოწყალეების დის – 20 წლის ქალიშვილის, რომელიც თბილისის მისადგომებთან 1920 წელს დაიღუპა ახალგაზრდა ქართველ იუნკრებთან ერთად).

პრეზენტაციებზე სტროფებს თავისი თარგმანიდან კითხულობდა ქ-ნი ლინ კოფინი; სიტყვით გამოვიდნენ პროფესორები, ქ-ნი დოდონა კიზირია და ბ-ნი ნოდარ ნათაძე; გამოცემის სპონსორი, ქ-ნი ნატო ალხაზიშვილი.

**ქ-ნი ლინ კოფინის თარგმანი ინგლისურ ენაზე პირველი თექვსმეტმარცვლოვანი თარგმანია, რომელშიც თითოეულ სტროფში, თითოეულ ფრაზაში რითმის სქემა შენარჩუნებულია. ეს ერთადერთი გართმული თარგმანია, რომელიც ლექსად ააწყო პროფესიონალმა, კვალიფიციურმა პოეტმა.**

რუსთაველის პოემა თარგმნილია მსოფლიოს ხალხების 40-ზე მეტ ენაზე: იტალიურ, ესპანურ, უნგრულ, პოლონურ, ბულგარულ, იაპონურ, რუსულ, უკრაინულ და სხვ. ენებზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა, უნიჭიერესი პოეტის – **ბორის დოვ გაპონოვის** მიერ ივრითზე – ებრაულ ენაზე შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ კონგენიალური თარგმანი.

შოთა რუსთაველის, როგორც ქართული კულტურის პატრიარქის, შემოქმედება უკვდავების შარავანდედით არის მოსილი.

აკადემიკოსი **შალვა ნუცუბიძე**, რომელმაც ბრწყინვალედ თარგმნა პოემა რუსულ ენაზე, შოთა რუსთაველს აღიარებდა აღმოსავლური რენესანსის მწვერვალად, ხოლო აკადემიკოსი **ნიკო მარი** აღნიშნავდა პოემის ღრმა ორიგინალობასა და ეროვნულობას, რადგან პოემა აღსავსეა ამოუწურავი სიბრძნით.

**ქალბატონების – ლინ კოფინისა და დოდონა კიზირიას ახალმა ინგლისურმა თარგმანმა დაიმსახურა უმაღლესი ჯილდო – პრემია „საბა“.**

ჯილდოს გადაცემის ცერემონია გაიმართა 2016 წლის 18 სექტემბერს ბაგრატიონების სამეფო გვარის მემკვიდრის – ივანე მუხრანბატონის საგვარეულო მამულში, შუა საუკუნეების (XVI ს.) დარბაზში – **შატო მუხრანში.**

ეს მთარგმნელთა ბრწყინვალე გამარჯვება და დიდი წარმატებაა.

**მრავალრიცხოვან კეთილისმსურველებთან ერთად მთელი სულით და გულით, გულითადად ვულოცავთ შემოქმედებით კოლექტივს ამ მაღალ ჯილდოს და ვუსურვებთ შემდგომ მიღწევებს. სიამაყეს გვგვრის ის სასიხარულო ცნობა, რომ იგეგმება თარგმანის წარდგენა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიაზეც.**

შოთა რუსთაველის შეუდარებელი პოემა კვლავ და კვლავ ელის მაღალნიჭიერ მთარგმნელებს, რათა მთელი სიძლიერით მუდამ ჟღერდეს რუსთაველის მარადიული პოეტური სიბრძნე, გენიალური პოეტის სტრიქონები, უკვდავი აფორიზმები: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი!“, „გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად!“, „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია!“...

**Натела Натлиашвили-Квиникадзе**

**«Я памятник себе воздвиг нерукотворный...»**

**(К 850-летию юбилею Руставели**

**– новый английский перевод поэмы)**

### **Резюме**

Гениальная поэма великого грузинского поэта Шота Руставели «Витязь в тигровой шкуре», неисчерпаемый родник мудрости и поэзии – истинная сокровищница грузинской литературы. Она заслуженно занимает свое место среди величайших произведений мировой литературы. Бессмертная поэма Руставели переведена более чем на 40 языков народов мира.

Новый английский перевод поэмы выполнили знаменитая американская поэтесса, г-жа Лин Коффин и известная грузинская общественная деятельница, профессор, г-жа Додона Кизирия.

**Г-жа Лин Коффин** – американская поэтесса, прозаик и переводчик. Ею изданы три поэтических сборника. Стихи, эссе, рассказы и пьесы в течение многих лет публикуются в периодической прессе. Лин Коффин перевела на английский язык стихотворения чешских, голландских, монгольских, иранских и грузинских поэтов. Она работает в Вашингтонском штате, в городе Сиэтле.

Под редакцией г-жи Додона Кизирия в 2013 году в США была издана «Антология грузинской поэзии», в которую вошли образцы переводов Лин Коффин древней грузинской поэзии (включая XIX век).

Г-жа **Додона Кизирия** уже 46 проживает и ведет литературную, общественную и политическую деятельность в США. Она – доктор философии; киновед; грузиновед; исследователь; ученая; переводчица; полиглот (знает 9 иностранных языков); профессор Департамента славистики Индианского университета; пять раз была избрана почетным, лучшим лектором университета. Она самостоятельно издала учебник «Грузинский для начинающих», а вместе с американским ученым **Гаувардом Аронсоном** – «Учебник грузинского языка», пишет изящные, рафинированные стихи на грузинском языке, выпустила два поэтических сборника.

Мецената, г-жу **Нато Алхазышвили**, проживающую в Баку, г-жу **Лин Коффин** и г-жу **Додону Кизирия** связывают творческие контакты. Нато Алхазышвили предложила Лин Коффин выполнить перевод «Витязя в тигровой шкуре», а она, со своей стороны, предложила Додоне Кизирия выполнить подстрочный перевод поэмы. Работали по изданию 1966 года, подготовленному Комиссией по установлению текста поэмы. Над переводом работали с 2012 года по 2015 г.

**Новый перевод поэмы на английском языке был напечатан в Тбилиси, в издательстве «Поэзия». Финансирование – Нато Алхазышвили; перевод – Лин Коффин; подстрочный перевод и общее редактирование - Додона Кизирия; редактор перевода, автор комментариев – профессор, известный литератор и политик Нодар Натадзе; иллюстрации – Михая Зичи.**

Не случайно и не удивительно, что любовь и уважение к великому венгерскому, еврею по национальности, художнику Михаю Зичи и по сей день не ослабли.

Михай Зичи поэму Руставели называл «Библией грузин».

**Михай Зичи преподнес в дар Грузии свои эскизы иллюстраций «Витязя в тигровой шкуре» (всего 34) с волнующей надписью: «Тифлисскому литературному обществу в знак моей симпатии и сердечной преданности грузинскому народу.**

**Зичи**

**С. Петербург. 10 марта 1889 г.»**

Издание нового английского перевода поэмы Руставели «Витязь в тигровой шкуре» вызвало большой резонанс среди грузинской общественности. Презентация книги состоялась в разных учреждениях Лондона и Тбилиси.

Перевод г-жи Лин Коффин – первый шестнадцатислоговой, зарифмованный перевод на английский язык.

**Новый английский перевод Лин Коффин и Додоны Кизиря недавно был удостоен высокой награды – премии «Саба».**

**Это блестящая победа и большой успех переводчиков.**

**Намечается представление перевода и на премию имени Шота Руставели.**

**И все-таки, несравненная поэма Шота Руставели вновь и вновь ждет новых высокоталантливых переводчиков, чтобы всей силой зазвучала вечная поэтическая мудрость Руставели, вечно звучали бессмертные афоризмы, строки гениального поэта: «Жизнь покрытого позором горше смерти смельчака», «Должно сердцу быть для сердца и дорогой, и мостом», «Львенок сам ко льву приравнен, будь то самка иль самец...» (Перевод Пантелеймона Петренко).**

გამოიცა აკადემიკოს გურამ პაატაშვილის „ცხოვრებისა და შემოქმედების ფურცლების“ პირველი და მეორე ნაწილები. წიგნში ასახულია გამოჩენილი შემოქმედისა და საზოგადო მოღვაწის, კომპოზიტორის, მეცნიერისა და პუბლიცისტის, საერთაშორისო პრემიების ლაურეატის – გურამ პაატაშვილის მოღვაწეობა და შემოქმედებითი გზა; წარმოდგენილია მისი აზრთა კრებული „მაესტროს აზრთა სამყარო“. წიგნი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისთვის. გთავაზობთ ნაწყვეტს წიგნის მეორე ნაწილიდან „მაესტროს აზრთა სამყარო“.

## გურამ პაატაშვილი

### აზრთა კრებული „მაისტროს აზრთა სამყარო“

#### გაგრძელება

- შემოქმედი ადამიანი ერთდროულად მუსიკოსიც არის, პოეტიც და მხატვარიც, ის ყველაფერს შეიგრძნობს და განიცდის, სხვანაირად დიდს ვერაფერს შექმნის.
- ხელოვნება და მეცნიერება პოლიტიკაზე მაღლა უნდა იდგეს. ეს ის სფეროა, რომელსაც ნებისმიერი ხალხისა და სახელმწიფოების დამეგობრება და გაერთიანება ძალუძს.
- არჩევნების გზით შეიძლება რაიმეს თავკაცი გახდე, მაგრამ ვერასოდეს გახდები ის, რაც არა ხარ.
- შეიძლება იყო ნიჭიერი, მაგრამ, თუ არ გაგაჩნია რევოლუციური ჟინი იმისა, გააკეთო ის, რაც ადრე არ ყოფილა, მნიშვნელოვანს ვერაფერს მიაღწევ.
- ზღაპრები ადრე მართლაც რომ ზღაპრები იყო, ახლანდელი ზღაპრები კი ბავშვებს ცხოვრების რეალობისთვის ამზადებს.
- ქალთა საერთაშორისო დღის დადგომას მანდილოსნებს ულოცავენ, დამთავრებას კი – მამაკაცებს.
- ქათმის ფეხებზე შემდგარი დემოკრატიის ხმა შორიდან, ისიც ყრუდ ისმის ხოლმე.
- არის ქალაქი, სადაც არსებობს ერთი ეროვნება, რომელსაც ქალაქელი ჰქვია და მას სულიერებითა და აკადემიურობით ნინ ვერაფერი აღუდგება, ყოველ შემთხვევაში, იმ ქალაქში – თბილისში, რომელშიც მე დავიბადე, ასე იყო.
- ზოგჯერ გამარჯვების მუსიკა უფრო ხმამაღლა ჟღერს, ვიდრე თავად გამარჯვება. ასეთ დროს მით უფრო მწარე და გულსატკეპნია თითოეული დანაკარგი.



- ზოგჯერ შემოქმედ ადამიანს თავისი ქვეყნის არანაირი ტიტული გააჩნია, წესიერად არც კი იცნობენ და ამავე დროს მსოფლიო დონის მოღვაწეა.
- ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, პოლიტიკური დიალოგი ყველასთან საჭიროა. აგრესიულობა და მუხლებზე ხობვა უაზროა. გამოუვალი სიტუაციები არ არსებობს და მიუღწეველიც არაფერია, უბრალოდ თავად არ უნდა შეხვიდე ჩიხში.
- ყველა, თავისი ნიჭისა და გამოცდილების წყალობით, ერთსა და იმავე პარტიტურას თავისებურად კითხულობს და აყლერებს.
- ევროპული სულისკვეთებით ცხოვრება და აზიური სტილით მართვა იშვიათი მენტალობის ხალხს თუ ხელენიფება.
- იმ პოლიტიკოსებსა და ქვეყნის თავკაცებს, რომლებიც ცდილობენ საუზმე და სადილი ევროპასა და ამერიკაში მიერთვან, ურიგო არ იქნება, ზოგჯერ მოსკოვშიც რომ ივახშმონ. დიპლომატიაში ერთს მივუმატოთ ერთი ყოველთვის ორი როდია.
- ხალხი ახალ ხელისუფლებას, როგორც ყოველთვის, ნდობის კრედიტს გადასცემს და ასევე, როგორც ყოველთვის, თავადვე უწევს ამ კრედიტის გადახდა
- მცირერიცხოვან პატარა ქვეყანას შეცდომის დაშვების ფუფუნება არ გააჩნია.

გურამ პაატაშვილი – „მაესტროს აზრთა სამყარო“

- უხერხემლო პოლიტიკოსები და ხელისუფალნი საათებსაც კი უტყბო ქვეყნის მმართველთა დერეფნებში ასწორებენ.
- ნიჭიერი ადამიანები ყველა ეპოქაში იბადებიან, სწორედ ისინი წარმოაჩენენ თავიანთ ეპოქალურ ქმნილებებში დიად ეპოქას.
- თუ თავიდანვე პირველი ნოტი, ფრაზა, ფერი ბუნებრივად მოდის, ქმნილებაც სათანადოდ გაიჟღერებს.

- სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყნად, სადაც არ უნდა ნახვიდე, ყველგან თან დაგყვება.
- შემოქმედის ქმნილება ქვეყნისა და ხალხის ცხოვრების სარკეა.
- რწმენა არის ერის მაცოცხლებელი დვრიტა! რწმენა გადაარჩენს ერს ჟამთა სიავისგან.
- ვინც ძალაუფლებისკენ მიილტვის, უნდა ახსოვდეს, რომ სამეფო ტახტიდან სახრჩობელამდე ორიოდ ნაბიჯია.
- იქ, სადაც ძალაუფლება და ფული იმარჯვებს, ჭეშმარიტებას არაფერი ესაქმება.
- ადამიანი თავის დროს ეკუთვნის, წარსული, აწმყო და მომავალი მასშია.
- არცერთი ერის კულტურა არ უპირისპირდება სხვა ერის კულტურას, პირიქით, ერთი მეორეს ავსებს და ამდიდრებს.
- ადამიანს ოცნების უნარი რომ არ შესწევდეს, ცხოვრება უაზრო იქნებოდა, სამყარო კი ერთფეროვანი და მოსაწყენი.
- ხელისუფლებას ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ მისი უმაღლესი კანონი და მოვალეობა – ხალხის კეთილდღეობაა.
- ღვთის ქმნილება, მთელი ნივთიერი სამყარო – ერთი ღვთიური კულტურაა, რომელიც ბუნების სახით გვეძლევა. ადამიანი თავად ღვთის ქმნილებაა, ღვთის მიერ ნაბოძი კულტურისგან ქმნის და ანვითარებს ახალ კულტურას.
- როდესაც რაიმე საკითხი საყოველთაო სახალხო განხილვისთვის გამოაქვთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ხშირად სათანადო გადაწყვეტილება უკვე მიღებული აქვთ.
- კაცობრიობამ დროულად უნდა გაითავისოს, თუ რას უქადის ესა თუ ის პოლიტიკოსი მომავალს, რა რეალობას ქმნიან ისინი. დიდი როლი აკისრია შემოქმედებით ინტელიგენციას, რადგან მარადიულობას სწორედ შემოქმედნი ქმნიან და არა პოლიტიკოსები.
- სიტყვა – თავისუფლება ამაყად და სასიამოვნოდ ჟღერს, ოღონდ ზოგჯერ მწარე შეგრძნებას ტოვებს.

- შეუძლებელია წარსულის, დიადი ეპოქისა და კულტურის ძეგლების განადგურება, დარჩენილი ნაშთი მაინც ღალატებს იმ სიცოცხლეზე, რომელიც ოდესღაც არსებობდა.
- შემოქმედი ადამიანისთვის იუბილე და ბენეფისი მაშინ არის, როცა ის ქმნის.
- ზოგიერთი ხალხი დიდხანს ვერ ითმენს ვერანაირ უსამართლობას და ამიტომ, სამწუხაროდ, მალე ეგუება მას.
- ნებისმიერ დროს საზოგადოებას იდეალები სჭირდება, ისინი მისთვის შუქურასავით არიან.
- ადამიანის მრავალრიცხოვან ბუნებრივ სიმდიდრეთაგან ერთ-ერთი – ხმა და სიტყვაა, რითიც ის სამყაროს ეხმიანება.
- ცხოვრებაში მოვლენები მრავლად არის, სასიამოვნო და მნიშვნელოვანი ცოტა რამ ხდება, ძირითადად კი ყველაფერი სახეშეცვლილი მეორდება.
- ყველაზე ეფექტური პირველი სიტყვაა, საჭირო და მნიშვნელოვანი კი – ბოლოს ნათქვამი.
- ის, რაც შენ გარშემო ხდება და თუ ვერაფერს ცვლი, ნებსით თუ უნებლიეთ, თანამონაწილე ხარ.
- ზოგიერთი მტრედივითაა, შეიფარებ, აჭმევ, ასმევ, ის კი პირდაპირ თავზე გასკინტლავს ხოლმე.
- მშობლიური ენა ის ფენომენია, რომელიც ერისა და ქვეყნის განვითარებაში უდიდეს როლს ასრულებს და მას გადაგვარებისგან იცავს.
- ხშირად ნიჭიერი ადამიანი დროს წინ უსწრებს, დრო კი ყოველთვის არ ჩქარობს მის აღიარებას.
- ზოგჯერ რევოლუციონერებს რევოლუციებისა თავად არ სჯერათ, მაგრამ ცდილობენ, სხვები დააჯერონ მის აუცილებლობაში.
- შემოქმედის სულს და მის ქმნილებებს სიბერე არ ეპარება.

## გურამ პაატაშვილი – „მაესტროს აზრთა სამყარო“

- ადამიანი თავისი ბუნებით შემოქმედია, მაგრამ დროთა განმავლობაში მან თავისი თავი მჭამელად გადააქცია. სმა-ჭამა და სექსი თანამედროვე ადამიანს უპირველეს მოთხოვნილებად ექცა.
- ქალი მამაკაცს თავდაპირველად აჯადოებს, შემდეგ ფრთებს შეასხამს და ცაში ანავარდებს, ბოლოს კი მიწაზე დაუშვებს და სამუდამოდ მიწიერ ვალდებულებებს დააკისრებს.
- კარგ და ცუდ ერებად დაყოფა ცივილიზებული სამყაროს სამარცხვინო და შემზარავი მოვლენაა.
- ერთგულება ღირსეულთა ხვედრია, ის სიყვარულისა და გონიერების ნაყოფია.
- ადამიანებს ყველაზე მეტად ერთმანეთის პატიება სჭირდებათ.
- საუკეთესო მუსიკა ადამიანის გულის საგალობელია.
- შემოქმედი სივრცეში შესაძლოა შეზღუდულია, მაგრამ შემოქმედებაში აბსოლუტურად თავისუფალია და ბატონ-პატრონია დროში მოგზაურობის.
- შემოქმედის მთავარი ღირსება მის შემოქმედებაში არსებული ინდივიდუალობა, სილამაზე, სიმართლე და უშუალობაა.
- ზეცა მიწიერი სამყაროს სულიერი ძალის გამომსახველია, სამყაროს გვირგვინია.
- ცხოვრების არსებული დონე და მისი მიმდინარეობა ხელს არ აძლევს გენიოსებსა და რევოლუციონერებს.
- მწერლის ყველაზე ძლიერი იარაღი მისი მშობლიური ენაა.
- სადაც სიცოცხლე ჩქეფს, სიყვარული და სილამაზეა, იქ შემოქმედებაცაა. იქ მუდამ დიდებული მუსიკა ჟღერს.
- ერთადერთი საშუალება დიდხანს სიცოცხლისა, სიბერეა. ეს ბედნიერების გარეშე ბედნიერებაა.
- საჭირო წიგნებს ბავშვობაში ვკითხულობთ.

- შურიანი კოლეგები ძმარნარევ ტკბილეულს მოგაგონებენ.
- შენი წარმატება შურიანი კოლეგების წინაშე ერთადერთი მიუტევებელი ცოდვაა.
- ზოგჯერ პოლიტიკური შოუ ტვინზე განხორციელებული შეტევაა.
- შემოქმედმა თავის ქმნილებაში ილუსტრაციად კი არ უნდა ასახოს მოვლენები, არამედ უნდა წარმოაჩინოს მისი შედეგი, ის, თუ რას განიცდის ადამიანი.
- ცხოვრება მარადიული ძილის წინ ბედნიერების წამიერი გაელვება, მზე და ბურუსია.
- სიყვარულზე ხშირად ლეგენდებს ყვებიან. დროთა განმავლობაში ზოგჯერ სიყვარული ქრება, ლეგენდა კი მაინც ცოცხლობს.
- ცხოვრება ხშირად ყველაზე დაუფიქრებელი და განწელილი ნახტომია დედობრივი სამოთხიდან საფლავისკენ.
- ზოგჯერ ოპტიმიტში შველის ადამიანს და, საერთოდ, გონივრული ოპტიმიზმი დასაფასებელია.
- დიდების თანმდევი ხშირად მარტოობაა, რომელიც მკურნალობას არ ექვემდებარება.
- მუსიკა და პოეზია ფერწერაცაა, რომელიც გესმის.
- ადამიანმა ღრუბლებში რომ არ იფრინოს, საკუთარ თავს იუმორით და ირონიით უნდა უცქიროს.
- თეატრი თავისებური სხეულია, სპექტაკლი კი – გული. სცენა დაბადების ადგილია, სადაც ახალი როლი, წარმოდგენა და მასთან ერთად მაყურებლის ცოცხალი რეაქციაც იბადება, რასაც ურთიერთკავშირი, სიცოცხლე და ბედნიერება ჰქვია.
- სანამ ქვეყნად ორი შეყვარებული მომღერალი არსებობს, ყოველთვის შესაძლებელი იქნება სამყაროს შეცვლა, სინათლისკენ და სიკეთისკენ მისი შემობრუნება.

- ინტუიცია, მგრძობელობა, კონცენტრირება, თვითჩაღრმავებისა და სტრესის განდევნის უნარი, საკუთარი თავის ფლობის საუკეთესო ხელოვნებაა.
- შემოქმედის შინაგანი სამყარო სულის სიმფონიაა.
- ერი ერთობის იდეით ინარჩუნებს და იდეის წყალობით გადაირჩენს თავს.
- პოლიტიკური თამაშის სცენარი ზოგჯერ ერთ ქვეყანაში იწერება, დირიჟორობენ მეორე ქვეყნის კულისებიდან, არანაწირობაც სხვებს ეკუთვნით, ხოლო ასრულებენ სულ სხვა ქვეყანაში, ისიც იმპროვიზაციის გარეშე.
- ისტორია მაშინ არის საინტერესო, როდესაც ის მართლა ისტორიულია.

გურამ პაატაშვილი – „მაესტროს აზრთა სამყარო“

- ყოველი ადამიანისთვის სამშობლო მისი სულის შემადგენელი ნაწილია.
- იცვლება წყობილება, მთავრობა კი ხშირად ისევ ისეთია, როგორც ადრე იყო.
- რა კარგი დროა, როცა კალამი გიჭრის, ზეცაში ნავარდობ და ხელი არ გიკანკალებს.
- ჭეშმარიტების შემეცნებისკენ მისწრაფება, ცოდნის წყურვილი და სამართლიანობა – სიბრძნის სათავეა.
- ზოგიერთი პოლიტიკოსი თავის იმიჯს კუბოში თავადვე ასვენებს და კუბოს ფიცარს ბოლო ლურსმანსაც თვითონვე ასობს.
- მეცნიერს ისტორიული წვლილი შეაქვს მეცნიერებისა და ცხოვრების განვითარებაში, ის წინ უსწრებს დროს, ანვითარებს უკვე არსებულს და ამ პროცესს დასასრული არ უჩანს.
- არაზნეობრივი განზრახვა ხშირად ზნეობრივი სახით ხორციელდება.

- სარკე და ფოტოსურათი გარეგნულ სილამაზესთან ერთად ადამიანის შინაგან სიმდაბლესა და სიმახინჯესაც წარმოაჩენს.
- კარგმა მასწავლებელმა მოსწავლეს ქეშმარიტების შემეცნება ვერცხლის ლანგრით კი არ უნდა მიაღწევას, არამედ აღმოჩენის და მიგნების გზით უნდა ასწავლოს.
- შემოქმედი ადამიანის პიროვნული სიდიადე და გონიერება იმდენად მასშტაბურია, რომ ხშირად ვერ იცლის პირადი ცხოვრებისა და ბედნიერებისთვის. უმრავლესობა მათგანისა ბედნიერებას მხოლოდ შემოქმედებაში პოულობს.
- ფორმა უნდა შეესაბამებოდეს შინაარსს, რაც მათ შორის გემოვნების ჰარმონიაზე დამოკიდებულია.
- უნდა შეგეძლოს, პარტნიორს მის ენაზე ესაუბრო, მან კი შენსაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ანსამბლი არ შედგება.
- სასიამოვნოსთან ერთად სასარგებლოს შეთავაზება იშვიათი მოვლენაა, მას მხოლოდ მდიდარი საცოლე თუ აჩუქებს მამაკაცს.
- ნიჭიერები თავის ეპოქას აშენებენ, უნიჭოები კი ნგრევით თავის ეპოქას ქმნიან.
- საკითხავია, რა უფრო უკეთესია – სტაბილურობა თუ დამოუკიდებლობა და დემოკრატია? რა თქმა უნდა, ორივე ერთად, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგჯერ ორივე ერთად ყოველთვის ვერ თავსდება.
- ადამიანებმა ერთმანეთში ის უნდა ეძებონ, რაც მათ აახლოებს.
- სიმართლე და სიყალბე ნებისმიერ რეალობაში თვალნათლივ იკვეთება.
- სულის კაცისთვის ასაკი არ არსებობს, ის მარად ჭაბუკია, მისი შემოქმედება კი უბერებელი.
- დემოკრატიული იდეები, თავისუფლება და დამოუკიდებლობა ბელადებთან შეუთავსებელი ფარსია. ვისაც ბელა-

დომანია ხიბლავს, უნდა ესმოდეს, რომ ეს მონობაა და თავისუფლებასთან შეუთავსებელია.

- ადამიანი თავად აქუცმაცებს დროს და თავადვე იმყოფება ნამსხვრევებად დაქუცმაცებული დროის ტყვეობაში.
- სპექტაკლის მოქმედება ისე უნდა ვითარდებოდეს და გაღვლეზდეს, რომ რეალობის შეგრძნებას კარგავდე. სცენაზე გამოსვლის და მასში მონაწილეობის სურვილი უნდა აღგეძრას.
- თუ შვილს თავიდანვე სულიერებას, სიკეთეს და კულტურას არ აზიარებ, მას ისეთ რამეს ართმევ, რასაც ვერაფრით ველარ აინაზღაურებს.
- ზოგიერთი პოლიტიკოსი უბრალოდ – „სხვაგან მოხვდა“. იცის, რომ –სხვაგან ხვდება და მაინც განაგრძობს რეკვას.
- ყველაზე წარმატებული წუთიც კი წარმავალია.
- მომავლის წინაშე პასუხისმგებლობა ყოველ ადამიანს აკისრია. იმის იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ ამას მის მაგივრად სხვა გააკეთებს.
- მუსიკის, სიტყვისა და ფერის ზემოქმედების ძალა შეუდარებელი და უსაზღვროა, ის მთელი სამყაროს, ყველასი და ყველაფრის გამგებელია, აზრთა და სულთა მპყრობელია.

გურამ პაატაშვილი – „მაესტროს აზრთა სამყარო“

- ადამიანი უპირველესად სულიერი არსებაა და მან თვითონვე უნდა გაცნობიეროს, რომ სულის მდგომარეობა ცხოვრების გზის არჩევანი და მისი კონსტიტუციაა.
- შემოქმედი თავისებურად აღიქვამს და ქმნის ახალ სამყაროს.
- ცხოვრებაში „ორი მამალი“ ერთად უბედურებაა. დათმობა არცერთს არ სურს, არ ეხერხება. სრული ჰარმონიისთვის დედალი აუცილებელია.
- წლები კი მიქრიან, მაგრამ რეალურად ადამიანები თავად მიქრიან უსასრულო დროსა და სივრცეში.



- ბავშვობა საბოლოოდ მაშინ დამთავრდება, როდესაც გულ-ლით საყვარელი და სათაყვანებელი დედ-მამა, მშობლები დაგტოვებენ. გრძნობ, თითქოს სამყარო დაგემხო თავზე და მინა გამოგეცალა ფეხქვეშ.
- ხელისუფალი, რომელსაც იმ ჩანაფიქრის რეალობისა თავად არ სწამს, რომლის განხორციელებასაც აპირებს, სიკეთეს ვერ მოუტანს თავის ქვეყანასა და ხალხს.
- შემოქმედის ნიჭი, მისი შემოქმედებითი ბუნება არა მარტო ინდივიდუალური თვისებაა, არამედ ეროვნული თავისებურებაც, გენეტიკური ფაქტორიც.
- შემოქმედის ქმნილება აღსავსე უნდა იყოს ფაქიზი, ნათელი ლირიკით, ოპტიმისტური, სიცოცხლის დამამკვიდრებელი პათოსით, ეს უნდა იყოს ნაწარმოები გამორჩეული მძაფრი დრამატიზმით, გრანდიოზული კულმინაციური აფეთქებებითა და ასევე, არანაკლებ შთამბეჭდავი ჩუმი კულმინაციებით; ქმნილება, რომელსაც ადამიანისთვის მოაქვს უმაღლესი სიბრძნე – სიცოცხლის სიყვარული.
- გულწრფელობა შეუფასებელი სიმდიდრეა, მის წინაშე ყველამ ქედი უნდა მოიხაროს.
- უნიჭო ნაწარმოების შექმნა იგივეა, ზურგი შეაქციო საზოგადოებას, მიაფურთხო მომავალს და მუდმივ ღირებულებებს.
- ცხოვრება დითირამბებს არ გიმღერის.
- შემოქმედის ვალია, გააკეთილშობილოს და სულიერებით გაალამაზოს ადამიანთა სამყარო.
- წყვედადსა და მდუმარებას თავისებური მუსიკა ახლავს. შემოქმედი ჩქამის გახმიანებასაც კი გრძნობს, ქმნის და მსმენელს აზიარებს ამ ღვთაებრივ მუსიკალურ სამყაროს.
- ყოველთვის უნდა გახსოვდეს და არასოდეს არ უნდა დაივიწყო, რომ ადამიანი გქვია.
- შემოქმედებაში ინდივიდუალიზმის და იმპროვიზაციის უმრეტი ძალა გზაა ზეციური სიმაღლისა და უსასრულობისკენ.

- რელიგიის როლის დაკნინებით ეროვნული სულიერი კულტურის განვითარებაც შემცირდება. რელიგია არის ერის უმთავრესი თვისება და მისი დასუსტება ერის დასუსტებას გამოიწვევს.
- გენიოსი ცარიელ ადგილზე არ იბადება, მას წინამორბედი ჰყავს.
- შემოქმედი ადამიანების ცხოვრებას უცნაურობები თან სდევს, ის მათი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, შეიძლება ითქვას, ცხოვრების თანამგზავრია.
- სურვილები ხშირად მაშინ სრულდება, როცა ის აღარ ახსოვთ.
- ქალები ქმნიან განწყობას, ზემოქმედებენ სამყაროზე, მართავენ მთელ მსოფლიოს, ისტორია კი მეტწილად მამაკაცების სახელებით არის გაჯერებული.
- ყველაზე მწარე იმ ხელით განწილი სილაა, რომელიც ადრე გეალერსებოდა და გეფერებოდა.
- ძნელია დაშორდე იმას, რაც მოგნონს, გალელვებს და გაფიქრებს. სადაც არ უნდა იყო, ეს გრძნობა მუდამ თან გდევს.
- ადამიანების აზროვნებაში არის რამდენიმე კითხვა, რომელიც თითოეულში ინდივიდუალურ ასოცირებას იწვევს: „რა ვაკეთოთ?“, „ყოფნა – არყოფნა?“, „ვინ არის დამნაშავე?“. დღემდე გამოუცნობი რჩება გამოცანა, რომელშიც ადამიანის აზროვნების, გრძნობის თუ ბედის ტრაგედია იმალება.
- ლიდერს ვერც აირჩევ, ვერც დანიშნავ და ვერც გადააყენებ და მოხსნი, რადგან ლიდერებად იბადებიან და მათი დანიშვნა და არჩევა მხოლოდ ღიმილის მომგვრელია. ლიდერს ავლენს დრო, მისი მოღვაწეობა, შინაგანი ბუნება და მასშტაბურობა.
- ვისთვისაც უპირველესი სტომაქია, ყველაფერს საკუთარი ჯიბით ზომავს.

- საყვარელი ადამიანის ამოსუნთქულ ჰაერსაც კი სიყვარულის სუნი ასდის.
- არცთუ იშვიათად, პრობლემები სიდუხჭირის კი არა, რწმენის, კულტურისა და ცოდნის უკმარობს გამო იჩენს თავს.

გურამ პაატაშვილი – „მაესტროს აზრთა სამყარო“

- ადამიანი სამყაროს სიცოცხლეში იხილავს. მის სულიერ დონეზეა დამოკიდებული, თუ როგორ აღიქვამს მას.
- ადრინდელი დროიდან მოყოლებული, ხალხს ვირივით ამუშავებენ და ძროხასავით წველიან. ზოგჯერ კი ისეთი დროდგება, როცა უმუშევარსაც გვარიანად წველიან.
- მეცნიერების აზრით, გარკვეული სიზუსტით რაიმე მოვლენის პროგნოზირება არცთუ ისე იოლია. პოლიტიკოსების უმრავლესობა კი თარიღებს წინასწარ ასახელებს ხოლმე.
- გათითოებული ადამიანები დროთა განმავლობაში უკვალოდ იკარგებიან და ქრებიან.
- ჭკვიანი ადამიანი გამოუვალ სიტუაციებშიც კი მზის ქვეშ თავის ადგილს თავადვე გამოძებნის.
- ბელადებს ისეთი ბედი აქვთ, როგორიც სხვას არავის, არც სიცოცხლეში და არც საიქიოში მათი მოსვენება არ არის.
- ზოგჯერ რეალობას ჯობია შემოქმედებით ებრძოლო, მაგრამ, სამწუხაროდ, მუშტიც აუცილებელი ხდება ხოლმე.
- ზოგჯერ იდეებთან ჭიდილი გაცილებით ძნელია, ვიდრე სამხედრო ძალასთან გამკლავება.
- ყოველმა ადამიანმა თავისი სულიერების ტაძარი უნდა ააგოს და მომავალ თაობას გაუნათოს გზა.
- გაბედული და მამაცი ქალბატონი ორმხრივად მომხიბლავი და მიმზიდველია.
- ძველ, დრომოჭმულ ტრადიციებზე დაყრდნობით ახალი აზროვნება ვერ შეიქმნება, რადგან ის მხოლოდ სახეშეცვლილი იმავე ძველს გაიმეორებს.

- შეიძლება ადამიანს მოერიო, ნააქციო, დასცე კიდეც ძირს, მაგრამ ვერ დააჩოქო, რადგან ნაქცევა დაჩოქებას არ ნიშნავს.
- შემოქმედის თვისებაა – სამყაროს გასხივოსნებულის თვალთახედვით აღქმა და მისი ანალიზი.
- ერს სულიერება, კულტურა და გონიერება გადაარჩენს.
- ცხოვრებაში ცვლილებების შეტანა რთულია, დროთა განმავლობაში მათი იქიდან აღმოფხვრა კი გაცილებით ძნელი.
- მონინაალმდეგეები წინდაუხედაობის გამო თავად აწვდიან ერთმანეთს იმ თოკს, რომელზეც ერთი მეორეს ჩამოახრჩობს ხოლმე.
- კლასიკური კულტურა ის გაუხუნარი და მარადიული საგანძურია, სადაც ღვთაებრივი და დიადი დავიწყებას არასდროს ეძლევა.
- სიყვარულის მომატებასთან ერთად გონიერება კლებულობს ხოლმე.
- შემოქმედი ადამიანი მარადიულ სიცოცხლეს თავის ქმნილებებში აგრძელებს. მხოლოდ თითოეულის ხვედრია, სიცოცხლეშივე პოვონ აღიარება.
- ყველაზე მეტად იმას უნდა უფრთხილდე, ვისაც შენი ეშინია.
- ნატიფი ხელოვნება უწინარესად ბგერის, ფრაზის, სიტყვისა და ფერის განცდა, მიგნება-აღმოჩენაა.
- ჭეშმარიტი შემოქმედი ადამიანი თავის ეროვნულობასთან ერთად მსოფლიოს ხალხთა ინტელექტისა და მიღწევების მატარებელიცაა.
- ღირსებადაკარგულ ჯუჯებს, როგორც წესი, ყოველთვის ათვალწუნებული ჰყავთ ერის საამაყო შვილები.
- შემოქმედი თავისი შემოქმედებით ეპოქას ქმნის, ეს მისი ეპოქაა, რომელშიც თაობები აღიზრდებიან.
- დიადი ერის სულიერებას ნიჰილიზმი არასოდეს შეეპარება.
- შემოქმედებითი ძიების შეწყვეტა გულისცემის შეწყვეტის ტოლფასია.

- ცხოვრება ერთი გაელვებაა, ერთი ამოსუნთქვაა, მაგრამ არის მასში მუდმივობაც, რომელიც გრანდიოზულ ცვლილებებს იწვევს, გარდაქმნის სამყაროს, ქმნის ახალ ეპოქას.
- ერი მაშინ დაიწყებს აღორძინებას, როდესაც მისი ხალხი განთავისუფლდება მატერიალისტური დოგმებისა და ურწმუნობის სინდრომისგან, დაამარცხებს ურთიერთგაუტანლობას, შურისა და ქიშპობის სამარცხვინო სენს. დიდი ეპოქები დიდი რწმენითა და სულის სიმტკიცით იქმნება.

გურამ პაატაშვილი – „მაესტროს აზრთა სამყარო“

- პოეზია სულის მუსიკაა, სიმღერა კი მუსიკის გარეშე არ არსებობს. ეს ისტორიაა, რომელიც ღიღინებს და მღერის.
- ეროვნული დამოუკიდებლობისთვის უპირველესად საჭიროა ეროვნული თვითშეგნება, თავისუფლება, დედაენის, ეროვნული კულტურის შენარჩუნება და განვითარება. თუ ყოველივე ეს უგულებელყოფილი იქნება, მცირერიცხოვანი ერი, შესაძლოა, მრავალი აბორიგენი ტომის მსგავსად, სამუზეუმო ექსპონატად გადაიქცეს რომელიმე დიდი ერის იმპერიის ხელში.
- ცხოვრებაში რასაც არ დაეუფლები, ის შენი არც იქნება.
- სიახლის ძიება და იმპროვიზაციულობა ახალ სუნთქვას მატებს შემოქმედის ქმნილებას. შესაძლოა ავტორმა სხვადასხვა ქვეყნისა და ხალხის სიუჟეტები ქარგოს თავის ქმნილებებში და იგი ჟღერდეს და მეტყველებდეს თავისი ეროვნული ენით.
- შემოქმედის ქმნილება უნდა გამოხატავდეს მისი სამშობლოსა და ხალხის სულს, ამავე დროს უნდა იყოს თანამედროვე და წარმოადგენდეს ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებს.
- სიბრძნე – ტალანტი, ჭკუა, ცოდნა, ცხოვრებისეული გამოცდილება, პატიოსნება და ადამიანობაა.

- დიდი ქმნილებები და ეპოქები იქმნება დიდი შემართებით, რწმენით, ნიჭიერებითა და ცოდნით.
- თეატრი ცოცხალი ორგანიზმია, ის არ შეიძლება მუზეუმს დაემსგავსოს.
- დემოკრატია დემოკრატი ხალხის ძალაუფლებაა.
- ისტორია მხოლოდ ფაქტები არ არის, მისი მთელი სიცხადით წარმოსახვა ადამიანების კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული.
- შემოქმედის დაუმრეტელი ფანტაზია მშვენიერებასა და სილამაზეზე ღალადი, ზებუნებრივი წვა და სულიერი აწყვეტა – უკიდევანო შემოქმედებითი ნავარდია.
- მხოლოდ ძლიერი ფესვის, დიდი ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების ხალხს ძალუძს გახდეს სხვა ერის ერთგული და ორიგინალური ნაწილი ისე, რომ ამავე დროს მთლიანად შეინარჩუნოს თავისი თვითმყოფადობა, რელიგია, ენა, წესი და კანონი.
- სამწუხაროდ, ადამიანებმა უხსოვარი დროიდან დაივიწყეს, რომ მათ აკისრიათ უდიდესი ღვთაებრივი მისია – ყოველი ჩვენგანი პასუხისმგებელია ყველა დანარჩენზე.
- როდესაც ქმნი ეროვნულ მოტივებზე, ისე უნდა შექმნა, რომ ქმნილება ინტერნაციონალური გახდეს.
- თუ ადამიანების სულიერი ძალები ამოიწურება, ვერანაირი ეკონომიკური განვითარება და სიძლიერე ვერ იხსნის ერს გადაგვარებისგან.
- ქალისკენ აზრით, გულისა და ხორციელი ძახილით უნდა მიილტვოდეს.
- ზოგიერთ ქმნილებაში თავად უფალი მეტყველებს შემოქმედის კალმის მეშვეობით. შთაგონების პროცესში შემოქმედს მიუწვდომელ, სრულიად სხვა სამყაროსთან და ზეციურ ძალებთან, მოვლენებთან აქვს კავშირი, რაც მხოლოდ უხილავი სამყაროსა და შემოქმედის საიდუმლოა...

- დროებას ადამიანები ტყუილუბრალოდ უჩივიან, სწორედ მათ უნდა გააუმჯობესონ ის.
- დიდ შემოქმედ ადამიანებს არასოდეს ასვენებთ მემბოხის სული; ისინი, შინაგანი ბუნების სიდიადის გამო, ყოველთვის კრიტიკულად არიან განწყობილნი არსებული უსამართლობისადმი.
- ზოგჯერ ქურდობა უმძიმესი ტვირთია, რადგან არნახული კონკურენციით სარგებლობს.
- ღირსეულმა ადამიანმა ცხოვრების ლაბირინთებს შუქი უნდა მოჰფინოს.
- მასწავლებლებს უდიდესი მისია აკისრიათ, განსაკუთრებით კი ეპოქათა გასაყარის უამს, გზააბნეულთათვის ქემარიტი გზისკენ სავალი გზის ჩვენებისა.
- ცხოვრება ადამიანების ვნებათაღელვის და ბრძოლის დაუსრულებელი არენაა.
- ბუნებაში, ისევე, როგორც ცხოვრებაში, მდგრადი ის არის, რაც ჰარმონიულია.
- პოლიტიკის ავკარგიანობა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი პოლიტიკოსების ხელში აღმოჩნდება ის. პოლიტიკა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და დიდია, ვიდრე ეს პოლიტიკოსთა უმრავლესობას მიაჩნია.
- ზოგიერთების ფიქრს აზრთან საერთო არაფერი აქვს, მხოლოდ ოცნებაა.
- კომპრომისების, ხიდან ფოთლის ჩამოუგდებლობის პოლიტიკა ყოველთვის არ ამართლებს, მას თავისი დანიშნულება აქვს. პოლიტიკა მიმდინარე პროცესების ადეკვატურად უნდა ხორციელდებოდეს და ზოგჯერ მოვლენებს წინ უნდა უსწრებდეს.

გურამ პაატაშვილი – „მაესტროს აზრთა სამყარო“

- შემოქმედის ჩანაფიქრი შემოქმედებით პროცესში იხვეწება, ქმნილების სულის ჩამდგმელი კი სანთელივით იწვის.

- ქორწინება სიყვარულის ვალდებულებებზე გაცვლის საზეიმო ცერემონიაა.
- იუმორი განტვირთვის და ნეგატიური ენერჯის განდევნის საუკეთესო საშუალებაა.
- შემოქმედმა ადამიანმა თავისი ქმნილებით ისეთი სამყარო უნდა შექმნას, საიდანაც გამოსვლა არავის მოუწდება.
- ვინც არ იცის, რა უნდა, იმას მიიღებს, რასაც სხვები გაიმეტებენ მისთვის.
- ბედნიერებისთვის ისიც კმარა, რომ ყოველდღე ამოდის მზე, ვსუთქავთ ჰაერს, გვაქვს წყალი და პური, იბადებიან ბავშვები, ჟღერს მუსიკა...
- ადამიანს ცხოვრებაში ბევრი არჩევანის საშუალება აქვს. მხოლოდ სამშობლოსა და მშობელს ვერ აირჩევს. სამშობლოსადმი, დედ-მამისადმი სიყვარული თანდაყოლილი გრძნობაა.
- შემოქმედი უნდა გამოირჩეოდეს თავისი შემოქმედებით ენის დემოკრატიზმით, თავისი ქმნილებით შესწევდეს მსმენელისა და მაყურებლის დაპყრობის უნარი, რითაც აიძულებს, უდრტვინველად გაჰყვეს შემოქმედის აზრთა დინებას. თავისი ქმნილებით ჩასწვდეს ადამიანის სულიერ სამყაროს და ჩაუნერგოს მათ იმედი, სიკეთის განცდა და აზიაროს სილამაზის სამყაროს.
- განსაკუთრებულ ემოციას და გრძნობას ბადებს ქვაში გაცხადებული ქანდაკების ტიტანური ძალა – სულიერების, მშვენიერებისა და სილამაზის ჭეშმარიტი ტაძარი, აღსავსე აზრით, სინმინდით, გამორჩეული ფორმის სრულყოფით, მთლიანი, მკვიდრი და მარადი; ნაზი ლირიკიდან დრამატულ ვნებამდე აყვანილი; სივრცისა და დროის განსაკუთრებული, უსასრულო მასშტაბი ეროვნულობიდან განზოგადებული და ზოგადსაკაცობრიო ფენომენში განსახიერებული.
- ადამიანის ბედნიერება სილამაზესთან და მუსიკასთან ზიარებაა.



- მუსიკალური სპექტაკლის პარტიტურის ჟღერადობამ სრულყოფილად უნდა დაიპყროს ყურთასმენა, ხოლო დადგმამ, რეჟისურამ – თვალთახედვა...
- მწვავე პრობლემების უმტკივნეულოდ მოგვარება დიდი ხელოვნებაა.
- შემოქმედებით პროცესში რასაც ვერ ხედავ, ის გესმის, წარმოიდგენ, მოსვენებას არ გაძლევს, რაც შენს წარმოსახვაშია, იმას ქმნი და უდიდეს ნეტარებას განიცდი.
- თანამედროვე ცხოვრება პარადოქსებითაა აღსავსე, მიუხედავად იმისა, რომ მორწმუნენი მომრავლდნენ, მორალურმა მხარემ უკიდურესად დაბლა დაიწყო დაცემა.
- შემოქმედი ოპტიმისტიც არის და პესიმისტიც, ის სევდანარევი ოპტიმისტი ადამიანია.
- ადრე ისტორიას ძირითადად ნიჭიერი ადამიანები და მეამბოხეები ქმნიდნენ. ახლა ყველა ცდილობს, თავი ისტორიაში ამოყოს. სამწუხაროდ, სანამ შეტოპავენ, ბევრს ავინყდება ჭუჭყიანი ფეხების განმენდა.
- ზოგიერთი მთელი სიცოცხლე ერთ კარზე აკაკუნებს, თურმე კარი შეშლია, ის კი კვლავ განაგრძობს კაკუნს.
- შემოქმედი თავის ქმნილებებში, მსახიობი კი სცენაზე, როგორც ზეციური მოვლენა, ისე უნდა ბრწყინავდნენ.
- თავდაპირველად სათაური და დასახელება წარმოაჩენს ქმნილებას, შემდეგ კი თავად ნაწარმოები განსაზღვრავს ქმნილების სიდიადეს.
- მაიმუნმა საკუთარი თავი სარკეში რომ დაინახა, ირონიულად გაეღიმა, თვალბმოჭუტულმა მრავალმნიშვნელოვნად დიდხანს უყურა თავის თავს და ამის შემდეგ ადამიანი დაიბადა.
- ადამიანების უმრავლესობა მხოლოდ იმ ზღუდეებს გადააბიჯებს, რაც მათ საშუალებას არ ალემატება.
- შემოქმედ ადამიანს უზენაესთან უხილავი სულიერი ურთიერთობა აკავშირებს.

- ზოგჯერ ხალხის ყველაზე დიდი პრობლემა საკუთარი მშობლიური მთავრობაა, რომელთან ერთადაც იძინებენ და იღვიძებენ, ოღონდ არ ვახშმობენ.
- ხელოვნებამ ადამიანებს თვითშეგნება უნდა გაუფაქიზოს და თითოეულს გულზე უნდა მიუკაკუნოს.

გურამ პაატაშვილი – „მაესტროს აზრთა სამყარო“

- გონიერი და ღირსეული ხალხი ბნელსა და უკუნეთში არ აღმოჩნდება, მითუმეტეს ჯოჯოხეთში არ ამოყოფს თავს.
- ქალი ღვთაებრივი მოვლენაა, ის სიცოცხლის არსებობის მიზანია.
- ადამიანები ადრე იქით მიეშურებოდნენ, სადაც ელოდებოდნენ, ახლა კი ზოგჯერ იქით მიიჩქარიან, სადაც არავინ ელოდებათ.
- ყველას აქვს უფლება ისე იფიქროს, როგორც თვითონ მი-აჩნია საჭიროდ, ეს მის ინტელექტუალურ დონეზეა დამოკიდებული, ოღონდ ჭეშმარიტების გზას არ უნდა ასცდეს.
- პოლიტიკოსების გაფუჭებულ საქმეს სამხედროები ზოგჯერ ომით ასწორებენ, თუმცა ეს დროებითი მოვლენაა, რადგან ნებისმიერი ძალადობა ახალ ძალადობას წარმოშობს.
- ყველაზე სასტიკები და დაუნდობლები ლაჩრები არიან.
- ზოგიერთი მთელი სიცოცხლე სიკეთეს თესავს, საქვეყნო საქმეს აკეთებს და თითო-ოროლა თუ იცნობს, ზოგს კი მთელი სიცოცხლე ცხვირიდან თითი არ გამოუღია და ყველა იცნობს.
- გონებისა და გრძნობების გარეშე მნიშვნელოვანი არაფერი შეიქმნება, და თუ იქმნება, უკვალოდ ქრება.
- ყველა დღესასწაულს თავისებური ნაღველი თან სდევს. ბედნიერებას ხშირად ცრემლიც თან ახლავს.

- პოლიტიკა ზნეობას მხოლოდ უზნეო პოლიტიკოსებს აკარგვინებს.
- ბიბლიურ ხალხს მთელი ისტორიის მანძილზე ტალახს ესროდნენ, ისინი ეცემოდნენ კიდეც, მაგრამ მათი ვარსკვლავების სიკაშკაშე არასოდეს განელეზულა და მუდამ ცამდე მალღებოდნენ.
- მკაცრ ეპოქას დაუნდობელი და მკაცრი ლიდერები ქმნიან.
- ხელოვნება სიკეთის დიდ ნათელ სვეტზეა დაფუძნებული, რომელიც ჩვენ ცხოვრებას ასხივოსნებს და საშუალებას აძლევს ადამიანებს, შეიგრძნონ სამყაროს სილამაზე.
- შემოქმედი არ ელოდება შთაგონებას, ის მას არასდროს ტოვებს, ყოველთვის მასში და მის გვერდითაა.
- ადამიანი ყველაფერს ფილოსოფიურად, იუმორით და თვითირონით უნდა უმზერდეს.
- საზოგადოებაში ენის ლიტერატურული სინმინდის დაქვეითება და მის სანაცვლოდ პროვინციული, კუთხური ჟარგონის დამკვიდრება ამ საზოგადოების საერთო კულტურის დონის დაცემის შედეგია.
- სიტყვისა და მუსიკის შერწყმა, სიტყვის აუცილებლობა მუსიკაში უძველესი დროიდან წარმოიშვა, როდესაც ადამიანმა მოისურვა თავისი აზრების ლილინით, სიმღერით გამოხატვა. მუსიკის შერწყმა სიტყვასთან კი ხელოვნებაა; უკვე დასაწყისია სინთეზური ხელოვნებისა.
- კეთილმოსურნეობა, აზრთა გაზიარება, დიალოგი საუკეთესო, ხშირად კი ერთადერთი გზაა პრობლემების მოსაგვარებლად.
- მხოლოდ ნიჭიერება, ქველმოქმედება და სიბრძნეა ის, რაც აამაღლებს და წარმოაჩენს ადამიანს.
- ომის იარებს სიყვარული მოაშუშებს. ამაზე ძლიერი იარაღი არ არსებობს.
- სამყაროს ყველა თავისებურად ხედავს და აღიქვამს, მათ შორის, შემოქმედი ადამიანიც. სამყარო რომ ასახო, არ

არის საკმარისი მხოლოდ განცდის, წარმოსახვისა და ფანტაზიის ქონა, საჭიროა გქონდეს ანალიტიკური აზროვნების უნარი, საჭიროა ამ სამყაროს სწორი შეგრძნება და ასევე სწორად ასახვა. ხოლო ფანტაზიის უნარი შემოქმედს საშუალებას აძლევს შექმნას თავის წარმოდგენაში ალექსანდრე და გარდატეხილი რეალური სამყარო.

- შესაძლოა ხალხი დუმდეს, მაგრამ ძალიან ხშირად, დუმილი საგანგაშოდ რეკავს ხოლმე.
- ქვაში გაცხადებული უძველესი ისტორია საოცარი ძეგლია ჩვენი წარსულისა, სიძველისა თუ კულტურის უმაღლესი დონისა. ქვაში ჩაკირული, გაქვავებული, მაგრამ საოცრად მეტყველი, ამღერებული უდიდესი ხელოვნება უტყუარი ნიშანია კაცობრიობის უხსოვარ დროთა ურღვევი კავშირისა დღევანდელიობასთან.
- ოცნება აღამაზებს ადამიანის ცხოვრებას. ზოგჯერ ფუჭი ოცნება იმედგაცრუებას იწვევს, მაგრამ რა ქნას ადამიანმა, სიცარიელე რამით ხომ უნდა შეავსოს.
- სხვებზე ძლიერი იმარჯვებს, საკუთარ თავზე კი – უძლიერესი.

გურამ პაატაშვილი – „მაესტროს აზრთა სამყარო“

- მშენებლების ქმნა სამყაროსა და ღვთის მიმართ გატყორცნილი ნათელი სხივია. იყო შემოქმედი და, საერთოდ, ნიჭიერი ადამიანი – მძიმე ტვირთია.
- ადამიანმა უნდა შექმნას თავისი მრავალმნიშვნელოვანი და საინტერესო სამყარო და ფართოდ უნდა გაუხსნას ყველას მასში შესასვლელი კარი.
- დრომ კი არ უნდა შეგქმნას, პირიქით, დრო და დროება თავად უნდა შექმნას.
- ადამიანი დროთა განმავლობაში იცვლება, გამოცდილებას იძინს, ინტელექტს სრულყოფს, მაგრამ ადამიანური ნატურა

რა წლების განმავლობაში მნიშვნელოვან ცვლილებებს არ განიცდის.

- სამოთხეში წმინდა ადამიანი ხვდება, რადგან თავად წმინდანშია სამოთხე.
- ვინც ცხოვრებაში უნიგნოდ მოგ ზაურობს, ის ბუტაფორიაა.
- მთავრობის მოხელის კარი მიძიმედ იღება. ზოგიერთს, სანამ იქამდე მიაღწევდეს, ძალ-ღონე ელევა და კარს ველარ ერევა.
- არარაობიდან არარაობა აღმოცენდება, დროთა განმავლობაში სარეველასავით მრავლდება და ირგვლივ ყველაფერს არარაობად აქცევს.
- ისტორიულ რარიტეტებს, ისევე, როგორც ადამიანებს, თავისი ბედი და უბედობა სდევთ.
- როგორც წესი, ხალხს ცხოვრების დონის მინიმუმს ისინი უწესებენ, ვინც ცხოვრების დონის მაქსიმუმით არიან უზრუნველყოფილნი.
- ჯუჯების პოლიტიკას ჯუჯა მართავს, ის მხოლოდ ჯუჯების წარმოდგენაშია გიგანტი.
- ზოგჯერ როგორი ბრწყინვალე ტრაგედიაც არ უნდა დაწერო, მას კომედიას ამჯობინებენ, იმიტომ, რომ ხალხი გართობით ცდილობს უამრავი დარდის გაქარვებას.
- ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ძეგლები ხალხის გულეებშია აღმართული.
- მოსაუბრის გულიდან გამოსული სიტყვები მსმენელის გულში აღწევს.
- ღმერთის არსებობის გამცნობიერებელი უფრო ბევრია, ვიდრე მისი ჭეშმარიტი მიმდევარი, რაც ცხოვრების ავკარგიანობაზე თვალნათლივ აისახება.
- შემოქმედი ადამიანის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება თვითმყოფადობაა; აზროვნების, მოქმედების, ცხოვრების წესისა თუ გრძნობების გამოხატვის თავისებურება, რაც მის შემოქმედებას სხვა ავტორთა ნაწარმოებებისგან გამოარჩევს.

- უეცი ადამიანები ფუჭ საქმეს დიდ მნიშვნელობას იმიტომ ანიჭებენ, რომ მნიშვნელოვანი საქმე არ ესმით.
- სულიერება ის უდიდესი საგანძურია, რომელიც ძალას მატებს და ახანგრძლივებს ერის არსებობას.
- ქალი გამოცანასავითაა, სანამ ვერ ამოხსნი, მისდამი ინტერესი არ გინელდება და ყოველთვის იარსებებს.
- ჭეშმარიტი შემოქმედი დროს არ ემორჩილება, თავისი ქმნილებით მას თავად იმორჩილებს.
- გულწრფელობაზე მეტად ქალების უმრავლესობას კომპლიმენტები უფრო ხიბლავს.
- ყოველთვის ფრთხილად უნდა იყო იმასთან, ვისაც ძალით იმორჩილებ.
- ზოგს გამარჯვება ხიბლავს, ზოგს ბრძოლის პროცესი, ზოგს ერთიც და მეორეც, ოღონდ სხვების მონაწილეობით.
- როდესაც მშობლიურ კერას ტოვებ, სანთელი დაანთე, რათა წარსული გააბრწყინოს და მომავლის გზა გაგინათდეს.
- ცივილიზაციის გარიჟრაჟზე ხალხმა მაშინ დაიწყო შრომა, როდესაც ერთ-ერთმა მათგანმა ხელში ჯოხი დაიჭირა.
- გენიოსებში მთელი სიცოცხლის მანძილზე მიაბიტი ბავშვი ცოცხლობს. გარემოცვასთან დამოკიდებულებაში თავისებურები ხშირად განსხვავებულები და უცნაურებიც არიან, მათი ქმნილებები კი სამყაროსთან აბსოლუტურ ჰარმონიაში არიან.
- ზოგჯერ მთავრობა საკუთარ ხალხს ზურგს იმიტომ აქცევს, რომ შიშობს, მათი სახის დანახვაზე ხალხმა ზურგი არ შეაქციოს.
- ევოლუცია ხელმეორედ მაშინ დაიწყება, როცა მაიმუნები კიდევ ერთხელ იგრძნობენ თავს ადამიანებად.
- არასოდეს შეირთო ცოლად ისეთი ქალი, ვისთანაც ცხოვრება შეიძლება. ცოლად ისეთი ქალი უნდა შეირთო, ვის გარეშეც ცხოვრება არ შეგიძლია.

- სულელების გარეშე ცხოვრება ინტერესმოკლებულია, მათ გვერდით ადამიანების უმრავლესობა უფრო ჭკვიანი ჩანს.

გურამ პაატაშვილი – „მაესტროს აზრთა სამყარო“

- პიროვნების გარდაქმნის პროცესში მკვეთრი ცვლილება, ორიენტაციის შეცვლა და ახალი ფასეულობებისკენ მოუთმენელი სწრაფვა მუდმივად განახლებადი აღმაფრენის პროცესია.
- ტაძარი ყოველთვის თავის ადგილზე დგას. ვინც მისკენ მიმავალ გზას გაჰყვება, ტაძარი იქ დახვდება, ვინც არ გაჰყვება, ტაძარი მაინც იქ იქნება.
- გონებადახშული ადამიანები თავისუფლებას თავისებურად აღიქვამენ. თავისუფლება გონებრივად მოაზროვნე ადამიანების ხვედრია.
- თვითირონია მხოლოდ ძლიერ და განათლებულ ადამიანებს ახასიათებთ.
- დიდი პიროვნების სახელს გარდაცვალების შემდეგაც შეუძლია გაუწიოს მნიშვნელოვანი სამსახური არა მარტო თავის ერს და ქვეყანას, არამედ სხვა ხალხსაც.
- ადამიანები არცთუ იშვიათად ერთმანეთისგან იმას ითხოვენ, რისი გაცემაც ერთმანეთისთვის არცერთს არ სურს.
- ბედნიერება საუკეთესო მეგობარი ნამდვილად არ არის. ხშირად ის მაშინ გენწევა, როცა დალხინებული ხარ და გტოვებს, როცა თავს ცუდად გრძნობ.
- პიროვნება ქმნის ისტორიას. მასზეა დამოკიდებული, როგორ გარდაქმნის გარემოს, როგორ გააუმჯობესებს მას.
- სილამაზე და ჭკუა უდიდესი ძალაა, ზოგჯერ ძალაუფლებაც კი.
- ნათელი ადამიანი მომავალი თაობის წინ დანთებული სანთელივითაა, რომლისკენაც კი არ მიდიხარ, მიფრინავ, კი არ მიილტვი, მიგიხარია.

- პოლიტიკას არაფერი ესაქმება ხელოვნებაში. პოლიტიკა უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს და ის არ უნდა იყოს მოუქნელი, შემთხვევითი და სპონტანურად გამოხატული.
- მხოლოდ ღირსეულ ადამიანს ძალუძს ადამიანები ბედნიერჰყოს. ადამიანების გაბედნიერებაზე უმაღლესი მისია და ჯილდო არ არსებობს.
- ხალხი იმ უდიდესი კულტურის ნაწილია, რომელიც ყველა ხალხმა შექმნა.
- ოცნება დიდებული რამაა, მაგრამ ფანტაზიად გადაქცეული ოცნება – ილუზიაა.
- ბიბლია გვასწავლის, გიყვარდეს მოყვასი შენი, ცხოვრება კი გვიხსნის, თუ როგორ და რატომ.
- მანამდე იქნება ყველაფერი კარგად, სანამ კაცობრიობას ღმერთი უთმენს.

## **Guram Paataashvili**

### **The World of Maestro’s Ideas**

#### **Summary**

The first and second parts of Guram Paataashvili’s book “Pages of Life and Activity” have been published. The book depicts the life and activities of the well-known author, public figure, composer, scientist, publicist, laureate of international awards, academician Guram Paataashvili. The work contains a collection of his thoughts “The World of Maestro’s Ideas”. The book is intended for a wide circle of readers.

We are offering a passage from the second part of this book.



**საქართველოს ებრაელთა ავანგარდული  
როლი მათი რწმენის შენარჩუნებისა  
საბჭოთა სინამდვილეში**

ცნობილი ფაქტია, რომ საბჭოების იდეოლოგიის ერთ-ერთი მთავარი კრედო იყო ათეისტური, ანტირელიგიური პოლიტიკა. მათ მოახერხეს საერთოდ, რელიგიის და, კერძოდ, ებრაული რელიგიის მივიწყება მასებში. იკიცხებოდნენ და იდევენოდნენ ეკლესიებში, მეჩეთებში თუ სალოცავებში მოსიარულე პიროვნებები, მით უმეტეს, თუ მათ რაიმე მნიშვნელოვანი თანამდებობა ეკავათ. მათ მიერ აღიარებული ერთადერთი რელიგია იყო კომუნისტური იდეოლოგია. სწორედ ამ დროს გახდა საქართველო, საქართველოს ებრაელობა, ებრაული რელიგიის, ტრადიციების, ადათ-წესების და თაობათა აღზრდის სამჭედლო. ის ტრადიციები და ადათ-წესები, რომელიც მამა-პაპათა მიერ იქნა შენარჩუნებული და გადაცემული მომავალ თაობებზე, იყო ებრაული ერის შენარჩუნებისა და გადარჩენის გარანტია. მათ ესმოდათ, ეპოქის მიხედვით, თუ როგორი მოთხოვნა იყო ჩვეულებრივი ტრადიციული საგნების შესწავლაში, მაგრამ ერთი წუთითაც არ ივიწყებდნენ „თაღმუდ თორას“, თორის სწავლებას. 50-იან წლებში, მოსკოვში, საბჭოთა კავშირის მთავარი რაბინის, ემანუელ (შლომო) შლიფერის თაოსნობით, გაიხსნა თორის სწავლების უმაღლესი ინსტანცია, „იეშიბა“, რომლის კონტინგენტის 60%-ზე მეტს პატარა საქართველოდან წარგზავნილები შეადგენდნენ. „ბრით მილა“ – წინდაცვეთა და მისი მნიშვნელობა ებრაულ რელიგიაში. საბჭოთა სინამდვილეში, საყოველთაოდ ცნობილი და საოცნებო იყო საქართველოს შავიზღვისპირეთის კურორტები, საბჭოთა რივიერა – აფხაზეთი და მისი მარგალიტი – ქალაქი სოხუმი. ხშირი იყო ხოლმე შემთხვევები, როდესაც საკმაოდ სოლიდური პიროვნებები, 40-60 წლის ასაკში, ჩამოსულები დასასვენებლად, ამ სანატრელ დროს თავიანთი მშობლების მი-

ერ დაშვებული შეცდომის გამოსწორებაში წირავდნენ და იკეთებდნენ წინდაცვეთას – „ბრით მილას“. ასეთ ასაკში წინდაცვეთის გაკეთება საკმაოდ საშიშიცაა და მისი რეაბილიტაცია დიდ დროსაც ითხოვს. ეს არა მარტო არასასიამოვნო პროცესი იყო, არამედ საკმაოდ სახიფათოც. პოსტსტალინის და ხრუშჩოვის პერიოდის დროს, საკმაოდ სახიფათო იყო ყველაფერი რელიგიური, მით უმეტეს ებრაული, მაგრამ ამას ისინი არ უშინდებოდნენ. სოხუმის რაბინი „ასირ ციონი“ – ციონის პატიმარი, რაბი ხახამ შლომო ბოთერაშვილი საკმაოდ გამოცდილი მოელი (წინდაცვეთა) იყო. მას ათობით ასეთი ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული. სალოცავის წინ ცხოვრობდა აბრამ ბინიაშვილი, თემის ერთ-ერთი პატივსაცემი პიროვნება, ოჯახი, სადაც ეს ადამიანები გადიოდნენ რეაბილიტაციას. ეს ზოგჯერ 3 კვირაზე მეტხანს გრძელდებოდა. *ყველაფერი უანგაროდ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე კეთდებოდა. და ეს შუახნის ადამიანები, რომლებსაც, ხშირ შემთხვევებში, საკმაოდ დიდი თანამდებობებიც ეკავათ, სიამაყითა და კმაყოფილებით ტოვებდნენ სოხუმს და სრულებით არ განიცდიდენ, რომ ეს დასვენების დღეები გაატარეს არცთუ ისე ჩვეულებრივ საკურორტო ფორმაში, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ რომ თავი ეგრძნოთ ებრაელებად.* საქართველოს ებრაელობა ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი სულიერი წინამძღვრებით, რაბინებით, მელამდებით (თორის მასწავლებლებით), გაბაებით (თემის ხელმძღვანელები) და, საერთოდ, ყველა ებრაელის, ქალების თუ მამაკაცების თავგამოდებით, რომლებიც არაფერს არ იშურებდნენ რწმენისა და თემის გაძლიერებისათვის. ამის ერთ-ერთი მჭერმეტყველური მაგალითი დაფიქსირდა 1952 წელს. მთავრობის მიერ გამოგზავნილ ბულდოზერებსა და ტრაქტორებს, რომლებიც მიემართებოდნენ თბილისისა და ქუთაისის, ონისა და სხვა ქალაქების სალოცავების დასანგრევად, *ებრაელი ქალები, თავიანთ მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად, გადაელობნენ ამ მძიმე ტექნიკას, დასხდნენ შუა ქუჩაში, რომ ბარიკადებად ცოცხალი დაბრკოლება დახვედროდა მძიმე ტექნიკას, და ასე გადაარჩინეს ეს ისტორიული ნაგებობები, რომელნიც თავისებური მატანა საქართველოში ებრაული თემის ცხოვრებისა.*

ჩვენი თანამედროვე ისტორიიდან შეიძლება მოვიყვანოთ ფაქტი, რომელიც ჩვენი თაობის რაბინებსა და სალოცავის გაბაებს ეხება და საკმაოდ კარგად გვიჩვენებს იმ სულისკვეთებას და თავგანწირვას, რითაც ისინი იყვნენ განმსჭვალულნი. 1969-1970 წელს, როდესაც ალიის კარები დაკეტილი იყო, დიდი გავლენა ქონდა ებრაულ თემზე 6-დღიანი ომის შედეგებს. ადრე ოჯახების ნაწილმა მიიღო ისრაელში ჩასვლის უფლება. ჩასვლისთანავე მათ გამოაგზავნეს უამრავი მოსაწვევი, ვიზები და მთავრობა იძულებული გახდა გზა ჩაეკეტა. უშიშროების კომიტეტმა (კგბ) მიმართა ებრაელი ერის წარმომადგენლებს, რომლებსაც ასე თუ ისე რაიმე თანამდებობა ეკავათ, პრესის საშუალებით ემხილათ „ისრაელი აგრესორები“, ამასთანავე, გაცნოთ ფართო მასებისთვის, თუ როგორი ჯოჯოხეთური ცხოვრებაა ისრაელში, რომ არცერთი საღად მოაზროვნე ადამიანი არ დატოვებს საბჭოთა სამოთხეს და არ გაემგზავრება იქ საცხოვრებლად. მათთან ერთად კომიტეტმა მიმართა საქართველოს წამყვანი სალოცავების რაბინებსა და გაბაებს (თემის ხელმძღვანელებს), დაეგმოთ ისრაელი და მოეწოდებინათ თავიანთი მრევლისთვის არ ეფიქრათ ისრაელში წასვლაზე (დოკუმენტი მიცემული იყო ხელის მოსაწერად). ყველასათვის ცნობილია, თუ რას ნიშნავდა კგბ-თვის უარის თქმა. კომიტეტი აძლევდა მისთვის სასურველ ტექსტს და მათ ხელი უნდა მოეწერათ პრესაში დასაბეჭდად. 6 ვარიანტი წერილებისა მიაწოდა კომიტეტმა რაბინებს ხელის მოსაწერად, აქედან 3 ვარიანტში მკაფიოდ ჩანს არასასურველი წინადადების გადაშლა. საბოლოო ვარიანტი კი არის უმაღლესი დიპლომატიის ხელოვნების გამომჟღავნება. მიღებული ვარიანტი შეიცავს მონოდებას მშვიდობისაკენ და სისხლისღვრის სასწრაფო შეწყვეტისაკენ. ერთი სიტყვაც კი არ არის ისრაელი „აგრესორების“ დაგმობაზე და ისრაელში არასვლის შესახებ. საბოლოო ვარიანტი იმდენად განსხვავდებოდა კომიტეტის მიერ შეთავაზებული და სასურველი ვარიანტისაგან, რომ ეს არც კი გამოუქვეყნებიათ. საქართველოს მთავარი რაბინის, ხახამ რაფაელ ელაშვილის ვაჟი, არონი, იგონებს, რომ, როდესაც მამას, სხვა რაბინებთან ერთად, იბარებდნენ კომიტეტში ტექ-

სტის შესათანხმებლად, ის არ იყო დარწმუნებული სალამოს სახლში დაბრუნდებოდა თუ არა. ეს არ იყო ლიტონი სიტყვები და უსაფუძვლო შიში, არამედ ეს იყო მაშინდელი სინამდვილე.

34

შეწყვიტეთ იმი!

ჩვენ, საქართველოს მორწმუნე ებრაელები, შეინჯუნებ-  
რი და შემფთებელი ვართ უაჭრო ხოცვა-ჟლეტით, რაც ამჟამად  
ახლო აღმოსავლეთში ხდება. ებრაული რწმუნა ილატურებს პის  
წინააღმდეგ, თორა მოგვიწოდებს "არა კაც ჯკლა", და აქაი-  
ნური სინდისი ვერ გაჩუმდება, როცა სიმოცხეს ეობხეძენ  
ქალები, ბავშვები და მიხუტები, ჯანღონით ხაცხე ახალდაწ-  
ებები.


ჩვენ კარგად ვგრძნობთ, რომ ახლო აღმოსავლეთში დასა-  
რებური იმი არ შეესაბამება ებრაელი ხალხის სასიცოცხლო  
ინტერესებს. იგი - ფსაჟირფაზა - მხოლოდ იმისთვისაა და-  
ბრუნებული, საბუნებრივად, სახელმწიფოებს შორის -  
ურთიერთობის გამწვანებლად. დასავლეთში შედგენილი სწრაფი  
ამაღმდეგ - მშვიდობიანი მოხსნის მიზანით - მართალია, მაგ-  
წამ ამას ჩვენს რელიგიურ სწრაფს არაფერი აქვს დასა-  
შვებლად შეუძლებელი.

ქართველმა ებრაელებმა კარგად ეიცოდნენ მშვიდობის დასა-  
მტკიცებელი ჩვენგანი მონაწილეობა იგი საბუნებრივი იმი. მაშინ  
ფრთხილად დაკარგეთ ახლო აღმოსავლეთი და მეტობრე,  
რომელია წმინდა ხსოვნა ვაიდა ვაიდას ხმა ავიმაროთ ახლო  
სისხლისღვრის წინააღმდეგ.

აქ, საქართველოში, ებრაელობა ქართველ და სხვა ხალხ  
ხალხებთან ერთად მეტობრეა ცხოვრობს. ჩვენი უფლება და  
სამართლება გვაქვს შევასრულოთ ჩვენი ადამ-წესები და რე-  
გიონი კანონები, როგორც ამას სარწმუნოება ვეიკარნახებ.  
ჩვენ სიამაფის გრძნობა გვაუფლებს, როცა გვაქვს, მუშაობ  
ენაფება სწავლა-განათლებას ებრაელობა, რამდენი გვაქვს  
სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, ეკონომიკა,  
კულტურის, განათლების დარგის ცნობილი მუშაკი.

ებრაელი ხალხის, ისევე როგორც მთელი სამყაროა ხალხის  
სურვილია ეიცხოვროთ, ვისწავლოთ და ვაშენოთ მშვიდობის  
რობეში, რომ ჩვენი შვილების მომავალი უზრუნველი იყოს  
შალხმ / მშვიდობა / ებრაელი ხალხი!

იხილეთ / ~~საქართველოს მთელი ხალხის~~ საქართველოს  
საზოგადოებრივი და სახელმწიფო მოღვაწე  
საზოგადოებრივი და სახელმწიფო მოღვაწე  
ი. ი. ბ. საყვარელიძე, საქართველოს მთელი ხალხის  
საზოგადოებრივი და სახელმწიფო მოღვაწე



თბილისის მთავარი რაბინი ყიმანუელ დავითაშვილი რამდენჯერმე იყო დაკავებული კგბ-ს მიერ, ნაწამები მის სარდაფებში, წვერიც კი გაპარსეს; საბჭოთა კავშირის სხვა რაბინებთან ერთად განიცდიდა ზენოლას, რათა მოეწოდებინა თავისი ჯამაათებისთვის არ წასულიყვნენ ისრაელში, მაგრამ არ გატყდა. როდესაც საქართველოს უშიშროების კომიტეტის უფროსმა, ინაურმა, საკმაოდ მკვახედ უთხრა, ან ხელს მოაწერ, ან, არადა, ჩვენთან გექნება საქმეო, მისი პასუხი ასეთი იყო:


*„ჩვენ დღეში 3-ჯერ ვლოცულობთ და სამივეჯერ ვთხოვთ მაღალ ღმერთს ისრაელში ასვლას, იერუსალიმის ნახვასა და იქ ლოცვას. მე თორისა და ღმერთის წინააღმდეგ არ წავსულვარ და არც ეხლა წავალ“.* ასეთი თავგამოდების მაგალითები მრავალია ებრაელთა თემის რაბინებში. გავიხსენოთ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ებრაელთა ანტიფაშისტური კომიტეტის

დარბევა, რომელსაც მოჰყვა ექიმთა საქმე, სადაც მე-4 სამმართველოს, კრემლის პოლიკლინიკის ექიმებს, რომელიც ძირითადად ებრაელი ექიმებისაგან იყო დაკომპლექტებული, ბრალად ედებოდა სტალინისა და პოლიტბიუროს სხვა წევრების მონაწილეობის ცდა. ქვეყანაში მძაფრი ანტისემიტური ქარი ქროდა, რომელსაც პოლიტიკური ანტისემიტობიზმიც დაემატა. იყო შემუშავებული ებრაელთა გადასახლების გეგმა, შორეულ აღმოსავლეთში და ბირობიჯანში მზადდებოდა ბარაკები მათ მისაღებად. ებრაელთა ანტიფაშისტური კომიტეტი, ომის დროს და მის შემდეგაც ბევრ სამშვიდობო მისიას ასრულებდა. 1947 წლიდან შეიცვალა მთავრობის პოლიტიკა მათდამი და შემდეგი ეტაპი მათი დადანაშაულება იყო კოსმოპოლიტიზმში. დაიწყო მათი დაპატიმრება და მზადება დიდი სასამართლო პროცესის, რომლის დასასრული უნდა ყოფილიყო ებრაელთა დეპორტაცია საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილიდან. სრულიად მოულოდნელად, გამოძიების პროცესი გაჭიანურდა, დაპატიმრებულები საკმაო სიმტკიცეს იჩენდნენ. საქმე იქამდეც მივიდა, რომ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ჩენცოვმა მოახსენა მალენკოვს, რომ იურიდიული საფუძველი ბრალდებებს არა აქვსო. მალენკოვის პასუხი იყო: „საბჭოთა ხალხმა უკვე გამოუტანა საბრალდებულო განაჩენი ქვეყნის მტრებს, რაც დამტკიცდა პოლიტბიუროს სხდომაზე. მიდით და შეასრულეთ პოლიტბიუროს გადანიშნულება“. პირველი მსხვერპლი იყო მიხოელის მკვლელობა. ანტიფაშისტური კომიტეტის საქმის გამო დააპატიმრეს 110 ადამიანი, 13 მათგანს მიუსაჯეს დახვრეტა, 20-ს კი 25 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასიკვდილო განაჩენი მიესაჯათ: ლაზოვსკის, ფერერს, იუზეროვიჩს, შიმელოვიჩს – ბოტკინის საავადმყოფოს მთავარ ექიმს, კვიტკოს, მარკინსგოფს, შტეინს, ბერზელსონს, ზუსკინს, ტალმინს, ვატენბერგს, ტეუმინს, ვატენბერგ-ოსტროვსკაიას. მათდამი წაყენებული ბრალდება იყო შპიონაჟი და ანტისაბჭოთა მოქმედება. ეს ცნობა მიღებულია დოქტორ იაკობ აიზენშტატის გამოკვლევითა და მომსწრე პირების გამოკითხვიდან. ეს მასალა მომზადდა შელი შრაიმანის და იანა ტოპოროვსკის ჟურნალისტურ-

რი გამოკვლევებიდან ბენიამინ დოდინი და ზეევ ბარ-სელას მონაწილეობით, საერთო სათაურით „ანტიებრაული კამპანია სტალინის სიცოცხლეში“, ქვესათაურით „რეჟიმის უკანასკნელი საიდუმლო“. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქმის გაჭიანურების გამო, ებრაელთა გადასახლებას აზრი არ ჰქონდა. ახალი საბაბი ამ ბარბაროსული ქმედებისა იყო ექიმთა საქმე, რომლის სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა 1953 წლის 5-7 მარტს.

ამ სატანისებურ გრანდიოზულ გეგმას ბოლო მოუღო სტალინის გარდაცვალებამ. ყველა ეს მოვლენა ეხებოდა საქართველოს ებრაელობასაც. ისინიც ელოდებოდნენ, რომ ღამე მათაც მოაკითხავდნენ და გაუყენებდნენ გზას შორეული მხარეებისკენ, როგორც ეს, უფრო ადრე, მოხდა ბერძნების, ყირიმის თათრების და ირანელი ებრელების, ლახლუხების მიმართ. პარალელურად დაიწყო ებრაელთა სალოცავების დაკეცვა და ნგრევა. ზემოთ ვთქვით, თუ როგორ გადაარჩინეს ქუთაისში და თბილისში სალოცავები დანგრევას. ამ ნგრევას ვერ გადაურჩა სოხუმის სალოცავი. თბილისში და ქუთაისში გაკეთებული ანალიზის შედეგად, მთავრობამ, სოხუმში, დილის 4 საათზე, როდესაც ყველას ეძინა, დაიწყო სალოცავის ნგრევა. მე, ბავშვი, მომსწრე ვარ ამ ვანდალური აქტის. ნგრევის პროცესის დროს, ჯამაათის წევრები, ცრემლებით სავსე, შედიოდნენ სალოცავში და გამოჰქონდათ წმინდა ნიგნები და სეფერ თორები, რათა გადაერჩინათ ისინი განადგურებისაგან. “ინკვიზიციის” ეს მახვილი შეწყდა სტალინის გარდაცვალების შემდეგ, თუმცა ბევრი შეზღუდვა ძალაში მაინც დარჩა. თითქმის შეუძლებელი იყო ებრაელი აბიტურიენტების უმაღლესში მიღება, ებრაული ეროვნების სპეციალისტთა თანამდებობებზე დანიშვნა. ქვეყანაში მძვინვარებდა შეურიგებელი ბრძოლა ყველა რელიგიის და, განსაკუთრებით, ებრაული რელიგიის წინააღმდეგ. იკეტებოდა სალოცავები, იკრძალებოდა თორის სწავლა ბავშვებისათვის და ახალგაზრდებისათვის თითქმის შეუძლებელი გახდა ადათ-წესების დაცვა. ზუსტად ამ გამძვინვარებული წითელი ტერორის დროს, საქართველოს ებრაელობამ გაუგონარი წინააღმდეგობა გაუწია საბჭოთა დათრგუნვის აპარატს. დაკეტილი

თალმუდ თორის მაგივრად, სახლებში იხსნებოდა თორის სწავლება, მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც, საფრთხის მიუხედავად, აგრძელებდნენ სწავლას, იკვლებოდა ქაშერი ხორცი, ყველა ახალდაბადებულ ვაჟზე კეთდებოდა წინადაცვეთა, ფესახისთვის ცხვებოდა მაცა, ყველა წესის დაცვით. ებრაელთა ოჯახების 95% იცავდა სიქაშრესა და ოჯახის სინმიდეს. ეს ყველაფერი კეთდებოდა დიდი საფრთხის ქვეშ. ჩვენი თემის რაბინები და მელამედები, ხშირ შემთხვევაში, სიცოცხლის ფასადაც კი არ ურიგდებოდნენ რელიგიაზე ამ შემოტევებს, რადგანაც ამაზე დათანხმება ნიშნავდა სრულ ასიმილაციას. საქართველოს გასაბჭოებისთანავე დაიწყეს ებრაელებზე ნადირობა და ასზე მეტი ებრაელი დახვრიტეს, ასობით გადასახლებული საკონცენტრაციო ბანაკებში. საქართველოს რაბინების შეურიგებელი ბრძოლითა და თავგამოდებით იქნა შენარჩუნებული რწმენა და ადათ-წესები, რომლებმაც მოუპოვეს საქართველოს ებრაელობას ავანგარდული როლი მთელ საბჭოთა სივრცეში.



აქ მოცემულია საქართველოში მოქმედი სალოცავების სია. ამათ გარდა, სალოცავები მოქმედებდა ზუგდიდში, ზესტაფონში, შორაპანში და კიდევ სხვა ადგილებში, რომელთა შესახებ ცნობა არ გაგვანია. ეს სია გაკეთებულია 1951 წლის აღწერით.



**Jacob Ofir**

**The Leading Role of the Jews from Georgia  
in the Preservation of Jewish Religion  
during Soviet Reality**

**Summary**

The article deals with the leading role of Georgian Jews in the Soviet reality expressed in young generations' provision with Jewish habits and traditions, as well as Torah studies. Despite the governmental suppressions and frequent cases of physical persecution and destruction, clergymen of the Jewish community continue all the rituals serving in underground conditions: circumcision, Torah studies and traditions observance, kosher meat was cut, matzo was baked, etc. Over 30 synagogues operated in Georgia at the time. These traditions and habits observed by ancestors and transferred to further generations were a guarantee for the Jewish nation salvage and rescue.

Rest at the Black sea resorts was a dream for many people in the Soviet times; Soviet Riviera was Abkhazia and Sokhumi was its pearl. In frequent cases quite solid persons, 40-60 years of age arrived there for rest and sacrificed their precious time in order to correct the errors made by their parents and underwent circumcision. It was quite a dangerous and unpleasant process in the above-mentioned age. These persons, who in frequent cases were high-ranked officials, were not sorry that they spent their rest days in the form which was not usual for those staying at resorts, as they wished to feel they were Jews.

After the war, the government changed their attitude to the Jewish anti-fascist committee, and they were accused of cosmopolitanism. The further move was the application of legal proceedings against them. It was just staged, which was testified when the Chairman of the Supreme Court Chentsov reminded Malenkov that the accusations were not legally substantiated. Malenkov answered: "The soviet people have already passed a guilty verdict to enemies of the country, which was

confirmed on the Political Bureau proceedings. Let's execute the decision made by the Political Bureau. The first victim was Michoels who was killed. 110 people were arrested on the case, 13 of them were sentenced to death, while 20 others – to 25-year imprisonment.

The death sentence was passed to Lazovski, Ferer, Yuzerovich, Shimelovich – Chief Doctor of Botkin hospital, Kvitko, Markigof, Stein, Berzelson, Talmin, Vatenberg, Teumin, Vatenberg-Ostrovskaya. They were accused of espionage and Anti-Soviet activities. After that the doctors' case was started. Medical doctors of the Kremlin polyclinic 4<sup>th</sup> unit, who were basically Jews, were accused of Stalin and the Political Bureau members poisoning. The purpose of all that was the Jewish community deportation from the European part of the country to Birobijan and Far East. Stalin's death interfered with this Satanic plan. This is what the conditions under which Georgian Jews had to observe their identity and habits were like.

## იმპერატორის კულტი რომის იმპერიის რელიგიურ სისტემაში

ხმელთაშუაზღვისპირეთის იმპერიად გადაქცევის შემდეგ, რომის რელიგიის მიერ აღმოსავლური წარმართობიდან მიღებულ იქნა სახელმწიფოს უმაღლესი საერო მოხელის გაღმერთების ტრადიცია, რაც რომში იმპერატორის კულტში გამოიხატა.<sup>1</sup> იმპერატორის კულტი იმპერიის ყველა, მათ შორის დასავლეთის პროვინციებშიც გავრცელდა, სადაც იმპერატორის კულტის წინამორბედად ალექსანდრე მაკედონელის გაღმერთება შეგვიძლია მივიჩნიოთ. სწორედ იგი იყო პირველი ევროპულ სინამდვილეში, ვინც თავი ღმერთებს გაუტოლა და ღვთაებრივი თაყვანისცემა მოითხოვა.

იმპერატორის კულტი წარმოადგენდა სახელმწიფოსადმი არაუმეტეს პოლიტიკური ლოიალობის დადასტურებას, რომელსაც რელიგიური ელფერი დაჰკრავდა. იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ რომში არსებული იმპერატორის კულტი სარძნობლად განსხვავდებოდა მის მიერ დაპყრობილ აღმოსავლეთის ქვეყნებში არსებული მბრძანებლის კულტისაგან. ითვლება, რომ ცოცხალი იმპერატორის კულტი რომში არ არსებობდა. იყო მხოლოდ მისი გენიისადმი თაყვანისცემის გამოხატულება.<sup>2</sup> რაც შეეხება მცირე აზიის პროვინციებსა და ეგვიპ-

---

<sup>1</sup> ავგუსტუსის გაიმპერატორებამდე, რესპუბლიკის ხანის რომში იულიუს კეისრის სიცოცხლის ბოლოს ადგილი ჰქონდა დიქტატორის რანგში მის „ღვთაებრივ თაყვანისცემას“ (caelestes honores). უფრო მეტიც როდესაც ანტონიუსმა კლეოპატრა ცოლად შეირთო, ისიც, მეუღლესთან ერთად, ღვთაებრივის რანგში ავიდა და ოფიციალურად დიონისე-ოსირისად, კლეოპატრა კი აფროდიტე-ისიდად იწოდებოდა.

<sup>2</sup> აღნიშნული ფაქტის დადასტურებად შეგვიძლია მივიჩნიოთ სვეტონიუსის მიერ მოყვანილი ვესპასიანეს სიტყვები სიკვდილის წინ:

ტეს, იმპერატორის კულტი აქ არსებობდა ელინისტური მოდე-  
ლის მიხედვით – „ღვთაებრივი მმართველი“ [2. 689-690].

ოქტავიანე ავგუსტუსი მთავარ ამოცანად იულიუსების  
გვარის ღვთაებრიობის აღიარებას მიიჩნევდა, რაც, იმთავითვე,  
საკუთარი თავის გაღმერთებასაც ნიშნავდა. აქედან გამომდი-  
ნარე, იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვენერა წინაპრის პრო-  
პაგანდას. ჯერ კიდევ იულიუს კეისარმა, ფარსალოსთან ბრძო-  
ლის შემდეგ, ძვ.წ. 46წ. აუგო ტაძარი ვენერას და მას ვენერა წი-  
ნაპარი (*Venus Genetrix* – ენეუსის გვარის, რომელსაც იულიუს-  
სებიც განეკუთვნებოდნენ, ღვთაებრივი წინაპარი) უწოდა  
(Suetonius, *De vita Caesarum*, Iulius, 6; Velleus Paterculus, *Historiae  
Romanae libri*, II, 41).<sup>1</sup> ავგუსტუსის რელიგიური რეფორმიდან  
მოყოლებული კი, ვენერა, მარსთან, ერთად უკვე რომაელი  
ხალხის წინაპრად ითვლებოდა.

ძვ.წ. 29 წელს ოქტავიანემ იულიუს კეისრის ცხედრის დან-  
ვის ადგილას მის სახელზე ტაძარი ააგებინა. მოგვიანებით,  
ძვ.წ. 2 წელს იულიუს კეისრის მკვლელობის ადგილას, ავგუს-  
ტუსის ფორუმის ცენტრში, კეისრის პატივსაცემად ძველი რო-  
მაული ღვთაების – მარსი შურისმაძიებლის (*Templum Martis  
Ulpatoris*) სახელზე ტაძარი ააშენებინა, რომელსაც განსაკუთრე-  
ბული მნიშვნელობა ენიჭებოდა რომის ცხოვრებაში. აქ იმპერა-  
ტორის ოჯახის წევრები სრულწლოვნად გახდომის დღეს  
მსხვერპლს სწირავდნენ ღმერთებს. აქედან მაგისტრატები მი-  
ემგზავრებოდნენ პროვინციებში. აქ ტრიუმფატორს მოჰქონდა  
თავისი ნადავლი. აქ დააბრუნეს პართიელების მიერ რომისათ-  
ვის დაბრუნებული ბანერები...

როგორც სვეტონიუსი გადმოგვცემს, საკუთარ თავთან  
დაკავშირებით ოქტავიანე თავშეკავებას იჩენდა (Suet., Aug.,

---

„ვაი! მგონი ღმერთად უნდა ვიქცე“; „Vae! puto deus fio“ (Suet., *De vita  
Caesarum*, Divus Vespasianus, 23,4).

<sup>1</sup> ძვ.წ. 44 წ. მოჭრილ მონეტის ავერსზე იულიუს კეისარი, ხოლო რე-  
ვერსზე გამარჯვებული ვენერა (*Venus Victrix*) გამოსახული.

52).<sup>1</sup> მაგალითად, აღმოსავლეთ პროვინციებში, საიდანაც მისი გაღმერთების პროცესი დაიწყო, ავგუსტუსმა უფლება მისცა არა მარტო მის სახელზე, არამედ „რომისა და ავგუსტუსის“ სახელებზე აეგოთ ტაძარი. „რომისა და ავგუსტუსის“ კულტები გავრცელებული იყო იმპერიის დასავლეთის პროვინციებსა (მაგალითად, გალიაში, სადაც „რომისა და ავგუსტუსის“ სახელზე აგებული საკურთხეველი ძვ.წ. 12 წლის 1 აგვისტოს აკურთხეს) და იტალიის რამდენიმე ქალაქში: ნოლა (Nola), ტიბური (Tibur – თანამედ. ტივოლი), პატავია (Patavium – თანამედ. პადუა), ტუსკულუმი (Tusculum). აქ გვხვდება აგრეთვე ავგუსტალების ქურუმთა კოლეგიები, რომლებიც ავგუსტუსის თაყვანისცემასთან იყვნენ დაკავშირებულნი. იყო შემთხვევები, როდესაც ავგუსტუსის კულტი ერწყმოდა სხვა ღვთაებების, მაგალითად, ჰერკულესისა და მერკურის კულტებს [5.148].

ავგუსტუსი ცდილობდა რომის მოსახლეობის რელიგიური, მორალური და სოციალური ცხოვრების რეფორმირებას, რელიგიური რიტუალების აღდგენას, ძველი რომაული ღვთაებ-

---

<sup>1</sup> ოქტავიანე ავგუსტუსი იყო რომის უმაღლესი ქურუმი – დიდი პონტიფიკოსი. იგი იყო აგრეთვე ავგური, სიბილათა წიგნების შემნახავი თხუთმეტა (კვინდეციმირები) კოლეგიის წევრი, რომის ოთხ უდიდეს ქურუმთა კოლეგიიდან ერთ-ერთის – შვიდი ეპულონის კოლეგიის წევრი (მათ რომის კაპიტოლიუმის ტრიადის – იუპიტერი, იუნონა, მინერა – სახელზე საზეიმო ტრაპეზის მოწყობა ევალებოდათ), ავრალელი ძმების კოლეგიის (თორმეტი ქურუმისაგან შემდგარი კოლეგია, რომელიც დაკავშირებული იყო ძველიტალიკურ ღვთაება დეასთან. ლოცულობდნენ მოსავლისათვის) წევრი. ტიციებისა და ფეცილების (ოცი ქურუმისაგან შემდგარი ძმობა, რომელთა დანიშნულებასაც ხელშეკრულებების დასადებად მოლაპარაკებების წარმოება წარმოადგენდა). ქრონოლოგიურად ეს ასე გამოიყურებოდა: ძვ.წ. 48 წ. ოქტავიანე იყო პონტიფიკოსი, ძვ.წ. 12 წლიდან – დიდი პონტიფიკოსი. ძვ.წ. 41 წლიდან იყო ავგური, კვინდეციმირი – დაახ. ძვ.წ. 37-35 წლებიდან, ეპულონი – დაახ. ძვ.წ. 16-13 წლებიდან. ფეციალი – ძვ.წ. 32 წლიდან, როდესაც მან ომი გამოუცხადა კლეოპატრას. ტიციებისა და ავრალელი ძმების წევრი – ძვ.წ. 12 წლიდან. ავგუსტუსი ზრუნავდა ქურუმთა შტატისა და მათი პრესტიჟის გაზრდაზე (Suet., Aug., 30, 3.) [5.146-147].

ბის – მარსი, აპოლონი, ვენერა – პროპაგანდას (ისინი გამოისახებოდნენ მონეტებზე, ხელოვნების ნიმუშებზე, საბეჭდავებზე...), იგი რესტავრაციას უკეთებდა ძველ რომაულ ტაძრებს. მან აღადგინა ძველი რომაული ღმერთებისადმი მიძღვნილი 82 ტაძარი. მათ შორის: მინერვას, იუნონა ცერერასა და იუპიტერის ტაძრები ავენტინზე (Aventinus), კვირინუსის (Quirinus) ტაძარი კაპიტოლიუმზე... ახალი ტაძარი ააგებინა აპოლონის, ვესტას სახელზე...

ავგუსტუსის რესტავრატორული პოლიტიკის შედეგს წარმოადგენდა იულიუსის კალენდრის მოწესრიგება, როდესაც რომის სენატმა (ავგუსტუსის სურვილისამებრ) სექსტილიის თვეს ოქტავიანეს პატივსაცემად ავგუსტუსი – ავგუსტო (augustus – ავგუსტო) (Liv., Epit., 134), ხოლო უფრო ადრე კი კვინტილიის (Quintilis – მეხუთე) თვეს კეისრის პატივსაცემად – მისი დაბადების თვეს – ივლისი (Julius) უწოდა.<sup>1</sup>

რომში თანდათან ყალიბდება სწავლება იმის შესახებ, რომ ღმერთებმა სწორედ იმპერატორები აირჩიეს დედამიწაზე საკუთარ წარმომადგენლებად, რის გამოც ქვეშევრდომებისაგან ითხოვდნენ არა მხოლოდ იმპერატორის კულტისადმი მიძღვნილ რიტუალებში მონაწილეობის მიღებას, არამედ მათდამი ჭეშმარიტ რწმენასაც. ღვთაებრივი იმპერატორისადმი რწმენა და ერთგულება გაიგივებულ იქნა და „მისი უდიდებულესობის შეურაცხყოფა“ სახელმწიფო ლალატის ტოლფასი გახდა. ყოველივე ეს კი განამტკიცებდა ავგუსტუსის მიერ დამყარებულ

---

<sup>1</sup> ძველი რომაული კალენდრის მიხედვით, რომლის შემოღებაც ქალაქ რომის დამაარსებელ რომულუსს მიეწერება, ძვ.წ. 738 წელს, მეხუთე თვე იყო Quintilis-ი, რომელსაც წინ უსწრებდა Junius-ი – ივლისი, ხოლო შემდეგი თვე იყო Sextilis-ი. კალენდარი იწყებოდა Martius-ის – მარტის თვიდან (ომის ღვთაება მარსის პატივსაცემად) და მოიცავდა 10 თვეს. ძვ.წ. 45 წ. იულიუს კეისრის მიერ ჩატარებული კალენდარული რეფორმის შემდეგ, როდესაც მოწესრიგდა ძველი რომაული კალენდარი და 10 თვის მაგივრად დაწესდა 12 თვე, წელიწადის ათვლა დაიწყო 1 იანვრიდან. Quintilis-ი გახდა მეშვიდე თვე, მაგრამ ძველი სახელი შერჩა.

წყობას – პრინციპატს. შედეგად, რელიგიამ რომის ყოველდღიურ ცხოვრებაში ის ადგილი დაიკავა, რაც ანტიკურმა სამყარომ მანამდე არ იცოდა [6. 79-80].

როდესაც ავგუსტუსი გარდაცვალების შემდეგ გაალმერთეს, მისი კულტი კიდევ უფრო პოპულარული გახდა. ოფიციალური ტაძრებისა და კოლეგიების გარდა, ქვეყნის უმაღლესი ფენის დიდგვაროვანთა წრეებში ავგუსტუსის კულტის დასაცავად იქმნებოდა კერძო კოლეგიები. ასეთ კოლეგიებს ადრეული იმპერიის ხანის რომში წარმოადგენდა ავგუსტალთა ორი კოლეგია – *Sodales Augustales* – ავგუსტალების არისტოკრატიული ძმობისა და *Magistri Larum Augustii* – რომის პროვინციული კორპორაციები, რომელთა ფუნქციაშიც რომის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე იმპერატორის კულტის თაყვანისცემის გავრცელება და კურირება შედიოდა.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაერთ ცნობილ მეცნიერს (თ. მომზენი [4], ა. შულტენი [10], კ. ნოიმანი [9], მ. კრაშენინიკოვი [3], ა. დაფფი [8], ე. შტაერმანი [7]) აქვს აზრი გამოთქმული, მაინც ავგუსტალების კოლეგიების შექმნის ზუსტი მიზეზი უცნობია.

მიღებული თვალსაზრისით, რომის იმპერიაში ავგუსტალების კოლეგიათა დაარსება, ახ.წ. 14 წელს, ოქტავიანე ავგუსტუსის გარდაცვალებასთან არის დაკავშირებული. რის შემდეგაც, ფაქტობრივად, ჯერ კიდევ მის ცხოვრებაში დამკვიდრებული პრინციპატის კულტი – იულიუს-კლავდიუსების გვარის თაყვანისცემა – იურიდიულ გაფორმებას საჭიროებდა.

ორივე კოლეგია *Sodales Augustales* და *Magistri Larum Augustii* იმპერატორის კულტის გავრცელებასთან და ერთგულებასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ მაინც ერთმანეთისაგან აბსოლუტურად განსხვავებულ კორპორაციებს წარმოადგენდნენ. *Sodales Augustales* – ავგუსტალების ძმობის პირველი კოლეგია შედგებოდა რომის არისტოკრატიული ოჯახის 25 წევრისაგან, რომელთა შორისაც 4: ტიბერიუსი (*Tiberius Julius Caesar Augustus*), კლავდიუსი (*Tiberius Claudius Caesar Augustus Germanicus*), დრუზუსი

უმცროსი (Tiberius Drusus Claudius Iulius Caesar Nero) და გერმანიკი (Germanicus Iulius Caesar Claudianus) – იმპერატორის ოჯახის წევრები იყვნენ. მოგვიანებით, კოლეგიის წევრთა რიცხვი 28-მდე გაიზარდა. კოლეგიაში მიიღებოდნენ მხოლოდ და მხოლოდ ყოველმხრივ საიმედო მოქალაქეები. ასე რომ, კოლეგიაში გაერთიანებული „თავისუფალი“ ავგუსტალები იმპერატორის დინასტიასთან დაკავშირებულნი იყვნენ არა მარტო პოლიტიკურად, არამედ საკრალური ვალდებულებებითაც. ოქტავიანე ავგუსტუსის გარდაცვალების შემდეგ ძმობა (sodales) შეცვალა გვარის დახურულმა კულტმა (gens). ავგუსტალების არისტოკრატიულმა ძმობამ არსებობა ახ.წ. II ს-ის ბოლოს შეწყვიტა.

ნიშანდობლივია, რომ ეს გასაიდუმლოებული ორდენი გათანაბრებულ იქნა ქურუმთა ისეთ გაერთიანებებთან, როგორც იყო რომის ქურუმთა დიდი კოლეგიები – პონტიფიკოსების, ავგურების, კვინდეციმვირების და ეპულონების. ავგუსტალების არისტოკრატიულ ძმობასთან ერთად, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ქალაქ რომში იქმნება, იმპერიის პროვინციებში გაჩნდა იმპერატორის კულტის თაყვანისმცემი ადგილობრივი კორპორაციები, რომლებიც ექსვი (seviri) წევრისაგან შედგებოდა.

Magisri Larum Augustii – რომის პროვინციულ კორპორაციებში განვერიანება ყველას შეეძლო. მიღებული თვალსაზრისით, აღნიშნული კოლეგია გააზატებულებისათვის შეიქმნა, რადგან სწორედ ისინი შეადგენდნენ ადრეული იმპერიის ხანაში კორპორაციის ბურჯს. შედეგად, ავგუსტალები გააზატებულების უმაღლეს ფენას წარმოადგენდნენ. ახ.წ. II საუკუნისათვის ეს კავშირები იმდენად გაძლიერდა, რომ ზოგიერთი პროფესიონალური კოლეგია მათ მფარველობას ეძებდა. ასე რომ, ყველაზე გავლენიანი ავგუსტალები ამ კორპორაციების მეპატრონეებიც კი ხდებოდნენ. ნიშანდობლივია, რომ მათ მუნიციპალური თანამდებობების დაკავების უფლება არ ჰქონდათ. ისინი ამ გზით იყვნენ ჩართულნი მუნიციპალურ ცხოვრებაში და დიდ ფულს ხარჯავდნენ ტაძრების აგებაზე, დღესასწაულების, თამაშების მოწყობაზე, მოწყალეების გაღებაზე.



ავგუსტუსის სახელზე აგებული ტაძრები საკმაოდ იყო პროვინციებშიც. იმპერატორისა და ავგუსტუსის, ან მისი გენი-ისადმი მიცემული ფიცი ოფიციალურად ყველაზე წმინდა ფიცად ითვლებოდა, რომლის დარღვევაც მისი უდიდებულესობის შეურაცხყოფასა და მკრეხელობას უტოლდებოდა.

იმპერატორის კულტს ქურუმების იერარქიისა და ორგანიზაციების სხვადასხვა ფორმა გააჩნდა. უმაღლესი ადგილი ეჭირათ პროვინციების მთავარ ქურუმებს, რომლებიც მეთაურობდნენ ადგილობრივი დიდებულებისაგან შემდგარ საიმპერატორო კულტთან მჭიდროდ დაკავშირებულ პროვინციებში ჩატარებულ კრებებს. ამგვარი დროებითი ან სამუდამო ქურუმის თანამდებობა ჩვეულებრივ აგვირგვინებდა ადგილობრივი და ცნობილი მოღვაწის კარიერას. ქალაქებს იმ პირთაგან, რომლებმაც მუნიციპალური თანამდებობების ყველა საფეხური გაიარეს, ჰყავდა საიმპერატორო კულტის თავისი ფლამინები (flamines – ქურუმები). გარდა ამისა, ქალაქებსა და სოფლებში არსებობდა იმპერატორებისა და „ღვთაებრივი სახლის“ თაყვანისმცემელთა მრავალრიცხოვანი კოლეგიები, რომელთა ორგანიზატორები, პატრონები და შემწირველები ხშირად ასევე საიმპერატორო აზატები და მონები იყვნენ. ასეთივე როლს თამაშობდნენ სამხედროები და ვეტერანები, რომლებიც ოფიციალური იდეოლოგიის აქტიური გამტარებლები იყვნენ. იმტერატორის იუბილეების აღნიშვნაში ჩართული იყვნენ ხელოსნები და იმპერიაში არსებული სხვა სოციალური ფენები. ამგვარად, საზოგადოების ყველა ფენა ჩართული იყო რელიგიური ფორმით შემოსილ ქვეშევრდომთა გრძნობების გამოხატვაში.

იმპერატორებისადმი თაყვანისცემა გაიგივებული იყო ღმერთებისადმი თაყვანისცემასთან (განსაკუთრებით იუპიტერთან). იმპერატორებს ავგუსტუსს (Augustus), ხოლო მათ მეუღლეებს ავგუსტას (Augusta) უწოდებდნენ, რომელთაც ღმერთებისა და ქალღმერთების ატრიბუტებით გამოსახავდნენ. იმ დიდებულთა შორის, რომლებიც ოცნებობდნენ „კარგ“ იმპერატორზე, განსაკუთრებით გავრცელებული იყო საიმპერატორო სათნოებათა კულტი. ლეგიონერები უპირატესობას ანიჭებ-

დნენ გაღმერთებულ საიმპერატორო გამარჯვებებს. იმპერატორის კეთილდღეობისთვის, მისი მგზავრობისა და დაბრუნებისთვის, ომში წარმატებისთვის დებდნენ საერთო და პირად აღთქმას. იმართებოდა საზეიმო მსხვერპლშენირვები. იქიდან გამომდინარე, რომ, ავგუსტუსიდან მოყოლებული, ყველა იმპერატორი დიდი პონტიფიკოსი იყო, მათ საკუთარი შეხედულებებისამებრ შეეძლოთ დაემკვიდრებინათ ესა თუ ის კულტი, ან განეხორციელებინათ რელიგიური რეფორმა.

### **ლიტერატურა – REFERENCES**

1. Августалы и сакральное магистерство, Санкт-Петербург, 1895.
2. История древнего рима, Санкт-Петербург, 1998.
3. Крашенинников М. Н., Римские муниципальные жрецы и жрицы. Санкт-Петербург, 1891.
4. Моммзен Т., Римское право, Т. 1-2. Санкт-Петербург, 1994.
5. Шифман И.Ш., Цезарь Август, Ленинград, 1990.
6. Штаерман Е. М., Кризис античной культуры, Москва, 1975.
7. Штаерман Е. М., Рабские коллегии и фамилии, ВДИ, 1950, № 3.
8. Duff A. M., Freedman in the early Roman empire, New-York, 1958.
9. Neumann K., Augustales, RE, II, 1896.
10. Schulten A., Die Landgemeinden im römischen Reich, Philologus, 1894.

**Marika Mshvildadze**

### **Emperor's Cult in the Religious System of the Roman Empire**

#### **Summary**

After turning into the Mediterranean Empire, a tradition of deifying the highest civil servants was adopted by the Roman religion from eastern paganism, which found its expression in the Emperor's cult. It

used to be considerably different from the cult of the Ruler existing in the eastern states conquered by Rome. It is considered that there never existed in Rome the cult of the living emperor. Only expression of worship towards his genius used to be practiced. The emperor's cult in Rome's Asia Minor provinces and Egypt existed as the Hellenistic model – "Divine Ruler". Faith in divine emperors and loyalty to them became identical notions and "insulting his royal highness" was equivalent to treason. Private Collegia (Sodales Augustales and Magistri Larum Augustii) formed in the circles of the country's nobility for the protection of the cult of Augustus were established for spreading the cult of glorification and worship of the emperor throughout the empire. They rose to the level of such unities of the priests as Grand Collegia of the Roman Highest Priests – Pontiffs, Augurs, Quindecimviri and Epulons.

**ეპარქიების განსახლების საკითხი ქართლის  
კველ დედაქალაქში ისტორიული და  
არქეოლოგიური მასალების მიხედვით**

ეპარქია ქართლის სამეფოსა და, კონკრეტულად, მის ძველ დედაქალაქში განსახლების პრობლემას არაერთი მეცნიერის ნაშრომი მიეძღვნა. მათ შორისაა კვლევები პალეოგრაფიულ-ლინგვისტური, წყაროთმცოდნეობითი და არქეოლოგიური კუთხით. ამჯერად შევეცდებით ყველა ამ ნიუანსის შეჯერების საფუძველზე ეს საკითხი კიდევ ერთხელ გავიაზროთ.

ეპარქია ქართლის სამეფოში განსახლების საკითხი ძირითადად ქართული წერილობითი წყაროების „მოქცევაი ქართლისაი“-სა და ლეონტი მროველის ნაშრომების საფუძველზე ხდება. მათგან ლეონტი მროველი ძირითადად იმეორებს უფრო ადრე შექმნილი „მოქცევაი ქართლისაი“-ს მონათხრობს, მაგრამ ხშირად თავისი დროის შესაბამისად იაზრებს და ინტერპრეტირებს.

„მოქცევაი ქართლისაი“-ს და ლეონტი მროველის „ცხოვრება მეფეთა“-ს მიხედვით, საქართველოში ეპარქია ისტორია ძვ.წ. VI ს. იწყება. ლეონტი მროველის თქმით, ძვ.წ. 586წ. ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორისგან დევნილმა ეპარქიებმა თავი ქართლს შეაფარეს და მცხეთის მამასახლისისგან ადგილი ითხოვეს დასამკვიდრებლად. მამასახლისმა ისინი „არაგვსა ზედა“ – ზანავში დაასახლა. ეპარქიები მამასახლისის მიწის სანაცვლოდ ხარკს უხდიდნენ, რის გამოც ზანავს ხერკი ეწოდა [11. 15-16].

ზანავს, როგორც ეპარქია უბანს, ლეონტი მროველი ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის დროსაც მოიხსენიებს, როგორც მის მიერ აღებულ დასახლებულ უბანს [11. 17-18].

მაინც სად მდებარეობდა ზანავი? ლეონტი მროველის განსაზღვრებით, „არაგუსა ზედა, წყაროსა“ ქვია ზანავი, რომელიც მცხეთის მამასახლისის საუფლოა, თუმცა უფლოსს

(მცხეთოსის ძეს) მასზე ხელი უკვე აღარ მიუწვდება და იგი დიდი მცხეთის მიღმა დარჩენილი [11. 15]. ჯუანშერის ინფორმაციით, ოსებზე გასალაშქრებლად შეკრებილი ვახტანგ მეფის ჯარი მუხრანსა და ხერკს – „ამიერ და იმიერ არაგუსა“ – დაბანაკდა. გამოდის, რომ ხერკი საკუთრივ მხოლოდ არაგვის მარცხენა მხარეს მოიცავდა, სამხრეთით კი ჯვრის მონასტრამდე ტერიტორიას გულისხმობს [12. 150,242]. „მატიანე ქართლისაის“ მიხედვით, ხერკს დასავლეთიდან სამუხრანო, ჩრდილოეთიდან კი ბაზალეთი მიჯნავს. ბაგრატ IV მეფობის დროს, ფადლონის ჯარს გამოდევნებული მეფის ჯარი გაქცეულებს სდევნის ხერკის მთამდე, მაგრამ მდინარე არაგვის მარცხენა მხარეს უკვე აღარ გადასდევს. შესაბამისად, ხერკი ამ პასაჟითაც მდ. არაგვის მარცხენა ნაპირიდან აღმოსავლეთით ტერიტორიას მოიცავდა [12. 270,311].

ვახუშტი ბატონიშვილი არ იცნობს ტოპონიმ ზანავს. ნაბუქოდონოსორ მეფისგან დევნილ ებრაელთა ქართლში განსახლების ადგილად პირდაპირ ხერკს მიუთითებს [10. 53]. მომდევნო პერიოდების ისტორიის გადმოცემისას, ვახუშტი ზუსტად იმეორებს ქართლის ცხოვრების ავტორთა მონათხრობს, მაგრამ უკვე საქართველოს დაშლის დროიდან, ხერკთან ერთად ხმარობს ტოპონიმ საგურამოს, როგორც ხერკის განმმარტავ ტერმინს [10. 383,523-524]. ჩანს, XVIII ს. დასაწყისისთვის ტერმინი ხერკიც უკვე დავიწყებულია და ამ ორი ტოპონიმის ერთად მოხსენიებით ისტორიკოსი ხერკის ერთგვარ განმარტებას იძლევა. მისი განმარტებით, ხერკი ასე ლოკალიზდება: „ხოლო მთა ესე კუხეთისა ანუ ზედაძნისა წარვალს აღმოსავლეთად და შეერთებამდების ერწოს მთასა, რომელი არს ხერკისა. და არს ამათ შორის ხერკი, არამედ ან საგურამო ანუ თეზმის ხევი. აქუს ხერკს: აღმოსავლით მთა ერწოსა და ამას შორისი; სამხრით მთა ზედაძნისა; ჩდილოთ ნოკორნა-ბოკონანს შორისი გორანი, ჩამოსული თიანეთის მთიდან არაგუამდე; დასავლით არაგვი“ [10. 535-536].

ზანავის წყაროებისეულ ლოკალიზაციას ეთანხმება ნ. ბერძენიშვილიც [5. 330,340]. ამდენად, ისტორიული ზანავი, შუა

საუკუნეების ხერკი, გვიან შუა საუკუნეებიდან კი საგურამო, ანტიკურ ხანაში ებრაელთა უბნად წარმოდგება. სამწუხაროდ, საგურამო არქეოლოგიურად შეუსწავლელია, ამიტომ წერილობითი ინფორმაციის მატერიალური მასალით დადასტურება ან უარყოფა, შეუძლებელია.

ქრისტეს ქადაგების პერიოდში მცხეთაში ებრაელთა ძლიერი თემი იკვეთება, რომელთაც, ერთი მხრივ, მუდმივი კავშირი აქვთ თავის სამშობლოსთან და ყველა სიახლეს ეცნობიან, რაც იქ ხდება; მეორე მხრივ კი, მცხეთის ებრაელთა თემი უპირატეს თემად წარმოდგება ქართლის სამეფოში, რადგან ყველა სიახლე სწორედ მცხეთელ ებრაელებს და მათი რჯულის მცოდნეებს (ანუ თემის უხუცესებს) ეუწყებათ. როგორც ლეონტის მონათხრობიდან ჩანს, მცხეთელი ებრაელები იუდეის ამბების არა მხოლოდ საქმის კურსში არიან, არამედ, გარკვეულ მონაწილეობასაც კი იღებენ სამშობლოსთვის მნიშვნელოვან ეპიზოდებში. ამის დასტურია მაცნის მიერ ებრაელთა ხმობა ქართლიდან იმისთვის, რომ მონაწილეობა მიეღოთ იესოს განსჯასა და დასჯაში. მცხეთიდან ამისთვის ორი ებრაელი მიემგზავრება – ელიოზ მცხეთელი და ლონგილოზ კარსნელი<sup>1</sup> [11.36].

საგულისხმოა, რომ „მოქცევაი ქართლისაი“-სა და ლეონტი მროველის მიხედვით, ამ პერიოდისთვის ებრაელთა განსახლების არეალად უკვე სამი პუნქტი იკვეთება: ერთი, როგორც ჩანს, ისევ ზანავია; მეორე, ესაა ქალაქ მცხეთის დასავლეთი ნაწილი – მოგვთაკარი, სადაც ორივე წყაროს მიხედვით ცხოვრობს ელიოზ მცხეთელი, და მესამე – დიდი მცხეთის ერთ-ერთი უბანი – კარსანი, ხელოსანთა დასახლება, საიდანაც ლონგილოზია [13. 146; 11. 36,101].

მოგვთაკარად მიჩნეულია მცხეთის რკინიგზის სადგურის მოპირდაპირე მხარე, მთა „ქართლის“ ჩრდილოეთი კალთის ძირი.<sup>2</sup>

---

<sup>1</sup> „წმინდა ნინოს ცხოვრება“ ლონგილოზ კარსნელს არ იცნობს [13. 126-128].

<sup>2</sup> თუმცა არის მოსაზრება, რომ მოგვთაკარად მოაზრებული უბანი არა რკინიგზის სადგურთან, არამედ გეთსამანიის ეკლესიის უბანში

წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, მოგვთაკარი მცხეთის დედაქალაქობის ხანაში მისი ერთ-ერთი მჭიდროდ დასახლებული უბანი უნდა ყოფილიყო. ლეონტი მროველის თანახმად, ამ უბნის გაჩენა ქართველთა მეფეს, ფარნაჯომს უკავშირდება. მან „მოიყვანნა სპარსეთით ცეცხლის მსახურნი და მოგუნი, და დასხნა იგინი მცხეთას, ადგილსა მას, რომელსა ან ჰქვიან მოგუთა“ [11. 29].

არქეოლოგიური გათხრები მოგვთაკარში XX ს. 70-იან წლებში დაიწყო. სხვა წლებში არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ აქ გაითხარა I-III სს. სამაროვანი და III-IV სს. ნამოსახლარი.

ერთი მხრივ, სამარხთა ტიპის (კრამიტსამარხები) და მათში აღმოჩენილი ნივთების მიხედვით, მეცნიერები ფიქრობენ, რომ საქმე უნდა გვექონდეს შეძლებული ფენის წარმომადგენელთა საკრძალავებთან,<sup>1</sup> მეორე მხრივ კი, კრამიტსამარხთა უცხოური წარმოშობის გათვალისწინებით, ასევე უპირატესად უცხოური ან პრაქტიკულად უცხოური ნივთების სიმრავლე და მიცვალებულთა პირში ან ხელში „ქარონის მონეტის“ აღმოჩენის ხშირი შემთხვევები მეცნიერებს აფიქრებინებს, რომ მოგვთაკარის სამარხებში დაკრძალული უნდა იყვნენ უცხო ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები [17. 109-131]. არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებულ ანთროპოლოგიურ მასალას სათანადო მეცნიერული კვლევა არ ჩატარებია. ამდენად, მათი ეთნიკურობის შესახებ მსჯელობა შეუძლებელია.

რაც შეეხება კარსნისხევს, ის მდებარეობს მცხეთის აღმოსავლეთით, მთა ქართლის აღმოსავლეთ კიდეში, მტკვრის მარჯვენა მხარეს, ხეობაში. კარსანი ისტორიული დიდი მცხეთის უბანი იყო. 70-იან წლებში აქ წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინა ძვ.წ. I-ახ.წ. IVს. პერიოდის დასახლება, საწარმოო უბანი და სამაროვანი, რომელიც ძირითადად კრა-

---

უნდა ლოკალიზდებოდეს, იქ, სადაც იდგა წმ. ნინოს მოსვლის დროისთვის ებრაელი აბიათარის სამლოცველო.

<sup>1</sup> მიცვალებულების უმეტესობა დაკრძალული იყო ხელფეხმოკეცით, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, თავის ნემისმიერი დამხრობით.

მიტსამარხებისგან შედგებოდა.<sup>1</sup> დასახლება შედგებოდა ქვიშაქვის ნატეხი ქვითა და ალიზით ნაგები და კრამიტით დახურული სახლებისგან, რომლებსაც თავისი დამხარე ნაგებობა გააჩნდათ. იქვე კი მდებარეობდა ამ უბნის მოსახლეთა სახელოსნო ადგილი. გამოვლენილმა არტეფაქტებმა ცხადყო, რომ აღნიშნულ პერიოდში კარსანი მჭიდროდ დასახლებული უბანი იყო და მეთუნეთა დასახლებას წარმოადგენდა<sup>2</sup> [14].

ებრაელთა მეორე ტალღის შემოსვლა ქართლში იმპერატორ ვესპასიანეს მიერ იერუსალიმის აღების დროს მომხდარა. ამ დევნილებაში, ლეონტის თქმით, ყოფილან იესოს ნაცვლად განთავისუფლებულ ბარაბას შთამომავლებიც, რომლებიც მცხეთაში მოსვლის შემდეგ ადგილობრივ ებრაელებთან – ზანავეში დასახლებულან [11. 44].

მართალია, ებრაელთა ქართლში განსახლების ადგილად წყაროებში მხოლოდ მცხეთაზეა ყურადღება გამახვილებული, მაგრამ, როგორც შემდგომი პერიოდის ამბები უჩვენებს, ისინი ასევე უნდა დამკვიდრებულიყვნენ ურბნისშიც. ყოველ შემთხვევაში, IV ს. დასაწყისში, როცა წმ. ნინო ქართლში მოდის, „წმინდა ნინოს ცხოვრება“ გვამცნობს, რომ ის ერთი თვე ქალაქ ურბნისში, ებრაელთა უბანში ცხოვრობდა [13. 117-118; 11. 88]. ურბნისის შემთხვევაში, ამ ცნობის ფაქტობრივი დადასტურება ჩანს 1960წ. ურბნისის სამაროვანზე, 167 სამარხში აღმოჩენი-

---

<sup>1</sup> მიცვალებულები დაკრძალულები იყვნენ მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე ხელფეხმოკეციტ, თავის ნებისმიერი დამხრობით.

<sup>2</sup> აქ საინტერესოდ გვეჩვენება ერთი რამ: კარსნისხევისა და მოგვთაკარის სამაროვნები ერთი პერიოდისაა, ორივეგან გათხრილი სამარხების უმეტესობა ერთი ტიპისაა – კრამიტსამარხები. ასევე ერთნაირია დაკრძალვის წესიც. ამ ორ სამაროვანს შორის განსხვავება, რაც იგრძნობა არის მოგვთაკარის სამარხებში ქარონის მონეტის გამოყენების შემთხვევები. აქედან გამომდინარე, თუ მოგვთაკარი უცხო ეთნიკური ჯგუფის საკრძალავია, ხოლო კარსნისხევის ხელოსანთა უბნობაზე ეჭვი არ დგება (ხელოსნების უცხო ეთნიკური ჯგუფის წევრობა კი ცოტა საეჭვოა), მაშინ გამოდის, რომ კრამიტსამარხთა და იმპორტული ნივთების დადასტურება სამარხებში ვერ იქნება ეთნიკურობის განმსაზღვრელი.



ლია ბრინჯაოს საბეჭდავი ბეჭედი, რომელზეც ამოკვეთილია ორი ებრაული ასო. ის იკითხება, როგორც მონმობა. მკვლევრები ფიქრობენ, რომ ბეჭედი მოხელის საკუთრება უნდა იყოს, რომელსაც ის რალაცის დასამონმებლად იყენებდა. საინტერესოა, რომ ბეჭედი თავისი ფორმებით, ასევე სამარხის ინვენტარიც, IV ს. დასაწყისით თარიღდება [15. 241-256].

წყაროების მიხედვით, მცხეთაში მოსული წმ. ნინო ასევე ებრაელებთან მიდის და სწორედ ებრაელი ქალისგან იგებს არმაზის კერპის შესახებ [13. 119; 11.89]. ქალაქის კედელს გარეთ დამკვიდრებული წმ. ნინო შემდეგშიც ხშირად სტუმრობს ებრაელთა უბანს და ცდილობს გაიგოს კვართის სამყოფელი. ამ ძიებაში მან მიაგნო ებრაელ მღვდელს, აბიათარს, რომელსაც მის ასულ სიდონიასთან ერთად ქრისტიანობა გააცნო და დაიმონაფა. მისი მოწაფე ხდება ასევე ექვსი ებრაელი ქალბატონი. ამდენად, ქართლის ცხოვრების მიხედვით, ნინოს მისიონერული საქმიანობა ებრაელებიდან იწყება, რაც თავად ებრაელებში უკმაყოფილებას იწვევს. ეს განწყობა ისეთი ჩანს, რომ ებრაელებს აბიათარ მღვდლის ჩაქოლვაც კი უცდიათ [11. 95,102].

ებრაელებს შორის დაწყებული უთანხმოება იმაშიც გამოჩნდა, რომ, ქართლის გაქრისტიანების დროს, ზანავს დამკვიდრებული ებრაელების ერთმა ნაწილმა, კონკრეტულად კი ბარაბას შთამომავლებმა, ქრისტიანობა მიიღეს. მეფემ ისინი იმით დააჯილდოვა, რომ სამოსახლოდ გადასცა ციხედიდის ტერიტორია [13. 146-147; 11. 116-117].

ლეონტის თქმით, ციხედიდი დიდი მცხეთის უბანია [11. 17]. „მოქცევაი ქართლისაი“-ს მიხედვით კი, ელინისტურ ხანაში ციხედიდი სარკინეს ციხეს წარმოადგენდა [5. 332]. როგორც სარკინეზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადყო, სარკინე მოცემული პერიოდისთვის (გვიანანტიკურ ხანაში) უკვე დამწვარი და მიტოვებულია (სარკინეზე გათხრების დროს გამოვლენილი სატაძრო, სამჭედლო, სამოსახლო ნაგებობები ძვ.წ. II-I სს. ათარიღებს ქალაქ სარკინეს [1. 206-214; 8. 448-449]), ამიტომ ციხედიდი გვიანანტიკურ ხანაში მცხეთის დამოუკიდებელ უბანს უნდა წარმოადგენდეს. მეცნიერთა მოსაზრე-

ბით, სარკინის ციხედიდი დღევანდელი ციხედიდის ხევის შუა წელში აშენებული ციხე უნდა ყოფილიყო. ლ. ჭილაშვილის მოსაზრებით კი, თუ სარკინის ციხედიდი ხევის მარჯვენა მხარეს, დღევანდელი ბორას საყდრის მიდამოებში აშენებულ ციხეს უნდა გულისხმობდეს, გვიანანტიკური ხანის ციხედიდი, სადაც ებრაელები დასახლდნენ, უკვე უფრო დაბლა, დღევანდელი სოფ. ძეგვის მიდამოებში გაშლილი დაბა უნდა ყოფილიყო [21. 14,22; 4. 116; 20. 103-105]. გასული საუკუნის მეორე ნახევრის სხვადასხვა წელს ციხედიდის ხევიში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აქ გამოვლინდა გვიანბრინჯაო-ადრერეკინის ხანის, ძვ.წ. IV-III სს., ნელთალრიცხვათა მიჯნის და გვიანანტიკური ხანის სამარხები და გვიანანტიკური ხანის ნამოსახლარის ნაშთი. ხეობაში შემორჩენილია შუა საუკუნეების ნასოფლარიც [2. 49-53; 3. 76; 8. 586-587]. ამდენად, ეს ადგილი, გვიანბრინჯაო-ადრერეკინის ხანიდან მოყოლებული შუა საუკუნეების ჩათვლით, დასახლებულია, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო გვიანანტიკურ პერიოდში აქ რაიმე ეთნიკური ნიშნულების გაკეთება არ ხერხდება.

მიუხედავად იმისა, რომ, წერილობითი წყაროების მიხედვით, ებრაელთა დასახლება ქართლის სამეფოში წინაქრისტიანული ხანიდან იგულისხმება, უტყუარი დამადასტურებელი მასალა მხოლოდ ჩვ.წ IV საუკუნეებიდან ჩნდება, ძირითადად ეპიგრაფიკის სახით. მათგან მნიშვნელოვანია მცხეთის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი სტელები, ანუ საფლავის ქვები, რომლებზეც ებრაული წარწერებია გაკეთებული.

პირველი ებრაული წარწერა 1872 წელს აღმოჩნდა სამთავროს სამაროვანზე და წარმოადგენს საფლავის სტელას. მას ორი მხრიდან მცირე ზომის ქვები ჰქონდა შემონწყობილი, როგორც ჩანს, სტელის გასამაგრებლად. არამეული თაღმუდით შესრულებული წარწერა ფილაზე ღრმა ნიშაშია ამოკვეთილი. ის IV-V სს. თარიღდება და ასე იკითხება:

„ეს კუბო ძვირფასი და პატივცემული იეგუდასი,  
მეტსახელად გურკის.

იყავნ განსასვენებელი მისი კეთილმსახურთა თანა,  
მისი აღდგომა დაუკავშირდეს უბინო ცხოვრებას“  
[15. 241-256].

ერთი პიროვნების ორი სახელით მოხსენიება, როგორც აღნიშნულ წარწერაშია, ჩვეულებრივი მოვლენაა ებრაელებში: ბაბილონის ტყვეობიდან, მოყოლებული ებრაელებს ჩვეულებად ჰქონდათ საკუთარ სახელებთან ერთად ადგილობრივი სახელების დარქმევა. ამ შემთხვევაში ადგილობრივი სახელია გურკი – მგელი, ხოლო რელიგიური – იეგუდა. ამ პიროვნების სოციალურ სტატუსზე მსჯელობა რთულია. თუმცა, რადგან მას რელიგიური სახელი აქვს არჩეული, მეცნიერთა ვარაუდით ის რელიგიური მოღვაწეა [15. 241-256].

მეორე ებრაული წარწერა მცხეთაში, სამთავროს სამაროვანზე, 1938 წელს აღმოჩნდა. ქვასამარხის კედლების შესადგენად ორი, ებრაულ- და ბერძნულ- წარწერიანი ფილაქვები გამოუყენებიათ. ებრაულწარწერიანი ქვა ორი ნაწილისგან შედგება: ზედაპირის ზედა ნაწილზე მოცემულია ხონჩა, რომელზეც წარწერაა შესრულებული, ხოლო ქვედა ნაწილზე პური, თასი და სურაა გამოსახული. წარწერა ასე იკითხება:

„ეს საფლავი (არის) ოსებ  
ბარ ჰაზანისა (?) ხსენებულ (იყავნ იგი)  
ნეტარად; და აგრეთვე შალლუმ,  
ძმა მისი, ხსენებულ (იყავნ)  
მშვიდობით“ [19. 419-425].

მსგავსად წინა წარწერისა, აქაც დაკრძალულს ორი სახელი აქვს, ერთი ებრაული, მეორე – ადგილობრივი.

წარწერას IV საუკუნით ათარიღებენ [19. 419-425].

ორივე სამარხი ამ პერიოდის სხვა სამარხების იდენტურია. მაგალითად, მეორე სამარხზე გამოსახული პური თასი და სურა სხვა სამარხებზეცაა აღმოჩენილი. საფლავთა მსგავსება იმაზე მიუთითებს, რომ ებრაელთა საკრძალავი ტრადიცია ადგილობრივი ტრადიციის ნაწილია. რაც შეეხება სამარხების მფლობელთა სტატუსს, ისინი მაღალ ფენას უნდა მიეკუთვნებოდნენ,

რადგან ახ.წ-ის პირველ საუკუნეებში ქვასამარხები შეძლებულ იქნა ფენის სამარხებს წარმოადგენდნენ.

სწორედ ამ ეპიტაფიების აღმოჩენამ ერთგვარად დამადასტურებელი როლი შეიძინა მეცნიერთა ერთი ნაწილის მოსაზრებისთვის, რომლებიც ფიქრობენ, რომ სამთავროს სამაროვანი IV საუკუნიდან მაინც მცხეთის არაქრისტიანი მოსახლეობის, მათ შორის ებრაელთა სასაფლაოდ უნდა ყოფილიყო გამოყოფილი. ამ მოსაზრებას ამყარებენ იმითაც, რომ მთელი მცხეთის მასშტაბით მხოლოდ სამთავროს სამაროვანია, სადაც ახ.წ. II საუკუნიდან მიცვალებულთა უდიდესი უმრავლესობა დაკრძალულია თავით აღმოსავლეთით, მიუხედავად იმისა, რომელიმე გვერდზე არიან დასვენებული თუ ზურგზე გაშოტილნი. მსგავსი ნიუანსი თავს იჩენს ურბნისშიც, სადაც მიცვალებულები თავით სამხრეთითაც არიან დაკრძალულნი. მიცვალებულთა ასეთ დამხრობას მეცნიერთა ნაწილი ალთქმული მინისკენ მიმართულებად აღიქვამენ და ებრაულ ტრადიციას უკავშირებენ [6. 39-41; 7. 4-6].

ებრაელთა ყოფა-ცხოვრების შესახებ განსაკუთრებულ ინფორმაციას იძლევა მცხეთაში აღმოჩენილი სახლი, რომელიც აბრაამ სარას ძეს ეკუთვნოდა. სახლი V საუკუნით თარიღდება. ის ნაგებია ქვატეხილით და შემტკიცებულია თიხით. სახლის გადასახურად გამოყენებულია კრამიტი, იატაკად კი – თიხატკეპნილი.

არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადყო, რომ სახლი თავდაპირველად მცირე ზომისა ყოფილა – ერთი სენაკით და 22 კვ.მ ფართობის მქონე მარნით. შემდგომ მარანი გაუზრდიათ, რამაც მისი სამეურნეო ოთახად გადაქცევა გამოიწვია. როგორც ჩანს, სახლში, სულ მცირე, ორ თაობას უცხოვრია [9. 61-68].

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მცხეთაში აღმოჩენილი ახ.წ. I-V საუკუნეების ნამოსახლარები ძირითადად ერთოთახიანი სახლებისგან შედგებოდა. ოთახის ცენტრში ალიზის კერა იყო მოწყობილი, ზოგ შემთხვევაში კი სახლებს აივნის ტიპის გადახურული სივრცე ან სათავსო ჰქონდათ. ამ ფაქტორების გათვალისწინებით თუ ვიმსჯელებთ, აბრაამ სარას ძის

ორთახიანი, კრამიტით გადახურული სახლი უდავოდ პატრონის შექცეულობაზე მიუთითებს [9. 61-68].

აბრაამის სახლის სასტუმრო ოთახის ცენტრში, ისევე როგორც სხვა სახლებში, კერა იყო ნაგები, სამხრეთით კი ორმო იყო გაკეთებული, რომელიც სამშენებლო მასალის ნარჩენებით ამოვსოთ. ოთახს ორი კარი ჰქონდა: ერთი, სამხრეთის კედელში გაჭრილი, სახლში შესასვლელს ნარმოადგენდა, ხოლო მეორე, აღმოსავლეთი კედლის სამხრეთ ნაწილში – სამეურნეო ოთახში გასასვლელი იყო. ხის კარებს რკინის ანჯამები ჰქონდა.

სამეურნეო დანიშნულების სენაკი თითქმის კვადრატული ფორმისა იყო და მისი ფართობი 50.3 კვ.მ-ს აღწევდა. სენაკის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, კედლის გასწვრივ, თიხა ალიზით ნაშენი შემალღებული მოედანი ყოფილა. ცუდი დაცულობის გამო, მისი დანიშნულების დადგენა ვერ მოხერხდა. მისი იატაკისა და კედლების შელესილობა, როგორც ჩანს, ცეცხლის ძლიერ ზემოქმედებას განიცდიდა. აქ აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი და რამდენიმე ქვევრი. ქვევრების ნაწილი აბრაამის დროს ჩაუდგამთ. ქვევრების აღმოჩენა ებრაელის სახლში სულაც არაა შემთხვევითი და უცნაური, რადგან ებრაელებისთვის ღვინო ყოველთვის იყო და რჩება ბუნებრივ სასმელად. პასექობის დღესასწაულის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის, სედერის დროს, როცა ებრაელები ეგვიპტიდან გამოსვლას იხსენებენ, ყველა ებრაელმა აუცილებლად უნდა შესვას ოთხი ჭიქა ღვინო, როგორც ოთხი აღთქმის სიმბოლო.

სახლის მაცხოვრებელთა ყოფას ნივთიერი მასალაც ასახავს, რომელიც მოიცავდა როგორც თიხის ნაწარმს, ასევე ბრინჯაოს, რკინის, ძვლის ნივთებს. სამეურნეო და სამზარეულო დანიშნულების ჭურჭელში იყო მაღალყელიანი სურები და ხელადები, რომელთაც სამტუჩა პირი აქვთ, ასევე თევზები, სხვადასხვა ზომის ჯამები და ჭრაქები. მათ უმეტესობას შემოსდევს ნიბო და ყურები შემკული აქვთ კოპებით.

მცხეთის ეს სახლი იმავე ტექნიკითა და სტილითაა ნაგები, რა ტიპის საცხოვრებლებიც მცხეთაში იყო გავრცელებული. ასევე ტიპურია სახლში აღმოჩენილი თიხის ჭურჭელიც. ეს იმა-

ზე მიუთითებს, რომ ებრაელი წარმოშობის აბრაამი და მისი ოჯახი, მცხეთის სოციუმის, საზოგადოების, კულტურის ნაწილია. თუმცა ინარჩუნებს თავის რელიგიურ მრწამსს და ცხოვრების წესს. ამაზე მიუთითებს ერთი დეტალიც, საიდანაც სახლის მფლობელის ვინაობასაც ვიგებთ: სასტუმრო ოთახის საძირკველში ჩადგმული იყო პატარა დოქი, რომელშიც ჩაედოთ ოთხად გაკეცილი ოქროს თხელი ფურცელი. მასზე ამოკვეთილია 29-სტრიქონიანი შელოცვა, რომელიც ებრაულ ანბანის ასოთა სახელწოდებებით ბოლოვდება. ტექსტი გვამცობს, რომ ამულეტი ეკუთვნის აბრაამ სარას ძეს, ასევე მისი ოჯახის წევრებს. ტექსტი შელოცვაა, რომ პატრონი დაიცვას ავი თვალისგან. მსგავსი ამულეტები ებრაელების მიერ ხშირად გამოიყენებოდა ადრეულ შუა საუკუნეებში. უმეტესად მათ სახლის საძირკველში, ჭურჭელში ჩადებულს ათავსებდნენ და ამით სახლს იცავდნენ ბოროტი თვალისგან [19. 125-126].

ვინ იყო აბრაამი, საზოგადოების რომელი ფენის წარმომადგენელი? ამაზე კითხვას ერთგვარად პასუხობს სახლში აღმოჩენილი ბულები, რომლითაც დაბეჭდილი უნდა ყოფილიყო სპარსეთიდან იმპორტირებული საქონელი. ორივე ბულა სასახური საბეჭდავების ანაბეჭდია, მაგრამ მათგან ერთზე ქრისტიანული ჯვარიცაა მოცემული [16. 188-191]. ამ ბულების გათვალისწინებით, მეცნიერები სამართლიანად შენიშნავენ, რომ აბრაამ სარას ძე ვაჭართა ფენის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. მისი მატერიალური მდგომარეობა კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ, შესაძლოა, გარკვეული გავლენითაც ესარგებლა მცხეთის სოციუმში [15. 241-256].

მომდევნო პერიოდის არქეოლოგიური და ქართული წერილობითი წყაროები ებრაელთა ქართლში მოსახლეობის შესახებ უტყვიან.

ამდენად, ამ ეტაპისთვის, ისტორიული ცნობები და არქეოლოგიური მონაცემები ქართლის დედაქალაქ მცხეთაში ებრაელთა ცხოვრების შესახებ ერთმანეთს ემთხვევა მხოლოდ IV-V სს. მონაკვეთში და მონაცემებით აქ იგულისხმება როგორც იუდეველი ებრაელების, ისე ქრისტიანი ებრაელების ჯგუფი, რო-

მელთა ერთი ნაწილი საზოგადოების მაღალ ფენასაც ეკუთვნოდა და დიდი წვლილი შეჰქონდა ქართლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

## ლიტერატურა – REFERENCES

1. აფაქიძე ა., ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში., I, თბილისი, 1963.
2. აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ., მანჯგალაძე გ., ძნელაძე მ., სადრაძე ვ., დავლიანიძე რ., მცხეთა – 1982, მცხეთა X, თბილისი, 1995.
3. აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ., დავლიანიძე რ., ნარიშვილი გ., სადრაძე ვ., ირემაშვილი შ., ნონეშვილი ა., ხეცურიანი ლ., გავაშელი ე., მცხეთის ექსპედიცია. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1990-1992 წლებში (მოკლე ანგარიშები), თბილისი, 2004.
4. ბერძენიშვილი ნ., გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბილისი, 1966.
5. ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის საკითხები VIII, თბილისი, 1975.
6. ბიბილური თ., ქრისტიანობის შემოსვლა-გავრცელება ქართლის (იბერიის) სამეფოში და დიდი მცხეთის ებრაული თემი. ქრისტიანული ცივილიზაცია და საქართველო, კონფერენცია, მიძღვნილი ადრექრისტიანული არქეოლოგიის პირველი მსოფლიო კონგრესის ასი წლისთავისადმი. მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბილისი, 1994.
7. გაგოშიძე ი., მგალობლიშვილი თ., ებრაული დიასპორა და ადრეული ქრისტიანობა საქართველოში. ქრისტიანული ცივილიზაცია და საქართველო. კონფერენცია, მიძღვნილი ადრექრისტიანული არქეოლოგიის პირველი მსოფლიო კონგრესის ასი წლისთავისადმი. მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბილისი, 1994.

8. გამყრელიძე გ., ბრაგვაძე ზ., მინდორაშვილი დ., კვაჭაძე მ., ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 2013.
9. დიღმელაშვილი ქ., V ს. სახლი მცხეთიდან, იბერია-კოლხეთი, საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიური ცენტრის სამეცნიერო ჟურნალი, №11, 2015, გვ. 62-68.
10. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, IV, თბილისი, 1973,
11. ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა. „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბილისი, 1955.
12. მატიანე ქართლისაი, „ქართლის ცხოვრება“, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბილისი, 1955.
13. „მოქცევაი ქართლისაი“, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბილისი, 1963.
14. ნიკოლაიშვილი ვ., კარსნისხევის მეთუნე-ხელოსანთა დასახლება, თბილისი, 1993.
15. ნიკოლაიშვილი ვ., ქართლის (იბერიის) სამეფოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ებრაული წარწერები (ისტორიულ-არქეოლოგიური ნარკვევი), საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმის შრომები, VI, თბილისი, 2010.
16. რამიშვილი ქ., ორი ბულა სვეტიცხოვლის უბნიდან, ძიებანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის კვლევის ცენტრის ჟურნალი, 15-16, 2005.
17. სიხარულიძე ა., აბუთიძე ვ., მოგვთაკარის სამაროვანი, კატალოგი, მცხეთა, VII. თბილისი, 1985, გვ. 109-131.
18. წერეთელი კ., მცხეთის არამეული ამულეტი, მცხეთა, XI, თბილისი, 1996.



19. წერეთელი კ., მცხეთის ახლად აღმოჩენილი ებრაული წარწერა, ენიშკის მოამბე, V-VI, თბილისი, 1940.
20. ჭილაშვილი ლ., ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, I, თბილისი, 1968.
21. Гагошидзе И., Самадло (археологические раскопки), Тбилиси, 1979.

### **Ketevan Digmelashvili**

#### **The Issue of Jewish Settling in the Old capital of Kartli according to Historical and Archaeological Sources**

##### **Summary**

The paper deals with the issue of Jewish settling in Mtskheta, in the old capital of Kartli. It reviews the Georgian written sources concerning to Jewish entering and settling in Mtskheta. These facts are approved or rejected by archaeological materials of Mtskheta.

According to Georgian written sources, Jewish people started arriving in Mtskheta in VI c. BC, and it happened several times. According to these sources, Jewish people were lived in Zanavai - (one of the districts of Great Mtskheta), today's Saguramo, Tsikhedidiskhevi, Mogvtakari, Karsani and Inner Mtskheta.


But archaeological materials prove that Jewish people start living in Mtskheta only from IV century AD and it concerns only the inner part of Mtskheta.

At Samtavro cemetery (in Mtskheta) were discovered epitaphs with Jewish inscriptions, also golden plates with Jewish letterings – found in the foundation of the house, dated to V c. AD.

So, on this stage of research the data of archaeological materials and Georgian written sources regarding the habitation of Jewish people in Mtskheta coincide, but only in IV-V cc. AD. By means of these facts we can assume that both Judaic and Christian Jewish groups lived here, and that some of them belonged to the nobles and they made a great contribution to the kingdom of Kartli.







სურ. 1

თამარ მეფის ხელრთვა (ვაქსიმილე)

რაც შეეხება უშუალოდ ჩვენ მიერ განხილულ მონეტებს, ისინი ახლახან იქნა შემთხვევით აღმოჩენილი შიდა ქართლის ერთ-ერთ სოფელში, სამეურნეო სამუშაოების დროს. ეს იყო მცირე განძი, რომელიც შედგებოდა 6 მძიმეწონიანი მონეტისგან, აქედან სამი იყო ორმაგი, ხოლო ერთი ოთხმაგი. ამ მონეტებიდან ორი ეგზემპლარი საკმაოდ მნიშვნელოვანი და ახალი ინფორმაციის მატარებელია. მას დაწვრილებით განვიხილავთ.

ეგზემპლარი №1

AE.


აღმოჩენილია შიდა ქართლში. წონა – 60 გრ.



სურ. 2

თამარ მეფის სახელით მოჭრილი მძიმეწონიანი მონეტა, რომელზეც ჩანს ოთხი სიქის კვალი და ასევე ექვსი სახელმწიფო

დამლა. სიქები სტანდარტულია და აბსოლუტურად შეესაბამება ზემოთ მოცემულ აღწერილობას. აღნიშნულ საფასეში საინტერესოა დამლების რაოდენობა. მონეტა, რომელზეც ამდენი სახელმწიფო დამლა არის დატანილი, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, პირველად აღმოჩნდა. აქედან ოთხი დამლა არის ასომთავრული **Ճ** დონი, რომელიც თამარის პერიოდიდან გამოიყენება [1. 83-84], ხოლო მეორე კი, რუსუდანის პერიოდისთვის დამახასიათებელი დამლა. ეს მონეტა საინტერესოა იმიტაც, რომ მასზე შეიმჩნევა ჩემ მიერ ზემოთ ნახსენები ფულის დახურდავების თავისებური ნესი. მეოთხე სიქის ნაწილი არის ჩამოჭრილი, რაც უშუალოდ აღნიშნულ ფაქტზე მიუთითებს. შესაძლებელია გამოითქვას ვარაუდი, რომ მონეტაზე ოთხზე მეტი სიქაც ყოფილიყო დარტყმული, ხოლო შემდგომ კი დახურდავებული.



**Ճ** დამლა      რუსუდანის პერიოდის დამლა

### სურ. 3

ექვსი დამლიდან ოთხი **Ճ** დამლაა, ხოლო ორი რუსუდანისაა, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ აღნიშნული განძი რუსუდანის მმართველობის პერიოდში უნდა დაფლულიყო.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მეორე ეგზემპლარი, რომელიც ლაშა-გიორგის ორმაგ მონეტას წარმოადგეს და მის სრულიად ახალ, უცნობ სახესხვაობას ასახავს.

ეგზემპლარი №2

AE.

აღმოჩენილია შიდა ქართლში, წონა – 44 გრამი



სურ. 4

ლაშა-გიორგის სტანდარტულ მონეტას, ისევე, როგორც თამარის მონეტას, უნდა გააჩნდეს ექვსი კვანძი. ჩვენი მონეტა აბსოლუტურად განსხვავებული და უნიკალურია, მას გააჩნია ექვსის მაგივრად ხუთი კვანძი და შედარებით მსხვილი და განსხვავებული სიქა (განსხვავება შეიმჩნევა კალიგრაფიაშიც), რაც სრულიად ახალ სტანდარტზე მიანიშნებს.



სურ. 5

კვანძების სტანდარტული რაოდენობა  
ლაშა-გიორგის სტანდარტული, უნესოდ მოჭრილი მონეტის  
აღწერილობა შემდეგნაირია:

AE.

შუბლი: ორნამენტული ჩარჩოს ცენტრში მოთავსებული ასომთავრული ზედწერილი: **ღუძუ/ცშასუ** გიორგი ძე თამარისი.  
ჩარჩოს ირგვლივ ასომთავრული ზედწერილი: **ქსეუზუცნიც-  
უჩისუზუჩეზსსსუჩსუ** სახელითა ღვთისაითა იქნა ქედაი ვერცხლისი ამის ქორონიკონსა **430 (1210წ.)**

ზურგი: ოთხსტრიქონიანი ლეგენდა

الملك الملوك	მეფეთა მეფე
جلال الدنيا والدين	დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა
كيوركى بن تمار	გიორგი ძე თამარისი
حسام المسيح	მესიის მახვილი

ირგვლივ რკალი და შემდეგი ზედწერილი: **چهار ی ص یوس سا**  
**بنام خدای پاک این سیمرا زده اند بتاریخ**

უნმინდესი ღმერთის სახელით იქედა ეს ვერცხლი 430 წელს.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, აღნიშნული მცირე განძი მნიშვნელოვანია იმით, რომ იგი შეიცავდა მძიმეწონიან ორმაგ და ოთხმაგ მონეტებს, რომელთაგან ორი აქამდე უცნობი სახესხვაობებით და დამლით იყო მოჭრილი.

## **ლიტერატურა – REFERENCES**

1. კაპანაძე დ., ქართული ნუმისმატიკა, თბილისი, 1969.

**Evgeni Tchanishvili**

**The New Coins of Queen Tamar and  
George IV from Qsovrisi Village**

**Summary**

After the financial reform of king David the Builder, started a new period in the history of Georgian numismatics called “Silver Crisis”. During this period the Georgian Kingdom was minting only copper , the so-called “regular” and “irregular”, coins.

The best examples of this reform were found in Shida Qartli village Qsovrisi during Agricultural Works. The small treasure that contained 6 heavy coins, two of them have new information and a very important variety. The first example is a very heavy coin of Queen Tamar (picture 2) with 6 countermarks and the second is a coin of George IV (picture 4) with new unique mint.



## ნიკო მარი და არქეოლოგია

პეტერბურგში, ალექსანდრე ნეველის ლავრის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, მდინარე მონასტირკას სანაპიროსთან განისვენებს დიდი ქართველი მეცნიერი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი ნიკო მარი. მის ეულ, სადა სტელა-ობელისკზე ასეთი წარწერაა: აკადემიკოსი ნ. მარი. არქეოლოგი. ამავე სიტყვებით იწყება პეტერბურგში გამოცემული ორტომიანი ენციკლოპედიის – „XX საუკუნის კულტუროლოგია“ მისდამი მიძღვნილი წერილი „ფილოლოგი და არქეოლოგი“. არ შეიძლება არ გავიხსენოთ ექვთიმე თაყაიშვილისეული შეფასება – „ნ. მარი გახლავთ პირველი პროფესიონალი ქართველი არქეოლოგი“. ჭეშმარიტად, ასეთი ფართო პროფილის მოღვაწე-მეცნიერი, წმინდა ექვთიმეს სიტყვებით: „სხვა ნ. მარი ძნელად თუ ელირსება ჩვენ ერს“ [1. 2].

ნ. მარის დაინტერესება საქართველოს არქეოლოგიური წარსულითა და ისტორიით დაიწყო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის პერიოდში . ამ დროს, უფრო ზუსტად 1880 წელს, გიმნაზიის რექტორად დაინიშნა ალექსანდრე იურის ძე სტოიანოვი. ე. თაყაიშვილის შეფასებით, „დიდი და მრავალმხრივ განათლებული კაცი, კარგი ისტორიკოსი, ეთნოგრაფი“, ტომით ბულგარელი. გიმნაზიაში ის ისტორიას ასწავლიდა. როგორც თავად ნ. მარი აღნიშნავდა თავის ავტობიოგრაფიაში, სწორედ ამ პედაგოგს მოუხდენია დიდი გავლენა მის, როგორც მომავალი მკვლევრის, მეცნიერის ფორმირებაზე. დიდად ზრუნავდა იმაზე, რომ გიმნაზისტებს მონაწილეობა მიეღოთ ბაგრატიის ტაძრის არქეოლოგიურ გათხრებში; მოახერხა, რომ აკრძალვინა ადგილობრივ ხელმძღვანელობას ბაგრატის ნანგრევებიდან სამშენებლო ქვების გატანა. გიმნაზისტები უქმე დღეებში არჩევდნენ ორნამენტიან და წარწერიან ქვათლილებს, ალაგებდნენ სპეციალურად შერჩეულ ადგილებში მათი შემდგომი დაცვის მიზნით.

ის იყო კავკასიის გეოგრაფიული საზოგადოების და კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების წევრი, არაერთხელ იმოგზაურა სვანეთში; მონაწილეობა მიიღო რუსეთის V არქეოლოგიური ყრილობის მუშაობაში. 1881 წლის 22 სექტემბერს უმასპინძლა ყრილობის დელეგატებს, ჩაუტარა ექსკურსიები ბაგრატსა და გელათზე. როგორც ცნობილია, აღნიშნულმა არქეოლოგიურმა ყრილობამ უდიდესი როლი ითამაშა ქართული ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებაში. ამ მოვლენების შუაგულში ტრიალებდა ნ. მარი.

1889 წელს ა. სტოიანოვმა გათში ჩაატარა პირველი არქეოლოგიური გათხრები, რომელიც, ნ. მარის რჩევით, ე. თაყაიშვილმა გააგრძელა 1896 წელს. ნ. მარის ცნობილი ბიოგრაფი, ქალბატონი ვ.ა. მიხანკოვა გვამცნობს, რომ მარს 1885-1889 წლებში მიწერ-მონერა ჰქონდა ა. ი. სტოიანოვთან [7.7]; არ გაუწყვეტია კავშირი არც თავის “ქართველ ამხანაგ გიმნაზისტებთან [7. 33].

ა. სტოიანოვი ყოველმხრივ უწყობდა ხელს ნიჭიერ ახალგაზრდებს, მათ შორის გახლდათ ნ. მარი. ის თვლიდა, რომ, რა ხან გიმნაზისტების დიდი ნაწილი ქართველები იყვნენ, მათ ქართული ენის მეშვეობით უნდა აეთვისებინათ სხვა, კლასიკური თუ რუსული და უცხო ენები. საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში (საქმე 1176, 22, ფონდი 107) შემოინახა ა. სტოიანოვის ერთი ცნობა, რომლის თანახმადაც აღნიშნულ პერიოდში ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში სხვადასხვა კლასში 1278 გიმნაზისტს უსწავლია, მათგან კი მხოლოდ 265-ს დაუმთავრებია სრული კურსი. მათ შორის გახლდათ ნ. მარი, რომელმაც ოქროს მედალზე დაამთავრა აღნიშნული სასწავლებელი. მისი გამოსაშვები წერიტი სადიპლომო გამოცდა კი მიეძღვნა კომპლექსურ კულტუროლოგიურ პრობლემას „შრომის როლის შესახებ ადამიანის ცხოვრებაში“, სადაც ალბათ პრეისტორიული ხანის არქეოლოგიური მასალებიც იქნებოდა გათვალისწინებული.

ნ. მარი 1884წ. უკონკურსოდ, როგორც კავკასიის სასწავლო ოლქის სტიპენდიანტი, ირიცხება პეტერბურგის უნივერსი-

ტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტზე. იგი ესწრებოდა ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე მოღვაწე ცნობილი პროფესორების – ა. სმირნოვის, ბ.ა ტურაევის, ბ. ფარმაგოვსკის, ფ. ზელინსკისა და სხვათა ლექციებს არქეოლოგიაში. ამ დროს ე. თაყაიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის II კურსზე სწავლობდა და გვერდში ედგა ნ. მარს, თავის სიყრმის მეგობარს. შემდგომ ის იგონებს: „სამეცნიერო მუშაობა დავიწყე ნიკო მარის ჩაგონებით“ [2. 85].

როგორც აღნიშნავენ ნიკო მარის ბიოგრაფები, „უნივერსიტეტში მან მიზნად დაისახა ქართული ერის სულიერი და მატერიალური კულტურის სიღრმისეულ, მეცნიერულ დონეზე შესწავლა“ [5. 14].

მისი სადიპლომო ნაშრომი იყო „ისტორიულ-ლიტერატურული მიმოხილვა ქართული მოთხრობებისა XII-XIII სს“. 1898 წელს ნ. მარმა დაამთავრა პეტერბურგის „აღმოსავლეთმცოდნეობის“ ფაკულტეტი ვერცხლის მედლით და დატოვებულ იქნა საპროფესოროდ მოსამზადებლად სომხურ-ქართული სიტყვიერების განყოფილებაზე. ამ დროს ის უკვე გახლდათ მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების პეტერბურგის განყოფილების აქტიური წევრი, ჯერ მისი წევრ-კორესპონდენტი და მერე ნამდვილი წევრი. 1901 წლიდან პრივატ-დოცენტად არჩევის შემდგომ კი იწყებს ლექციების კითხვას თავის Alma Mater-ში.

პირველი არქეოლოგიური ექსპედიცია მან თბილისის გუბერნიის, ბორჩალოს მაზრაში დაიწყო მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების დავალებით და სახსრებით. 1893 წელს კი ისტორიულ ქვემო ქართლში ქცია-ხრამის შენაკადის დებედის ხეობაში და ახტალა-ალავერდის მიდამოებში დაიწყო (დღეს სომხეთის რესპუბლიკის, ალავერდის რაიონის სოფ. ვორნაკ-აკნერის შემოგარენი), სადაც შეისწავლა ბრინჯაოს ხანის რამდენიმე სამარხი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ჩვენი არქეოლოგიის ისტორიისათვის მეტად ღირსშესანიშნავი ფაქტი. 1894წ. ნ. მარმა ვორნაკში გათხრების გაგრძელება სთხოვა ე.თაყაიშ-

ვილს, რის თაობაზეც შესაბამისი სარეკომენდაციო ბარათით მიმართა რუსეთის საიმპერატორო საისტორიო არქეოლოგიური კომისიის თავმჯდომარე ბობრინსკის. თავის მხრივ, ის საქმიან წერილს უგზავნის ე. თაყაიშვილს, სადაც ნათქვამია: „რაკი ნიკო მარმა განაცხადა, რომ თქვენ ქართული ძეგლების შესწავლაზე მუშაობთ, მოვალეობად მიმაჩნია გთხოვოთ, თუ ინებებთ, თბილისის გუბერნიაში თხაროთ“ [3. 37].

„ღია ფურცელთან“ ერთად არქეოლოგიურმა კომისიამ 200 მანეთიც გამოყო გათხრების გასაგრძელებლად. ჩვენთვის მთავარია, რომ ნიკო მარმა საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების შესწავლა საიმედო კაცსა და მეცნიერ ე. თაყაიშვილს ჩააბარა, თავად კი სომხეთში, კერძოდ, ანის ნაქალაქარზე გადაინაცვლა. 1899-1917 წლებში ის ხელმძღვანელობდა რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიურ საზოგადოებას. 1892 წელს, ზაფხულში, რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიის დაფინანსებით (სადაც 1919 წლამდე წამყვანი პოზიციები ეკავა), დაიწყო სისტემატური არქეოლოგიური გათხრები სომხეთის ძველი (X-XIII სს.) დედაქალაქ ანისისა, რომელიც საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა XI-XIII სს-ში, სანამ მონღოლებმა არ გაანადგურეს XIII ს-ში, 1239წ. საბოლოოდ, ის 1319 წლის ძლიერმა მიწისძვრამ იმსხვერპლა. ის გიუმრიდან (ყოფილი ლენინაკანი) 40 კმ-ის დაშორებით თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. მან აქ 16 არქეოლოგიური კამპანია ჩაატარა, გამოსცა გათხრების ანგარიშების ე.წ. „ანისის სერია“ და ანისის სიძველეების რამდენიმე ტომი. მოგვიანებით, 1934წ. გამოიცა მისი მონოგრაფია, ანისი [6], რომელიც გარდაცვლილ 18 წლის პირმშოს, იური მარს მიუძღვნა, რომელიც ანის გათხრების მონაწილე გახლდათ. შემონახულია წერილი, რომელიც ანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელს, აკად. ნ. მარს გაუგზავნია თ.ა. ორბელისათვის, სადაც მ. მკაცრად მოითხოვს არქეოლოგიური გათხრების პროცესის ყოველდღიურ რეგულარულ წარმოებას, გათხრების დაწყებას კარიბჭიდან, რელიეფის დახრის გათვალისწინებით. ნიშანდობლივია, რომ ანისის გათხრებში მონაწილეობდნენ გ.

ჩუბინაშვილი და ი. ყიფშიძე, რომლებმაც თავიანთი უბნების არქეოლოგიური გათხრების ანგარიშებიც გამოაქვეყნეს.

ანისის სტუმრობდნენ ივ. ჯავახიშვილი და ა. შანიძე, რომლებსაც ნ. მარის ბიბლიოგრაფები ნ. მარის „ოფიციალურ მონაფეხად“ მიიჩნევენ. დიდია მის დამსახურება ურარტული ძეგლების, მაშინდელი ტერმინოლოგიით, “ქალდეური წარწერების“ აღმოჩენა-შეგროვება-შესწავლაში. მანვე ჩაუყარა საფუძველი გარნის გათხრებს; დააარსა ანისის არქეოლოგიური ინსტიტუტე და ანისის მუზეუმი. პირველი მსოფლიო ომის ორომტრიალში მუზეუმი მთლიანად განადგურდა. რომ არა ნ. მარისა და მისი მონაფეხების პუბლიკაციები, ცივილიზებულ სამყაროს სამუდამოდ დაეკარგებოდა უძვირფასესი არტეფაქტები, მათ შორის ანისის კათედრალის ქართული და სომხური წარწერები. მათი მნიშვნელობა და ნ. მარის მოღვაწეობა ასეთნაირად შეაფასა კოლეგამ პეტერბურგის უნივერსიტეტიდან, გამოჩენილმა რუსმა ანტიკოსმა, არქეოლოგმა, აკად. ს.ა. ყებელევმა თავის მონოგრაფიაში „არქეოლოგიური ცოდნის ისტორია“, რომელიც პეტროგრადში გამოვიდა 1923წ. აღნიშნა: „ნ. მარი ყოველთვის ახერხებდა ეპოვა სახსრები გათხრებისათვის და მოეზიდა შესაბამისი თანამდგომები – მოადგილეები. გათხრები არაა დასრულებული, მაგრამ შედეგები სცილდება ადგილობრივ სომხურ სამეცნიერო ინტერესებს. ანისის სიძველეები მნიშვნელოვანია მთელი წინა აზიის კულტურის ისტორიისათვის და მთელი აღმოსავლეთ ქრისტიანობის ისტორიისათვის“.

აკად. ნ. მარის არქეოლოგიური მოღვაწეობის სრული ანალიზი მოცემული აქვს მის მონავეს, აკად. იოსებ აბგარის ძე ორბელს სპეციალურ ნაშრომში, რომელიც 1935 წელს დაიბეჭდა ნ. მარისვე დაარსებულ პერიოდულ ორგანოში «Проблемы истории докапиталистических обществ» [М-И, 1935, №3-4] სათაურით „ნ. მარი – როგორც არქეოლოგი“. ის აღნიშნავს, რომ ნ. მარის ძირითადი პრინციპი არქეოლოგიაში იყო მატერიალური კულტურის ძეგლებისა და წერილობითი წყაროების ერთობლივ კონტექსტში განხილვის აუცილებლობა ისტორიულ-

ლინგვისტურ და სხვა მონაცემების შუქზე. ის იყო ჭეშმარიტი ისტორიკოს-სინთეზატორი“.

განსაკუთრებით ნათლად აღნიშნული გარემოება აისახა მას შემდეგ, რაც მან იერუსალიმში მიაკვლია მანამდე დაკარგულად მიჩნეულ X ს-ის უძვირფასეს, გიორგი მერჩულის მიერ შექმნილ ქართული ჰაგიოგრაფიის შედეგს: „ცხოვრება წმინდა გიორგი ხანძელისა“. ეს ბრწყინვალე ძეგლი მან 1912 წელს გამოსცა რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის ტიპოგრაფიაში, თანაც დაურთო დღიური მისი შავშეთ-კლარკეთში მოგზაურობისა 65 სურათით. ნ. მარმა სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა მანამდე სრულიად უცნობი ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები, მათ შორის ქართული ეპიგრაფიკული მასალები. მას აინტერესებდა გრიგოლ ხანძთელის ის არქეოლოგიური კულტურული ისტორიული რეალური გარემო, რომლის წიაღში იშვა გიორგი მერჩულეს შესანიშნავი ნაშრომი, რომელმაც ცხადყო „ქართული ცოცხალი მეტყველების სიძველე“. მისივე სიტყვებით შეგვეძლო დაგვემთავრებინა აკად. ნ. მარის არქეოლოგიური მოღვაწეობის აღწერა, მაგრამ საჭიროდ მივიჩნიეთ დაგვეფიქსირებინა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. ის გახლდათ თბილისში, 1919 წელს, რუსეთის აკადემიის კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის დამაარსებელი და მისი პირველი დირექტორი. ნ. მარი 1918-1934 წლებში სათავეში ედგა მის მიერვე დაფუძნებულ მატერიალური კულტურის ისტორიის ინსტიტუტს, რომლის პირდაპირი უშუალო მემკვიდრეა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური ინსტიტუტი. უსამართლოდ არის დავიწყებული რუსეთში მისი ღვაწლი არქეოლოგიაში, არაფერი რომ არ ვთქვათ საქართველოზე\*.

---

\* წარმოდგენილი ნარკვევი წაკითხული იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, საიუბილეო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა აკად. ნ. მარის დაბადების 150 წლისთავს, 2015 წლის 23 ოქტომბერს.

## ლიტერატურა – REFERENCES

1. აკად. ნ. მარის სამეცნიერო მოღვაწეობა და ღვაწლი, კრ. დაბრუნება, ტ. I, „მეცნიერება“, თბილისი, 1991.
2. თაყაიშვილი ე., რჩეული ნაშრომები, ტ. I, თბილისი, 1968.
3. ლომთათიძე გ., ექვთიმე თაყაიშვილი, თბილისი, 2011.
4. მეგრელიძე ი., ექვთიმე თაყაიშვილი, ცხოვრება და მოღვაწეობა, თბილისი, „მეცნიერება“, 1980.
5. ჯაფარიძე შ., აკადემიკოსი ნიკო მარი, წიგნო-ნიკო მარის მოგზაურობა ჯავახეთსა და კლარჯეთში, ბათუმის დამოუკიდებელი ჰუმანიტარული ინსტიტუტი, თბილისი, 1996.
6. Книжная история города и раскопки на месте городища, Москва-Ленинград, 1934.

### Guram Lortkipanidze

### Niko Marr and Archaeology

#### Summary

The work addresses the role of the renowned Georgian scholar, Vice President of the Academy of Sciences of the Soviet Union in archaeological studies. He was the founder and the first director of the Historical-Archaeological Institute of the Caucasus of the Russian Academy in Tbilisi in 1919. In 1918-1934 he headed the Institute of Material-Cultural History founded by himself ... The main principle of N. Marr in Archaeology was the necessity to consider monuments of material culture and written sources within the joint context in the light of historico-linguistic and other data. He brought into scientific circulation a considerable number of Georgian monuments of material culture, the life of the “Saint Giorgi Khandteli” among them ...

**იერუსალიმი 1949 წლის  
ისრაელ-ეგვიპტის ხელშეკრულებაში**

ისრაელის სახელმწიფოს შექმნისა და ისრაელ-არაბეთის I ომის შემდეგ გამწვავებულ პოლიტიკურ სიტუაციაში, გაეროს ძალისხმევით, 1949 წლის თებერვალში საბერძნეთის კუნძულ როდოსზე ისრაელისა და არაბულ სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკებები დაიწყო. ეს, გაეროს გენერალური ასამბლეის 1948 წლის 14 მაისის 186 (მ-2) რეზოლუციის თანახმად, პალესტინაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველი შუამავლის, შვედი დიპლომატის, ფ. ბერნადოტის დამსახურებაც იყო, რომელსაც მიაჩნდა, რომ იერუსალიმი გაეროს კონტროლქვეშ უნდა გადასულიყო. მაგრამ 1948 წლის სექტემბერში ბერნადოტის სიკვდილის შემდეგ, გაეროს შუამავლის მოვალეობის შემსრულებლად ამერიკელი რაღფ ბანჩი დაინიშნა, რომლის მონაწილეობითაც ხელი მოეწერა ე.წ. საერთო შეთანხმებას ისრაელსა და გაერთიანებულ მეზობელ არაბულ სახელმწიფოებს შორის. აშშ-ის, თურქეთისა და საფრანგეთის წამომადგენელთა შემადგენლობით შეიქმნა მომრიგებელი კომისია. ამიტომ მისი საქმიანობა მნიშვნელოვნად ექვემდებარებოდა დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკას, რომელიც პალესტინის გაყოფის შესახებ გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციას აბრკოლებდა. გენერალურმა ასამბლემ არაერთხელ აღნიშნა ამ კომისიის უუნარობა პროგრესისა და გაეროს გენერალური ასამბლეის 194 (III) რეზოლუციის შესრულებაში. ეს რეზოლუცია გენერალურმა ასამბლემ 1948 წლის დეკემბერს მიიღო და ის იერუსალიმის ინტერნაციონალიზაციის პრინციპულობას ადასტურებდა, აგრეთვე ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის გრძელვადიან მოლაპარაკებებს ითვალისწინებდა, მაგრამ ისრაელი არ ცნობდა ამ რეზოლუციას და უარს ამბობდა მის მიღებაზე, თუ არაბული ქვეყნები მოახდენდნენ ისრაელის იგნორირებას. ისრაელი ცდილობდა გაე-



როს რეზოლუციის იგნორირებას, რათა თავის იურისდიქციაში მოექცია პალესტინის ის ნაწილი, რომელიც ოკუპირებული იყო. ჯერ კიდევ 1948 წლის სექტემბერში „ახალ იერუსალიმში“ ისრაელის უმაღლესი სასამართლო შეიქმნა, ხოლო 1949 წლის თებერვალში ქნესეთის სხდომაზე პრეზიდენტმა ფიცი დადო.

პრინციპული საკითხები გადაწყდა არა კუნძულ როდოსზე გამართულ ოფიციალურ შეხვედრებზე, არამედ ჯერ კიდევ 1948 წლის ბოლოს იორდანის მეფე აბდალაჰსა და ისრაელის წარმომადგენლებს შორის ქალაქ აშ-შუნში დაწყებული მოლაპარაკებების დროს, სადაც ხელშეკრულების დადებამდე ომის დროს ერაყის მიერ დაკავებული ტერიტორიის ბედზე შეთანხმდნენ. ოფიციალურად დაიდო დროებითი ხელშეკრულებები, რომლებსაც „დაზავების შესახებ საერთო შეთანხმება“ უწოდეს. ეს ხელშეკრულებები პალესტინაში „საბოლოო პოლიტიკური შეთანხმების“ მიღწევამდე მშვიდობის შენარჩუნებას ითვალისწინებდა. სამშვიდობო მოლაპარაკებები 1948 წლის თებერვლიდან ივლისამდე მიმდინარეობდა. პირველი არაბული ქვეყანა, რომელმაც ზავის შესახებ მოლაპარაკებას მოანერა ხელი, ეგვიპტე იყო. ისრაელ-ეგვიპტის შეთანხმება ოფიციალურად 24 თებერვალს გაფორმდა.

არაბულ ქვეყნებთან მიღწეული შეთანხმებების შედეგად, ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის დემილიტარიზებული ზონა შეიქმნა. გაეროს კომისიას ამ შეთანხმების მიღწევასა და მათ შემდგომ შესრულებაზე მეთვალყურეობა ევალებოდა. ყველა ხელშეკრულების პირველ პუნქტში იყო მითითებული:

1 პალესტინის საკითხის უშიშროების საბჭოს შეიარაღებული ძალების მეშვეობით გადაწყვეტის აუცილებლობა.

2 ამა თუ იმ ქვეყნის შეიარაღებული ძალები. არ უნდა მომზადებულიყვნენ და არ უნდა ეწარმოებინათ აგრესიული ქმედებები და საფრთხე არ უნდა შეექმნათ სხვა ქვეყნის მოსახლეობისა და შეიარაღებული ძალებისთვის.

3 მონინაალმდევე ქვეყნის თავდასხმის მოლოდინში ამა თუ იმ ქვეყანას უფლება ჰქონდა თავდაცვისთვის მომზადებულიყო.

4 პალესტინაში შეთანხმების მიღწევა ორივე მხარის შეიარაღებული ძალებისათვის უნდა ყოფილიყო აუცილებელი.

ისრაელ-ეგვიპტის ხელშეკრულების მე-4 პუნქტში მითითებული იყო, რომ მოცემულ აქტებს პალესტინაში მუდმივი მშვიდობის მიღწევის საკითხი უნდა გადაეწყვიტა. განსაკუთრებით საყურადღებო იყო ამ ხელშეკრულების მე-5 პუნქტი: „სადემარკაციო ხაზი“ არცერთ შემთხვევაში არ უნდა განხილულიყო როგორც პოლიტიკურ, ისე იმ ტერიტორიულ საზღვრად... პალესტინის საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე, ლაზის სექტორი 1949 წლის ზავით ეგვიპტეს გადაეცა.

ხელშეკრულებაში მითითებული იყო მისი მოქმედების ვადა. ნათქვამი იყო, რომ ეს აქტი ძალაში რჩებოდა საკითხის საბოლოო მშვიდობიან გადაწყვეტამდე, თუმცა მხარეებს მისი გადასინჯვა შეეძლოთ. ერთი წლის გასვლის შემდეგ, ნებისმიერ მხარეს შეეძლო გაეროს მდივნისთვის ამ საკითხზე მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეების წარმომადგენელთა კონკურენტის მოწვევის მოთხოვნით მიემართა. უარყოფითი პასუხების შემთხვევაში დავა გაეროს უშიშროების საბჭოში უნდა განხილულიყო.

ისრაელს თავისი განზრახვა ჰქონდა იერუსალიმის მიმართ, რომელიც გაეროს მსჯელობის მთავარი თემა იყო. ისრაელის დელეგაციის მოთხოვნით ისრაელი ვალდებულია: გენერალურ ასამბლეას იერუსალიმის მომავალი იურიდიული სტატუსის დადგენა შესთავაზოს. რაც წმინდა ადგილებისადმი პატივისცემასა და ისრაელის მთავრობის მისწრაფებას შორის არსებულ სხვაობას დაგვანახებს იმ მიზეზით, რომ იერუსალიმი იქნება სუვერენიტეტის მქონე ქალაქი, ხოლო ისრაელი რეზოლუციების 181 (II) და 194 (III) სისრულეში მოყვანის გარანტი.

ამ ხელშეკრულების მიღებამ შეიარაღებული კონფლიქტი ვერ შეაჩერა. ისრაელმა შეთანხმება დაარღვია. იმავე წლის 10 მარტს ეგვიპტის კუთვნილი ბირკატარის რაიონის ოკუპაციით არაბული ქვეყნებისთვის 1948 წელს მიკუთვნილებული ტერიტორიის ანექსია მოახდინა. არაბულ ტერიტორიაზე ამ თავდასხმის შემდეგ კონფლიქტმა „მუდმივი აგრესიის“ სახე მიიღო.

## ლიტერატურა – REFERENCES

1. Коллинз Л., Лапьер Д. О., Иерусалим, Israel, 1979.
2. Горин А.З., Египет нашего времени, Москва, 1998.
3. Палестинская проблема, Документы ООН, международных организаций и конференций Москва, 1984.
4. George Joffe, Jordan in Transition, London, 2002.
5. Facts about Israel, edited by Ellen Hirsch, Jerusalem, 1996.

**Inga Zabakhidze**

### **Jerusalem in the 1949 Israel-Egypt Treaties**

#### **Summary**

As a result of efforts of the UN in February 1949 on the Greek island of Rhodes started negotiations between Israel and the Arab states.

The first Arab country to sign the peace treaty was Egypt. However, those treaties were not able to stop the armed conflict. Israel broke the agreement and on March 10 of the same year occupied the region of Birkatar, which belonged to Egypt, and annexed the territories appropriated to the Arab countries in 1948. After this attack of the Arab territory, the conflict turned into “permanent aggression”.

## სუფრის ეტიკეტი, ებრაული კულტურის უნივერსალუმიანი ელემენტი

სუფრის ეტიკეტი ყოველი ხალხის ყოფისა და კულტურის საინტერესო ფურცელია. კვებას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის სიცოცხლის, მისი ფიზიკური და გონებრივი განვითარებისათვის. ეს არის მისი უპირველესი, ძირითადი და ყოველდღიური ვიტალური მოთხოვნილება, მაგრამ არ იქნება სწორი, თუ მას განვიხილავთ როგორც მხოლოდ ფიზიოლოგიურ ასპექტს. კვება საჭიროა იმისთვისაც, რომ ადამიანმა იცხოვროს სისხლსავსე ცხოვრებით. ბერძენი ფილოსოფოს სოკრატეს თქმით: ჩვენ ვცოცხლობთ არა იმიტომ, რომ ვჭამოთ, არამედ ვჭამთ იმიტომ, რომ ვიცოცხლოთ [4. 23]. მ. ელიადეს აზრით, კვება უბრალო ფიზიოლოგიური მოქმედება კი არაა, იგი ზიარების განახლებაა [11. 33]. რაც უფრო მრავალფეროვანი, რთული, მდიდარი და უხვია ამა თუ იმ ხალხის საკვები, მით უფრო ღრმა, ტევადი და მრავლისმთქმელია მისი კულტურა, რამეთუ სხვადასხვა ეთნოსისათვის დამახასიათებელი კვების პროდუქტების, მათი დამუშავების მეთოდების, კერძების ტიპების, დასაშვები და აკრძალული საკვების, ტრაპეზის ორგანიზაციისა და რიტუალის თუ კულტურის სხვა ასპექტებში, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებულია კვებასთან, აისახება ხალხის ეთნიკური და კულტურულ-ისტორიული სპეციფიკა [9. 3]. დიდი კულტუროლოგიური მნიშვნელობის გამო, იგი მეცნიერების კვლევის საგანი გახდა. ინტერესი მისი შესწავლისადმი განსაკუთრებით გაძლიერდა დღეს, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისა და პროგრესის საუკუნეში, როდესაც ტრადიციული კულტურის ბევრი ელემენტი სწრაფად ქრება. ამიტომ მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული სხვადასხვა კულტურულ-ეთნოლოგიური კვლევის შესაძლებლობები, რათა ღრმად შევისწავლოთ მატერიალური კულტურის ელემენტები, რომლებიც ჯერ კიდევ შემორჩა ყოფას და მომავალ თაობებს

შევუნარჩუნოთ ხალხური ტრადიციული კულტურის საუკეთესო ნიმუშები [10. 124, 106].

კვების სისტემის კომპლექსური კვლევა ტრადიციულ-ყოფითი კულტურის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია. იგი ე.წ. ეთნოკულტუროლოგიური კვლევის არეალშია მოქცეული და შეისწავლება კომპლექსურად ყოფითი კულტურის სხვა ელემენტებთან მჭიდრო კავშირში. ამ თვალსაზრისით, მის კვლევას დასაბამი მისცა კლოდ ლევი სტროსმა 60-იან წლებში. მისი შრომების [12. 156] კვალდაკვალ შეიქმნა არაერთი საყურადღებო ნაშრომი, რომლებშიც, სიცოცხლის უზრუნველყოფის კულტურის სხვა პრობლემებთან ერთად, შესწავლილია კვების როლი კაცობრიობის უძველესი დროიდან დღემდე.

საქართველოში კვების კულტურისადმი მეცნიერული მიდგომის, მისი კომპლექსური შესწავლის აუცილებლობის საკითხი პირველად ივ. ჯავახიშვილმა დააყენა. მანვე შეიმუშავა მისი შესწავლის მეთოდები. ივ. ჯავახიშვილის შენიშვნით, ხალხური კვება უნდა შეისწავლებოდეს, ერთი მხრივ, როგორც კულტურის ისტორიის საკითხი, ხოლო, მეორე მხრივ: როგორც ადამიანის ჯანმრთელობის წყარო და მისი საქმიანობის წარმატების საფუძველი [8]. დიდი მეცნიერის აზრით, კვების საკითხების შესწავლისას გარკვეული დახმარების განევა შეუძლია არქეოლოგიურ მონაცემებს. არქეოლოგიური მასალებით საქართველოს, კერძოდ, აღმ. საქართველოს ტერიტორიაზე სამეურნეო იარაღები და კერამიკული ჭურჭელი ენეოლითის ხანიდან გვხვდება, მტკვარ-არაქსის და თრიალეთის კულტურები კი უკვე წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი, სხვადასხვა დანიშნულების კერამიკული ჭურჭლით [5], სანაყარ-ხელსაფქვავეებით, მარცვლეულის შესანახი დერგებით, პურის საცხობი კეცებითა და ლუმლებით, რაც მოწმობს მემინდვრეობის მაღალ დონეს. ამავე მონაცემებით დანიშნაურებული ჩანს მესაქონლეობაც. ამგვარი სიმბოლური მეურნეობის ბაზაზე თანდათანობით უნდა ჩამოყალიბებულიყო აქ მცხოვრები ხალხის ტრადიციული კვების კულტურა.

ქართველ ებრაელთა სამზარეულო იზოლირებულად როდი განვითარდა. ერთი მხრივ, ის განიცდიდა ადგილობრივი რეგიონის მეშვეობით საკუთრივ ქართული სამზარეულოს, მეორე მხრივ, სხვა რეგიონის ქართველ ებრაელთა სამზარეულოს ტრადიციების ზეგავლენას. ხალხთა თანაცხოვრება, ეკონომიურად რთული, წინააღმდეგობრივი და მრავალნახნაგოვანი განვითარება თავისებურად აისახა კერძებშიც. ქართველ ებრაელთა სამზარეულო ბევრ საერთოს პოულობს ქართულ სამზარეულოსთან, ამავე დროს მას გააჩნია საკუთარი, საკმაოდ კოლორიტული სახე. ზოგადქართული და რეგიონალური ტრადიციები ქართველ ებრაელთა ყოფაში აღწევდა კონკრეტული ეთნოგრაფიული რეგიონების მეშვეობით, სადაც ქართველი ებრაელები ისტორიულად ცხოვრობდნენ. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ ქართული სამზარეულოს ტრადიციები მათთან ადგილობრივ კულტურულ-ეთნოგრაფიულ თავისებურებათა დაცვით არის წარმოდგენილი. სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა სამზარეულოს, საერთოს გარდა, არაერთი დამახასიათებელი ნიშანიც გააჩნია.

ქართველი ებრაელების სამეურნეო ყოფისა და კვების კულტურაზე ცნობები მცირე და არასისტემატურია. არსებული ცნობებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ნ. ბერძენიშვილის მიერ შესწავლილი და გამოქვეყნებული საქართველოს გვიანფეოდალური ხანის ისტორიული დოკუმენტები. „აქ დაბეჭდილი არა ერთი საბუთიდან – შენიშნავს მკვლევარი, უსათუოდ აშკარავდება, რომ საქართველოს საქართველოში ებრაელობა ხელოსნობა-აღებშიცემობასთან ერთად მისდევდა მეურნეობას: მიწას ამუშავებდა, ვენახს, ხილს აშენებდა, პურეული მოჰყავდა“ [1. 10]; ქართლის აღწერის სიგელ-გუჯრებიდან თუ საგადასახადო წიგნებიდან ირკვევა, რომ ებრაელი ყმები ბატონს ემსახურებოდნენ მიწათმოქმედების, მესაქონლეობის, მეფუტკრეობის პროდუქტებით, ეკლესიას – მეფუტკრეობის პროდუქტებით [3; 18, 120-122], ე. ი. ყოველივე იმით, რასაც თავად აწარმოებდნენ.

საქართველოს ებრაელთა კვების სისტემის ცალკეულ საკითხებზე საინტერესო ცნობებს გვანვდის ი. ჩორნის ნაშრომში „მოგზაურობა იმიერ და ამიერ კავკასიაში“ [6]. მისი დაკვირვებით, საქართველოს ებრაელები ძირითადად მცენარული საკვებითა და რძის პროდუქტებით იკვებებიან და მხოლოდ შაბათსა და სხვა დღესასწაულების დროს იყენებდნენ ხორცს საკვებად. ზ. ჭიჭინაძე წიგნში „ქართველთა ებრაელნი საქართველოში“ სხვა მრავალ საყურადღებო საკითხთან ერთად, ებრაელთა სამეურნეო ყოფასა და კვების საკითხებსაც ეხება. კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ საქართველოს ებრაელთა კვება განსხვავებულია რუსი და ევროპელი ებრაელების კვებისაგან, რომლებიც ყოველგვარ საჭმელს ეწყობიან, ქართველნი კი ძლიერ ცოტას ჭამენ [7].

ებრაელთა კვების კულტურა, გამორჩეულია თავისი თვითმყოფადობით, ამიტომაც დიდი ხანია მკვლევართა ყურადღების არეშია მოქცეული; საკვლევი თემისადმი სამეცნიერო ინტერესი განაპირობებს ნაშრომის აქტუალობას, მნიშვნელობას. ნაშრომში შესწავლილია მე-19 ს-ის II ნახ. და მე-20 ს-ის დასაწყისის აღმ. საქართველოს ებრაელთა კვების სისტემა. ნაშრომი მიზნად ისახავს კვების თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას ებრაელთა ყოფაში. ყოველი ეთნოსის კვების ხასიათს განსაზღვრავს ამ ეთნოსით დასახლებული ქვეყნის გეოეკოლოგიური გარემო, მეურნეობის ხასიათი, ტრადიცია. აქედან გამომდინარე, ნაშრომის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა იმის გარკვევა, თუ რამდენად სრულად ან ტრანსფორმირებული სახით შეინარჩუნეს საქართველოს ებრაელებმა კვების ის ტრადიციები, ზნე-ჩვეულებანი და ადათ-წესები, რომლებიც უძველეს დროს ჩაისახა ებრაელთა ყოფაში; რა გავლენა იქონია ქართულმა გარემომ, მეურნეობის ხასიათმა მათი კვების სისტემის შემდგომ განვითარებაზე. ამის გასარკვევად კი საჭირო იყო როგორც ადგილობრივი, ისე ისრაელის ბიბლიური პერიოდის ებრაელთა კვების კულტურის გაცნობა-შესწავლა და მათი ურთიერთშედარების საფუძველზე კვების ლოკალური და ზოგადეთნიკური ხასიათის წარმოჩენა.

ებრაელთა პურობა, როგორი სიდიდისა და ხასიათისაც არ უნდა იყოს, წარმოუდგენელია მარილისა და პურ-ღვინის გარეშე. უფრო მეტიც, პურობა იქნება თუ არ იქნება, ეს საკრალური საკვები სუფრაზე მაინც უნდა იყოს. მარილი, არა მხოლოდ როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი სანელებელი, არამედ, როგორც ებრაელი ხალხის ღმერთთან კავშირისა და ერთობის სიმბოლო (რიცხ. 18, 19) ებრაელთა რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებით, მარილით დადებული ალთქმის, „აღნათქვამი მარილითა“, გატეხა დიდ-დიდ ცოდვად ითვლებოდა და მკაცრად ისჯებოდა. ტაძრის შეწირულობათა შორის მარილს ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი ეჭირა ღმერთისადმი ერთგულებისა და სიმტკიცის ნიშნად (ლევტ. 2, 13), ხოლო კაცთა შორის პურისა და მარილის გაზიარება მათი საუკუნო მეგობრობისა და ძმობის დასაბამი იყო. მარილისადმი ასეთი დამოკიდებულება, ვფიქრობთ, უნდა მოდიოდეს მისთვის დამახასიათებელი მრავალმხრივი დადებითი თვისებებიდან. როგორც სხვა ხალხებისათვის, ებრაელებისათვისაც, მარილი უპირველესი სანელებელი იყო. მათი შეფასებით უმარილო საჭმელი საჭმელად არ ითვლებოდა. იგი არა მარტო კარგ, სასიამოვნო თვისებებს სძენდა საჭმელს, არამედ იცავდა მას გაფუჭებისაგან და ხელს უწყობდა მის ხანგრძლივ შენახვას. ამას გარდა, მას ფართოდ იყენებდნენ სამკურნალო-პროფილაქტიკური და ჰიგიენური დანიშნულებით. მარილი – ებრაელთა სუფრის აუცილებელი ელემენტი ოდითგანვე იყო და არის სიმტკიცის, ერთგულების, ალთქმის დაურღვევლობის სიმბოლო. აღმ. საქართველოში (როგორც ებრაელთა, ისე ქართველთა ყოფაში) ფართოდ გავრცელებული პურეული კერძებიდან ბევრი ცნობილი იყო ძველი ებრაელებისთვისაც, როგორც სახელწოდებით, ისე ტექნოლოგიით, ასე მაგ., ბურღულის (კორკოტი) ფაფა, მოხარშული ცომის კერძები საერთო სახელწოდებით „იტრია“ (ატრია), მოხალული ფქვილისაგან – „ხალი“ და სხვა, რაც გამოძახილი უნდა იყოს ებრაელი და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობისა. კვებაში მარცვლეული პროდუქტების ფართოდ გამოყენება, მათი დამუშავებისათვის საჭირო ხელ-



სანყო-იარაღების არსებობა, პურის საცხობები, პურისა და სხვა ცომეული ნაწარმის ტექნოლოგიის მაღალი დონე ნათლად მოწმობს როგორც ერთი, ისე მეორე ხალხის სამეურნეო და მატერიალური კულტურის დიდ მიღწევებზე.

მარცვლეულის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვან საკვებს საქართველოს ებრაელებისათვის, ისე როგორც ძველი ებრაელებისათვის, წარმოადგენდა რძის პროდუქტები. მეცხოველეობა, მინათმოქმედებასთან ერთად, მეურნეობის წამყვანი დარგია უძველესი დროიდან და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაც, ტრადიციულად, მაღალ დონეზე იყო ყოველთვის. ქართველ ებრაელთა კვებაში რძის პროდუქტებს რაოდენობითაც, ხარისხითაც და სემიოტიკურადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა და ჭარბობდა სხვა პროდუქტებს (მარცვლეულის გარდა). რძის პროდუქტების (ყველი, კარაქი, ხაჭო, მანონი) ტექნოლოგიაში იკვეთება როგორც ორიგინალური, ისე ქართულ-კავკასიური და მცირეაზიური მეთოდები.

ხორცის პროდუქტები მოხმარების თვალსაზრისით, მართალია, ჩამორჩებოდა რძის ნაწარმს, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა კვებაში. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცხოველისა და ფრინველის ტრადიციული წესებით დაკვლა--დამუშავებას, რასაც საფუძვლად უდევს ათასწლეულთა მიღმა ემპირიული ცოდნა-გამოცდილებით შემუშავებული პროფილაქტიკურ-ჰიგიენური წესები [2. 24]. ებრაული სამზარეული მდიდარია ხორცის ორიგინალური კერძებით, რომლებიც, ქართულ და აღმოსავლურ კერძებთან ერთად, ძირითადად შაბათისა და სხვა დღესასწაულებისათვის მზადდებოდა.

მატერიალურ ფუნქციასთან ერთად კვებას აქვს სოციალურ-რელიგიური ფუნქციაც. ის გვევლინება სოციალურ ერთიერთობათა ერთ-ერთ რეგულატორად, ხელს უწყობს ადამიანთა სოციალურ შეკავშირებას ან დიფერენციაციას, პიროვნებისა და ოჯახის ურთიერთობას. ამა თუ იმ სოციალურ მომენტთან დაკავშირებულ სუფრას თან ახლავს ტრადიციული საკულტო-რიტუალური ქმედებები, განპირობებული ებრაული მსოფლმხედველობით, კვებასთან დაკავშირებული რწმენა-წარ-

მოდგენებით; ყოველგვარი პურობა სიმბოლური ნიშნებით არის დამუხტული. ეს სიმბოლოები განსაზღვრავენ პურობის ხასიათს, თანამესუფრეთა ქცევის ნორმებს და სუფრის ეტიკეტს.

## ლიტერატურა – REFERENCES

1. ბერძენიშვილი ნ., ისტორიული დოკუმენტები, საქ. ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული შრომები, ტ. I, თბილისი, 1940.
2. საქართველოს ებრაელთა ყოფა და კულტურა, თბილისი, 1999.
3. საბუთები №1606, ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება.
4. შაფირი ა., ფირცხელაური გ., გაგუა თ., თბილისელი დღეგრძელები, თბილისი, 1956.
5. ჩუბინაშვილი ტ., მტკვარისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა, თბილისი, 1965.
6. ჩორნი ი., მოგზაურობა იმიერ და ამიერ კავკასიაში, საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტ. III, თბ., 1994.
7. ჭიჭინაძე ზ., ქართველი ებრაელნი საქართველოში, ტფ., 1904.
8. ჯავახიშვილი ივ., საქართველოს მშრომელი მოსახლეობის კვება და მისი ნაციონალიზაციის ამოცანა (ხელნაწერი), რვ. 3, თბილისი, 1927.
9. Арутюнов С. А., Мкртумян Ю. И., Проблема классификации элементов культуры, СЭ, 1981, № 4.
10. Бромлей Ю. В., Современные проблемы этнографии, Москва, 1981.
11. Элиаде М., Космос и история, Москва, 1967.
12. Levi-Strauss C., Le triangle culinaire. L'are, Paris, 1967, № 26.

**Elene Gegeshidze**

**Table Etiquette – the most  
Significant Element of the Jewish Culture**

**Summary**

Each ethnic group has more or less significant laws in its diet which define suitable and prohibited food for it. The prohibitions of food-stuffs existing in the diet of the Jews of Georgia are common to all Jews. The analysis of these prohibitions shows a rational foundation for them, their prophylactic and hygienic purposes, connections with folk-medicine, and they are far from the opinions of those authors who consider them from the point of view of the Jews being a chosen nation, from nationalistic, dualistic sides, etc. The conception of clean (kasheri) or eatable and unclean, i.e. uneatable food, and its influence on health was formed on the basis of long observation, empiric knowledge and experience. It must have been formed long before Moses' times. The biblical tradition takes it into consideration too. The age-long empiric knowledge and experience assisted people in working out prophylactic means against the diseases caused by the food unfit to eat. Later on religious leaders gave religious explanations to these customs and turned them into inviolable dogmas, by means of which they did invaluable service to their people, for on the basis of these dogmas the Jews' extremely original, distinguished ethnic traditions were formed, and they started the development of the fundamentals of folk medicine. Unlike other countries, where priests connected medicine with magicians and evil spirits, the servants of the Jewish religion associated it with God. The prohibitions of certain foodstuffs, formed at earlier stages of the development of society, and their steady fulfilment was always one of the most significant factors of the moral and spiritual firmness of the Hebrew people. This may be the reason why the ritual

diet in the mode of life of the Jews of Georgia is more conserved and preserved almost completely even today.

On the basis of the above-mentioned material we can conclude that the diet system of the Jews of Georgia is unique. On the other hand, it is characterized by common ethnic traditions and, on the other, it is a historically formed important element of culture conditioned by the local specificity.

## ეთიკის ზოგიერთი ასპექტი ფილოსოფიასა და რელიგიაში

ეთიკა უძველესი თეორიული დისციპლინაა. მისი კვლევის სფეროა მორალი ანუ ზნეობა. ზოგადი ეთიკური ნორმები და პრინციპები ეფუძნება ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას. იგი გარკვეულ კავშირშია რელიგიურ რწმენასთან. თანამედროვე ებრაული ეთიკური ნორმებიც უშუალო კავშირშია ებრაულ რელიგიასთან. თუმცა სანამ ამ საკითხს შევეხებოდეთ, მოკლედ მიმოვიხილოთ თვითონ ეთიკის, როგორც საგნის, განვითარება.

სიტყვა „ეთიკა“ ძველი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე აწარმოებდა სიტყვისაგან „ეთო“, რაც ნიშნავს ჩვევას. თანამედროვე ეთიკური თეორიები კავშირშია არსიტოტელესეულ შეხედულებებთან, რომლის თანახმადაც ეთიკა ადამიანს ეხმარება იმის გაცნობიერებაში, რომ განაზოგადოს და სისტემატიზება გაუკეთოს ქცევის პრინციპებს.

ანტიკური ფილოსოფიის ეთიკური მოძღვრება ემყარება ორ უმთავრეს პრინციპს. ერთი მხრივ, ანტიკურ ეთიკაში ცხოვრების უმაღლესი მიზანია ბედნიერების მიღწევა, მეორე მხრივ კი – არცოდნა. სოკრატეს ფილოსოფიის მიხედვით, ყოველი სათნოება აუცილებლობით მოითხოვს სიბრძნეს.

სოკრატული და შემდგომ პლატონური ეთიკის საფუძველია აბსოლუტური ეთიკა. საბოლოოდ კი პლატონი აბსოლუტურ სიკეთეს აიგივებს ღმერთთან. გარემოება პლატონურ ეთიკას სძენს რელიგიურ იერს. პლატონის ეთიკის მიხედვით, ადამიანის ზნეობრივი განვითარებისათვის აუცილებელია მისი აქტუალიზაცია პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. ამ აზრს არისტოტელე თავისებურად ავითარებს და აღნიშნავს, რომ ადამიანები, რომლებიც საზოგადოებაში არ ცხოვრობენ, ან ღმერთები არიან, ან ცხოველები.

არისტოტელეს ეთიკური შეხედულებანი გადმოცემულია მის ნაშრომში „ნიკომაქეს ეთიკა“. მისი აზრით, მორალური სათნოება არ არის თანდაყოლილი. იგი გამომუშავდება თანდათანობით, პრაქტიკული ცხოვრებით. მორალური ქცევები გამობატულებას პოულობს კარგ ჩვევებში, რაც, საბოლოოდ, ადამიანის ხასიათში ვლინდება. კარგი ხასიათი კი პიროვნებას აქცევს ღირსეულ მოქალაქედ [4.116].

შემდეგ ეპიკურეიზმი მსჯელობს ბედნიერების შესახებ და მას აიგივებს სიამოვნებასთან. სიამოვნება მისთვის სურვილების დაკმაყოფილებაა. თუ არისტოტელე ადამიანის ბედნიერებას სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ეძებდა, ეპიკური პოლიტიკურ ცხოვრებას დისკომფორტად მიიჩნევს და ადამიანს მყუდრო ადგილას ცხოვრებას ურჩევს.

საინტერესოა სტოელების ეთიკა. მათთან მნიშვნელოვანია სათნოება. მათი აზრით, სათნო ცხოვრების მიღწევა ადამიანს ყოველგვარ პირობებში შეუძლია და სწორედ ესაა ადამიანის ცხოვრების თვითმიზანი.

ჩვენ მოკლედ მიმოვიხილეთ ანტიკური ეპოქის ეთიკური სისტემები. ისინი განსხვავებულ დამოკიდებულებას გამოხატავენ ადამიანის მორალური ცხოვრების მიმართ, მაგრამ აერთიანებთ ერთი რამ: ეს არის რწმენა იმისა, რომ ადამიანს საკუთარი ძალებით შეუძლია სათნო ცხოვრების მიღწევა; სათანადოდ აღზრდილ ადამიანს ღვთის შეწვევის გარეშე შეუძლია სიკეთისა და ბოროტების გარჩევა. პიროვნების ძალისხმევა საკმარისია იმისათვის, რომ მან შეასრულოს კეთილი მიზნები. მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ანტიკურ პერიოდში უზუნობაც არსებობდა. მან „განსაკუთრებით უმაღლეს ნერტილს კალიგულას პერიოდში მიაღწია“ [3.82].

ანტიკური ფილოსოფიის ამ აზრს გარკვეულწილად ეწინააღმდეგება რელიგიური ფილოსოფია. ამ კუთხით საინტერესოა ნეტარი ავგუსტინეს მოძღვრება. ავგუსტინესთვის სათნოება ისეთი რამ არის, რომლის აღსრულება მხოლოდ და მხოლოდ ღმერთს შეუძლია. ანუ, ავგუსტინეს მიხედვით, სათნოება ისე-

თი რამ არის, რომელშიც ადგილი არა აქვს მინიერ, ადამიანურ მოტივებს.

პრაქტიკულ, რეალურ ცხოვრებაში ადამიანი სათნოებას ახორციელებს მხოლოდ ადამიანური პატივის და სახელის მოსახვეჭად. ადამიანურ ქმედებას წარმართავს სიყვარული, თუმცა იგი ახასიათებს, ერთი, მხრივ ისეთ სიყვარულს, რომელიც მიმართულია ზეციური საქმეებისაკენ და ღვთისადმი, მეორე მხრივ კი, ამქვეყნიური სიყვარული, რომელიც აიძულებს ადამიანს ამქვეყნად ეძიოს ადამიანური სიამაყე. ავგუსტინეს მიხედვით, ჭეშმარიტ სარწმუნოებას მოკლებულ ადამიანს არ შეუძლია მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით სათნოების აღსრულება.

რელიგიისა და ეთიკის თავისებური კავშირი განიხილა თომა აქვინელმა. აქვინელის მიხედვით, ადამიანისთვის სოციალური, პოლიტიკური ცხოვრება ბუნებრივია. მას ბუნება დაბადებიდანვე უბიძგებს სოციალური არსებობისაკენ. ეთიკურ განვითარებას ადამიანი მხოლოდ სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მოღვაწეობით აღწევს. სწორედ საზოგადოებრივი ცხოვრება უვითარებს ადამიანს ისეთ სათნოებებს, როგორცაა: სიბრძნე, ვაჟკაცობა, სამართლიანობა. სათნოების მიღწევა ადამიანს შეუძლია რწმენის გარეშეც. ამით იგი განსხვავდება ნეტარი ავგუსტინისგან. განსხვავება ამ ორ მოაზროვნეს შორის ისიცაა, რომ აქვინელის მიხედვით პიროვნება ჯერ კარგ მოქალაქედ უნდა ჩამოყალიბდეს და შემდეგ ხდება ქრისტიანი, ავგუსტინეს მიხედვით კი, ადამიანს ღვთაებრივი მაღლი სჭირდება ჭეშმარიტი სათნოების მისაღწევად.

კიდევ მრავალი ფილოსოფიური ნააზრევის განხილვაა შესაძლებელი, მაგრამ ერთი სტატიის პირობებში ეს მოუხერხებელია. აუცილებლად უნდა განვიხილოთ რელიგიური ფილოსოფიის ზოგიერთი ასპექტი. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ქრისტიანული რელიგია და იუდაიზმი, რომელთაც კავშირი აქვთ ზემოთ დასახელებულ ფილოსოფიურ მოძღვრებებთან. ამასთანავე, ისიც აღსანიშნავია, რომ ერთპიროვნულ ღმერთს აღიარებს როგორც ქრისტიანობა, ისე იუდაიზმი. თუმცა გან-

სხვაგვება მათ შორის ისაა, რომ, თუ ქრისტიანობა აღიარებს განკაცებულ ღმერთს და მოითხოვს მის სიყვარულს, იუდაიზმისათვის ეს მიუღებელია. მისი ეთიკა ნორმატიულია და ღმერთი ადამიანისაგან მოითხოვს მონურ მორჩილებას.

ქრისტიანობისთვის მთავარი არ არის ზნეობრივი მოძღვრება. მისი მთავარი მიზანია არა ზნეობრივი ნორმების დამორჩილება, არამედ ღმერთის ძიება. ქრისტიანობის „როგორც ახალი რელიგიის გავრცელებისთვის ხელსაყრელი პირობები, სწორედ რომ იუდეაში იყო“ [1.83].

ეთიკური ნორმები კავშირშია რელიგიურ ცნებებთან. ეს ასეა ქრისტიანულ რელიგიაშიც და იუდაიზმშიც. მათ აქვთ მთელი რიგი საერთო და განმასხვავებელი ნორმები. ზოგადად, მეტს საუბრობენ ქრისტიანულ მორალზე, ვიდრე იუდაიზმის ეთიკურ ნორმებზე. ეს ალბათ იმით აიხსნება, რომ ადამიანთა უმრავლესობა იუდაიზმს იცნობს სახარების საფუძველზე ან, უფრო მეტი, ნაკლებად იცნობს იუდაიზმის კულტურას. ამის შედეგი ისაა, რომ „იუდაიზმის ეთიკური ნორმების შესახებ არასწორი წარმოდგენები იქმნება“ [2.73].

როდესაც იესო საუბრობს ახალი ეთიკური ნორმების დაწერგვაზე, ის, ჩანს, რომ უარყოფს ებრაელთა სიბრძნეს. უნდა აღინიშნოს, რომ, რასაც იესო წერგავს ეთიკური იდეების სახით, ის უკვე არსებობდა იუდაიზმში. ამიტომ ადამიანთა უმრავლესობას რჩება შთაბეჭდილება, რომ იესომ თქვა რაღაც ახალი, რომელიც არ იცოდნენ იუდაიზმში. ამის უამრავი მაგალითი არსებობს. განვიხილოთ ერთი მათგანი. იესოს ცნება „არ იმრუშო“ უკვე არსებობდა იუდაიზმში, ოღონდ განსხვავებული ფორმით იყო გადმოცემული – „მეძავი ქალი ამრავლებს ხალხში ორგულობას“. ამიტომ თანამედროვე ეთიკური რელიგიური და ფილოსოფიური აზროვნების მიზანია უკეთ შეისწავლოს იუდაიზმი და მისი ეთიკური კონცეფციები.



## ლიტერატურა – REFERENCES

1. გაბიძაშვილი ო., რელიგიათმცოდნეობა, თბილისი, 1999.
2. კიკნაძე ზ., საუბრები ბიბლიაზე, თბილისი, 1989.
3. ჩიტეიშვილი მ., რელიგიის ისტორიის საკითხები, თბილისი, 2000.
4. ხასაია ზ., ფილოსოფია, ქუთაისი, 1984.

**Manana Bandzeladze**

### **Some Ethical Aspects in Philosophy and Religion**

#### **Summary**

Ethics is an ancient theoretical discipline. General ethical norms are based on the philosophical worldview and religious beliefs. Likewise, modern Jewish ethical norms are based on Jewish religion. Before directly discussing the matter, we will briefly review the history of the development of ethics.

The ancient Greek philosopher Aristotle produced the word *ethics* from the word “ethos” meaning *a habit*. Contemporary ethical theories are related to the ethical teachings of ancient Greece. It helps people realize how to systemize the principles of behavior.

The ethical doctrine of ancient philosophy, on the one hand, is based on the means of achieving happiness; on the other hand, the foundation of a lack of virtue is ignorance. According to Socrates’ ethical conception, virtue by necessity requires wisdom. According to Plato, the basis of ethics is absolute goodness, which he ultimately identifies with God. Aristotle described his ethical views in his work "Nicomachean Ethics". In his opinion, virtue is not inherent, it is gradually obtained through practical life.

Ethical beliefs of ancient philosophy differ from religious philosophy. In this regard, the doctrine of St. Augustine is of particular interest according to which virtue is something that can be enforced

only by God. It has no place in an earthly life. According to Augustine's ethics, a man with no true faith cannot enforce virtue with his own efforts. He needs divine grace to achieve true virtue. Later, this idea was developed by Thomas Aquinas according to whom in order to become a good Christian, one needs to be a good citizen first.

The fact that ethical standards and religion are related was well-demonstrated both by Christianity and Judaism. However, they have both general and specific signs. There is less talking about the morality of Judaism. This is probably due to the fact that most people are familiar with Judaism through the Gospel. Therefore, this issue requires more attention from philosophers, religious representatives and ethicists.

## ავთანდილ ნიკოლეიშვილი

### ბიოგრაფიული ხუხაშვილი

(გუბერნიის ლიტერატურული კორტრატისათვის)

ჟანრობრივად მრავალფეროვანი თავისი შემოქმედებით გიორგი ხუხაშვილი (დაიბადა 1925 წელს მარტვილის რაიონის სოფელ ბანძაში. დამთავრებული ჰქონდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. გარდაიცვალა 2003 წელს. დაკრძალულია თბილისში) XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი სამწერლო ასპარეზზე 40-იანი წლების მეორე ნახევარში გამოვიდა და ამ დროიდან მოყოლებული გარდაცვალებამდე, აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა როგორც პოეტი, დრამატურგი და კრიტიკოსი. მისი ნაწარმოებების ერთი ნაწილი თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, ყაზახურ, ჩეხურ და სხვა ენებზე.

გ. ხუხაშვილის მწერლური საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად დრამატურგია იქცა. გარდა იმისა, რომ მისი რამდენიმე პიესა წარმატებით დაიდგა ქართული თეატრების სცენაზე, „დედა, მამა და შვილები“ (1973წ.) პრემირებულიც იყო საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ მუშათა კლასის ცხოვრების ამსახველი საუკეთესო პიესების დახურულ კონკურსზე.

განსხვავებით გერცელ ბააზოვისაგან, რომელმაც მისი დროის ეპოქალურ მოვლენებში აქტიურად ჩართულ ებრაელთა მრავალფეროვანი ლიტერატურული ტიპაჟი შექმნა და შთამბეჭდავად წარმოაჩინა ქართველი მკითხველისათვის მანამდე სრულიად უცნობი ებრაული სამყაროს სპეციფიკური მხარეები, გ. ხუხაშვილის პიესებში ქართული ყოფითი სინამდვილის ეს ნაწილი, ფაქტობრივად, მთლიანად დარჩა დრამატურგის ყურადღების მიღმა.

ამის ნათელ დადასტურებად, ვფიქრობ, თუნდაც იმ მომენტის ხაზგასმაც იქნება საკმარისი, რომ გ. ხუხაშვილის პიესებში

პერსონაჟთა ეროვნული კუთვნილება განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ფაქტობრივად, არსად არ იძენს. მიუხედავად იმისა, რომ დრამატურგის მიერ წარმოსახულ პერსონაჟთა უდიდესი ნაწილი ქართველია, ეროვნული ფაქტორი ამ ადამიანთა პიროვნული ხასიათების გამოძერწვის დროს არსებით როლს ნაკლებად ასრულებს.

მთავარი მოვლენა, რომელიც გ. ხუხაშვილმა თავისი დრამატურგიული შემოქმედების ძირითად თემად აქცია, თანადროული ცხოვრებისეული სინამდვილის ზნეობრივი კუთხით განსჯა-წარმოსახვის მცდელობაა. მიუხედავად იმისა, რომ ამ თემაზე შექმნილ პიესათა ერთ ნაწილში საბჭოთა პერიოდის იდეოლოგიური პოლიტიკის შედეგად დამკვიდრებული პრინციპების ზეგავლენაც იგრძნობა მეტ-ნაკლები დოზით, ხსენებული მიმართულება მაინც იქცა დრამატურგიაში გ. ხუხაშვილის შემოქმედებით წარმატებათა მიღწევის უმთავრეს გზად.

ამ თვალსაზრისით ერთ-ერთ საინტერესო პიესას წარმოადგენს „მოსამართლე“, რომლის პერსონაჟთა შორის წარმოქმნილ რთულ ადამიანურ ურთიერთობებს მწერალი, პირველ ყოვლისა, სწორედ ზნეობრივი პოზიციებიდან სჯის და აფასებს. ნაწარმოების მრავალრიცხოვან მოქმედ პირობათაგან ნათქვამის ნათელსაყოფად აქ უწინარესად მთავარ პერსონაჟს – დავით ბარათელს გავიხსენებ, რომელიც, როგორც მოსამართლე, არა მარტო სხვათა განმსჯელ-გამსამართლებლის როლში გამოიყვანა დრამატურგმა, არამედ საკუთარი თავისაც. ამ შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანი იმის ხაზგასმაცაა, რომ გადაწყვეტილებათა მიღების დროს დავითი ცდილობდა არა მარტო სამართლებრივ საკანონმდებლო ნორმებს დამყარებოდა, არამედ საუკუნეთა განმავლობაში ადამიანურ ურთიერთობათა უმთავრეს საფუძვლად ქცეულ ზნეობრივ პრინციპებსაც.

ობიექტურობის ამგვარად დაცვას დავითი მაშინაც კი ახერხებს, როცა იგი საკუთარი შვილისა და შვილიშვილის მიერ ჩადენილ დანაშაულობათა განმსჯელის როლში მოგვევლინა. მიუხედავად იმისა, რომ უაღრესად რთული და პრაქტიკულად ძნელად განსახორციელებელი ამ მოვალეობის შესრულების

დროს იგი კომპრომისებზეც მიდის და ისეთ გადანყვეტილებებსაც იღებს, რასაც სხვა შემთხვევაში არამც და არამც არ მიიღებდა, საბოლოოდ მან მაინც შეძლო საკუთარ თავს მორეოდა და სიმართლისათვის არ ელაღატა.

გ. ხუხაშვილის პიესაში ეს ყველაფერი ფსიქოლოგიური სიმართლითა და დამაჯერებლობითაა გადმოცემული, რაც არსებითად განსაზღვრავს ავტორის შემოქმედებით წარმატებას.

ადამიანურ ურთიერთობათა ზნეობრივი თვალთახედვით განსჯა-გააზრებას მწერალმა ასევე მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო პიესაში – „დედა, მამა და შვილები“. სახელდობრ, არჩვაძეების ოჯახში განვითარებულ დრამატულ მოვლენათა ჩვენების შედეგად დრამატურგი ცდილობს რამდენადმე იდეოლოგიზებული ფორმით წარმოსახოს ის ყოფით-ზნეობრივი პრობლემები, რომლებიც საკმაოდ ფართოდ იყო დამახასიათებელი საბჭოთა პერიოდის ჩვენი სინამდვილისათვის.

პირველ ყოვლისა, სწორედ ამ თვალსაზრისით იქცევს ყურადღებას ცოლ-ქმარ თამარ და ეგნატე არჩვაძეების ოჯახური თავგადასავალი. კერძოდ, თუ პიროვნული კეთილდღეობის იოლად მოპოვების სურვილმა სტეფანეს ცხოვრების გზა აუზნია და ბოროტმოქმედად აქცია, ოჯახზე თავდავიწყებით შეყვარებული მისი მეუღლე აქტიურ შრომით საქმიანობაშია ჩაბმული და ამ გზით ცდილობს მისი ოჯახის წინაშე მწვავედ წამოჭრილ პრობლემათა რეალურ მოგვარებას. სტეფანესა და მისი ოჯახის დანარჩენ წევრებს შორის არსებული ეს დაპირისპირება საბოლოოდ იმით დამთავრდა, რომ სტეფანეს გონების თვალი აეხილა და ზნეობრივი განწყობის გზაზე დამდგარი კვლავ დაუბრუნდა ოჯახს.

დრამატურგიის ჟანრში გ. ხუხაშვილის შემოქმედებით შესაძლებლობათა საუკეთესოდ წარმომჩენ ნაწარმოებთა შორის ცალკე მინდა გამოვყო „ამბავი წუთისოფლისა, ომისა და ჯარისკაც ჭიპილიასი“, რომელშიც ტრაგიკომიკური ფორმითაა ნაამბობი გასული საუკუნის ბოლოსა და ამ საუკუნის დასაწყისის ქართული საზოგადოებისთვის თავისი დარდიმანდულ-ბოჰემური ცხოვრებით სახელგანთქმული კაცის თავგადასავალი.

ჭიპილიას სახელით ცნობილი ამ პიროვნების შესახებ, რომელიც სიტყვიერი ენაფრთიანობით გამორჩეულ თამადასა და სალხინო სიმღერების უებრო შემსრულებელს წარმოადგენდა, ხალხში იმხანად არაერთი ლეგენდარული ამბავი იყო ფართოდ გავრცელებული.

როგორც გ. ხუხაშვილის პიესიდან თვალნათლივ ჩანს, ხსენებულ ნაწარმოებს უმთავრეს საფუძვლად სწორედ ეს ზეპირ-სიტყვიერი ამბები დასდებია. თუმცა პიესის შესაქმნელად დრამატურგისთვის შემოქმედებითი იმპულსი ქართულ მწერლობაში მსგავსი ლიტერატურული ტიპების შექმნის თვალსაზრისით არსებულ ტრადიციასაც მიუცია (დ. შენგელაიას „ბათა ქექია“, რ. ჭეიშვილის „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი“ და ა. შ.).

ჭიპილიას თავგადასავლის უმთავრესი ეპიზოდების მოთხრობით გ. ხუხაშვილი შეეცადა განზოგადებული ფორმით ეჩვენებინა იმ ადამიანის მიერ განვლილი ცხოვრების გზა, რომელიც სისხლხორცეულად აღმოჩნდა დაკავშირებული გასული საუკუნის ისეთ დიდმნიშვნელოვან მოვლენებთან, როგორებიც იყო პირველი და მეორე მსოფლიო ომები. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოვლენათა ერთ-ერთ აქტიურ მონაწილედ ქცეულ ჭიპილიას ათასგვარი განსაცდელით სავსე მისი ცხოვრების გზაზე მწერლის მიერ სიკვდილის სახე-სიმბოლოდ წარმოსახული მიქელ-გაბრიელიც განუშორებლად სდევდა თან, სიცოცხლის სიყვარულითა და მომავლის რწმენით აღსავსე ამ რწმენაგაუზზარავმა კაცმა მაინც შეძლო ყოველგვარ ხიფათს გადარჩენოდა და სიკვდილზე გამარჯვებულ კაცად ქცეულიყო.

მისი ამდაგვარი სულიერი სიმტკიცის დასტურად აქ ჭიპილიას მიერ ეპილოგში წარმოთქმული ის სიტყვები მინდა გავისხენო, რითაც გ. ხუხაშვილის პიესის მთავარი პერსონაჟის პიროვნული სახე აშკარა ნათესაობას ამჟღავნებს დ. შენგელაიას ფართოდ ცნობილი რომანის გმირ ბათა ქექიასთან: „დაუბერებელი ვინ არის ამქვეყნად. მეც ვბერდები, ზურგი მიმძიმდება და მინისკენ ვიხრები. უფრო მიყვარს დაბლა ბალახი და მაღლა – ვარსკვლავი. ვზივარ ხოლმე მოცალეობის ყვამს ჩემს ჭიშკართან, ხელში მუდამ მკლავის სიმსხო ჯოხი მიჭირავს და ვჩორ-

კნი. უნებურად თქვენი ფიგურები გამომდის, სიკვდილის მოციქულებო, ამდენი შავი დღე რომ დაათიეთ ამ მშვენიერ ქვეყნიერებას... გული უსიამოდ შემიქანდება და გზას გავხედავ, მიქელ-გაბრიელი ხომ არ მოდის? ვარსკვლავებით მრავალი ვართ, მზესავით მხურვალე და ზღვასავით ამოუშრეტელნი. გვაცალეთ ეს ორი დღის წუთისოფელი, რას გვერჩით?“.

ჩემის აზრით, თავისი სულიერი ოპტიმიზმითა და ცხოვრებისეულ განსაცდელთა წინაშე ქედუხრელობით ჭიპილია ქართველი კაცის განზოგადებულ ტიპადაც თავისუფლად შეიძლება მივიჩნიოთ.

ერთ-ერთი მთავარი თვისება, რითაც გ. ხუხაშვილის პიესების უმეტესობა ხასიათდება, იმაში მდგომარეობს, რომ დრამატურგი უმნიშვნელოვანეს ეპოქალურ მოვლენათა წარმოჩენას ოჯახურ თავგადასავალთა მოთხრობით ცდილობს. სხვანაირად რომ ვთქვათ, ნაწარმოების მთავარ გმირებად გამოყვანილი ერთი რომელიმე ოჯახის წევრთა ცხოვრებას მწერალი სისხლხორცეულად უკავშირებს მათი დროის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს. უფრო ხშირად ყველაფერ ამას დრამატურგი წარსულის რეტროსპექტივის გზით წარმოაჩენს, მთავარი პერსონაჟის მიერ გაცოცხლებულ მოგონებათა ფორმით, ხსენებულ მოვლენათა მოხდენიდან დიდი ხნის შემდეგ.

მაგალითად, პიესაში „მოხუცი ფოტოგრაფის მოგონებანი“ ნაწარმოების მთავარი მოქმედი პერსონაჟის – ფოტოგრაფ მიხეილისა და მისი მეუღლის მოგონებებში მწერალმა არა მარტო მათი პიროვნული ცხოვრების დრამატული ეპიზოდები გააცოცხლა, არამედ მათი დროის ის ეპოქალური მოვლენებიც, რომელთაც არსებითი ზეგავლენა მოახდინეს მიხეილისა და მისი ოჯახის ყოველი წევრის პირად ყოფაზეც. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო მოგონებათა ის ნაწილია, სადაც მეორე მსოფლიო ომში მიხეილის შვილის დაღუპვის ტრაგიკული ამბავია მოთხრობილი. ეს ამბავი და შვილის დაკარგული საფლავის ძიება დრამატურგმა სიმბოლურად დაუკავშირა მეორე მსოფლიო ომში დაღუპული უცნობი ქართველი ჯარისკა-

ცის ქერჩიდან თბილისში გადმოსვენების ფაქტს, რითაც პიესაში მოთხრობილ ამბავს მეტი ემოციური მუხტი შესძინა.

ყოფილ საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოშიც, სამამულო ომად სახელდებული მეორე მსოფლიო ომის თემამ გ. ხუხაშვილის დრამატურგიაში ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა. მთავარი და არსებითი თავისებურება, რითაც ამ თემაზე შექმნილი მისი პიესები ხასიათდებიან, იმის ჩვენებაა, როგორ არსებითად შეცვალა ამ ტრაგიკულმა მოვლენამ კონკრეტულ პიროვნებათა ცხოვრებისეული ბედი. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი საინტერესო ნაწარმოებია „მიდიოდნენ ჯარისკაცები უღელტეხილზე“, რომელშიც, ომის დამთავრებიდან ოცი წლის შემდეგ, მარუხის უღელტეხილზე 1942 წელს დაღუპული ექვსი ქართველი ჯარისკაცის ცხედრების პოვნისა და თბილისში ჩამოსვენების ამბავია მოთხრობილი.

ამ ტრაგიკული მოვლენის უშუალო მონაწილეებად დრამატურგმა ორი სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები აქცია – მამებისა და შვილებისა. იმისათვის, რომ მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნას პიესაში მოთხრობილი ამბის არსზე, მოკლედ გავიხსენებ მის უმთავრეს სიუჟეტურ ქარგას:

ახალგაზრდების ჯგუფი ტურისტული ლაშქრობის მოსაწყობად მარუხის უღელტეხილზე მიემგზავრება. მათგან დამოუკიდებლად, ოცი წლის წინათ ამავე ადგილებში გადახდილი ბრძოლების დროს გავლილი გზის ხელმეორედ გასავლელად, მარუხისაკენ ყოფილ მეომართა ჯგუფიც მიემართება. ისინი უღელტეხილის მისადგომებთან შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს. ნაწარმოების სიუჟეტურ ინტრიგას მწერალმა საფუძვლად ახალგაზრდული ჯგუფის ერთ-ერთი წევრის – დათოსა და ნაომართა ჯგუფის წარმომადგენლის – ლევანის მოულოდნელი შეხვედრა დაუდო.

ლევანი შვილს კატეგორიულად უბრძანებს, ლაშქრობაში მონაწილეობა შეწყვიტოს და უკან დაბრუნდეს. მისი ამგვარი საქციელით გაოცებულ მეგობრებს თავის ამ გადაწყვეტილებას ყოფილი ჯარისკაცი ამ სიტყვებით უსაბუთებს: „ჩვენ თუ ამ გზას დავადექით, მიზეზიც გვქონდა... აქ ჩემი ნახევარი სი-



ცოცხლეა დარჩენილი. ჯარისკაცებად გვაქცია ბედმა. მაგას არ მინდა ამ ხიფათიან გზაზე სიარული დასჩემდეს, არ მინდა!.. კმარა!.. მე ხომ ვიომე, ჩემმა შვილმა მაინც იაროს მშვიდობიანი გზებით!“.

მამის ამგვარი მოქმედებით შეურაცხყოფილი დათო ბანაკიდან გაიქცა, მაგრამ მალევე დაბრუნდა უკან თავზარდაცემული: ყინულის ფლატეში მან დაღუპულ ჯარისკაცთა გვამები დაინახა. როგორც შემდეგ გაირკვა, ეს ჯარისკაცები ლევანისა და მისი თანმხლები მეგობრების ის თანამებრძოლები იყვნენ, რომლებიც გერმანელი ფაშისტების შემოტევისაგან მარუხის უღელტეხილის დასაცავად იყვნენ 1942 წელს საგანგებო ბრძანებით გაგზავნილნი და უგზო-უკვლოდ დაკარგულნი. დრამატურგის მიერ მოთხრობილი ეს ტრაგიკული ამბავი მეტ სიმძაფრეს იმითაც იძენს, რომ ამ ჯგუფის წევრი ლევანიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ დავალების შესასრულებლად წასვლის დროს დაიჭრა, რის გამოც თანამებრძოლებმა იგი უკან დააბრუნეს.

ნაწარმოებში ეს ყველაფერი უღრმესი ფსიქოლოგიზმითა და ემოციური სიმძაფრითაა მოთხრობილი.

გ. ხუხაშვილის დრამატურგიული ხელოვნებისათვის ნიშანდობლივად დამახასიათებელ ერთ-ერთ მთავარ თვისებას მთავარი პერსონაჟის განვლილი ცხოვრების რეტროსპექტივა წარმოადგენს. კერძოდ, მწერლის პიესების უმეტესობაში მოქმედების განვითარება ნაწარმოების სიუჟეტურ ლერძად ქცეული ამბის ფინალური ეპიზოდის მოთხრობით იწყება და მთავარი გმირის მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზის ძირითადი მომენტების გახსენებით გრძელდება. მაგალითად, რომანტიკულ დრამაში – „დაბრუნება ნიკოლოზ ბარათაშვილისა“, პოეტის თავგადასავლის მოთხრობას მწერალი მისი სიკვდილის ამბით იწყებს, რასაც შემდგომ ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით მოსდევს ნ. ბარათაშვილის ცხოვრებიდან ქართველი მკითხველისათვის კარგად ცნობილი სხვა ეპიზოდების გახსენება.

ისტორიულ მოვლენათა მხატვრული წარმოსახვის ამგვარი ტენდენცია გ. ხუხაშვილის დრამატურგიისათვის საზოგადოდ დამახასიათებელ ერთ-ერთ მთავარ თვისებასაც წარმოადგენს. მაგალითად, „კომედიანტების ბალადაში“ პათეტიკურ-ჰეროიკული ფორმითაა მოთხრობილი 1795 წლის კრანანისის ომში მაჩაბლის თეატრალური დასის წევრთა გმირული თავგანწირვის ამბავი. როგორც საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, ერეკლე მეფის მიერ ალა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ გამართულ ამ უთანასწორო ომში ბევრ ქართველ მამულიშვილთან ერთად ხსენებული დასის უკლებლივ ყველა წარმომადგენელიც დაიღუპა.

ქართველი მსახიობების აქტიორულ წარმატებათა მოთხრობით, რითაც პიესა იწყება, დრამატურგი მიზანმიმართულად ქმნის მყარ ემოციურ საფუძველს იმ პატრიოტული გადანწყვტილების მისაღებად, რამაც დასის უკლებლივ ყველა წარმომადგენელი ამ გმირული ნაბიჯის გადადგამამდე მიიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ ქართველ მამულიშვილთა ამგვარ თავგანწირვას მაშინ სასურველი შედეგი არ მოჰყვა და ერეკლე მეფე და მისი ლაშქარი ამ უთანასწორო ომში დამარცხდნენ, ჩვენი ქვეყნის ეროვნულ მომავალს გ. ხუხაშვილის მიერ წარმოსახული ერთ-ერთი პერსონაჟი პიესის ბოლოს მაინც ამგვარი ოპტიმისტური სიტყვებით აფასებს:

**გამხნევი, მეფე, იმ ქვეყანას რა დაამარცხებს,  
სადაც სიმღერით შეუძლიათ ქვეყნისთვის მოკვდნენ.**

მაჩაბლის თეატრალური დასის წევრთა პატრიოტული თავგანწირვის რომანტიკული განდიდებით პიესაში მოთხრობილი ამბავი ოპტიმისტურ ტრაგედიად გარდაიქმნება.

გ. ხუხაშვილის დრამატურგიული ხელოვნებისთვის მკაფიოდ დამახასიათებელ შემდეგ თვისებას ტექსტის პოეტური ფორმით გამართვა წარმოადგენს. კერძოდ, მწერლის პიესების ერთი ნაწილი („კომედიანტების ბალადა“, „დაბრუნება ნიკოლოზ ბარათაშვილისა“ და სხვ.) კლასიკური ქართული ლექსის ამა თუ იმ ვერსიფიკაციული საზომითაა დაწერილი. ამ შემთხვევაში ხაზგასმით აღსანიშნავი ისიცაა, რომ ამგვარი ფორ-

მით დანერგილი ტექსტების რიტმულ-მუსიკალურ მხარეს მეტ მელოდიურობასა და ბგერით ჰარმონიას ავტორი კეთილხმოვანებით გამორჩეული რითმების ფართოდ გამოყენების გზითაც სძენს.

გიორგი ხუხაშვილის ჟანრობრივად მრავალფეროვან შემოქმედებაში პოეტურმა ტექსტებმაც დაიმკვიდრეს საგულისხმოდ მნიშვნელოვანი ადგილი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ჟანრის ნაწარმოებები მის შემოქმედებაში სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის პირველი წლებიდანვე გვხვდება, განსაკუთრებით ფართო მასშტაბები ამ მოვლენამ მწერლის მოღვაწეობის ბოლო პერიოდში შეიძინა. გ. ხუხაშვილის მიერ სწორედ ამ მიმართულებით მოპოვებულ შემოქმედებით მიღწევათა შემაჯამებელ წიგნებად იქცა მისი პოეტური კრებულები: „ფიქრები ხმა-მალა“ (1988წ.) და „სონეტები“ (1998წ.).

გ. ხუხაშვილის პოეტური შემოქმედება, უპირველეს ყოვლისა, კლასიკური ქართული პოეზიის წიაღიდანაა აღმოცენებული. პოეტურ ტრადიციებთან მისი ლექსების ამგვარმა სისხლხორცეულმა სიახლოვემ მკაფიო გამოვლინება პოვეს როგორც თემატურ-შინაარსობრივი თვალსაზრისით, ისე რიტმულ-ვერსიფიკაციული მიმართულებითაც. სახელდობრ, მისი პოეტური შემოქმედების უმთავრეს თემებადაც, პირველ ყოვლისა, ის საკითხებია დამკვიდრებული, რაც ყველა დროისა და ეპოქის ქართველი პოეტებისთვისაც წარმოადგენდა შთაგონების უშრეტ წყაროს (სამშობლოს სიყვარული; ცხოვრების საზრისის ძიება და წუთისოფლის წარმავლობის ფილოსოფიური თვალთახედვით განსჯა-გააზრება; ამქვეყნიურ სამყაროში ადამიანის როლისა და ადგილის გარკვევის მცდელობა; პიროვნულ გრძნობათა და მისწრაფებათა ახლებური თვალთახედვით წარმოჩენა...).

საუკუნეთა მანძილზე ქართველი (და არა მარტო ქართველი!) პოეტების შემოქმედებითი მიზანსწრაფვის უმთავრეს თემებად დამკვიდრებულ ამ პრობლემურ საკითხთა მისეული თვალთახედვით გასააზრებლად, გ. ხუხაშვილი, როგორც წესი, ქართულ კლასიკურ პოეზიაში ფართოდ დამკვიდრებულ ათ-

და თოთხმეტმარცვლიან რიტმულ-ვერსიფიკაციულ სალექსო ფორმებს იყენებს ხოლმე.

განსხვავებით მისი თანამემამულეების უდიდესი ნაწილი-საგან, რომლებმაც, ჩვენი ქვეყნისადმი დიდი სიყვარულის მიუხედავად, როცა საამისო შესაძლებლობა მიეცათ, საცხოვრებლად თავიანთ ისტორიულ სამშობლოს მიაშურეს, გ. ხუხაშვილმა კვლავაც საქართველოში არჩია დარჩენა და აქვე დაასრულა მისი მინიერი ცხოვრება. ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ამ შემთხვევაში მკითხველის ყურადღება იმ გარემოებასაც მინდა მივაპყრო, რომ, სხვა ქართველი ებრაელი მწერლებისაგან განსხვავებით, მის შემოქმედებაში არც ებრაულ თემატიკას დაუჭერია საგულისხმოდ მნიშვნელოვანი ადგილი და არც ებრაელი პერსონაჟები არიან წარმოსახულნი.

გ. ხუხაშვილის შემოქმედებით ბიოგრაფიაში არსებითი გარდატეხა ამ თვალსაზრისით მხოლოდ მწერლის სიცოცხლის ბოლო პერიოდში ხდება, როცა ებრაული თემატიკა მისი ლიტერატურული მოღვაწეობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად იქცა. მწერლის შემოქმედებაში, პირველ ყოვლისა, სწორედ ამ თვალსაზრისით დამკვიდრდა განსაკუთრებით მნიშვნელოვან მოვლენად სიცოცხლის მიმწუხრის ჟამს, 90-იან წლებში, დაწერილი სონეტების ციკლი „ქებათა ქება იერუსალიმს“, რომელშიც შთამბეჭდავი სახით წარმოჩინდა ავტორის ებრაული ცნობიერება.

თუმცა თავისი ებრაული თვალთახედვა გ. ხუხაშვილმა ხსენებული პოეტური ციკლის შექმნამდეც, 80-იან წლებში დაწერილი ლექსებითაც, მკაფიოდ გამოხატა. ამ თვალსაზრისით უალრესად საინტერესოა: „ბანძის სასაფლაო“, „ბანძის სინაგოგა“, „უცხოკაცობა არ მაგრძნობინო“ და „ბანძა“. ბავშვობის-დროინდელ მოგონებათა და შთაბეჭდილებათა განზოგადების საფუძველზე (პოეტი ბანძაში დაიბადა და გაიზარდა) დაწერილ ამ ლექსებში გ. ხუხაშვილი იმდროინდელი ქართველი ებრაელების დიდი ნაწილისაგან განსხვავებული თვალთახედვით სჯის და აფასებს საქართველოდან ისტორიულ სამშობლოში

მისი თანამემამულეების გადასახლების იმ პროცესს, რასაც იმ-  
ხანად უკვე მასობრივი ხასიათი ჰქონდა შექცენილი.

შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ეს დიდმნიშვნელოვა-  
ნი მოვლენა პოეტს ბანძის ებრაელთა სასაფლაოსთან მიმარ-  
თებით აქვს გააზრებული. უპატრონოდ მიტოვებული სასაფ-  
ლაოსა და წინაპართა გავერანებული საფლავების ნახვამ იგი  
კიდევ უფრო მწვავედ დააფიქრა ზემოთ ხსენებულ მოვლენაზე  
და მისმა ადრინდელმა გადაწყვეტილებამ, – ისტორიულ სამ-  
შობლოში გადასახლებაზე თავი შეგნებულად შეეკავებინა და  
მთელი დარჩენილი ცხოვრება კვლავაც იმ მიწაზე გაეტარები-  
ნა, სადაც მისი თანამემამულენი ოცდაექვს საუკუნეზე მეტი  
ხნის განმავლობაში ცხოვრობდნენ, მეტი სიმტკიცე და გამარ-  
თლება შეიძინა. იმისათვის, რომ მკითხველს უფრო ნათელი  
წარმოდგენა შეექმნას ავტორისეული თვალთახედვის არსზე,  
დავიმონუმებ ფრაგმენტს ლექსიდან „ბანძის სასაფლაო“:

**მინად ქცეულა თქვენი ფესვები, ცივმა დუმილმა  
მეც არ დამინდო,  
რადგან ამტკივდა ძველი ფესვები, ვერ მიგატოვებ  
დღემდე ამიტომ.  
თქვენი შვილები საით მიდიან, უხმობენ წყლები  
უნაპირონი,  
შორს პალესტინა, ხეთა, მიდია, გზები სირიის და  
ბაბილონის.  
ისევ ის გზები, ეჟვიის წკარუნით სადაც აქლემთა  
მიდის სეფარდი,  
რად უარყავით ბანძის წყარონი, რამ მოგანყურათ  
წყალი ევფრატის?..  
ისევ უდაბნოს გზები გათელოთ, გამჩენს ელოდოთ  
გრძელი ლოდინით,  
მე ვერ დავტოვებ იმ საქართველოს, რომელსაც დღემდე  
მწარედ მოტირით...  
ასე დავრჩები კუბოს კარამდის ნუთისოფელში  
ერთი სტუმარი,  
რომ მაერთებდეს თქვენთან მარადის რაღაც უთქმელი**

**და იდუმალი.**  
**თქვენ მიადგებით კედელს გოდების, რადგან უხსოვარ**  
**წარსულს დაეძებთ,**  
**მე მწყემსად ვრჩები მწვანე კორდების, აქ მიტოვებულ**  
**სასაფლაოზე.**

როგორც დამონმებული ფრაგმენტიცა და თვალნათლივ ჩანს, ისტორიულ სამშობლოში გადასახლებაზე შეგნებულად უარის თქმისა და ქართველ ებრაელთა მეორე სამშობლოდ ქცეულ საქართველოში დარჩენის ფაქტს გ. ხუხაშვილი, პირველ ყოვლისა, იმით ამართლებს, რომ მას ზნეობრივი უფლება არ ჰქონდა, ქართული მიწის სისხლხორცეულ ნაწილად ქცეული თანამემამულეების საფლავები უპატრონოდ მიეტოვებინა.

ზემოთ დამონმებულ სტრიქონებში გამოხატული ავტორისეული თვალთახედვა ემოციური ანდა კონიუნქტურული განსჯის შედეგი რომ არ არის, ამას „ბანძის სინაგოგაც“ ნათლად ადასტურებს, რომელშიც ზემოთ ხსენებული პრობლემა უპატრონოდ მიტოვებული ებრაული სალოცავის ნახვის შედეგად წარმოქმნილ სულიერ ტკივილთან მიმართებითაა გააზრებული:

**მიტოვებული ყრუ მწუხარება თითქოს უხსოვარ**  
**შორეთს გასძახის,**  
**როცა დავდექი ღია კარებთან, რა საოცრებამ შემძრა**  
**ცახცახით.**  
**ან ამ ძველისძველ წიგნებს დამტვერილს, რატომ შევახე**  
**ხელი მთრთოლვარე?**  
**ვინ დამიტოვა განძი ამდენი, განძეულობის უბირ**  
**მოლარეს?**  
**ყდებაცვეთილი თქვენი თორები რად მაგონებენ სენაკს**  
**დაკეტილს?**  
**რად შემოგყურებთ გულათრთოლებით და უეცარი**  
**სასონარკვეთით?**

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ხსენებული პრობლემის გ. ხუხაშვილისეული განსჯა-გააზრება საინტერესო იმითაცაა, რომ პოეტი მკითხველს კიდევ ერთხელ განუმარტავს იმ

არგუმენტების არსს, რამაც მას საქართველოში საცხოვრებლად დარჩენასთან დაკავშირებით მისი თანამემამულეების დიდი ნაწილისაგან არსებითად განსხვავებული გადაწყვეტილება მიაღებინა.

იმისათვის, რომ მკითხველს უფრო ღრმად და საფუძვლიანად განუმარტოს ამ გადაწყვეტილების არსი, პოეტი კიდევ ერთხელ იხსენებს საქართველოში ებრაელთა დამკვიდრებისა და ქართველ ხალხთან მეგობრული თანაცხოვრების ისტორიიდან ყველაზე შთამბეჭდავ ეპიზოდებს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ლექსი „უცხოკაცობა არ მაგრძნობინო“, რომელშიც საკუთარი სამშობლოდან ებრაელთა დევნილობისა და ქართულ მიწაზე დაფუძნების ამბავი ამგვარადაა მოთხრობილი:

**გადმოხვენილმა უდაბნოეთით შენთან მშვიდობა  
ვპოვე დალილმა,  
საქართველოში როცა მოვედი, ორი ათასი წლის  
გადალმიდან.  
ვიყავ უმწეო, ვიყავ საპყარი, იმედით კაცის, ღვთიურ  
ქმნილების,  
როცა ფეხები მტკვარში ჩავყარე, უდაბნოს ქვიშით  
დახეთქილები.  
წყალი მწყუროდა, ღვინო დამისხი, პური მშიოდა,  
მომეც თავთუხის,  
მე შენი მიწის და ადამისხნის, კი არ დავსახლდი,  
ქვაზე დავდულდი.  
ტანზე მციოდა, ჩოხა ჩამაცვი, პირი ვიბანე შენი  
წყაროთი,  
როცა პირველი სიტყვა ჩამარცვლით ვილულულე  
და გულით ვხარობდი.**

გ. ხუბაშვილის ხსენებული ლექსი საინტერესო იმ თვალსაზრისითაცაა, რომ მასში პოეტი იმის შესახებაც გვესაუბრება, საუკუნეთა განმავლობაში საქართველოში მცხოვრები ებრაელები როგორ იქცნენ ქართული სინამდვილის ღვიძლ და სისხლხორცეულ ნაწილად. მსოფლიოს სხვა ქვეყნებში მცხოვ-

რები თვისტომებისაგან განსხვავებით, ქართველმა ებრაელებმა თავიანთი ახალი სამშობლო იმდენად შეიყვარეს და გაიმშობლიურეს, რომ აქედან აყრა და აღთქმულ მიწაზე დამკვიდრება, რაც მათი წინაპრების ყველაზე დიდ ოცნებას წარმოადგენდა, უმძაფრეს და დაუცხრომელ ტკივილთანაც აღმოჩნდა დაკავშირებული.

მაგრამ მიწის ყივილს წინ ვერაფერი დაუდგა და ებრაელთა უმეტესობამ, საქართველოსადმი უდიდესი სიყვარულის მიუხედავად, მაინც მის ისტორიულ სამშობლოს მიაშურა. თუმცა ისეთებიც იყვნენ და არიან, რომლებმაც ამ ნაბიჯის გადადგმისაგან შეგნებულად შეიკავეს თავი. მათი ამგვარი ქმედება ეროვნული თვითშეგნების დეგრადაციის შედეგს რომ არ წარმოადგენს, ამის დასტურად აქ თუნდაც მხოლოდ გ. ხუხაშვილის ის ლექსებიც შეიძლება გავიხსენოთ, რომლებიც მან საქართველოდან ებრაელთა სწორედ მასობრივი მიგრაციის პერიოდში დაწერა და მკითხველს თავისი ამგვარი გადანწყვეტილება ასე განუმარტავს:

**აქ რაც ჩამიცვამს და გამიცვითავს, შენი ალალი  
ხელის შერჩევით,  
მე არსად წავალ შენი მიწიდან, ვერც ვერასოდეს  
გადაგეჩვევი...  
რაში გავცვალო შენი ამაგი, ან რომელ მხარეს გული  
ენდობა?  
მე შენ ძუძუზე კბილი დაგადგი, რომ სამუდამოდ  
გეთქვა დედობა.  
მე ამოვედი შენი აკვნიდან, შენი ცეცხლი მწვავს,  
შენი ნაცარი,  
ნუ გამაგონებ ამას გაკვრითაც, თითქოს შენ იყო  
დედინაცვალი...  
არ ამირიო ისევ გზაკვალი, მოხეტიალეს და  
მომთაბარეს,  
შენი მიწაა ჩემი აკვანი, შენი მიწაა ჩემი სამარეც.**

როგორც გ. ხუხაშვილმა მთელი თავისი პიროვნული ცხოვრებითაც დაამტკიცა, იგი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა მისი ამ



გადანყვეტილების უღალატოდ ერთგულ პიროვნებად და სამარადისო განსასვენებლის ქართულ მიწაში დამკვიდრებით ფიზიკურადაც იქცა მის განუყოფელ ნაწილად.

გ. ხუხაშვილის პოეტურმა შთაგონებამ განსაკუთრებული ძალით გაიბრწყინა სიცოცხლის ბოლო წლებში შექმნილ პოეტურ კრებულში „სონეტები: ქებათა ქება იერუსალიმს, ავტოპორტრეტი, დღიურები“. თბილისში 1998 წელს გამოცემული ეს კრებული სავსებით სამართლიანად იქნა აღიარებული მწერლის „შემოქმედების დამაგვირგვინებელ წიგნად“ (თ. ჩხენკელი). გ. ხუხაშვილის ამ წიგნს თ. ჩხენკელი „უნიკალურ დოკუმენტად“ იმ თვალსაზრისითაც მიიჩნევს, რომ იგი, მისი შეფასებით, „ერთაშორისი თანაცხოვრების მეოხებით ცხადში განხორციელებული სიყვარულის“ ნათელ მაგალითსაც წარმოადგენს (თ. ჩხენკელი, მწვანე ბივრიტი, 2002წ., გვ. 201).

თავად გ. ხუხაშვილი კი მის პიროვნულ არსებაში ბუნებრივად გამოვლენილ, ერთგვარად გაორებულ სიყვარულს ებრაულ-ქართული ეროვნული ფასეულობებისადმი ერთგან ამგვარად გამოხატავს: „აქეთ და იქით ნუ ჩამითვლით მე გაორებად, თუ სიყვარული ორივესი შემრჩა ბოლომდე“. ხსენებული პოეტური კრებულის შეფასების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ამ გარემოებას უნდა მივანიჭოთ – ქართველ ებრაელთა დიდი ნაწილის ორმაგი ეროვნული ცნობიერების გამოვლინებას. ნათქვამის დამადასტურებელ მაგალითებს დაინტერესებული მკითხველი მრავლად იპოვის გ. ხუხაშვილის ხსენებულ წიგნში, განსაკუთრებით კი იერუსალიმისადმი მიძღვნილ პოეტურ ციკლში.

როგორც არაერთგზის უთქვამთ, ეროვნული ცნობიერების ამგვარი გაორება ქართველ ებრაელთა დიდი ნაწილისათვის ცხოვრების სისხლხორცეულ ნაწილად იქცა და ამ მოვლენამ არა მარტო საქართველოში მათი მკვიდრობის პერიოდში პოვა მძლავრი გამოხატულება, არამედ საქართველოსადმი დამოკიდებულებაში მშობლიურობის ეს გრძნობა მათმა უმეტესობამ ისტორიულ სამშობლოში გადასახლების შემდეგაც შეინარჩუნა საკმაოდ მყარად. ამ თვალსაზრისით ქართველი ებრაელები

ნამდვილად განიხილეთ სხვა ქვეყნებში მცხოვრები მათი მოძველებისაგან.

გ. ხუხაშვილთან დაკავშირებით ეს ყველაფერი ერთხელ კიდევ იმიტომაც გავიხსენე, რომ მის სონეტებში ძალზე შთამბეჭდავად და ემოციურად პოვა გამოვლინება მათი ავტორის ეროვნული ცნობიერების ამგვარმა ორმაგმა ბუნებამ. კერძოდ, საქართველოში ცხოვრებისა და ქართულ ყოფასთან შესისხლხორცების მიუხედავად, მწერალი სულიერად თავის ებრაულ ფესვებთანაც და ისტორიულ სამშობლოსთანაც განუყოფელად იყო დაკავშირებული. თავისი ამგვარი გაორებული ეროვნული ცნობიერება ერთ-ერთ სონეტში გ. ხუხაშვილმა შემდეგნაირად გამოხატა: „ქვეყნად კაცთაგანს ვის რგებია ორის დედობა, და იმ ორიდან არცერთია დედინაცვალი“.

ამ „გაორებული მთლიანობის“ სიმბოლოდ გ. ხუხაშვილის პოეტურ წარმოსახვაში იერუსალიმი იყო ქცეული. კერძოდ, იერუსალიმში მყოფი პოეტი აღფრთოვანებით ასხამს ხოტბას, ერთი მხრივ, მთელი მსოფლიოს რელიგიურ ცენტრად ქცეულ ამ წმინდა ქალაქს, როგორც ებრაელთა რწმენისა და ეროვნული თვითმყოფადობის განმსაზღვრელ უმთავრეს საფუძველს, მეორე მხრივ კი იმ ისტორიული ფესვების წარმოჩენასაც ცდილობს აქტიურად, რითაც ქართველი ხალხის დიდი შვილებიც იყვნენ საუკუნეთა განმავლობაში მასთან დაკავშირებულნი.

იერუსალიმური ციკლის სონეტებში გ. ხუხაშვილმა ერთმანეთისაგან განუყოფელი ფორმით წარმოსახა ამ მარადიული ქალაქის ბოხოქარი ისტორიული წარსულის ტრაგიკული ეპიზოდებიცა და თანადროული ყოფის სიდიადეც. იგი ეროვნული სიამაყით ასხამს ხოტბას იმ ფაქტს, რომ იერუსალიმი არა მარტო ებრაელთათვის წარმოადგენს მათი რელიგიური რწმენისა და ეროვნულობის სიმბოლოდ დამკვიდრებულ წმინდა ქალაქს, არამედ საუკუნეთა განმავლობაში მთელ „დედამინასაც უნათებდა წყვიდადს“. იერუსალიმისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ სონეტში თავისი ამგვარი თვალთახედვა გ. ხუხაშვილმა შემდეგნაირად გამოხატა:

**დალად დაგაჩნდა ნასეტყვარი და ნახანძრევი,  
მაინც დგახარ და დედამინას წყვდიადს უნათებ,  
ადგას ნათელი ზეციური მაღალ გუმბათებს  
და სილურჯეში ლივლივებენ შენი ტაძრები.  
არ დაიქცევი და არასდროს დაინაცრები,  
მკვიდრია რადგან დალოცვილი ფუძე გამჩენის,  
და სანუთროში კარგისა და ავის გამრჩევი,  
შენ ერთგულებით გდარაჯობენ ჯარისკაცები.**

იერუსალიმისადმი მიძღვნილი სონეტების ციკლში გ. ხუ-  
ხაშვილს არც ის სისხლისმღვრელი კონფლიქტები დაუტოვებია  
უყურადღებოდ, რომელიც ებრაული სახელმწიფოს აღდგენის  
დღიდან მიმდინარეობს წმინდა მიწაზე ებრაელებსა და არაბ  
სეპარატისტებს შორის პერმანენტულად. უმთავრესი პრინცი-  
პი, რომელიც ამ ტრაგიკული მოვლენის ავტორისეულ შეფასე-  
ბას უდევს მკვიდრ საფუძვლად, სამშვიდობო შეთანხმების  
მიღწევისკენ აქტიური მოწოდებაა. გ. ხუხაშვილის იერუსალი-  
მური ციკლის ლექსებში პოეტის ამდაგვარი პოლიტიკური  
თვალთახედვა, ყოველგვარი მიკიბე-მოკიბვის გარეშე, პირდა-  
პირ და არაორაზროვნადაა გამოხატული. მაგალითად:

**წმინდა მიწაო, მშვიდობისა შენ ხარ ნაპირი,  
რად უნდა გამტრობდეს გაჩენილი კაცი არაბად?  
როცა ხელს უწვდის სამეგობროდ იასერ არაფატს,  
ქვეყნისა შენი განმგებელი იცხაკ რაბინი.  
გვერდზე გადასდოს მტრობამ დანა და კარაბინი,  
რაც მშვიდ ცხოვრებას ანგრევდა და აღენვინებდა,  
იყოს ერთობა ისრაელთა, პალესტინელთა,  
მძლავრად იკვროდეს სამშვიდობოდ ხმობის  
საყვირი.**

**აღარ მოვიდეს ებრაელთა რბევად ამანი,  
აღარ კვდებოდეს უცოდველი ბავშვი ლიბანთან,  
იუდეველთა, ქრისტიანთა და მუსლიმანთა  
იდოს მარადის სამშვიდობო მხოლოდ სამანი.**

სონეტების ხსენებულ ციკლში პოლიტიკური ფაქტორის  
წინა პლანზე წამოწევა არსებითად განაპირობებს იმ საომარმა

დაპირისპირებებმა, რომლებიც, ისრაელის სახელმწიფოს აღდგენის დღიდან მოყოლებული, მუდმივად მიმდინარეობს ებრაელებსა და არაბ ექსტრემისტებს შორის. ამ ამბით შეძრწუნებული პოეტი დაბეჯითებით შესთხოვს უფალს, მსოფლიოს რელიგიურ ცენტრად ქცეული ქალაქის წმინდა მიწაზე მრავლად არსებულ სინაგოგებში, ეკლესიებსა და მეჩეთებში მისულ ღვთისმშობლათა გულელებში ჩაუქრობლად აღანთოს ცეცხლი მშვიდობისა და მოყვასისადმი სიყვარულისა, „რომ არ დაუდგნენ კაცთმოძულეს ერთგულ მონებად“:

**შენ მიეც შველა ბოროტთაგან შიშით მოცულეებს,  
გულგრილ მასპინძელს სახლი შენი განა ემგვანოს,  
არ აღორძინდეს კაცთა მტრობა უკიდევანო,  
მფარველად ჩვენდა სიყვარულის ზღვა გადმოცურე.  
და ჩაუნერგე სალოცავად შენთან მოსულეებს,  
არც სინაგოგა, ეკლესია, არცა მეჩეთი,  
არ თესდეს მტრობას, რადგან ერთი გვაქვს ცისქვეშეთი,  
ერთი ღმერთისგან გაჩენილთ და კეთილმოსურნეთ.**

იერუსალიმისადმი მიძღვნილი სონეტების ციკლში გ. ხუხაშვილმა კიდევ ერთხელ გამოხატა ქართველ ებრაელთა მადლიერება იმ სიტბოსა და სიყვარულისათვის, რასაც, მსოფლიოს სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, მუდამ გრძნობდნენ ხოლმე მისი მოძმეები საქართველოში დამკვიდრების დროიდან მოყოლებული დღემდე. მაგალითად:

**კურთხეულ იყოს, ვინც გაგვილო კარი არმაზთან,  
მოგვცა ჭერი და მოგვანოდა ღვინო ფიალით,  
რომ სამუდამოდ ვყოფილიყავ გულით ტრფიალი  
მისთა ტაძართა, მიწა-წყალთა, ციხე-დარბაზთა,  
ვინც შეისმინა ჩვენი მწარე შეალაღებთა,  
ძმობა გვითხრა და ძმას არასდროს ელაღატება.**

ზემოთ ხაზგასმული გარემოებიდან გამომდინარე, ლოგიკურად სავსებით ბუნებრივია და გამართლებული ის ფაქტი, რომ იერუსალიმისადმი მიძღვნილ პოეტურ საგალობელთა ერთ-ერთ მთავარ თემატურ მიმართულებად პოეტმა ამ წმინდა ქალაქში ქართული ნაკვალევის ძიებაც აქცია. ამ თვალსაზრისით

მის ყველაზე მეტ ინტერესს, ბუნებრივია, ჯვრის მონასტერი და იქ არსებული რუსთაველის ფრესკა იწვევდა. მრავლის-მთქმელია ის ფაქტი, რომ ყოველი ჭეშმარიტი ებრაელისათვის რელიგიური რწმენისა და ეროვნული უკვდავების სიმბოლოდ ქცეულ ქალაქში სტუმრად ყოფნის დროს პოეტი, მისი ისტორიული სამშობლოს ძლიერებასთან ერთად, მტერთაგან „აღრეული საქართველოს გადარჩენასაც“ შესთხოვდა იერუსალიმსა და მის ზეციურ ძალებს: „მიეცი შვება უსამართლოდ სიკვდილ-მისჯილებს და აღრეული საქართველო გადამირჩინე“.

იერუსალიმის წმინდა მიწაზე ქართული ნაკვალევების ძიების დროს გ. ხუხაშვილი იმ ლეგენდებსაც იხსენებს, რომელთა მიხედვითაც ეს ქალაქი ჩვენი ერის არაერთი დიდი შვილისთვის იქცა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის სისხლხორცეულ ნაწილად. პოეტის რწმენით, მათ შორის იყო თამარ მეფეც, რომელმაც სწორედ აქ, იერუსალიმის წმინდა მიწაში, რუსთაველის საფალავის ახლოს, პოვა სამუდამო სამკვიდრებელი. ამიტომაც იყო, რომ ამ უწმინდეს ქალაქში სტუმრად ჩასული პოეტი თავს ვალდებულად თვლიდა, ქართველთა სათაყვანებელი მეფე-ქალის განსასვენებელი ადგილი საკუთარი დედის საფლავივით მოენახულებინა:

**წმინდა მიწაში განისვენებ, მეფევ თამარო,  
რუსთაველის ახლოს, ვანად ქცეულ შემოგარენში,  
მოგყვა ნათელი სვეტიცხოვლის, დავით გარეჯის,  
მარადისობამ შუქი შენი აღარ დამალოს...  
საქართველოის მეფექალო, მოჭირნახულევ,  
შენს საფლავს დედის საფლავივით მოვინახულევ.**

გ. ხუხაშვილის სონეტების ხსენებულ ციკლში იმ გარემოებასაც არაერთგზის ესმება ხაზი, რომ ქართველი ხალხის მარადიული სულიერი ფასეულობებისა და სინმინდებებისადმი ამგვარი სიყვარული და პატივისცემა არა მარტო საქართველოდან ემიგრირებულ ებრაელებსაც გაჰყვათ თან, როგორც მათი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, არამედ ისინი არაქართულ გარემოში აღზრდილ მათ შვილებსაც უღვივებენ ამ უნიკალურ

გრძნობას. მაგალითად, ნანა შაბათაშვილისადმი მიძღვნილ ლექსში პოეტი წერს:

**გამოიარე უშორესი გზა და მანძილი  
და „დედაენა“ პირმშოსავით უბით ატარე,  
რძელ შერგებოდათ ისრაელში დაზრდილ პატარებს  
და ყელსაბამად თან დაგქონდა ძვირფას განძივით.**

გ. ხუხაშვილის ბოლოდროინდელი პოეტური შემოქმედების ერთ-ერთ უმთავრეს თემატურ მიმართულებად წუთისოფლის არსის შეცნობისა და ყოფნა-არყოფნის მარადიული პრობლემის ფილოსოფიური თვალთახედვით განსჯა-გააზრების მცდელობაც იქცა. ბიბლიურ გარემოში მოხვედრილი ხანდაზმული პოეტი ცდილობს კიდევ ერთხელ შევიმეცნოთ ადამიანთა მარადიულ საგოდებლად ქცეული იმ ტკივილის არსი, რომელსაც ყოვლის წარმავლობის გრძნობის სიღრმისეულად გაცნობიერება წარმოქმნის კაცობრიობის გონიერი ნაწილის გულში.

**დამბადებელო, შენ უშველე ყოველ კაცთაგანს,  
ვინც ცრუ სოფელი შეიცნო და დარჩა ურწმუნო,  
იმედის წყალი არასოდეს გადაუნურო,  
ამაოება თუ თრგუნავს და ეჭვმა გათანგა...  
მოეც პასუხი, ფიქრიანი ვინც დგას საფლავთან,  
წუთისოფელმა ვინც წარმავალ კაცად დაბადა,  
შენ მიეშველე გულგასენილ ჰამლეტს, შაილოკს,  
ვინც ცნო სოფელი და ირწმუნა ეკლესიასტე,  
იმა სოფლისთვის ადრე სიკვდილს ვინც ვერ ინატრებს,  
მარადისობა დაანახვე, იერუსალიმო.**

ან კიდევ:

**დღითიდღე ვკარგავ ტოლმეგობრებს და ნათესავებს,  
მოკლდება ლხინი და ვეჩვევი დარდსა და ტანჯვას,  
იქით არიან, ამ ქვეყანას მცირედი დამრჩა,  
გაქრნენ სივრცეში, მარადიულ ბნელს შეეზავნენ.**

როგორც დამონებული ფრაგმენტებიდანაც თვალნათლივ ჩანს, გ. ხუხაშვილის სონეტები არა მარტო მოვლენათა ახლებური რაკურსით წარმოჩენისა და აღქმა-გააზრების თვალსაზრისით იქცევენ მკითხველის ყურადღებას, არამედ პოეტურ

ინდივიდუალობათა გამოვლინებებითაც. კერძოდ, ნ. კუტივაძის მართებული ხაზგასმით, იმ ნიშან-თვისებათაგან, ხსენებულ სონეტებს „განსაკუთრებულ ხიზლსა და ღირებულებას რომ სძენენ“, პირველ ყოვლისა, „გრძნობათა სინრფელე, მეტაფორულობა და აზრის მრავალპლანიანობა“ უნდა დავასახელოთ (ჟურნ. „ნოსტალგია“, 2009წ., №8, გვ. 7).

აქვე იმ მუსიკალური მელოდიურობისა და სიტყვიერი რაფინირების შესახებაც უსათუოდ უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა, რითაც გ. ხუხაშვილის მთელი პოეტური შემოქმედება ხასიათდება საზოგადოდ. რიტმულ-მუსიკალურად დახვეწილი თავისი ნატიფი ლექსებით, რომელთა მელოდიურობის ხარისხს არსებითად განსაზღვრავს კეთილხმოვანი რითმების სიმრავლე და გამორჩეულობა, გ. ხუხაშვილი კლასიკური ქართული პოეტური ტრადიციების თანმიმდევრულად ერთგული პოეტია. სათქმელის გამონატვის უმთავრეს ვერსიფიკაციულ ფორმებად მის პოეზიაში ყველაზე ხშირად და წარმატებულად ათ- და თოთხმეტმარცვლიანი სალექსო საზომებია ხოლმე გამოყენებული.

თუმცა ობიექტურობა მოითხოვს აქვე იმ გარემოებასაც გაეხვას ხაზი, რომ ვერსიფიკაციულ ფორმათა მრავალგვარობის ასეთმა შეზღუდვამ გ. ხუხაშვილის პოეზია აშკარად დააყენა რიტმულ-მუსიკალური მონოტონურობისა და ერთფეროვნების საფრთხის წინაშე.

სონეტების ციკლებში: „ავტოპორტრეტი“ და „დღიურები“ გ. ხუხაშვილი პოეტური ფორმით გვიამბობს მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ეპიზოდებს. ფაქტობრივად, ესაა ლექსად დაწერილი დღიურები და შთაბეჭდილებანი; გარდასულ დღეთა რომანტიკულ-სენტიმენტალური მოგონებანი. ნერს კიდევ ერთგან თავადვე: „ემსგავსებიან სონეტები ჩემს დღიურებსო“.

ხსენებული ტექსტებისადმი ინტერესს არსებითად ზრდის ის ფაქტიც, რომ ისინი ავტორის დროინდელი ეპოქალური სინამდვილის თავისებურ პოეტურ მათიანესაც წარმოადგენენ და ფრაგმენტული სახით წარმოსახავენ იმ მოვლენებს, რომლებმაც არსებითად მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრეს გასული

საუკუნის საქართველოს ისტორიაში (საბჭოთა პერიოდის პოლიტიკური რეპრესიები, მეორე მსოფლიო ომი, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და სამოქალაქო ომი, აფხაზეთის ტრაგედია და ა. შ.).

ამ შემთხვევაში ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ეპოქალური სინამდვილის ესოდენ მასშტაბურად წარმომჩენი ეს მოვლენები ხუხაშვილის სონეტებში პუბლიცისტურ-პოლიტიზებული ფორმით კი არაა ასახული, არამედ სუბიექტურ ფაქტორთა წინა პლანზე წამოწვევითა და ამ მოვლენებისადმი თავად ავტორის პიროვნული დამოკიდებულების ჩვენებით.

მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიაში გიორგი ხუხაშვილის როლისა და ადგილის შეფასების დროს რამდენიმე სიტყვა მის კრიტიკულ წერილებზეც უსათუოდ უნდა ითქვას. თავისი ლიტერატურული ნარკვევებით მას, როგორც ობიექტურობითა და პრინციპულობით გამორჩეულ კრიტიკოსს, მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის გასულ საუკუნეში მოღვაწე თვალსაჩინო ქართველ მწერალთა შემოქმედების შესწავლისა და გაანალიზების საქმეში.

გ. ხუხაშვილის ლიტერატურათმცოდნეობითი ღვაწლის შეფასების დროს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მის წერილებში მაღალი პროფესიონალიზმითაა განსჯილ-გაანალიზებული ხსენებული პერიოდის ჩვენი მწერლობისათვის ნიშანდობლივად დამახასიათებელი არაერთი სიახლე და მხატვრული ტენდენცია. ყოველივე ზემოთქმულთან ერთად ამ შემთხვევაში ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თვით იდეოლოგიური დიქტატურის პერიოდში დაწერილ წერილებშიც კი, გ. ხუხაშვილმა შეძლო ლიტერატურულ მოვლენათა შეფასების დროს ხელისუფლების მიერ დეკლარირებული პარტიული პრინციპების ტყვეობაში არ მოქცეულიყო და კონიუნქტურის მაცდუნებელ გზას ნაკლებად გაჰყოლოდა.

ნათქვამის დასტურად აქ, ვფიქრობ, 1956 წელს – საბჭოთა იდეოლოგიის ზეობის პერიოდში – გამოცემული მისი კრიტიკული წერილების პირველი წიგნის – „მწერალი და ცხოვრება“



გახსენებაც იქნება საკმარისი, სადაც უმთავრესად სწორედ დეიდეოლოგიზებული პოზიციებიდან, ჭეშმარიტი ლიტერატურული კრიტერიუმების მომარჯვებითაა გაანალიზებული იმდროინდელი ქართული მწერლობის როგორც საყოველთაოდ აღიარებული ოსტატების (გ. ტაბიძის, ს. ჩიქოვანის, გ. ლეონიძის, ს. კლდიაშვილის, კ. ლორთქიფანიძის...), ისე სამოღვაწეო ასპარეზზე იმხანად ახლად გამოსული და შემდგომ ჩვენი მწერლობის პირველხარისხოვან წარმომადგენელთა (ო. და თ. ჭილაძეების, რ. ინანიშვილის, ა. სულაკაურის...) შემოქმედებითი სი-ახლენი.

ხსენებული წიგნის ლიტერატურულ ღირსებათა წარმოჩენის დროს აქვე მინდა იმ გარემოებასაც გაუფხვავა ხაზი, რომ გ. ხუხაშვილმა, ქართველ კრიტიკოსთაგან ერთ-ერთმა პირველმა, ე.წ. „უკონფლიქტობის თეორიის“ იმ ფსევდოშემოქმედებითი მეთოდის წინააღმდეგაც გაილაშქრა, რომელსაც სამოქმედო ორიენტირად უსახავდა საბჭოთა იდეოლოგია ჩვენს მწერლობას გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის უფროსი თაობის ცნობილ წარმომადგენელთა შემოქმედების შესწავლის ის ტენდენცია, რომელიც გ. ხუხაშვილის ლიტერატურული წერილების პირველი წიგნის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენდა, კიდევ უფრო მეტად გაღრმავდა 1962 წელს გამოცემულ კრებულში – „მწერალი და დრო“. კერძოდ, განსხვავებით პირველი წიგნისაგან, ხსენებულ კრებულში კრიტიკოსმა ამჯერად მხოლოდ იმ მწერალთა გასაანალიზებლად დაწერილი წერილები შეიტანა, რომლებიც იმ დროისათვის უკვე ერთსულლოვნად იყვნენ აღიარებულნი ქართული მწერლობის დიდოსტატებად (კ. გამსახურდია, დ. შენგელაია, ი. აბაშიძე, გ. შატბერაშვილი, ს. კლდიაშვილი..).

როგორც წიგნის სათაურიდანაც ჩანს, ხსენებული ლიტერატურული ნარკვევებით გ. ხუხაშვილი შეეცადა მკითხველისათვის თვალნათლივ დაენახებინა ის უმთავრესი პერიპეტები, რითაც ქართული მწერლობის ცნობილი წარმომადგენლები წარმოსახავდნენ მათი დროის ცხოვრებისეულ სინამდვილეს.

მეოცე საუკუნის ქართველ კლასიკოს მწერალთა შემოქმედების შესწავლას მიეძღვნა 1970 წელს გამოცემული წიგნიც – „ლიტერატურული წერილები“. კერძოდ, კრიტიკოსის თვალთახედვის არეში ამჯერად გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის, პ. კაკაბაძის, დ. შენგელაიასა და ლ. გოთუას შემოქმედება მოექცა. თუმცა „ლიტერატურული წერილების“ ხსენებულ გამოცემას განსაკუთრებულ მნიშვნელობას მაინც ის ფაქტი სძენს, რომ მასში კრიტიკული განხილვის უმთავრეს საგნად ავტორმა იმ მწერალთა შემოქმედება აქცია, რომლებიც გასული საუკუნის 50-60-იან წლებში გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე (ნ. დუმბაძე, ო. იოსელიანი, მ. ელიოზიშვილი, რ. ჭეიშვილი...).

70-იანი წლებიდან მოყოლებული, გ. ხუხაშვილის კრიტიკულ-ლიტერატურათმცოდნეობითი საქმიანობის უმთავრეს მიმართულებად უკვე იმ თაობის ფართოდ ცნობილ წარმომადგენელთა შემოქმედების შესწავლა დამკვიდრდა, რომელნიც 50-60-იან წლებში გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე (რ. ინანიშვილი, ო. ჭილაძე, თ. ჭილაძე, ჭ. ამირეჯიბი, ა. სულაკაური, ე. ყიფიანი, ო. იოსელიანი, რ. ჭეიშვილი, გ. დოჩანაშვილი, ტ. ჭანტურია...). სწორედ კრიტიკოსის მიერ ამ მიმართულებით გაწეული შემოქმედებითი შრომის შემაჯამებელ წიგნებად იქცა „დრო და თანამედროვენი“ (1977წ.) და „დროის კვალდაკვალ“ (1984წ.), რომლებშიც მაღალი პროფესიონალიზმითაა განსჯილ-გაანალიზებული ზემოთ ხსენებული ლიტერატურული თაობის ცნობილ წარმომადგენელთა მიერ ქართულ მწერლობაში დამკვიდრებული შემოქმედებითი სიახლენი.

დასახელებული წიგნები საინტერესო იმ თვალსაზრისითაცაა, რომ, იმჟამინდელ პერიოდულ ლიტერატურულ გამოცემებში დაბეჭდილი მხატვრული ტექსტების მიმოხილვის საფუძველზე, კრიტიკოსმა მიმდინარე სამწერლო პროცესისთვის დამახასიათებელ უმთავრეს ტენდენციათა განზოგადებულად წარმოჩენაც ცადა, ქართულ ლიტერატურულ ტრადიციებთან მიმართებით.

## ლიტერატურა – REFERENCES

1. კუტივაძე ნ., გიორგი ხუბაშვილი, იხ. ჟურნ. „ნოსტალგია“, 2009, №8.
2. ჩხენკელი თ., მწვანე ბივრიტი, თბილისი, 2002.
3. ხუბაშვილი გ., მწერალი და ცხოვრება, თბილისი, 1956.
4. ხუბაშვილი გ., დრო და თანამედროვენი, თბილისი, 1977.
5. ხუბაშვილი გ., პიესები, თბილისი, 1981.
6. ხუბაშვილი გ., დროის კვალდაკვალ, თბილისი, 1984.
7. ხუბაშვილი გ., ფიქრები ხმამაღლა, ლექსები, თბილისი, 1988.
8. ხუბაშვილი გ., სონეტები, თბილისი, 1998.

**Avtandil Nikoleishvili**

**George Khukhashvili**  
**(features for a literary portrait)**

### Summary

George Khukhashvili (1925-2003) was one of the prominent representatives of 20<sup>th</sup> century Georgian literature. He was known for his various works and entered the literary arena in the second half of the 40's. After this, he continued working as a poet, playwright and critic. Moralistic as well as realistic issues of life are the main attributes of his dramaturgy. As for his poetry, it is definitely based on classic Georgian poetry traditions. George Khukhashvili is also the author of several critical letters, which shows us the main tendencies of development in the 20<sup>th</sup> century Georgian literature.

ნათელა ნათლიაშვილი-კვინიკაძე

**ბიორბი (ბიბლა) სუსაშვილი  
ლექისი, ფუნჯისა და სიტყვის უბადლო ოსტატი**

სიტყვა და ფერი მომიმადლე,  
ბედო მტანჯველო,  
ვნება, რომლითაც ქვას კოდავდა  
მიქელანჯელო.

ასე წერდა ერთ-ერთ სონეტში სასიქადულო პოეტი გიორგი (გიგლა) ხუხაშვილი.

გიგლა ხუხაშვილი! – გულმხურვალე მამულიშვილი, ჩინებული პოეტი, ბრწყინვალე დრამატურგი, დახვეწილი გემოვნების კრიტიკოსი, მაღალი ინტელექტის მქონე, ფართო დიაპაზონის საზოგადო მოღვაწე, შესანიშნავი მხატვარი, ქვეყანას უანგაროდ რომ მიუძღვნა თავისი უზადო ნიჭი და უმნიკველო ცხოვრება.

გიგლა ხუხაშვილი ერთგული იყო თავისი მუზისა, ხალხისა და ქვეყნისა. მისი ნაწარმოებები მკითხველს ერთდროულად სინარულისა და ტკივილის განცდას ანიჭებს, შევიგრძნობთ ებრაულ სულს და, იმავდროულად, საქართველოს სიტბოსა და სილამაზეს. მისი შემოქმედება გულწრფელობით, სისადავით, ღრმა ცხოვრებისეული გამოცდილებით გამოირჩევა.

**საქართველო, თბილისი, იყო მისი შთაგონების მუდმივი წყარო:**

**უთქვამს რუსთაველს: სად წაიყვან სადაურსაო,  
წუთისოფელი ცვალებადი ასე ტრიალებს.  
სადაც არ ვიყო, მეხსომება ჩემი მოძმენი,  
შენს გარდა კიდევ სხვა სამშობლოს ვერსად  
მოვძებნი.**

ვის არ წაუღიღინია თბილისისადმი მიძღვნილი მისი შესანიშნავი სტრიქონები, ლამაზად აჟღერებული ცნობილი ქარ-

თველი კომპოზიტორის – გიორგი ცაბაძის მიერ, თავდავინწყე-  
ბით რომ მღეროდა სახელგანთქმული ანსამბლი „ორერა“.

**დავალ მუდამ მოხიბლული**

**შენი თილისმით,**

**ვეძებე და ვერსად ვპოვე**

**მე სხვა თბილისი.**

**რომ მოგშორდე ერთი დღითაც,-**

**მომენატრები,**

**სულში მუდამ შრიალებენ**

**შენი ჭადრები...**

მრავალმხრივი შემოქმედი, სისპეტაკითა და პატიოსნებით  
გამორჩეული პიროვნება, ქართული და ებრაული ინტელიგენ-  
ციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ღვანლმოსილი და ამაგ-  
დარი ბატონი გიგლა ხუხაშვილი 55 წელზე მეტხანს დაულალა-  
ვად ემსახურებოდა ქართულ მწერლობას, ქართულ კულტურ-  
რას.

თერთმეტი წელი მიილია დიდი შემოქმედის გარდაცვალე-  
ბიდან.

აუნაზღაურებელია ბ-ნი გიგლას ამ ცხოვრებიდან წას-  
ვლით გამოწვეული დანაკლისი... მაგრამ მან დაგვიტოვა უაღ-  
რესად საინტერესო, შინაარსიანი და მრავალნახნაგოვანი შე-  
მოქმედებითი მემკვიდრეობა: ლექსები, პოემები, პიესები, კი-  
ნოსცენარები, კრიტიკული წერილები, მხატვრული ნარკვევე-  
ბი, მალალმხატვრული სონეტები... მკითხველმა შეიყვარა მისი  
პოეტური კრებულები: „მშვიდობის სიმღერა“, „ლურჯი ფან-  
ჯრები“, „მომღერალი ბიჭი“, „მთების სიმღერა“, „ფიქრები  
ხმამაღლა“, „ბიბლიური მოტივები“... მოხიბლა მისი შესანიშ-  
ნავი სონეტების კრებულით. საზოგადოება დიდი ინტერესით  
ესწრებოდა გ. ხუხაშვილის პიესებისა და ინსცენირებების მი-  
ხედვით შექმნილ მშვენიერ სპექტაკლებს... გვახსოვს, რა დიდი  
წარმატებით იდგმებოდა საქართველოში და საქართველოს გა-  
რეთ მისი პიესები: „ზღვის შვილები“, „მოსამართლე“, „ამბავი  
წუთისოფლისა“, „დღიურები ჩემი ქალაქიდან“, „ცხოვრება კა-  
ცისა“, „მთანმინდის მთვარე“... ინსცენირებები, შექმნილი ვაჟა-

ფშაველას „მთანი მაღალნი“-ს, ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბას“, კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“-ს მიხედვით. მწერლის საუკეთესო კინოსცენარების მიხედვით გადაღებულ იქნა მაღალმხატვრული ფილმები: „ზღვის შვილები“, „მთვარის მოტაცება“, „ნოდარ დუმბაძე“, „გრიგოლ აბაშიძე“, „მოლოდინი“.

გიგლა ხუხაშვილი გახლდათ საქართველოს სახელმწიფო პრემიისა და აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი. მიღებულ ჯილდოთაგან ყველაზე დიდი ჯილდო კი ხალხის დიდი სიყვარულია, რომლითაც სამაყო მწერალი და პიროვნება იყო გარემოსილი.

**გიორგი (გიგლა, ხუხაშვილმა არა მარტო ქართულ მწერლობაში, ქართულ სახვით ხელოვნებაშიც თქვა თავისი სიტყვა.**

**... გადავშალოთ მოგონებათა წიგნი...**

**2003 წლის 13 ივნისი... ეროვნული გალერეის დარბაზები დამთვალეირებლებს ძლივს იტევდა. დიდი იყო საზოგადოების ინტერესი ბ-ნი გიორგი ხუხაშვილის, როგორც მხატვრის, შემოქმედების მიმართ.**

სიყვარულითა და სითბოთი აღსავსე სიტყვებით მიესალმნენ მეგობარ მწერალსა და მხატვარს ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები. მათ ისაუბრეს გ. ხუხაშვილის მდიდარი, ნაყოფიერი შემოქმედების შესახებ, მის წვლილზე ქართულ დრამატურგიასა და პოეზიაში, მის მაღალზნეობრივ თვისებებზე, უანგარობაზე, კეთილშობილებაზე. ბ-ნმა **თემო გოცაძემ** აგრეთვე აღნიშნა, – გარდა იმისა, რომ ბ-ნი გიორგი ხუხაშვილი დიდი შემოქმედი, ამავე დროს ნამდვილი ვაჟკაცია. იგი იყო კარგი მოზურთავე, კარგი მოცურავე, მონადირე, მეთევზე, ბრწყინვალე თამადა... ბ-ნმა თემომ ყველა ადამიანს უსურვა ისეთივე შინაარსიანი და ლამაზი ცხოვრება, როგორითაც ცხოვრობდა ბ-ნი გიგლა ხუხაშვილი!

დასასრულ, დამსწრეთ თავად ღვანლმოსილი ბ-ნი გიორგი ხუხაშვილი წარუდგა. გარემოცულმა საზოგადოების ყურადღებითა და სიყვარულით, დიდი მადლიერება გამოხატა მისი შე-

მოქმედების ჯეროვნად დაფასებისათვის; აღნიშნა, რომ ყველაზე დიდი კრიტიკოსი საკუთარი შემოქმედებისა თავად გახლდათ. ისაუბრა განვლილ შემოქმედებით გზაზე, მხატვრობით გატაცებაზე. ხელოვნების მოყვარულთ და დამფასებელთ საინტერესოდ უამბო ერთი ეპიზოდი თავისი ცხოვრებიდან, – როგორ მოხვდა 12 წლის ასაკში პრინც მიურატის სასახლეში და დიდი შთაბეჭდილებებით აღვსილმა როგორ მოხატა შპალერის რულონი. ასე შეიქმნა ბევრი ნახატი. შეიძლება ჩაითვალოს, რომ პრინც მიურატის სასახლეში მან თავისი ნახატების პირველი გამოფენა მოაწყო. როგორც ცნობილია, სასახლე დაინვა და გიგლას ნამუშევრებიც განადგურდა. ამის შემდეგ იგი დიდხანს აღარ ხატავდა.

**ბ-ნმა გიგლამ ბოლოს დასძინა: „მადლობელი ვარ ჩემი ბედისა, რომ საქართველოში დავიბადე. ყველაფერი ამ მინამ მასწავლა. დღევანდელი დღე ის დღეა ჩემთვის, რომლისთვისაც ღირდა გაჩენა“.**

ჭეშმარიტი შემოქმედი მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს.

**გალერეაში 120-მდე ფერწერული ტილო იყო გამოფენილი: პორტრეტები, ნატურმორტები, პეიზაჟები, ავტოპორტრეტები, კომპოზიციები... თვალს იტაცებდა საყვარელი თბილისის უბნები, შემოდგომის პეიზაჟები, სვანური კოშკები, მშობლიური სოფელი ბანდა თუ მარანი, ფეთხანინი თუ ფიროსმანის მოტივები...**

**სონეტების კრებული ხომ გიგლა ხუხაშვილის ჭეშმარიტ შემოქმედებით გამარჯვებას წარმოადგენს და სწორედ კედლებზე განთავსებულმა სონეტებმა ერთგვარი, ამავე დროს შესანიშნავი ფონი შეუქმნეს გალერეაში გამოფენილ მხატვრის ფერწერულ ტილოებს.**

... აი, ერთ-ერთ სონეტში პოეტი შესთხოვს უფალს, მისცეს ძალა, რათა „სამარადჟამოდ აღდგეს ფერფლიდან, რომ სიცოცხლე თვისი „ფურცელ-ფურცელ დაასურათოს“, რათა „სამყარო ვრცელი, საოცარი, ნათილისმარი, არასდროს გაქრეს სამუდამოდ, როგორც სიზმარი...“ ხელოვანის მეხსიერებაში ცოცხლობს ბავშვობის სურათები, პეიზაჟები... „სადაც არ ვი-

ყო, შორზე შორეთს, სიზმარეული, – მოჩანს ის მდელი, ის ორ-ლობე და ბროწეული“. ბ-ნი გიორგის ნატვრაა, რომ მისი სურათები იყოს მოძრავი, ცოცხალივით მფეთქავი, რადგან „ამ ცივ ზამთარში, თქვენ უდაბნოდ რომ გეჩვენებათ, მშვენიერება იმდენია, რომ ვერ დავთვალე“.

მხატვრის შემოქმედების წყაროა მისი საყვარელი სამშობლოს სანახები, საქართველოს სხვადასხვა კუთხე, იქნება ეს ხევსურეთი თუ სვანეთი, დედაქალაქი თუ საკურორტო ქალაქები... მშობელი ქვეყნის სიყვარულის ვნებით შეპყრობილი, ქმნის წლის ყოველი დროის – ზამთრისა თუ ზაფხულის, შემოდგომისა თუ გაზაფხულის პეიზაჟებს, ნატურმორტებს, ხატავს ნაირფერ ყვავილებს... ტილოებზე ასახავს მზეს, „როცა ჩადის ულურჯვე დასალიერზე, ან განთიადზე ცა ნათელი ერიჟრაჟება“, სწორედ მაშინ „ნატურმორტებად, ფერადოვან პეიზაჟებად“, თვის „დელებს ფერად ტილოებზე ანსახიერებს“.

ამ ჩვენს ნაირფერ დედამიწაზე ბევრნაირი სილამაზეა, მაგრამ ისე არაფერი შვენის, არ ალამაზებს დედამიწას, როგორც მწვანე სამოსელი და ... ყვავილები. ეს იმიტომ, რომ სიმწვანე სიცოცხლის მაუნყებელია, ხოლო ყვავილი – სიცოცხლის განვითარებისა და გამრავლების, მისი მარადიულობის უმთავრესი სიმბოლოა. ალბათ ამიტომ, ბ-ნი გიგლა ხუხაშვილისთვის ყვავილების თემა ერთ-ერთი საყვარელი თემათაგანია.

მხატვარი განსაკუთრებული რუდუნებით ხატავს ყვავილებს, თითქოს ეფერება მათ, ესიყვარულება... ისინი ძალზე ბევრია ტილოებზე, მათში იმდენი სულიერებაა, რომ ავტორს სწამს: „ჩემს ტილოებზე ყვავილები აღარ ჭკნებიან, ფერი რიჟრაჟის, ფერი ცისა, ფერი კრამიტის...“ მისი შიში, „გადმოხატული რომ არ იყოს მკვდარი ასლები“, უსაფუძვლოა, ამოაო, რადგან „მდინარის ფსკერზე ფერადები როცა შეტოკდნენ, მარგალიტებით „ვარსკვლავები ამოუტანეს“. შემოქმედისთვის ყვავილები, ბალახი – სულიერი არსებებივით ძვირფასია, ამიტომ ყველას ევედრება: „ფეხს ნუ დაადგამთ ყვავილებს და მწვანე ბალახებს, ეს იგივეა, რომ დაადგათ ფეხი ვარსკვლავებს“, ხოლო „ვარდები ხომ სულის სიმაღლეა და სილამაზე“.



ყურადღებას იპყრობს ბ-ნი გიგლა ხუხაშვილის ავტოპორტრეტები, ისინი ძალზე შთამბეჭდავია, მათში თითქოს მთელი ცხოვრება იკითხება, მოჩანს მწერლის სულისკვეთება, სულის სრბოლა, სწრაფვა, „სიცოცხლის ლექსად გარდაქმნის“ დიდი სურვილი; გახსოვთ, რომ წერდა: „დავწერე გული, როგორც ღრუბელი, რომ ყველაფერი, რაც მაქვს, გადმოვცე“, თითქოს აწუხებდეს ფიქრი, „და ჩემი სახე წრფელი, უგრძობი, რას ეტყვის წარსულს, ან ისტორიას?“.

ახლაც თვალწინ მიდგას პორტრეტი ბ-ნი გიორგი ხუხაშვილის დედისა, სათნო, სპეტაკი, დარბაისელი, შვილებზე ზრუნვას გადაყოლილი მანდილოსნისა, რომელსაც „ბალიშქვეშ ედო, როგორც იმედი“, გიგლას „ბავშვური ხელით ნახატი“. საამაყო შვილი დედის ხსოვნას ასეთ სტრიქონებს უძღვნის: „ჩვენო დედაო, ჩვენო ფუძეო... თითქოს თოვანში გაჭაღარავდი, შემოგეხარჯა ფიქრი ათასი...“ პორტრეტზე „ამოუთქმელი, გულდაკოდილი“, ყველას მაგიერ მომლოდინე, შუბლდაღარული დედის მზერაში მაგიური სხივივით აღბეჭდილა „მზერადაღლილი დედის ლოდინი“.

მწერლისა და მხატვრისთვის შთაგონების დაუშრეტელი წყარო სამეგრელოში გატარებული ბავშვობის ლამაზი მოგონებებია, მისი ლამაზი, შინაარსიანი ცხოვრების გზაზე ნანახისა და განცდილის განსხეულება ფერწერულ ტილოებზე, იქნება ეს საქართველოს ამა თუ იმ კუთხის ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლით დამშვენებული პეიზაჟი თუ ბუნების შთაბეჭდილებების გადმოცემა შესანიშნავ, ორიგინალურ, მრავალფეროვან კომპოზიციებში.

გიგლა ხუხაშვილის პერსონალური გამოფენა – ეს მისი მდიდარი, სიკეთითა და კეთილშობილებით აღსავსე „სულის ნაჟურია“, მნახველის ფიქრებსა და გრძნობებზე ძალუმ ზემოქმედებას რომ ახდენს, ნათელ, ოპტიმისტურ, საზეიმო განწყობას რომ გიქმნის... ფერწერულ ტილოებზე ფერები ძირითადად ნათელია, კამკაშა... გამომსახველობითი საშუალებებია სინათლე, შუქი, ხორცშესხმული სივრცე, შუქ-ჩრდილები, ფერების გადასვლა, ფერადოვანი გამა... ტილოებზე სივრცე სუნთქავს,

მოძრაობს, გამოხატავს ავტორის აზრს, გრძნობებს, ხედვას... მხატვრის შემოქმედება ამდიდრებს ჩვენი დღეების სახვით ხელოვნებას, გამოფენას ტოვებს თითქოს განწმენდილი, ამაღლებული, ოპტიმიზმით აღსავსე... კვლავ და კვლავ ვრწმუნდებით იმ უცილობელ ჭეშმარიტებაში, რომ „მშვენიერება, კულტურა გადაარჩენს მსოფლიოს, კაცობრიობას!“

**რაოდენ წრფელია ბ-ნი გიგლას სიტყვები: „მე ბევრჯერ შევცდი, მაგრამ გულგრილად ერთი წამითაც არ მიცხოვრია“.**

მწერლობა ერის კენესისა და სიმღერის ზიარია, გამოძახილიც და ზარიც... როდესაც 75 წლის იუბილეს – „ოქროს რთველს“ ულოცავდა ბ-ნი გიგლა ხუხაშვილს პოეტი და მთარგმნელი, ბ-ნი ჯემალ აჯიაშვილი, მან გაიხსენა, რამდენიმე წლის წინათ სტუდენტ ახალგაზრდობასთან ერთ-ერთ შეხვედრაზე როგორ არისხებდა ზარებს ბ-ნი გიგლა, როგორ დუღდა და დრტვინავდა ერთთავად, ადგილს ვერ პოულობდა თურმე: „წიგნის ყადრი დაიკარგა, ჩვენსას ვინ ჩივის, თვით რუსთაველი და ვაჟა-ფშაველა აღარ უნდა არავის, თუ ასე გაგრძელდა, ჩვენს არსებობას აზრი აღარ ექნება“-ო.

ასე ეთაყვანებოდა, ესათუთებოდა პოეტი ტკბილ, საამურ ქართულ ენას, მის სინმინდეს...

**„ ... ვინც გინდა იყოს, –  
ვერ შეცვლის კანონს:  
რომ დაიბადა, –  
უნდა წავიდეს!  
მაინც იმითი უნდა შეფასდეს –  
აქ რას დატოვებს...“**

წერს ისრაელში მოღვაწე ცნობილი პოეტი სიმა ჯანაშვილი. ეს, ალბათ, მარადისობის კანონია.

ლექსის, ფუნჯისა და სიტყვის დიდოსტატის სიცოცხლე ლექსად, სიმღერად, ფერტილოდ გარდაიქმნა და ხალხს, ქვეყანას მიეძღვნა. წერდა კიდევ პატრიოტი პოეტი:

**შენ გაზიარებ ჩემს ოცნებებს, ფიქრებს, იმედებს,  
რაც გამაჩნია, – ყველა შენთვის გამოვიმეტე.**

\* \* \*

... ოქროსფერი შემოდგომა ნელ-ნელა მინავლდა და გაქრა... დამთავრდა მისი ცხოვრებისეული ლამაზი ბალადა... თერთმეტი წელია, რაც იგი ზეციური საქართველოს ბინადარი გახდა... დარჩა ხსოვნა, კვალი ნათელი კაცისა, ისეთივე ნათელისა, როგორიც მისი ლექსებია, რადგან, როგორიც არიან ადამიანები, ისეთივეა ის წიგნებიც, რომელთაც ისინი წერენ.

სასიქადულო შემოქმედის ადამიანური სიდიადე ლამაზი ხსოვნის სალამოებით აღინიშნება ხოლმე თბილისის ებრაულ სათემო სახლში, რომლის ავტორი და წამყვანი გახლავთ უნიჭიერესი, ენერგიული, დიდი შემოქმედებითი ფანტაზიის მქონე ქალბატონი **ზაირა დავარაშვილი**, რაც იშვიათ ადამიანთა ხვედრია. ისევ გაისმის მისი გულის ძგერა, ისევ ხმიანობს მისი ლექსები, ისევ ამაცობენ მასთან სიახლოვით მეგობრები...

ქართველი და ებრაელი ხალხების ხსოვნის საგანძურში სამარადუამოდ იკიაფებს მისი სახელი, რადგან უკვდავია მისი შემოქმედება, უკვდავია მისი ტილოები...

ახალგაზრდა ნიჭიერმა პოეტმა **დათა აჯიაშვილმა** გულიდან ამოძახილი სტრიქონები უძღვნა ექსპრომტად ბ-ნ გიორგი (გიგლა) ხუხაშვილს ეროვნულ გალერეაში გამართულ მისი ნამუშევრების პერსონალურ გამოფენაზე:

**ფუნჯის მონასმით გამოძერწილი**

**ყოველი ტილოს თემა და ფერი**

**აშიშვლებს გრძნობებს, გესაუბრება,**

**არსებობს, სუნთქავს, ცოცხლობს და მღერის.**

**ჭეშმარიტად, ბ-ნი გიორგი ხუხაშვილის შემოქმედება „არსებობს, სუნთქავს, ცოცხლობს და მღერის....“**

## **Natela Natliashvili-Kvinikadze**

### **Master of Poetry and Painting**

#### **Summary**

Giorgi (Gigla) Khukhashvili was an ardent patriot, excellent poet, brilliant playwright, sensitive critic, social activist of sophisticated intellect and a noteworthy painter. He dedicated his life and talent to his country.

This remarkable person tirelessly served Georgian literature and culture for 55 years.

Twelve years have passed since his death, but he left us his remarkable, multifaceted literary works: poems, plays, film scripts, critical essays, research works. He earned love and respect of his readers and viewers who attended his fascinating plays staged in a number of theaters, as well as films based on his scripts.

Gigla Khukhashvili was a laureate of the Georgia State and Akaki Tsereteli awards as well as a recipient of the Medal of Honor. However, the best reward for him was the love of people that he valued most.

Gigla Khukhashvili was renowned not only as a gifted writer, but also as an outstanding painter.

Let's open the book of memories...

June 13, 2003... The national gallery was filled with visitors... They all were enchanted by the beautiful paintings of Giorgi Khukhashvili.

Well-known representatives of Georgian intelligentsia addressed him with warm and respectful speeches.

At the end of the celebration Giorgi Khukhashvili himself spoke to his audience and talked about his creative works, his fascination with and love of art...

He ended his speech with the following words: I am grateful that I was born in Georgia, this land taught me everything. Today is the day when I can fully appreciate my luck of being here with you.

The grateful listeners awarded him with loud applause.

His exquisite sonnets, displayed on the walls of the gallery, well complimented the paintings hanging next to them. The beautiful landscapes are presented in bright colors full of light.

It is impossible not to leave the exhibit without feeling inspired and filled with optimism. The words of Fyodor Dostoevsky come to mind – “Beauty will save the world, save the mankind.”

One cannot forget Gigla’s heartfelt words: “I made many mistakes, but I never was indifferent in my life.”


The life of this remarkable man was transformed into poems, songs, paintings and left to the people. His life full of impressive creative force is over, but the legacy he left will be forever remembered...

The life of this extraordinary person is lovingly remembered by the Jewish Community of Tbilisi. The author and leader of these gatherings is Ms. Zaira Davarashvili, talented, energetic and gifted with great creative imagination.

In the treasure house of Georgian and Jewish people the name and works of Gigla Khukhashvili will always have a special place, respected and loved by his admirers...

The works of Giorgi (Gigla) Khukhashvili “live, breathe and sing forever...”





## ინგლისელი მოგზაურები საქართველოს შესახებ

ცნობილია, რომ საქართველო ინგლისელი მოგზაურების თვალთახედვის არეში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მოექცა, როდესაც მეფის რუსეთის განზრახვამ გაეფართოებინა გავლენა ამიერკავკასიაში და კასპიის ზღვისპირეთის, როგორც ნავთობის ერთ-ერთი მძლავრი წყაროს ამბავმა შორეულ ალბიონსაც მიაღწია. გარდა ამისა, ვიქტორიანული ინგლისის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება გახლდათ ახლის შეცნობისა და მაშინდელი ბრიტანული სინამდვილისათვის ეგზოტიკურ ქვეყნებში თავგადასავლების ძიების დაუცხრომელი სურვილი. ამის გამო, მე-19 საუკუნეში და მე-20 საუკუნის დასაწყისშიც ამიერკავკასიას და, კერძოდ, საქართველოს საკმაოდ ბევრი ინგლისელი მოგზაური ეწვია, რომლებმაც თავიანთი მოგზაურობის შთაბეჭდილებები ლონდონში გამოქვეყნებულ წიგნებში აღწერეს.

ამ სტატიის მიზანია სამი ინგლისელი მოგზაურის (კერძოდ, ბუჩან ტელფერის, დუგლას ფრეშვილდისა და რობერტ პორტერის) საქართველოში მოგზაურობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

ინგლისელი მოგზაური ბუჩან ტელფერი გარკვეული ხნის განმავლობაში რუსეთის იმპერიის სამხრეთ ნაწილში ცხოვრობდა და რუსეთის იმპერიის ეგზოტიკური პროვინციებით განსაკუთრებით ყოფილა დაინტერესებული. ტელფერის საქართველოში მოგზაურობა აღწერილია 1876 წელს ლონდონში მის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომში "The Crimea and Transcaucasia" [5]. (ისევე როგორც სხვა თანამემამულე მოგზაურები (ოლივერ უორდროპი, ედმუნდ სპენსერი, რიჩარდ უილბრაჰამი...), ტელფერიც ბრიტანეთის საქართველოთი დაინტერესებას ცდილობდა, რაც იმდროინდელი ბრიტანული პოლიტიკისათვის აბსოლუტურად მისაღები იყო.



ტელფერი საქართველოში ტუაფსედან შემოვიდა და, ამგვარად, აფხაზეთი იყო პირველი ქართული მხარე, რომელიც მან მოინახულა. ბიჭვინთის სილამაზით მონუსხული მოგზაური ქათინაურებს არ იშურებს ულამაზესი ბუნების მიმართ. ასევე აღწერს ბიჭვინთის ტაძარს, რომელიც მე-12 საუკუნემდე საეპისკოპოსო ცენტრი იყო ამიერკავკასიაში და რომელსაც, ავტორის ვიზიტის დროს, რესტავრაცია უტარდებოდა.

ბიჭვინთიდან ტელფერი სოხუმისკენ მიემართება და, ამ ქალაქის ისტორიისა და დემოგრაფიული სიტუაციის განხილვის შემდეგ, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სარკინიგზო პროექტის (სოხუმი-კალე-ყუბანი) განხორციელების შემთხვევაში სოხუმის დიდ სამხედრო და საზღვაო პორტად გადაქცევის პერსპექტივას [5.120]. ისევე როგორც მისი დროის სხვა ინგლისელი მოგზაურები, ტელფერიც ღიზიანდება რუსი კაზაკების სიმრავლით საქართველოში, რომლებიც თავიანთ უშუალო მოვალეობად მიიჩნევენ უცხოელი მოგზაურების მარშრუტების კონტროლს. ასევე დასძენს, რომ, გარდა რუსი სამხედროებისა, პროვინციელი ქართველი თავადაზნაურობაც მსახურობს რუსის ჯარში და, მწირი ანაზღაურების მიუხედავად, შეჭირვებული ცხოვრების გამო, ამ სამსახურს ვერ ელევა.

საქართველოში ტელფერს განსაკუთრებით ეკლესიების სიმრავლე აოცებს, თუმცა ასევე ეთანხმება ჟან შარდენს, როდესაც ეს უკანასკნელი ქართველების უცნაურ თვისებად მიიჩნევს მისწრაფებას ეკლესია მთის წვერზე ააგონ და მერე შორიდან, კორნოხზე აუსვლელად, სცენ ღმერთს თაყვანი [3].

ტელფერის ნაშრომში დიდი ადგილი ეთმობა თბილისის დახასიათებას. კერძოდ, მოგზაური მოხიბლულია თბილისის ცენტრალური უბნებით (ვორონცოვის ხიდიდან გოლოვინსკის ჩათვლით), მთანმინდის გადმოსახედით, მამა დავითის ეკლესიით, ევროპული კვარტალის მოდური მაღაზიებით თუ აზიური ბაზრებით. ავტორი საქებარ სიტყვებს არ იშურებს ქართული იარაღის დასახასიათებლად [5. 152].

როგორც ჩანს, იმდროინდელ საზოგადოებაში ტრადიციული ყოფილა უცხოელი სტუმრების გაცნობა, დახმარება და ნა-

დიმებზე დაპატიჟება. ტელფერიც ასევე მიუწვევიათ წვეულებაზე დარბაზ „კრუჟოკში“ [5. 201] და ამ ვიზიტის დროს ავტორი აღფრთოვანებულია ქართველი ქალების მშვენიერებითა და ზომიერებით. იგი დაწვრილებით აღწერს ქართველი ბანოვანების ეროვნულ სამოსელს, თავსაბურავსა და ლეჩაქს, ასევე მათ ვარცხნილობას (მისი აღწერით, გათხოვილ ქალებს თმა ნაწნავებად და ზილფებად ჰქონდათ მკერდსა და ბეჭზე დაშვებული); აღწერს მამაკაცებს, რომელთაც სირმებით განწყობილი ჩოხა და უძიროები ეცვათ.

საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს ტელფერი ქართველების ოპტიმისტური დახასიათებით ასრულებს. მისი აზრით, ქართველი კაცი სასონარკვეთასა და დარდს იშვიათად მიეცემა და ღვინო და სიმღერა შველის მას უიმედო ფიქრებისგან გათავისუფლებაში [5. 167].

ინგლისელი მოგზაური დუგლას ფრეშვილდი კავკასიაში ტელფერზე ადრე, 1868 წელს ჩამოსულა და, რადგანაც თავად გატაცებული ყოფილა მთასვლელობით (იგი იყო ინგლისის სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო მდივანი და ალპური კლუბის პრეზიდენტი), ყაზბეგი და იალბუზი დაულამქრავს. ფრეშვილდის მოგზაურობა ამიერკავკასიაში აღწერილია მის ნაშრომში *Travels in the Central Caucasus and Bashan including visits to Ararat and ascents of Kazbek and Elbruz*, რომელიც 1869 წელს გამოიცა ლონდონში [1].

გარდა მთის რეგიონისა, ფრეშვილდს მთელი საქართველო მოუვლია და დაწვრილებით აღწერს თბილისის, ბათუმის, ფოთის, ქუთაისის, გორისა და მცხეთის იმდროინდელ ცხოვრებას. მისი აზრით, თბილისი ეკლექტიური ქალაქია, რომელიც აზიური, რუსული და ევროპული კვარტალებისა და გერმანული გარეუბნებისაგან შედგება [1. 66]. აქვე მოგზაური ხაზს უსვამს თბილისისთვის დამახასიათებელ ფერთა მრავალფეროვნებასა და სიჭრელეს და იმასაც, რომ გარეუბნები არც ლამაზია და არც უშნო. აღსანიშნავია, რომ ამით ფრეშვილდი გარკვეულწილად ეწინააღმდეგება უილბრაჰამს [6], რომელსაც თბილისის

გერმანული უბანი გაცილებით მიმზიდველი ეჩვენა, ვიდრე მისი აზიური ნაწილი.

ფრეშვილდი ალტაცებით აღწერს ჭრელ აზიურ ბაზრებს, თუმცა იქვე დასძენს, რომ ისინი არ ემსაგავსებიან დამასკოსა და კაიროს ბაზრებს და არც ცნობილი, აღმოსავლური სავაჭრო რიტუალი ახასიათებთ. მოგზაური გატაცებულია ქართული ღვინოთი, რომელსაც იგი ბურგუნდიულს ადარებს (ამით იგი იზიარებს უილბრაჰამის აზრს). საინტერესოა, რომ ფრეშვილდი მოხიბლულია თბილისელების საყვარელი თავშესაქცევი ადგილით ბოტანიკური ბაღის სიახლოვეს, სადაც მოსახლეობა პიკნიკებზე იკრიბება და, ღვინოსთან ერთად, გასართობ ამბებსა და თბილისის ახალ ჭორებს ენაფება. ასეთი თავყრილობები, ავტორის ცნობით, ქალაქური მუსიკითა და ცეკვა-თამაშით მთავრდება. აქვე ფრეშვილდი მოიხსენიებს თბილისელთა გატაცებას კლასიკური მუსიკითაც (თავადვე მოუხმენია „ტრავიატა“ და „ფაუსტი“ თბილისის ოპერის თეატრში, იტალიელების შესრულებით).

თბილისიდან ფრეშვილდი ქუთაისს სტუმრობს და მოსწონს მისი ახალი სახლები, სწორი ქუჩები და ევროპულ არკადებში განთავსებული შუშისვიტრინებიანი მაღაზიები. მოგზაურის განსაკუთრებული ყურადღება ქუთაისლების თავსაბურავს მიუპყრია. კერძოდ, მისი აღწერით, სამხედროებს პურისმცობლის მსგავსი ქუდეები ახურავთ, მამაკაცები ე.წ. „ბაშლაკებს“ ატარებენ, ხოლო ქალები გატაცებული არიან დაჭრელებული მეგრული ქუდით, რომელიც, ავტორის აზრით, პარიზულ ბერეტს მოგვაგონებს. სწორედ ამიტომ, პარიზელმა მექუდეებმა ქუთაისლებს უნდა მიბაძონ და გადაიღონ ყველა ქუდის სახეობაო, დასძენს ავტორი [1. 74].

ფრეშვილდი მათ ქუთაისლების გემოვნებას უსვამს ხაზს, როდესაც მსჯელობს ლამაზად მორთულ სამოსზე და დიდ მომხიბვლელობაზე. ქალების სილამაზეს მოგზაური მედეასას ადარებს, თუმცა, მეორე მხრივ, ძლიერ გავრცელებული ნაწილი უგემოვნებო მოღურ ტენდენციად მიაჩნია.

ბოლო მოგზაური, რომლის შთაბეჭდილებებიც მინდა ამ სტატიაში გაგაცნოთ, გახლავთ რობერტ პორტერი, რომელიც მე-19 საუკუნის დასაწყისში ეწვია საქართველოს. მისი შთაბეჭდილებებიც ორ ტომად გამოიცა ლონდონში, 1821 წელს. საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებები პორტერს პირველ ტომში აქვს ასახული, რომელიც დასათაურებულია, როგორც *Travels in Georgia, Persia, Armenia, Ancient Babilonia*. საინტერესოა, რომ ავტორს ეს ქვეყნები მათი წარსული დიდების კვალდაკვალ აურჩევია და დიდი იმედი ჰქონია, რომ მათ, ევროპული ქვეყნების დარად, ანმყოშიც აყვავებულსა და განვითარებულს ნახავდა [2].

სამწუხაროდ, ამგვარი მოლოდინით შეპყრობილ ავტორს იმედი გაუცრუვდა და აზიურმა და არცთუ სუფთა თბილისმა მასზე დადებითი შთაბეჭდილება ვერ მოხდინა. პორტერი წერს, რომ პირქუში ქალაქი და სხვადასხვა ფორმის შიშველი კლდეები უარყოფით განწყობას ამძაფრებს მნახველში. ხალხი ნახევრად სიბნელეში დაბალ, ბანიან სახლებში ცხოვრობს და უსუფთაო დუქნებში ყიდულობს საკვებსა და ღვინოს. პორტერი არც თბილისური აბანოებით მოხიბლულა და მათაც უარყოფითი ზედსართავებით მოიხსენიებს, როგორც გოგირდის სუნით გაჟღენთილს, უწესრიგოსა და ჭუჭყიანს.

საინტერესოა, რომ თბილისში პორტერის გზამკვლევი თუ მასპინძელი კარგად არ უნდა ყოფილიყო გარკვეული ქალაქის ისტორიაში, რადგანაც მოგზაურს თბილისის ვინმე მეფე ლევანის დაარსებულად მიაჩნია და არც ქალაქის მრავალსაუკუნოვან ისტორიაზე აქვს სწორი წარმოდგენა.

ერთადერთი დადებითი შტრიხი პორტერის მოგზაურობაში არის თავად ქართველების სილამაზე და ოპტიმიზმი. პორტერი სიამოვნებით აღწერს ქართველი ქალების დიდ შავ თვალებს, მომხიბლავ სწორ ნაკვთებსა და სასიამოვნო გამომეტყველებას. ასევე, ქართველი კაცის მხიარულ ხასიათს, თუმცა იქვე იუმორით დასძენს, რომ დაღვრემილი მოხდენილი ქართველის ყურებაც კი ბევრად სასიამოვნო იქნება, ვიდრე მისი რომელიმე კავკასიელი თანამოძმისა [1. 134].

სტატიაში მიმოხილულ ნაშრომებში ასახულია იმდროინდელი კავკასიისა და საქართველოს ცხოვრების რეალური სურათი, თუმცა თითოეული მოგზაური მისთვის საინტერესო დეტალს უსვამს ხაზს, რაც მათ ნაშრომებს განსაკუთრებულ ელფერსა და მნიშვნელობას ანიჭებს.

## **ლიტერატურა – REFERENCES**

1. Freshfield D.W., Travels in the Central Caucasus and Bashan including visits to Ararat and ascents of Kazbek and Elbruz, London, 1869.
2. Porter S.K., Travels in Georgia, Persia, Armenia, Ancient Babylo-  
nia during the years 1817-1820, London, 1821.
3. Shardin, J. The Travels of Sir John Chardin, London, 1711.
4. Spencer E., Travels in the Western Caucasus, London, 1839.
5. Telfer, J.B., The Crimea and Transcaucasia; being the narrative of a  
journey in the Kouban, in Gouria, Georgia, Armenia, Ossety, Imeri-  
tia, Swannety, and Mingrelia, and in the Tauric range, London, 1876.
6. Wilbraham W., Travels in the Transcaucasian Provinces of Russia,  
London, 1839.
7. ხუციძე ა., ინგლისელი მოგზაურის მიერ დანახული საქარ-  
თველო, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი, 2014.

### **Manana Rusieshvili-Cartledge**

#### **English Travellers about Georgia**

##### **Summary**

English travellers became interested in the Caucasus in the 19th century, when the desire expressed by the Tzar of Russia to enlarge the Russian influence in this region, on the one hand, and the news regarding the oil discovered in the Caspian sea region attracted both British society's and politicians' attention to this exotic region. As a result, the

numbers of British travellers who desired to see the Caucasus increased. Interestingly, the travellers were expected to publish their records describing their impressions regarding their travel in the region, which, besides informing the Victorian society, served as a lure for their countrymen to travel in this new part of the world as yet unexplored by them.

From this point of view, it is interesting to review the journeys of Buchan Telfer, Robert Porter and Douglas Freshfield in Georgia;

**ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ  
თურქული ანდაზები<sup>1</sup>**

ანდაზა, როგორც ენობრივი ერთეული, ყველა ერის კულტურის განუყოფელი ნაწილია. მასში აირეკლება საზოგადოებისათვის დამახასიათებელი უკლებლივ ყველა მოვლენა თუ ქმედება, ტრადიციები და წარმოდგენები, თაობებიდან თაობებზე გადაცემული ცხოვრებისეული დაკვირვებანი და გამოცდილებანი.

სტატიაში ანდაზა განხილულია, როგორც სამშრიანი სემანტიკურ-პრაგმატიკული სტრუქტურა. კერძოდ, მის პირველ, ექსპლიციტურ შრეზე ფიქსირდება ანდაზის ვერბალური ფორმა, შუა, იმპლიციტურ შრეზე აქტუალიზდება ანდაზის ზოგადი მნიშვნელობა და კონტექსტური პარამეტრები, ხოლო მესამე შრეზე – ენობრივი სამყაროს მოდელის ამ ანდაზასთან დაკავშირებული მონაკვეთი [3].

ზემოთქმულთან კავშირში ჩვენი მოხსენება შეეხება იმ თურქულ ანდაზებს, რომლებშიც ვხვდებით გარკვეულ რეკომენდაციებს, დარიგებებს ჯანსაღი ცხოვრების შესახებ. ჩვენ ხელთ არსებული ემპირიული მასალა ძირითადად დაკავშირებულია სწორ კვებასთან და გარეშე ფაქტორების ზეგავლენასთან ჯანმრთელობაზე [1. 2].

მაგ., *Kırka kadar et yemeli, kırktan sonra ot yemeli* (ადამიანმა ორმოცი წლის ასაკამდე ხორცი უნდა მიირთვას, ხოლო ორმოცი წლის შემდეგ – მცენარეული საკვები);

---

<sup>1</sup> ნაშრომი შესრულებულია რუსთაველის ფონდის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის – ქართული ენის იდიომებისა და ანდაზური ფონდების მონაცემთა ბაზა (რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, თურქული და არაბული ეკვივალენტებით) – მასალაზე დაყრდნობით.

Ye baklayı, At taklayı (მიირთვი ლობიო და გაიხარე (ყირაზე გადადი) – თურქული ფოლკლორი ლობიოს ადამიანის ჯანმრთელობისათვის სასარგებლო პროდუქტად მიიჩნევს და ბევრი შეგიძლიათ მიირთვათ.

Ye tatlıyı, doğur atlıyı, ye ekşiysi, doğur Ayşe' yi (ფეხმძიმე ქალი, რომელიც მიირთმევს ტკბილეულს, შობს ვაჟს, ხოლო ის, ვინც – მჟავეულობას, შობს აიშეს, ანუ გოგონას).

Bal yiyen çıkmış yaza, buldıran yiyen gulden taze (ვინც თაფლს ჭამს, ზაფხულს მიაღწევს, კონიოს მჭამელი ვარდზე ახალგაზრდა, ვარდივით იქნება). ის ადამიანი, ვინც თაფლით იკვებება, ჯანმრთელი იქნება და დიდხანს იცოცხლებს; ის ადამიანი, ვინც მცენარეულ საკვებს მიირთმევს – არ დაბერდება, ყოველთვის ახალგაზრდული შეხედულება ექნება.

Ye eti, iç suyu, ağzı bala dönsün, ye balı, iç suyu ağzın yala dönsün (ხორციან საკვებს წყალს რომ დააყოლებ, პირის გემოს აუმჯობესებს, თუ ტკბილეულს – მაშინ პირის გემო ფუჭდება (საქონლის საკვებს ემსგავსება).

მსგავსი კონოტაციის მატარებელია შემდეგი თურქული ანდაზებიც, რომლებიც რჩევას აძლევენ საკვების მომხმარებელს, რომ ნორმას არ გადააჭარბოს:

Ye tatlıyı iç suyu balgam osun, ye eti iç al kan olsun.

Ye tatlıyı içme suyu yandırırssa yandırısın, ye yağlıyı, iç suyu dondurursa dondursun.

Az yemek yiyen çok yaşar.. (ის, ვინც ცოტას ჭამს, დიდხანს ცოცხლობს).

ყურადღაღებია ის თურქული ანდაზებიც, რომლებიც მიგვითითებენ ჯანსაღი ცხოვრების სხვა სახის ფაქტორებზეც და რჩევას გვაძლევენ, როგორ უნდა მოვუაროთ სახლს, როგორ უნდა მოვიქცეთ ჭამის შემდეგ ან რა გავაკეთოთ ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად:

Güneş giren eve doctor girmez (იმ სახლში, სადაც მზე შედის, ექიმი არ შედის. ექიმი უმზეო სახლის ხშირი სტუმარია).



Yemekten sonar ya kırk adım atmalı, ya sırtüstü yatmalı (ჭამის შემდეგ ან ორმოცი ნაბიჯი გადადგი, ან პირალმა დაწეცი).

Yazın yaşa, kışın taşa oturma (ზაფხულში სველ ადგილას, ხოლო ზამთარში ქვაზე არ დაჯდე).

Ye çalışırken, giy yakışırken (იმუშავე და იკვებე, ჩაიცვი შესაფერისად).

Her gün yürüme sağlığını yolunu uzatır.. (ყოველდღე სიარული ჯანმრთელად ყოფნის საწინდარია).

Yazın gömleksiz, kışın ekmezsiz yola çıkma (ზაფხულში პერანგის გარეშე და ზამთარში უსაგზლოდ (უპუროდ) გზას ნუ დაადგები).

ან, პირიქით: Yazın gömleksiz, kışın ekmezsiz yola çıkma (ზაფხულში უსაგზლოდ (პურის გარეშე), ზამთარში უპერანგოდ ნუ იმოგზაურებ).

ქვემოთ ჩამოთვლილი ანდაზები ასევე გვიჩვენებენ, როგორ უნდა მოვიქცეთ ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად:

Yazın ayırsız, kışın yorgansız olmaz (არ შეიძლება ზაფხულის გატარება აირანის გარეშე და ზამთრის – საბნის გარეშე).

საინტერესო რეკომენდაციაა მოცემული შემდეგ თურქულ ანდაზაში, რომელც გვიჩვენებს, როგორ უნდა მოვირთვათ კონკრეტული საკვები:

Elmanın biri bin kuruşa ise gene soy, hıyarın bini bir paraya ise gene soyma (თუ ვაშლის ფასი ათასი ყურუშია, მაინც უნდა გათალო; თუ ათასი კიტრი ერთი ყურუში ეღირება, ის გათლას არ საჭიროებს). ე.ი. თურქებს მიაჩნიათ, რომ ვაშლი აუცილებლად უნდა გაითალოს, ხოლო კიტრი – არა.

როგორც ცნობილია, ვაშლი არის ძალიან სასარგებლო ხილი, რომლის დადებით თვისებებზე ბევრი თქმულა და დაწერილა. სხვადასხვა ენაში ფიქსირდება ანდაზები ხილის ამ სახეობის მარგებლობის შესახებ. (მაგ., შდრ ცნობილი ინგლისური ანდაზა:

An apple a day keeps the doctor away (დღიურად ერთი ვაშლი და ექმი საჭირო არ არის). ასევე, ქართულშიც მოგვეპოვება ვაშლის მსგავსი ანდაზა: დილით ვაშლი – გულზე ვარდი, დილით

მსხალი გულზე შხამი). სრულიად საპირისპირო ინფორმაციას შეიცავენ ვაშლთან და მსხალთან დაკავშირებით თურქული ანდაზები: მაგ., *Elma yolda bulsan, alma* – (ვაშლი გზაში რომ იპოვო, არ აიღო). ნურეთთინ ალბაირაქი [1. 414], ანდაზების ვრცელი კრებულის ავტორი, ასე განგვიმარტავს აღნიშნულ ანდაზას: ეს არის ანდაზა, რომელშიც ნათლად ჩანს, რომ ვაშლი კარგი, სასარგებლო ხილი არ არის. აზრი, გამოთქმული შემდეგ ანდაზაში, ეწინააღმდეგება პირველისას – *Elmanın adı var, armudun tadı var* (ვაშლს სახელი აქვს, მაგრამ მსხალი უფრო გემრიელია). ნურეთთინ ალბაირაქს კი ეს ანდაზა ასე ესმის: მსხალი ვაშლზე გემრიელია და, აქედან გამომდინარე, უფრო ძვირფასიც [1. 414]. საინტერესოდ მივიჩნით ის ანდაზებიც, რომლებშიც სხვადასხვა ხილის შესახებაა საუბარი. მოცემულია რეკომენდაციები, თუ როგორ და რა რაოდენობით უნდა მივირთვათ: *Elmayı soy da ye, armudu say da ye, kirazi biraz ye, dutu ye da ye* (ვაშლი გათაღე და ისე ჭამე, მსხალი დათვაღე და ისე შეექეცი, ბალი ცოტა, თუთა კი რამდენიც გენებოთ) ან, კიდევ: *Elmayı soy da ye, eriği say da ye, armudu sapçığı ile küpçüğü ile ye de ye* (ვაშლი გათაღე და ჭამე, ქლიავი დათვაღე და ისე შეექეცი, მსხალი კი ყუნწიან-გულიანად, რამდენიც გენებოთ).

საინტერესოა, რომ ზოგიერთი ეს თურქული ანდაზა ავლენს მსგავსებას ქართულ ანდაზებთან როგორც ექსპლიციტურ, ასევე იმპლიციტურ დონეებზე, რაც გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ ამ ტიპის ანდაზათა უნივერსალურობა. მაგ., *Hastalık kantarla gelip miskalle gider* (ავადმყოფობა სასწორით შემოდის და მისხალ-მისხალ გადის. შეად. ქართ.: ავადმყოფობა ურმით შემოდის და მისხალ-მისხალ გადის.); *Güneş giren eve doctor girmez..* (ექიმი უმზეო სახლის ხშირი სტუმარია და სხვ).

როგორც ვხედავთ, სტატიაში მიმოხილული ანდაზები უხვადაა თურქულში და ასევე დასტურდება სხვა ენებშიც. სამომავლოდ ჩაფიქრებული გვაქვს ერთობლივი სტატია, რომელიც შეეხება რამდენიმე მონათესავე თუ არამონათესავე ენაში ამ სემანტიკის ანდაზათა გამოვლენას და მათ შემდგომ კვლევას ამ კუთხით [3].

## **ლიტერატურა – REFERENCES**

1. Nurettin Albayrak, Türkiye Türkçesinde Atasözleri, İstanbul, 2009.
2. Metin Yurtbaşı, İngiliz ve Türk Atasözleri, Çevirileri, Açıklamaları ve Karşılıkları ile Birlikte 6000 Atasözü, İstanbul, 2007.
3. რუსიეშვილი მ., ანდაზა, თბ., 2005.

### **Ketevan Lortkipanidze**

#### **Turkish Proverbs Connected with Health and health Issues**

##### **Summary**

As is well known, the proverb as a language unit is found in all languages of the world, which makes this verbal form an indispensable part of all the cultures reflecting the traditions and rituals practiced in the community. This article discusses Turkish and Georgian proverbs which express certain recommendations and advice regarding health, healthy lifestyle and diet.

**გიორგი ყუფარაძე  
ციური ახვლედიანი**

**ენობრივ ფორმათა თავისებურებაში თარგმანში  
(ინბლისური, ფრანგული და  
ძართული ენების მასალაზე)**

თარგმანის ფენომენი კარგა ხანია იზიდავს ენათმეცნიერთა, ფსიქოლოგთა, ლიტერატურათმცოდნეთა და ეთნოგრაფთა ყურადღებას. ამ უკანასკნელის მეცნიერული შესწავლის შედეგებით ახალი მიმართულებების ჩამოყალიბება, რომელიც თარგმანს განიხილავს საკუთრივ ლინგვისტიკის პოზიციებიდან, უკავშირდება ენათმეცნიერებაში ახალი ტენდენციების გაჩენას და კერძოდ – კომუნიკაციის თეორიის განვითარებას [1].

თარგმანის თეორიის ეს მიმართულება თავის კვლევის ორბიტაში აერთიანებს ისეთი თეორიული ხასიათის პრობლემებს, როგორცაა: თარგმანის პროცესის, ანუ ენათშორისი კომუნიკაციის მოდელირება, თარგმანის ზოგადლინგვისტური საკითხები, ენათა უნივერსალების გამოვლენა თარგმანის გზით და სხვ.

ორენოვანი ტექსტების კომპარატიული ანალიზი გვაძლევს საშუალებას, განვიხილოთ საკითხთა ისეთი რიგიც, რომელიც ენათა აღნიშნული წყვილის შეპირისპირებაზე მიზანმიმართული გამოკვლევის სფეროს განეკუთვნება [2].

კომუნიკაციის თეორია ენობრივ ერთეულთა ფუნქციონირებას შეისწავლის ე.წ. „კომუნიკაციურ ბლოკებში“ ანუ ტექსტში, ამიტომ ხშირად იგი ტექსტის თეორიის სინონიმადაც კი არის ხოლმე მოაზრებული.

საერთოდ, ენის ნიშანთა სელექცია, ერთი მხრივ, განპირობებულია კომუნიკაციის მიზნებით და კომუნიკაციის განხორციელების ფორმით (წერითი, ზეპირი, მონოლოგური, დიალოგური); მეორე მხრივ, მათი სელექცია ბევრადაა დამოკიდებული ასევე კომუნიკანტთა სუბიექტურ ფაქტორზე, მათ ასაკობრივ სხვაობაზე, ნათესაურ კავშირზე, მათ სოციალურ სტატუს-

ზე და ასევე მათ ინტელექტუალურ დონესა და სხვა გარეენობრივ ფაქტორებზე, რომლებიც ჯერ კიდევ მოითხოვენ შემდგომ გამოვლენასა და აღწერას.

როგორი ინდივიდუალურიც არ უნდა იყოს ესა თუ ის კონკრეტული შემთხვევა შიდაენობრივ კომუნიკაციაში, მის კომუნიკაციურ ვარგისიანობას არეგულირებს ობიექტურად არსებული ენის სისტემის უნივერსალურობა.

კომუნიკაცია ერთიანი, განუყოფელი პროცესია, რომელიც ერთ დონეზე მონაწილეობენ შეტყობინების გამგზავნიც და მისი მიმღებიც.

ტექსტთა შეპირისპირება წარმოადგენს გარემოებას, როდესაც ამ ტექსტთა კონსტრუირებაზე აშკარად გავლენას ახდენს როგორც ერთი, ასევე მეორე ენის სოციალურ-კულტურული ფონი და რომ ორივე ტექსტის უკან დგანან განსხვავებული ინდივიდუალური ცნობიერების მქონე სუბიექტები, რომლებიც ამყარებენ კომუნიკაციას ასევე განსხვავებულ ადრესატებთან [3].

ორი ენის შედარება შესაძლებელია განხორციელდეს უკვე არსებული სხვადასხვა გრამატიკული მოდელებიდან ნებისმიერის გამოყენების საფუძველზეც. თავდაპირველად, ამისათვის სტრუქტურალისტ ენათმეცნიერთა მიერ შემუშავებულ ვარიანტს მიმართავდნენ. იგი ენათა დეტალური „მეცნიერული აღწერის“ მნიშვნელობაზე ხაზგასმას წარმოადგენდა, რომელიც თავის თავში იმ სხვადასხვა კატეგორიის ანალიზს ეფუძნება, რომელთა უშუალო არსებობითაცაა განპირობებული ენის სტრუქტურების შექმნა-ჩამოყალიბება. ისინი ფორმალური თვალსაზრისით განსაზღვრული და ინდუქციურად ჩამოყალიბებული კატეგორიებია. განსხვავებები ენათა შორის ინდენად აშკარა და თვალში საცემია, რომ შეუძლებელია ერთი საერთო საკლასიფიკაციო სისტემის შექმნა, რომელიც ყველა ენას მოერგება.

ნათელია, რომ კონტრასტული ანალიზი და სტრუქტურული ლინგვისტიკა შემთხვევითი მოკავშირეები აღმოჩნდნენ. როგორ შეიძლება ეფექტური შედარება განხორციელდეს, თუ

შესადარებელ ენებს საერთო კატეგორიები არ გააჩნიათ? თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ, პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე, შედარების ლინგვისტური საფუძვლის ჩამოყალიბება ბოლომდე ამოუცნობი შეიძლება დარჩეს, თეორიული პრობლემა მაინც იარსებებს.

იდეალური თვალსაზრისით, კონტრასტული ანალიზი უნივერსალურ კატეგორიებს უნდა დაეფუძნოს (ე.ი. იმ კატეგორიებს, რომლებიც ნებისმიერ არსებულ ენაში შეიძლება დაიძებნოს), რომლებიც ერთმანეთისაგან მხოლოდ ლინგვისტური თვალსაზრისით რეალიზებული ფორმით განსხვავდებიან ერთი ენიდან მეორეში [4]. გრამატიკის თეორიამ სწორედ ასეთი მოდელი შესთავაზა და სწორედ აღნიშნული შემოთავაზება გახდა კონტრასტული ანალიზის საფუძვლის გამხმომავანებელი.

უცხოური ენის შესწავლისას, შემსწავლელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მშობლიური ენის ლინგვისტური მახასიათებლები, რადგან მშობლიური ენა წარმოადგენს ჩვენს აღქმით (მგრძნობელობით) სამყაროს. მშობლიური ენის გავლენა შეიძლება გამოვლინდეს ფონოლოგიურ, სინტაქსურ და სემანტიკურ დონეებზე. კონტრასტული ანალიზი საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ მშობლიურ და, უცხოურ ენათა განსხვავებების მომენტები და სახელდობრ, ამ მომენტებს უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება უცხოური ენის შესწავლის დროს. ენის შესწავლისადმი ასეთ მიდგომას ბევრი საერთო აქვს იმ სქემასთან, რომელსაც ჯონ კეროლი „კოდის ათვისების კოგნიტიურ თეორიას“ უწოდებს.

თარგმანის დროს, კონტრასტული ანალიზი წარმოადგენს იმ საშუალებას, რითაც მთარგმნელმა ყურადღება უნდა მიაქციოს უცხოურ და მშობლიურ ენებს შორის განსხვავებებს სემანტიკურ და სინტაქსურ დონეებზე, რაც გარკვეულწილად გულისხმობს ასევე მათ დაძლევისასაც [5].

ჩვენი კვლევა ეყრდნობა ინგლისურ-ქართული, ქართული-ინგლისური, ფრანგულ-ქართული, ქართული-ფრანგული თარგმანების კონტრასტულ ლინგვისტურ ანალიზს. ჩვენი მშობლიური ენა ქართული ენაა; ინგლისური და ფრანგული ჩვენთვის

უცხოური ენებია, რომლებიც ჩვენი მშობლიური ენის სტრუქტურებისაგან განსხვავებულ ენობრივ სტრუქტურებს ქმნიან. უცხოური ენიდან მშობლიურზე და პირუკუ – მშობლიური ენიდან უცხოურზე თარგმნა გულისხმობს შესაპირისპირებელ ენათა სინტაქსური და სემანტიკური სტრუქტურების საფუძვლიან ფლობას. ქართული ენის სინტაქსური სტრუქტურები აბსოლუტურად განსხვავებულია (გაცილებით თავისუფალი წყობით ხასიათდება) ინგლისური და ფრანგული ენების სინტაქსური სტრუქტურებისაგან.

კონტრასტული ანალიზის შესახებ გამოკვლევათა უმრავლესობა იმ 4 ზედაპირულ მახასიათებელზეა დამყარებული, რომლებიც სტრუქტურალისტებმა შემოგვთავაზეს: [6; 7]

**(1) აღწერა** – (შედარებისას შეირჩევა ორი ენის ფორმალური აღწერა);

**(2) შერჩევა** – (შედარებისას შეირჩევა გარკვეული ერთეულები, რომლებიც შესაძლებელია მთელ ქვესისტემებს მოიცავდეს, როგორცაა: დამხმარე (auxiliary) სისტემა ან შეცდომათა ანალიზის დროს გამოვლენილი ის მონაკვეთები, რომლებიც თარგმნის პროცესში სირთულეს ქმნიან);

**(3) შედარება** – (მსგავსება-განსხვავებების იდენტიფიცირება); და

**(4) პროგნოზი** – (იმ მონაკვეთების იდენტიფიცირება, რომლებმაც, სავარაუდოდ, შესაძლებელია, შეცდომების დამწვევა განაპირობოს).

(3) შედარებისას ყველაზე მარტივ პროცედურას შესაძარებელ ენათა შორის მსგავსება-განსხვავებების გამოვლენა წარმოადგენდა. მკვლევრებმა ძალიან მალე გაიაზრეს ენებს შორის არსებული იდენტურობა-არაიდენტურობის ხარისხობრივი მაჩვენებლები. თვალსაჩინოებისათვის ქვემოთ მოგვყავს ზოგიერთი ის შესაფერისი შემთხვევა, რომელსაც ადგილი შეიძლება ჰქონდეს კონტრასტული ანალიზის საფუძველზე და მის შედეგად: [8; 9]

**1. არავითარი განსხვავება პირველი და მეორე ენის თვისებრივ ხასიათში:**

მაგ. ფრანგულ ენაში არსებული შემოკლებული ფორმა 'J'ai'აი' ანალოგიურ ასახვას პოულობს ინგლისურ ენაში დამხმარე ზმნების შემოკლებული ფორმების სახით: 'I've, I'm, I'll და სხვ. (მაგრამ ენათა სხვა წყვილის შედარებისას, აღნიშნული მსგავსება შესაძლოა აღარ, არსებობდეს და იგი განმასხვავებელ ფაქტორად მოგვევლინოს):

**ინგლისური: I've done this writing task today**

**ფრანგული: Aujourd'hui j'ai fait mon devoir**

**ქართული: მე ჩემი წერიტი დავალება დღეს შევასრულე.**

**[Me chemi tseriti davaleba dges shevasrule]**

**2. „კონვერგენციის (შერწყმის) მოვლენა“ (პირველი ენის ორი ელემენტი მეორე ენაში ერთმანეთს ერწყმის):**

მაგ.; როცა ინგლისური L2-ია, მასში პირველი ენის – L1-ის ორელემენტიანი ერთეული ერთი შერწყმული მთლიანობით 'know'-თი წარმოგვიდგება, რადგან ინგლისურში ზმნა არ იცვლება ბრუნვების მიხედვით. იგივე შეიძლება ითქვას ფრანგულ 'sait (savoir)-ის შემთხვევაშიც. ქართულისათვის აღნიშნული მოვლენა ჩვეული და მიღებულია:

**ინგლისური: He knows the history of France**

**ფრანგული: Il sait l'histoire de France**

**ქართული: მან იცის საფრანგეთის ისტორია.**

**[Man icis saprangetis istoria]**

**3. პირველ ენაში არსებული კატეგორია მეორე ენისათვის არ არის დამახასიათებელი:**

მაგ.: ინგლისურ ენაში სიტყვათა რიგი მთავარშიც და დამოკიდებულშიც ერთი და იგივეა. სიტყვათა წყობა უცვლელია ქართულში. ზოგიერთ შემთხვევაში იგი იცვლება ფრანგულში.....

**ინგლისური: I've read the letter, which I got yesterday**

**ფრანგული: J'ai lu la letter que j'avais recue hier**

**ქართული: წავიკითხე წერილი, რომელიც გუშინ მივიღე.**

**[Tsavikitkhe tserili, romelic gushin mivige]**



**4. ზოგიერთი მოვლენა პირველ ენაში შესაძლებელია მეორე ენის მსგავსი მოვლენისაგან განსხვავებული სახით წარმოჩინდებოდეს:**

მაგ.: ინგლისურსა და ფრანგულში ბგერა [ი] შესაძლებელია სიტყვის შუაში ან ბოლოში გვხვდებოდეს მაშინ, როცა აღნიშნული მოვლენა ქართულს საერთოდ არ ახასიათებს:

**ინგლისური: There is a parking in front of my house**

**ფრანგული: Devant ma maison il y a un grand parking**

**ქართული: ჩემი სახლის წინ დიდი ავტოსადგომია.**

**5. არავითარი მსგავსება პირველი და მეორე ენების მახასიათებელთა შორის:**

მაგ.: ქართულში უარყოფა პრეპრედიკატულია ('არა, არ მინდა'), ინგლისურში, კი – პოსტპრედიკატული ('I don't know'). გარდა ამისა, ინგლისურსა და ფრანგულში უარყოფა დამხმარე ქვესისტემის ჩართვასაც გულისხმობს. ქართულს ამგვარი რამ არ ახასიათებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფრანგულში ადგილი აქვს უარყოფითი კონსტრუქციის გაყოფასაც. უარყოფის პირველი ნაწილი პრედიკატის წინ თავსდება, ხოლო მეორე ნაწილი ამ უკანასკნელს მოსდევს (ne ..... pas):

**ინგლისური: I don't know anything about this**

**ფრანგული: Je ne sais rien de cela**

**ქართული: არაფერი ვიცი ამის შესახებ.**

**[Araperi vici amis shesaxeb]**

**6. „დივერგენციის მოვლენა“ (პირველი ენის ერთი ელემენტი მეორე ენაში ორი ელემენტით წარმოაჩენს თავს):**

მაგ.: როდესაც ფრანგული მეორე ენაა (L 2), ინგლისური არტიკლი 'the', მასში ორი განსხვავებული 'le' და 'la'-ია წარმოდგენილი. ქართულში მსგავსი არაფერი შეინიშნება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქართულ ენაში არტიკლები საერთოდ არ არსებობს:

**ინგლისური: I've bought the book and the eraser**

**ფრანგული: J'ai acheté le livre et la gomme**

**ქართული: წიგნი და საშლელი ვიყიდე.**

**[Tsigni da Sashleli vikide]**

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ თარგმანის კონტრასტული ანალიზის ლინგვისტურ ასპექტთან დაკავშირებით ბევრი სხვა პრობლემაც არსებობს. მათგან ერთ-ერთი – შედარების დესკრიფციული სურათი შევეცადეთ მოკლედ ზემოთ წარმოგვედგინა. თუმცა ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კონტრასტული ანალიზისას წარმოშობილი სირთულეები მართო ენობრივი სახიათისა რომ იყოს, მაშინ ეს უკანასკნელნი უცილობლად დაექვემდებარებოდა მათ ენობრივ გადანყვეტას.

კონტრასტული სინტაქსური და სემანტიკური კვლევა თარგმანის საფუძველზე ქმნის სოლიდურ ემპირიულ საფუძველს არა მარტო ენის სტრუქტურის დაუფლებისათვის, არამედ მოცემული ენობრივი ერთობის კულტურისა და სხვადასხვა ეთნიკური თავისებურების შესწავლისათვის [10].

## ლიტერატურა – REFERENCES

1. Bloomfield Leonard, Language. New York: Henry Holt. 1933.
2. Carroll John. Linguistic relativity, Contrastive linguistics and language learning. – In IRAL. 1963, gv.723-733
3. Charaudeau Patrick. & Maingueneau Dominique. Dictionnaire d'analyse du discours. 2002.
4. Chomsky Noam. Aspects of the Theory of Syntax. Cambridge, Massachusetts: MIT Press. 1965.
5. Dubois Jean. ET alii. Dictionnaire de linguistique. Paris: Larousse. 1973.
6. Fawcett Peter. Translation and language: linguistic theories Explained. Manchester: St. Jerome. 1997, gv. 439-442
7. Katan David. Translating cultures: an introduction for translators, interpreters and mediators. Manchester: St. Jerome. 1999.
8. Niranjana Tijaswini. Sitting Translation: History, Poststructuralism, and the Colonial Context. Berkeley, Calif., Press. 1992.
9. Sakvarelidze Nellie. Theory of Translation. Tbilisi, Georgia, TSU Press., 2001, gv. 93-99; 114-120
10. Williams Jenny. The translation of culture-specific terms. Lebende Sprachen 35 (2):55-58. 1990.

**Giorgi Kupaadze**  
**Tsiuri Akhvlediani**

**Peculiarities of Linguistic Forms in Translation**  
(On the material of English, French, Georgian Languages)

**Summary**

Contrastive analysis allows us to reveal the differences between native and foreign languages and it also enables to draw a special attention to these diversities in the process of foreign language acquisition.

In case of translation, contrastive analysis is a method in which the translator should pay attention to the differences between foreign and native languages on the semantic and syntactic levels, which, to some extent, also implies overcoming them.

The presented research is based on the contrastive linguistic analysis of English - Georgian, Georgian - English, French - Georgian, Georgian - French translations.

**ბილინგვურ იდიომთა შიდარაბითი შინაპლის  
ანიშნელოვისათვის  
(არაბული და ქართული კორპუსის მარაგალითზე)<sup>1</sup>**

ყოველთვის, როდესაც (წმინდა არაბისტიკული ასპექტით) მსჯელობა მიდის ამა თუ იმ არაბული ეთნოსის სოციოლინგვისტურ და ეთნოკულტურულ მოცემულობაზე, გვერდს ვერ ავუვლით ვერბალური მარაგის იმ მნიშვნელოვან ნაწილს, რომელსაც მისი ფრაზეოლოგიური ფონდი მოიცავს. ისტორიული განვითარების მთელ მანძილზე პოეტური საუბრის ხელოვნებაში ინსტიტუციონალიზებული არაბული საზოგადოება დღესაც აქტიურად ისწრაფვის ხატოვანი მეტყველებისკენ. მოცემულ თემასთან უშუალო კავშირში არ არის, მაგრამ მაინც გვახსენდება (მე-20 ს. დასაწყისში) ჰ. დიქსონის დაკვირვების შედეგად გამოთქმული ერთი ასეთი შეფასება (რაც ცხადად დადასტურდა ჩვენ მიერ ინფორმანტებისგან არაბულენოვანი მასალის მოპოვების პროცესში): „არა მხოლოდ ხატოვანი თქმანი სძენენ პიკანტურობას საუბარს, არამედ თავად ის ადამიანიც, რომელიც ციტირებს რაიმე მოხდენილ გამოთქმას ... რამეთუ იცის, რომ ამით მოიპოვებს თანამეინახეებში უაღრესად დიდ პატივისცემას, წარმოაჩენს რა თავს განათლებულად და წიგნიერად“ [3. 336]. ეს მნიშვნელოვანი თავისებურება (არა მხოლოდ სოციალურ-კულტურული ნიშნით) დღემდე არაბული საზოგადოების ეთნოფსიქიკური მოცემულობის ერთ-ერთი სპეციფიკური მახასიათებელია. დღევანდელი, შედარებით ახალი სტატისტიკური მონაცემებიც მონიშნობს, რომ ყოველდღიურ არა-

---

<sup>1</sup> ეს არის ნაწილი ნაშრომისა, რომელიც ეძღვნება რუსთაველის ფონდის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის – „ქართული ენის იდიომებისა და ანდაზური ფონდების მონაცემთა ბაზა“ (რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, თურქული და არაბული ეკვივალენტებით), მასალაზე დაყრდნობით განხორციელებას.

ბულ ზეპირ/წერილობით კომუნიკაციებში უხვად დასტურდება ამგვარი ფიგურალური შესიტყვებების ინტენსიური გამოყენება. დღეს არაბული სამყარო, მასში მიმდინარე რადიკალური (ისტორიულ-პოლიტიკური) ცვლილებების ფონზე, მსოფლიო ყურადღების ცენტრში მოექცა. შესაბამისად, მოცემული ენის ცოდნის პრაქტიკულმა ასპექტებმა განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა საერთაშორისო სარბიელზე. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ამ ფონდების დაუფლების გარეშე, მოცემულ ენობრივ სამყაროსთან პრაქტიკულად ვერ შედგება სრულყოფილი კომუნიკაცია.

იმავედროულად, კომუნიკაციის თანამედროვე გლობალიზებულმა სისტემამ შესამჩნევად გააფართოვა სხვადასხვა ხალხის ლინგვოკულტურული კონტაქტები. ახალი ეპოქალური გამოწვევების სტრუქტურამ ფრაზეოლოგიის კვლევის სფეროშიც ლოგიკურად მოიტანა იმის აუცილებლობა, რომ ის უკვე გლობალურ ქრილში სვამს საკითხს ხატოვანი ენის ფუნქციაზე თანამედროვე კულტურაში. ამიტომ დღეს (ეროვნული ფონდების შემდგომ კვლევასთან ერთად) უმნიშვნელოვანესი გახდა ენათმორისი მონაცემების შეპირისპირებით კონტექსტში კვლევა, რათა მიღებულ იქნეს საერთაშორისო ფონდების ერთობლივი მარაგი მათი მრავალფეროვანი ფუნქციებით სხვადასხვა კულტურაში.

იდიომები (ფრაზეოლოგიის ერთ-ერთი სახეობა) მოცემული ენობრივი კოლექტივის მნიშვნელოვან ლინგვოკულტუროლოგიურ მარაგს წარმოადგენს. ეს მყარი (ს. ფერნანდოსეული განმარტებით), „მხოლოდ და მხოლოდ განსაზღვრულ ჩარჩოებში ცვალებადი“ [4. 26], შესიტყვებები მეტაფორაა უპირატესად, ხშირად გარკვეული სიმბოლოც მოცემულ ენაში. მეტაფორა კი, დავიმონმებთ ჯ. ვიკოს შეფასებას, „აზროვნების ფორმა“ [5. 72]. თითოეული პრაქტიკულად ზუსტად ასახავს იმ წარმოდგენებს, სოციალურ-კულტურულ სპეციფიკას, რა გარემოშიც ჩამოყალიბდა. შესაბამისად, ამა თუ იმ ეთნოსის (ისტორიული განვითარების მთელ მანძილზე მიღებული) იდიომატური ფონდი, საკუთრივ, მისი ისტორიული გამოცდილების ანა-

რეკლი, მოცემული კოლექტიური აზროვნებისა და ენის ორგანული ნაწილია. თანამედროვე არაბი მკვლევარი-ლექსიკოგრაფი მუჰამედ ალ-ბატალი ამ ფონდს ენის უნიკალურ მასალას უწოდებს და მისი კულტურის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს [2. 1].

ფრაზეოლოგიაში ენათშორისი, როგორც სრული, ისე აზრობრივი ეკვივალენტების არსებობა ცნობილი მოვლენაა. სრულიად განსხვავებული ეთნოცნობიერების ხალხთა მონაცემებიც კი ადასტურებს ანალოგიებს. ცხადია, არაბულ ფონდებში ჩაღრმავებით მკვლევარი უთუოდ მიაგნებს ზოგად ნიშნულებს, რომელთა გავრცელება სხვა ხალხების, მათ შორის ქართულ, მონაცემებზე შესაძლებელი იქნება. თუმცა, როგორც ნე-სი, მის ეთნიკურ სპეციფიკას სწორედ განსხვავებული „საშენი მასალა“ [6. 61], ინდივიდუალური ალქმის „სენსორული მასალა“ ავლენს, რომელიც მოცემულ სამყაროში ამ კონკრეტულ ნაწილთან დაკავშირებულ ხედვას ეფუძნება.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ ეკვივალენტობის განსაზღვრის პროცესი მეტად ფრთხილ დამოკიდებულებას მოითხოვს. ნერილობით თუ ზეპირ კომუნიკაციაში მათი გამოყენების ფლობა მოითხოვს სემანტიკური შეფერილობისა და სტილისტური მახასიათებლების ზუსტ ცოდნას. ძიება რთულდება, თუ მოცემულ იდიომში მონაწილე ლექსიკური ერთეული დღეს უკვე ნაკლებად პროდუქტიულია ან საერთოდ აღარ იხმარება. მაგ.: ცნობილია, რომ ქართულში გავრცელებული გამოთქმა „სიქის გაცლა“ შეიცავს არაბულ ნასესხობას „სიქა“, რაც აღნიშნავს შტამპს ლითონის ფულზე. სიქის გაცლა მიუთითებდა ბევრი ხმარებით ფულის ისე გაცვეთას, რომ ზედ შტამპი აღარ შეიმჩნეოდა. ქართულში ამ გამოთქმის მნიშვნელობაა „დამქანცველი საქმიანობით ძალ-ღონის გამოცლა“. „სიქა“ დღეს, ცოცხალ მეტყველებაში ცალკე აღებული, პრაქტიკულად აღარ გამოიყენება, რაც ართულებს მსგავსი ტიპის ტროპების სწორად შეცნობას და შესწავლას.

ყველა შემთხვევაში ენათშორისი ზუსტი მონაცემების მისაღებად საჭიროა იმაზე დიდი ინფორმაციის მოპოვება, ვიდრე (ტრადიციულად მიღებული) ფიქსირებული ტექსტების დედნი-

დან „ბუკვალური“ თარგმნა და ამ ფონზე პარალელების დაძებნის მცდელობა იძლევა. მით უფრო, ბილინგვური ლექსიკონების გაცნობამაც დაგვარწმუნა, რომ პარალელებად გაგებული ერთეულები, რიგ შემთხვევებში, ზუსტი ანალოგები არ არის.

ამდენად, აქ წარმოდგენილი ყველა მაგალითი ჩანერილია და თარგმნილი არაბული პირველწყაროდან (უშუალოდ სირიელი, ლიბანელი ინფორმანტებისაგან). შესაძლო ცდომილებების თავიდან ასაცილებლად, იდიომების შესწავლით დაინტერესებული მაძიებლისთვის (ვისთვისაც არაბული მშობლიური ენა არა არის) ყველაზე სწორი გეზი ინფორმანტებთან უშუალო კომუნიკაცია აღმოჩნდა. მოცემული მაგალითების შესაბამის კონტექსტებში გადააზრების საფუძველზე დაზუსტდა (მოცემულ ეთნოცნობიერებაში კონკრეტულ მოვლენასთან მიმართებით საგნებსა და მოვლენებს შორის დადგენილი) წარმოსახვითი ლოგიკური მიმართებები (არსებული მეტაფორიზაციის პროცესი). ამგვარი მიდგომა პრაქტიკულად აუცილებელ პირობას წარმოადგენს განსაკუთრებით ღრმად მეტაფორულ ერთეულებში „დაფარული“ მნიშვნელობის სწორად „ამოსაღებად“ – კომუნიკაციაში თითოეულის სათანადო ნიშაში განთავსების, ზუსტი კონტექსტუალიზების შესაცნობად.

ამჯერად, ქვემოთ წარმოდგენილ საილუსტრაციო მასალაში გამოყოფილია: **ა)** სრული შესატყვისები; **ბ)** აზრობრივი შესატყვისები; **გ)** მცირე პარემიული ფორმებიდან წამოსული ერთეულები. ვნახოთ მაგალითები:

### **სრული შესატყვისები:**

شَادَ القصور العواني – ფუჭი (ოცნების) კოშკების აგება.

ქართ.: ოცნების კოშკები ააგო.

تلتته تباته – მესამე და სამართალი!

مثل شوكة في العين العيين – როგორც თვალში ეკალი.

ქართ.: თვალში ეკალივით ესობა.

أسلم النفس – ღმერთს სული მისცა.  
ქართ.: მიაბარა სული უფალს.

لقمه سائغه – გემრიელი ლუკმა.  
اليوم الأسود – შავი დღე.

سرعه سلاحه – კუს ტემპი (სიჩქარე).  
ქართ.: კუს ნაბიჯებით სიარული.

صبّ الزيت على النار – ცეცხლზე ზეთი დაასხა.  
ქართ.: ცეცხლზე ნავთი დაასხა.  
دقّ الماء – დანაყა წყალი.<sup>1</sup>  
ქართ.: წყლის ნაყვა.

دسّ أنفه في كلّ امر – ცხვირს ჩრის ყველაფერში.  
ქართ.: სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა.

حليب امه على فمه – პირზე რძე არ შეშრობია.  
ე.ი. უსუსური ბავშვია; სულ ნორჩი ბავშვია; არაფერი გაე-  
გება; არაფერი მოეთხოვება.

رمى الكلام على ارياح – გადაუგდო სიტყვა ქარს.  
ქართ.: სიტყვა ქარს გაატანა.

من طينه واحده – ერთი თიხიდან არიან მოზეილები.  
ქართ.: ერთი ცომიდან არიან მოზეილები; ერთი რჯული-  
სანი არიან.

---

<sup>1</sup> არაბული განსხვავებული ხატითაც გვთავაზობს ანალოგიური აზრის მქონე იდიომს:

در دسّ من الغاض والمليان – გადაასხა ცარიელიდან ცარიელში.



لعبت الخمرة بعقله – ღვინომ თავში დაარტყა.

ქართ.: ღვინო მოერია/მოეკიდა; ღვინის შეჯდომა თავში; თავში ასვლა ღვინისა; დათრობის დანყება; სიმთვრალის მოკიდება.

بين نارين – ორ ცეცხლს შუა.

لعب بالنار – ცეცხლთან თამაში.

تنبو عنه العين – თვალს ჭრის.

ქართ.: თვალი მოეჭრა; თვალს ვერ უსწორებს.

صادت في الماء العكر – მღვრიე წყალში თევზი დაიჭირა.

مثل سمك بالبحر | بالمأى – როგორც თევზი წყალში (ზღვაში).

كسمك بدون بحره | مأى – როგორც თევზი უწყლოდ.

### აზრობრივი შესატყვისები:

لا يعدل هذا الأمر حبه الخردل – ეს საქმე ამოჭმულ კვერცხად არ ღირს.

ქართ.: ჩიტი ბრდღვნად არ ღირს.

عمل من الزبيبه خناره – ქიშმიშის მარცვლისგან ღვინის სავაჭ-რო დუქნის გაკეთება.

ქართ.: ბუზი სპილოდ აქცია.

خرج مثل الشعره من العجين – გამოვიდა (სუფთად) როგორც ცო-მიდან თმის ღერი.

ქართ.: წყლიდან მშრალი ამოვიდა.

حط الامر الى الخرج – საქმის ხურჯინში ჩადება.

ქართ.: საქმის გადადება.

لا أمك – დედა არ გყავს შენ! <sup>1</sup>

(სლანძღავი ან მოსაფერებელი მიმართვა, კონოტაციას განსაზღვრავს ინტონაციური ველის მონაცვლეობა).

ქართ.: შე, მამაძაღლო!

لا سيف ولا سيف – არც ზაფხულია და არც ხმალი

(ფონეტიკური სურათი – ბგერათმონაცვლეობა [ბგერათა ოპოზიცია] იძლევა სემანტიკას)

ქართ.: არც ღვინოა, არც წყალი.

არც ფხისაო, არც ხისაო.

أيدو طويل – გრძელი ხელი აქვს.

ქართ.: ხელგაშლილი.

أيدو قصيره / أيدو مقصوره – მოკლე ხელი აქვს.

ქართ.: ხელმოკლე.

أيدو مقطوع – ხელი მოჭრილი აქვს.

ქართ.: უფხო, უნიათო, უხერხემლო (ხელი არაფერზე მი-  
უნვდება).

أيدو مفتوحه – ხელი (ფართოდ) გაშლილი აქვს.

ქართ.: კვაჭი, მოხერხებული (ხელი რომ ყველაფერზე მი-  
უნვდება).

## მცირე პარემიული ფორმებიდან წამოსული იდიომები:

المكتنسة الجديدة

არაბ. / ქართ.: ახალი ცოცხი

---

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ თანამედროვე სასაუბრო ქართულმა იმავე მნიშვნელობით მიიღო ფორმა: „**მაგას დედა აღარა ჰყავს**“, მავანის მიმართ უკიდურესი გაბრაზების, მუქარის გამოხატვის მნიშვნელობით.

المكنسه الجديده بتكنس كويس (منيح)

– ახალი ცოცხი კარგად გვის.

წ ახალი ცოცხი კარგად გვის, ძველი მოატანს ქვიშასა.

اشترى سمك بالماى (بالبحر)

არაბ.: / ქართ.: იყიდა თევზი წყალში (ზღვაში).

السمك بالماى (بالبحر) ما بينشرى

– თევზი წყალში არ იყიდება

წ თევზი წყალში არ დაფასდებო.

ზღვაში თევზი ვის დაუფასებიაო.

ما فى على كلامو رباط

არაბ.: მისი სიტყვა არ იკვრება (ვერ ენდობი).

ქართ.: უპიროა, სიტყვის კაცი არ არის.

مثل شباط ما فى على كلامو رباط

– თებერვალივითაა, მისი სიტყვა არ იკვრება, ვერ ენდობი (ცვალებადია).

წ გიჟი მარტივითაა (ცვალებადი ამინდებით).

الحيط الواطى

არაბ.: დაბალი კედელი

ქართ.: დაბალი ლობე

الحيط الواطى كلّ الناس بتركبو

– დაბალ კედელს ყველა ზედ აჯდება.

წ დაბალ ლობეს ყველა გადაქელავსო.

წყალმაც დაბალზე გადიარაო.

(البيت) العايله بلّو عه

არაბ.: ოჯახის საკანალიზაციო მილი (ანუ, გონჯი, უხეირო).

ქართ.: ოჯახის გონჯი; კოჭობი ლობიო.

بلّو عه والو عيلة كلّ

بلّو عه بيت لكلّ

– ყოველ ოჯახს/სახლს თავისი საკანალიზაციო მილი აქვს (თითო გონჯი, უხეირო ჰყავს).

§ ოჯახი უგონჯოდ არ არისო.

თითო ოჯახში თითო კოჭობი ლობიო დუღსო.

დაბოლოს, ერთი საინტერესო მაგალითი:

الشوكة الخفيفة

არაბ. / ქართ.: რბილი ეკალი<sup>1</sup>

الشوكة الخفيفة طلعت راسها (وقالت) ائى شايكة

– რბილმა ეკალმა თავი გამოყო, მეც მარხვლეტინეთო (ის უადგილოდ ეჩრება საქმეში, ჩხვლეტაც კი არ შეუძლია... )

§ კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირაო.

განვიხილოთ იდიომი – „რბილი ეკალი“. როგორც ვხედავთ, ის მოცემულ ბილინგვურ (არაბულ და ქართულ) სივრცეებში სრულიად განსხვავებულ გადააზრებას (განსხვავებულ მეტაფორიზაციას) ექვემდებარება. არაბული „რბილი ეკალი“, ქართულ ცნობიერებაში ცნობილი „ნახირ-ნახირ ტოლად სიარულის მსურველი ნელი კუს“ (ანუ, საკუთარ შესაძლებლობებზე მეტის მსურველი ადამიანის) ხატია (როგორც კუს არ ძალუძს ნახირის ფეხდაფეხ სიარული, ისე „რბილი ეკალი“ ვერ შეასრულებს ეკლის სათანადო ფუნქციას, ის ვერ იჩხვლიტება ისე, როგორც „ბასრი ეკალი“). ქართულ „რბილ / ნედლი ეკალს“ კი, როგორც ცნობილია (არაბულისაგან განსხვავებით), იტყვიან ადამიანის მიმართ, რომელიც მავანს ეპირფერება, სინამდვილეში კი, ნებისმიერ ხელსაყრელ შემთხვევაში „რბილად“ გაკენწლავს, ძირს უთხრის შეუმჩნეველად... ანუ, ერთი მეტაფორული ტროპი (ერთი შეხედვით, სრული ეკვივალენტი) სხვადასხვა ენობრივ სივრცეში განსხვავებულ საკომუნიკაციო კონტექსტს თხოულობს. თითოეული სრულიად სხვადასხვა სიტუაციურ ნიშაში განთავსების პოტენციალს ამჟღავნებს. განხილული მაგალითი კიდევ ერთხელ ცხადყოფს ენათშორისი ეკ-

---

<sup>1</sup> დასავლეთ საქართველოში ვხვდებით ფორმას: ნედლი ეკალი.

ვიგალენტების განსაზღვრაში მაძიებლის სიფრთხილით მიდგომის იმ აუცილებლობას, რომელზედაც ჩვენ უკვე ვრცლად ვიმსჯელებთ ზემოთ. ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, თავს იჩენს საკუთარი ფონდის „გენეტიკური ცოდნით“ განპირობებული ცდომილებების დიდი ალბათობა.

ამრიგად, არაბული (სირიული / ლიბანური) და ქართული მაგალითების შეპირისპირებით პლანში ჩატარებული კვლევის საფუძველზე ირკვევა მათ შორის არსებული როგორც ენობრივი, ისე მენტალური მსგავსება-განსხვავებანი. მიღებული კვლევის შედეგები (ჩვენ მიერ განხილულ კორპუსში) ავლენს ისტორიულად კონტაქტირებადი და, იმავდროულად, რადიკალურად განსხვავებული მსოფლხედვის, ენისა და კულტურის მქონე არაბი და ქართველი ხალხების ხედვაში არსებულ კერძო თავისებურებებს და თანაზიარ ასპექტებს. წარმოდგენილი პარალელები კონკრეტულ ენობრივ სივრცეში მისთვის სახასიათო ნიშნით არის გაფორმებული. თითოეულ შემთხვევაში მიმდინარე მეტაფორიზაციის პროცესი სრულიად სხვადასხვა ცნობიერების ფარგლებში „აღქმის მისეულ (ხან მსგავს/ხან განსხვავებულ) სენსორებს“ (საგნებსა და მოვლენებს შორის დადგენილ საკუთარ წარმოსახვით-ლოგიკურ მიმართებებს) იყენებს.

სამომავლოდ პერსპექტიულად გვესახება მიღებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით უშუალოდ არაბულ და ქართულ იდიომთა ბილინგვური ლექსიკონის შედგენა. მის საფუძველზე შესაძლებელი გახდება არა მხოლოდ ცალკეული პარალელების წარმოჩენა, არამედ მოცემული ფონდების ერთ მთლიანობაში დანახვა.

თუ გავითვალისწინებთ იმ დიდ ტრადიციებს, რომელიც მთარგმნელობითი თვალსაზრისით აკავშირებს ქართულ და არაბულ ლიტერატურებს, მაშინ მოცემული თემის მნიშვნელობა კიდევ უფრო გასაგები გახდება. ცნობილია, თარგმნის პროცესში რაოდენ დიდ სირთულეებს ქმნის ღრმად მეტაფორული გამონათქვამების სწორად წვდომა, მით უფრო ზუსტი შესატყვისის მოძიება.

დაბოლოს, ერთი არსებითად მნიშვნელოვანი საკითხი: პრაქტიკამ აჩვენა, რომ ამგვარი ტიპოლოგიურ-შეპირისპირებითი მიდგომებით მიღებული შედეგები არ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ და მხოლოდ წმინდა ლინგვოკულტუროლოგიური მნიშვნელობის კონტექსტში. მოცემული თემა, ერთი მხრივ, უშუალო კავშირშია ლინგვოდიდაქტიკასთან. ცნობილია მათი ეფექტურობა ენის სწავლების პროცესში წმინდა მეთოდოლოგიური თვალსაზრისით (რადგან ამგვარი კომუნიკაციური მყარი შესიტყვებები სასაუბრო ენის პრაქტიკული დაუფლების ერთ-ერთი საუკეთესო, ნაცადი მეთოდია). ეს ფონდი თავისი მრავალფეროვანი სპექტრით, როგორც წესი, ობიექტურ ჩვენებას იძლევა მოცემული ენის სპეციფიკის შესახებ (ლექსიკური მიმართებების შესატყვისობა-განსხვავებულობა, სემანტიკური მსგავსება-მომიჯნავეობა, სინონიმური და ანტონიმური აგებულება და სხვ.). იმავდროულად, ერთი შეხედვით, თითქოს იოლად გასაგები (უცხოენოვანი) შესიტყვებების საზრისში წვდომა, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ მოცემული ენის ფლობას არ ჯერდება. ამგვარი მასალის შესწავლა (ენასთან ერთად), არსებული კოლექტიური ცნობიერების სიღრმეებში შეღწევის, პრაქტიკულად, მისი ეთნოფსიქიკური მოცემულობის შესწავლას გულისხმობს.

ამგვარად, ასეთი მიდგომების საფუძველზე შესაძლებელი ხდება სხვადასხვა ეთნოკულტურის იდენტიფიცირება (თითოეულის ეთნიკური იდენტურობის განსაზღვრა), იმავდროულად, კულტურათა გლობალიზაციის მახასიათებელთა (კულტურათაშორისი მსგავსების ნიშნულების) დადგენა. ქართულთან მიმართებით ასეთი კვლევების ღირებულება მეტად იზრდება, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს დღევანდელ გეოპოლიტიკურ სიტუაციას და მისთვის ინტერკულტურულ სივრცეში სრულყოფილი ჩართვის მნიშვნელობას.

## ლიტერატურა – REFERENCES

1. სახოკია თ., ქართული საბოლოო სიტყვა-თქმანი. გამომცემლობა „მერანი“, თბ., 1979.
2. El- Batal, Mohammed, A Dictionary of Idioms (with an Arabic-English Glossary), Egyptian International Publishing Company-Longman, 2009.
3. Dickson H.H.R.P., The Arab of the Desert: A Glimpse into Badawin Life in Kuwait and Sa'udi Arabia. London: George Allen & Unwin. (2nd edition). p. foreword, 1951.
4. Fernando C., Idioms and Idiomaticity. Oxford: Oxford University Press, 1996.
5. Haskell R. E., Cognition and Symbolic Structure // “Cognitive Psychology and the Problem of Symbolic Cognition”, Norwood., 1987, p. 67-82.
6. Пермяков Г. Л., От поговорки до сказки (заметки об общей теории клише), Москва, 1970.

### **Khatuna Tumanishvili**

#### **On the Importance of Comparative Study of Bilingual Idioms** (based on Arabic and Georgian Material)

#### **Summary**

Modern globalized communication system significantly expanded linguocultural contacts of different peoples. The structure of new epochal challenges logically caused in the field of phraseological research too the necessity to pose the question of the function of figurative language in contemporary culture already in global context. Therefore, today (together with further research of national collections), it is important to study interlingual evidence in comparative context, in order to obtain a common stock of international collections with their diverse functions in different cultures.

As is known, idioms represent important linguoculturological stock of a given language collective. It practically accurately reflects the beliefs and socio-cultural specifics of the environment in which it was formed.

Whenever discussion (from purely Arabistics viewpoint) deals with sociolinguistic and ethnocultural side of one or another Arab ethnos, we cannot overlook the significant part of verbal supply, contained in its idiomatic collection. Arab community, institutionalized in poetic art over historical development, at present is too actively striving to figurative speech. In everyday oral/written communication intensive use of figurative collocations is attested. This important peculiarity (not only from sociocultural viewpoint) is a specific characteristic of ethno-psyche aspect of Arab community. Today the Arab world, against the background of radical changes occurring in it, is in the spotlight in the world. Practical aspects of knowledge of a language assumed special topicality on the international arena. Practice shows that without mastering these collections full-fledged communication with the Arabic world is virtually impossible.

All examples are recorded and translated from Arabic primary source - directly from Syrian, Lebanese informants.

The illustrative material is divided into: a) exact equivalents; b) semantic equivalents; c) units derived from minor paremic forms.

Based on such approaches it becomes possible to identify various ethnocultures (to define the ethnic identity of each), simultaneously, to determine globalization characteristics of cultures (intercultural similarity markers).



**პრაქტიკოსი ექიმი-სტომატოლოგის მიერ  
შეჩვენებული თავისებურება ქართველებში, ზედა  
მეორე მცირე სალექი კბილის (ე.წ. მეხუთე კბილის)  
განსხვავებული ანატომიური აგებულების შესახებ**

ადამიანის კბილებიდან თითოეულს გააჩნია მისთვის დამახასიათებელი ანატომიური აგებულება, რისი საშუალებითაც შესაძლებელია კბილის რიგითობის, მდებარეობის და მიმართულების დადგენა. კბილს გააჩნია გვირგვინი და ფესვი. კბილის შიგნით არის სივრცე, რომელსაც ფესვის ნაწილში ჰქვია არხი. გვირგვინის ნაწილში – კბილის ღრუ, ამ სივრცეში არის კბილის პულპა, რომელსაც ხალხში ნერვს უწოდებენ. ზოგიერთ კბილს ერთი ფესვი გააჩნია, ზოგს ორი, ზოგს სამი, ძირითადად ერთ ფესვში ერთი არხოვანი პულპაა, ზოგიერთ ფესვში ორი არხიც გვხვდება.

მოზრდილი ადამიანის ზედა ყბის მეორე მცირე სალექი კბილი, ანუ მეორე პრემულარი (ე.წ. მეხუთე კბილი) გვხვდება ერთ და, იშვიათად, ორფესვიან ვარიანტებად, ამასთანავე, ერთფესვიანში შეიძლება იყოს ერთი ან ორი არხი.

1987 წლიდან ვმუშაობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ქალაქის სტომატოლოგად, 2000-მდე ქართველი სტუდენტის გარდა, შეხება მქონდა სხვადასხვა ეროვნების პაციენტებთან, მათ შორის იყვნენ: საბჭოთა კავშირის, ლათინური ამერიკის, ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდანაც. ოსეთიდან ჩამოსული სტუდენტების, ასპირანტების, პედაგოგების და მეცნიერების სტომატოლოგიურმა მომსახურებამ და დაკვირვებამ დამანახა, რომ უცხოელებში (აქართველებში) ზედა ყბის მეხუთე კბილში ყოველთვის მოიძებნებოდა მეორე, თუნდაც მცირე არხი. სამხრეთ ოსეთის იმ პაციენტებში, რომელთა გვარის ფუძეში ქართული ფუძე შეინიშნებოდა, ზედა მეხუთე კბილი ყოველთვის ორარხიანი იყო.

ქართველ პაციენტებში ვხვდებოდი ერთარხიან ზედა ყბის მეხუთე კბილს. გამოვიკითხეთ წინაპრებში მათ ჰყავდათ თუ არა არაქართული წარმოშობის დედა ან ბებია. ერთარხიანი მეხუთე კბილი ჰქონდათ სვანეთის, ხევსურეთის და ზოგიერთ სხვა მთიანი რეგიონების წარმომადგენელს.

ქ. თბილისის 28-ე საუბნო პოლიკლინიკის სტომატოლოგად მუშაობის დროსაც, კვლავ იგივე ქართველ პაციენტებს ორარხიანი ზედა მეხუთე კბილი ჰქონდათ, სხვა ერების წარმომადგენლებს ერთარხიანი, ამასთანავე, წინაპრებში სხვა ნაციონალური წარმოშობის ნათესავების არსებობისას ქართველ პაციენტებსაც ერთარხიანი მეხუთე კბილი ჰქონდათ, ზედა ყბაზე. იყო ასეთი შემთხვევა: მშობლებმა (ორივე ქართველმა) მოიყვანეს 15 წლის ბიჭუნა (ზედა მარცხენა მეხუთე კბილის კულპიტი დიაგნოზით). დიდხანს ვეძებე მეორე არხი, ვერ ვიპოვნე. დედას და მამას დავუწყე გამოკითხვა მათი დედებისა და ბებიების წარმომავლობის შესახებ. წინაპრები ორივე მხრიდან ქართველები ჰყავდათ. შევამჩნიე დაძაბულობა, ბოლოს მამასთან მართო დავრჩი. მან მომთხოვა ამეხსნა რატომ ვიყავი დაინტერესებული ამ გამოკითხვით. ჩემი მოსაზრების გაზიარების შემდეგ მან მითხრა, რომ ბავშვი აყვანილი იყო. ქართველი პაციენტის ერთარხიანი მეხუთე კბილი რვიანის ფორმის იყო და მწვერვალში ორად მთავრდებოდა. ასე რომ, მორიგებით მინდა გამოვთქვა ჰიპოთეზა ანთროპოლოგიური კვლევისთვის: ქართველებს, განსხვავებით სხვა ერებისგან, ზედა ყბაზე მეორე მცირე საღეჭი კბილი, ანუ მეორე პრემოლარი (ე.წ. მეხუთე კბილი) ორარხიანი აქვთ. ამ ნიშნის განმსაზღვრელი გენი, ვფიქრობ, რეცესიულია, რადგან, ნათესაობაში სხვა ერის წარმომადგენლის შემოსვლასთან ერთად, ეს ნიშანი ქრება და მეხუთე კბილი ერთარხიანად ყალიბდება.

**Gia Lomtadze**

**A Specific Feature Noticed by a Doctor-Dentist in  
Practice different anatomical structure of upper jaw second  
bicuspid (so-called 5<sup>th</sup> tooth) in the Georgian nationality**

**Summary**

Since 1987 I have dealt with patients of various nationalities, among them citizens of the Soviet Union, South America, Europe, Asia and Africa. The observation showed, that in non-Georgian patients, the fifth tooth of the upper jaw was always with one channel, but in Georgians there always was the second, even a very little channel.

There were cases, of course, when Georgians had a one-channel fifth tooth. But the inquiry proved that all those patients had a mother or grandmother of a different nationality.

I would like to express my modest opinion for anthropologic research – Georgians, unlike other nationalities, have an upper jaw second bicuspid with two channels. The hereditary factor of this feature is recessive, because by introducing another nationality in relationship, this feature fades away.

**კოლექტიური მონობრაჟის „ლაზები და  
ლაზეთი თურქეთის გამოცემეზი“**

**რეცენზია**

„აქ ლაზურ-ჭანური ლაპარაკი დღესაც ისმის. ეს მხოლოდ იმის დამამტკიცებელი და მომასწავებელი საბუთია, რომ ლაზურ-ჭანური აქ იმთავითვე სუფევდა; რომ ხალიბები, ტიბარენები, მოსინიკები, დრილები და სხვანი, სწორედ ლაზურად მეტყველებდნენ; რომ ყველანი ისინი ქართველ ეროვნებას ეკუთვნოდნენ“ [ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1951, გვ. 415].

2015 წელს, თბილისში, ავტორთა კოლექტივმა (ნ. ახალაია, ნ. ბანაში, გ. ლორთქიფანიძე, ქ. ლორთქიფანიძე, ო. მემიშიძი, ზ. ქავთარაძე) გამოსცა სქელტანიანი კრებული (900 გვ.) „ლაზები და ლაზეთი თურქეთის გამოცემეზი“ (რედ. პროფ. მ. ჩუხუა). ნაშრომის ექვს ნაწილში თავმოყრილი და მიმოხილულია თურქეთში ლაზი ავტორების მიერ გამოცემული ისტორიული, ლინგვისტური, ეთნოგრაფიული, სამეცნიერო თუ სამეცნიერო-პოპულარული სახის პროდუქცია.

აღნიშნული კრებული მრავალმხრივ საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაშრომია. ის ქართველ ავტორებს, მკვლევრებს და დარგის სპეციალისტებს გვანვდის ამომწურავ ინფორმაციას ლაზთა მიერ წარმოებული კვლევების შესახებ თურქეთში, რაც, ჩვენი აზრით, გასათვალისწინებელია ანალოგიური კვლევების ჩატარებისას და ასევე პასუხგასაცემი რიგ შემთხვევებში.

მონოგრაფიაში განხილულ ყველა ასპექტს, ბუნებრივია, ჩვენ აქ ვერ შევხებით, თუმცა გვსურს განვიხილოთ და აზრი გამოვთქვათ ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე ისტორიულ საკითხზე, რომელთა შესახებ ჩვენც არაერთხელ გვიფიქრია და გარკვეული დაკვირვება გვინარმოებია.

კრებულის მესამე თავია „ლაზთა გენეზისი და ისტორია თურქეთის გამოცემებში“ [იქვე, 79-87], რომელშიც ვკითხულობთ ფრაგმენტს ალი იჰსან აქსამაზის სტატიიდან: „...სახელი ლაზი – ქრისტიანობის პერიოდიდან დაკავშირებულია შავი ზღვის აღმოსავლეთ ყურეში მცხოვრებ სხვადასხვა ქვეყანასთან და, უმრავლეს შემთხვევაში, განსხვავებულ ენაზე მოლაპარაკე ხალხებთან. არადა, ეს სიტყვა აუცილებლად გარკვეულ ეთნიკურ ან ლინგვისტურ ჯგუფს უნდა აერთიანებდეს. ეთნიკური ლაზები განსხვავებულ ხალხს წარმოადგენდნენ და ცხოვრობენ თურქეთის შავი ზღვის სანაპირო ზოლის ბოლოში, ფაზარის რაიონსა და მდინარე ჭოროხის დელტას შორის. მათი ენა საქართველოში მცხოვრები მეგრელების მეტყველებას ძალიან ემთხვევა და თვით ქართულთან და ამ ქვეყანაში მცხოვრებ სვანების ენასთანაც აქვს კავშირი. ლაზები თურქეთში და შავი ზღვის მოსახლეობაშიც კი უმცირესობას წარმოადგენენ“ [იქვე, 89].

ჩვენ აქ მხარი უნდა დავუჭიროთ ვარაუდს, რომ სახელი ლაზი ქრისტიანობის პერიოდიდან კი არა, გაცილებით ადრე – პროტობერძული (სანამ ბერძნული მოდგმის ტომები ხმელთაშუა და ეგეოსურ თუ მცირეაზიურ სამყაროს დაიკავებდნენ) ეპოქიდან ფიქსირდება შავი ზღვისპირეთის, მის მიმდებარე მცირეაზიურ თუ ეგეოსურ სამყაროში სახელწოდება „პელაზგიში“ (პე-ლაზ-გი), სადაც „პე“, ისევე როგორც „მე“ „მე-გრელი“-ში, „მე-ს-ხი“-ში (მე-გრ-ე-ლი, მე-ს-ხი) წინსართ-მწარმოებელი უნდა იყოს, ხოლო „გი“, იგივე „ხი“ კი – წარმომავლობის მიმანიშნებელი. ამასთან, შეიძლება ვიფიქროთ, რომ „პელაზგი“ სახელწოდება „მელაზხის“ ელინური ფორმაა; ცნობილია, რომ ასო-ბგერა „პ“ ქართულში თავისუფლად გადადის „ბ“-ში, ხოლო მისი „მ“-დ ქცევა ასევე შესაძლებელია, ბერძნულში კი – პირიქით; იგივე შეიძლება ითქვას „გ“-ს „ხ“-დ ქცევაზე და პირიქით. აქედან სრულიად დასაშვებია მოსაზრება, რომ „პელაზგის“ წინარე, პროტობერძული ანუ უძველესქართული შესატყვისი ფორმა იყოს „მელაზხი“, რაც უნდა ნიშნავდეს ლაზეთიდან წარმოშობილს, ანუ წარმოშობით ლაზს.

ჩვენი ღრმა რწმენით, ხმელთაშუაზღვისპირეთის, ეგეოსურით თუ მცირეაზიური წინარებერძნული სამყარო, ანუ ამ რეგიონის ისტორიის პელაზგური ეპოქა მჭიდროდ იყო დაკავშირებული პროტოქართულ, იგივე პე-ლაზ-გურ, ლაზ-ურ სამყაროსთან, რაზედაც საუბრობენ როგორც უცხოელი, ისე ქართველი მკვლევრები (ვაიდენბაუმი, ეშენბახი, ზ. გამსახურდია და სხვ.).

ამის ერთ-ერთ დამადასტურებელ საბუთად შეიძლება მივიჩნიოთ აგრეთვე ტროას ომის შემდეგ იქიდან ლტოლვილი ენეასისა და მასთან ერთად გადარჩენილი და აპენინის ნახევარკუნძულზე გადასახლებული ტროელების ისტორია, რომელთაც იქ, ჯერ კიდევ ძველი რომის დაარსებამდე (ანუ, ძვ. წ. 753 წლამდე) დიდი ხნით ადრე, ააშენეს ქალაქი ალბა-ლონგა, ხოლო მათ მიერ დაპყრობილ და შემდეგ შემომტყიცებულ პროვინციას „ლაცი-უმი“, ანუ ლაზთა ქვეყანა, ჩვენი აზრით, თავიანთი ადრინდელი სამშობლოს, საიდანაც ისინი გამოაძევეს, სახელი უწოდეს („ლაცი“ = ლაზი, „-უმი“ კი ლათინური ბოლოსართი-მწარმოებელი).

ამავე კრებულში თუხა ბერზენა ლაზების ვინაობის შესახებ ასე მსჯელობს: „ყველა სიძნელის მიუხედავად, ლაზების ერთი ნაწილი მაინც თავის საკუთარ ენაზე ლაპარაკობს. ლაზური ჩვენი ცხოვრების წესით ყალიბდება. მიუხედავად იმისა, რომ ლაზურში წარსული ცხოვრობს, მომავალი მაინც სხივოსნდება. ჩვენი დედა ენა ათასწლოვანი ენით გადმოცემულ პოემასავითაა. მიუხედავად ამისა, ის მაინც წნეხის ქვეშ იმყოფება. ამ ძველი ენის არსებობა ვის დააზიანებს? ნუთუ ის თურქეთის კულტურული სიმდიდრის დანამატი არ არის?“ – ნათქვამია სტატიკაში. მაგრამ, ჭეშმარიტად უნდა ითქვას, რომ ლაზური ენა თურქეთის კულტურული სიმდიდრის დანამატი კი არა, ამ კულტურული სიმდიდრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყარო და საფუძველია.

აქვე, სტატიკაში „ლაზები და ქართველები“ [გვ. 91-95], ა. ი. აქსამაზი აღნიშნავს ბ. გ. ჰიუიტის შემოთავაზებას, რომ „ქართულ ენაში ტერმინის „ქართველები“ დამკვიდრება ტერმინ

„ბრიტიშს“ დაემსგავსება, ხოლო ტერმინი „ქართველი“ გაუ-  
ტოლდება მეგრელს, სვანს, ლაზს და ტერმინი „ქართველელი“  
შეასრულებს ისეთსავე როლს მათ მიმართ, როგორც „ბრიტა-  
ნელი“ ასრულებს ინგლისელი, შოტლანდიელი, გალიელი და  
ირლანდიელი ტერმინების მიმართ“ [იქვე, 95]. ეს მოსაზრება  
ჩვენთვის სრულიად მიუღებელია, რადგან ჩვენი ისტორიის რა-  
ობისა თუ ვინაობის გასარკვევად უნდა მივყვეთ ჩვენში დიდი  
ხნის წინათ დამკვიდრებულ ტრადიციას და უკვე არსებული  
რეალობის აღსანიშნავად, არ გამოვიგონოთ ახალი, ხელოვნუ-  
რად შექმნილი ტერმინები, რადგან ქართველი მოიცავს ქარ-  
თლელსაც, ლაზ-მეგრელსაც, გურულსაც, აჭარელსაც, მეს-  
ხსაც, სვანსაც, იმერელსაც, კახელსაც თუ ქართული მოდგმის  
სხვა წარმომადგენელსაც, ტერმინი „ქართველი“ კი, ტრადიცი-  
ულად, მათ ერთობაზე მიუთითებს. ხოლო თუ „ბრიტიშს“ ფორ-  
მის ცნების შესაბამისი ტერმინით გვინდა მასში ჩადებული მი-  
მართების ქართველებისათვის გამოხატვა, ამისთვის უნდა გა-  
მოვიყენოთ არა ტერმინი „ქართველელი“, არამედ „საქართვე-  
ლოელი“, რაც ასევე უკვე დროით დამტკიცებული ტრადიციით  
იგივეა, რაც ქართველი. ამიტომ, ასე ხელოვნურად შექმნილი  
ტერმინის შემოღება-გამოყენება, როგორც „ქართველელია“,  
სრულიად უადგილო და მიუღებელია როგორც საქართველოსა  
და ქართველებისათვის, ისე ქართული ენისათვის.

ნაშრომში ასევე მოყვანილია გ. ამიჭბას მოსაზრება. რო-  
დესაც ის ბიზანტია-ლაზეთის უთანხმოებაზე საუბრობს, ახსე-  
ნებს ეგრისისა და მისი მხარდამჭერი აფხაზური წარმოშობის  
ხალხს, რომელმაც „ანტიბიზანტიური მოძრაობა დაიწყო... ამ  
ბრძოლაში „აფხაზური წარმოშობის ხალხი“ ეგრისის გვერდით  
დადგა“. ომი ბიზანტიის სასარგებლოდ დამთავრდა, მაგრამ ბი-  
ზანტია ამ მდგომარეობით მეტად შეშფოთებული იყო, რადგან  
აფხაზების მხარდამხარ ლაზი ხალხის ბრძოლა მათ გრძელ  
პერსპექტივაში პრობლემების მოტანას უქადდა, ამიტომ ისინი  
ერთმანეთისათვის უნდა გაეცალკეებინა და, საჭიროების შემ-  
თხვევაში, ურთიერთ ომში ჩაება“ – აღნიშნავს ავტორი და იქვე  
განაგრძობს – „ამის შედეგი იყო ის, რომ VI საუკუნის მეორე ნა-

ხევარში აფსილებმა და აბაზგებმა ეგრისის გაერთიანებიდან გამოსვლა გადაწყვიტეს“ [იქვე, 105]. აქ ნახსენები „აფხაზური წარმოშობის ხალხი“ სრულიადაც არ გულისხმობს იმას, რაც გ. ამიჭბას სურს გამოიყვანოს; და თუ აქ აფხაზური წარმოშობის ხალხზე შეიძლება საუბრის ჩამოგდება, ისინი აუცილებლად დასავლეთ საქართველოს ქართველური მოდგმის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ; ამიტომაც, როგორც იქვეა ნათქვამი: „VIII საუკუნეში ლაზიკის (ეგრისის) სამეფო აღარ არსებობს და მის ადგილზე აფხაზეთის სამეფო იმკვიდრებს ადგილს“ [იქვე], რადგან აღნიშნული მონათესავე ქართული სახელმწიფო წარმონაქმნები საკმაოდ ადვილად და დიდი ტკივილების გარეშე გადადიოდნენ ერთიმეორეში. ერთი ჰეგემონი გაერთიანების ადგილს მეორე იკავებდა, ხოლო მტრული და არაკეთილმოსურნე ძალების მიერ მათი დაპირისპირების პროვოცირების ცდა დღესაც გრძელდება.

აქვე ქ. აქსოილუ ამბობს, რომ „ბედის უკუღმართობის მიუხედავად, ამ მხიარულმა ადამიანებმა (ლაზებმა) მოპოვებული სახელგანთქმულობა, ასევე შავიზღვისპირეთის ოდიოტანვე „ლაზისტანად“ ხსენება შეინარჩუნეს და ეს წოდება დღევანდელ დღემდე მოიტანეს, არადა, **ისტორიის არცერთ მონაკვეთში შავ ზღვაზე გაბატონებულ ლაზებს სამეფო არ შეუქმნიათ.** ზოგი რომაელი ისტორიკოსის მიერ ლაზების სამეფოს შესახებ გამოთქმული თეზისები დღემდე ვერც ერთი მტკიცებულებით ვერ დასტურდება“ [Kamil aksoylu, Laz Kulturi, Ankara, 2010, p. 50]. ავტორმა, როგორც ჩანს, არ იცის, სხვას რომ თავი გაავანებოთ, 1204-1461 წლებში ტრაპიზონის სამეფოს არსებობის შესახებ, რომელიც ამ წიგნშიც არაერთხელ არის მოხსენიებული. ან, თუ აღნიშნული ისტორიკოსის ზემოთ მოყვანილი მსჯელობა სწორია, მაშინ ვის ებრძოდნენ და რომელი სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრი აიღეს ოსმალებმა 1461 წელს ტრაპიზონის სახით?!

ზოგიერთი ავტორის დაინტერესება ლაზებისა და ქართველების გაუცხოებით ძალიან დიდია. მაგალითად, გ. ამიჭბა თა-



ვის სტატიაში წერს: „ლაზებს შავი ზღვის სანაპიროზე დასახლების შემდეგ აღარ ჰქონდათ კავშირები ქართველებთან, მათ ქვეყნებს შორის კავკასიის (? – ნათე ბანაში) მთები იყო“ [იქვე, 120]. მიუხედავად აღნიშნულისა, უნდა ითქვას, ეს კავშირები გარკვეულ დრომდე გარკვეულ დონეზე გრძელდებოდა, მაგრამ მას სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ლაზეთის ორივე მხარეს მოსაზღვრე იმპერიების მთელი იდეოლოგიურ-პოლიტიკურ მანქანა, რომელმაც, როგორც ვხედავთ, მავანთა წარმოსახვაში, ლაზთა და ქართველთა შორის არარსებული კავკასიონის მთებიც კი გააჩინა.

„ლაზები – რიზე-ტრაპიზონის ცარიელ და უპატრონო ადგილებში დასახლდნენ. მოგვიანებით, უკვე ოსმალთა ეპოქაში, როცა ამ მიწა-წყალს ლაზისტანი დაერქვა (?! – უ. ო.), აქ საკმაოდ დასახლებული ლაზური კოლონია აღმოჩნდა, რომელიც დღემდე წარმოადგენს ლაზების უკანასკნელ, ბოლო სამშობლოს, როდემდე?.. ვნახოთ“ – აღნიშნავს ა. აქსამაზი, რადგან, როგორც ჩანს, მან არ იცის, რომ აღნიშნული ტერიტორია ლაზთა საცხოვრისია უძველესი დროიდან და ამავე დროიდან იგი იყო მისი პატრონიც. ახლა კი დადგა დრო ლაზები თავად დაფიქრდნენ, თუ რატომ იყო დამალული მათთვის ნამდვილი ისტორია? იმიტომ ხომ არა, რომ ლაზებმა მშობლიურ მიწა-წყალზე მყარად არ იგრძნონ თავი და საბოლოოდ გადარჩნენ?!

კრებულის 138-ე გვერდზე ა. აქსამაზი აღნიშნავს, რომ „ისტორიულად ამ მიწა-წყალს (კოლხეთს – უ. ო), პირველად ფინიკიელები ეწვივნენ, რომლებსაც აქ ძვ. წ. X-IX საუკუნეებში მარგალიტის მძივები, სარკეების მსგავსი საქონელი ჩამოჰქონდათ, აქედან კი კერამიკული ნანარმი გაჰქონდათ“.

აქ უნდა ითქვას, რომ ფინიკიელები ამას პირველად ვერ გააკეთებდნენ უბრალო მიზეზის გამო, რადგან კარგად არის ცნობილი, რომ ძვ. წ. აღ-ის XIV-XII საუკუნეების შუა პერიოდში კოლხეთში არგონავტებმა იმოგზაურეს [გელოვანი ა., მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983, გვ. 65].

აქვე სტატიაში ნათქვამია, რომ „1564 წ. ბათუმი მოექცა ოსმალეთის საზღვრებში... 1578 წ. მთელი კოლხეთის რეგიონი ოსმალეთის ჰეგემონიის ქვეშ მოექცა... და ასე გაგრძელდა 1878 წლამდე (300 წლის განმავლობაში)... კოლხეთის გზის კარის და, განსაკუთრებით, ფოთის მსგავსი ბუნებრივი პორტებით დასავლელი ვაჭრებისათვის უცილობლად მისაღები იყო და ისინიც უპირატესობას ამ პორტებს ანიჭებდნენ [იქვე, 139-140]. იქვე ავტორი დასძენს, რომ „ლაზთა ისტორია ახ. წ. აღ-ის I-II საუკუნიდან თვალსაჩინოვდება და ეს ის დროა, როდესაც ლაზები შავი ზღვის სანაპიროზე ჩამოდიან“... [იქვე, 141].

ეს შეიძლება სიმართლესაც შეესაბამებოდეს, მაგრამ, ნაწილობრივ, რადგან, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ლაზების სახელწოდება დაფიქსირებულია ბალკანეთის ნახევარკუნძულისა და ეგეოსური სამყაროს პროტობერძული მოსახლეობის – „პე--ლაზ-გი“-სა და ტროას ომის შემდგომ აპენინის ნახევარკუნძულზე ენეასის მიერ გადაყვანილი და იქ დამკვიდრებული გადარჩენილი ტროელების მიერ [გელოვანი ა., მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1983, 165-167] შექმნილი პროვინცია „ლაცი-უმი“-ს (იგივე „ლაზი-უმი“-ს – უ.ო.) სახელში. ავტორი იქვე აგრძელებს, რომ ძვ.წ. აღ-ის VI-IV ათასწლეულებში ხათებმა მოიშინაურეს თხა, ცხვარი, ცხენი და სხვა... ისინი იყვნენ პირველი კულტურული მკვიდრნი სამხრეთ და, განსაკუთრებით, დასავლეთ ანატოლიის ფართო ტერიტორიაზე. შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ კი იყო დაფუძნებული ბერძნული კოლონიები“... [იქვე, 143].

აღნიშნულ პერიოდში ბერძნული კოლონიები კი არა, ბერძნული მოსახლეობა თვით დღევანდელ საბერძნეთშიც არ იყო ჯერ კიდევ გამოჩენილი. და თუ გავიხსენებთ ტროას მეფის, პრიამოსის პასუხს პელაზგური „საბერძნეთიდან“ მოსული ელჩებისადმი ელენეს უკან დაბრუნების მოთხოვნაზე, უნდა მივიჩნიოთ, რომ ტროას მკვიდრნი კოლხებად, ანუ პროტოქართული სამყაროს ნაწილად აღიქვამდნენ თავს (როდესაც ელჩებმა პრიამოსს ელენეს „საბერძნეთში“, ქმრისთვის დაბრუნება მოსთხოვეს, მან უპასუხა, რომ ბერძნებმაც მოგვტაცეთ

ჩვენ ქალი, მაგრამ იგი არ დაგიბრუნებიათო – პრიამოსი აქ იასონის მიერ მედეას მოტაცებას გულისხმობდა – უ. ო).

ცნობილია, რომ ტროას ომი მიმდინარეობდა ძვ. წ. აღ-ის 1235-1225 წლებში, ძვ. წ. აღ-ის 1190 წელს კი განადგურდა ხათების იმპერია [იქვე, 143]. აქვე აღნიშნულია, რომ „ბერძნული წარმოშობის მილეტელებმა შავი ზღვის მთელ სანაპიროზე მცხოვრები ხალხები ეპოქის ყველაზე დიდ კულტურასა და ცივილიზაციას აზიარეს“ [იქვე, 144]. ეს ჩვენთვის ძალიანაც გასაგებია, მაგრამ ჩვენ გვაქვს სრული უფლება ვთქვათ, რომ მათ კოლხურ (პროტოქართულ) სამყაროს ვალი დაუბრუნეს „ოქროს სანმისის“, ამ ღვთიური სიბრძნის სიმბოლოსა და მედეას გატაცებისათვის, რომლის გარეშე ისინი ამ სიბრძნეს ვერ გამოიყენებდნენ, რადგან სათანადო ცოდნას არ ფლობდნენ. და თუ ვერ გამოიყენებდნენ, შეიძლება მათი ცივილიზაცია საერთოდ დაღუპულიყო, რადგან, როგორც ჩანს, იგი მძიმედ იყო ავად და განკურნებას საჭიროებდა. ამას მონშობს კოლხეთში „ოქროს სანმისის“ ჩამოსატანად გაგზავნილი გმირის, იასონის სახელი – იასოს – წამალი, განკურნება [გელოვანი ა., იქვე, 212-213].

კრებულის, განსაკუთრებით კი მისი ისტორიული ნაწილის, გაცნობამ, საშუალება მოგვცა გამოგვეთქვა რამდენიმე მნიშვნელოვანი ვარაუდი მათში წამოჭრილი საკითხების ირგვლივ. აქ აღნიშნულია, რომ „ანატოლიის შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ ხალხს ლაზებს უწოდებდნენ. ასევე ლაზებად მოიხსენიებდნენ ყველა იმ ხალხსაც, ვინც კი შავიზღვისპირეთიდან საბერძნეთში ბრუნდებოდა...“. ხომ არ არის ეს ჩვენ მიერ ზემოთ პელაზგებისა და ტროას ომის შემდეგ მომხდარი მოვლენების ჩვენეული გააზრების, ხალხის ხსოვნაში ქვეშეცნეულად შემორჩენილი მესხიერების ანარეკლი და დროით დაფარული ათასწლოვანი ისტორიის მითური გამოძახილის დაფიქსირება?! მით უმეტეს, რომ „მილეტელებმა და ბერძნებმა საუკუნეების მანძილზე ადგილობრივებთან ერთად ასიმილაცია განიცადეს, ანატოლიის ვრცელ სამოსახლოში გაითქვიფნენ და არც არის გასაკვირი, რომ ეტაპობრივად ენათა და რელიგიათა თანაარსებობის შედეგად „წარმოშობილმა“ ხალხმა ლაზი დაირ-

ქვა. ოსმალები კი ამ ხალხს Rum-ს (ბერძნებს) უწოდებენ“ [კრებული, იქვე, 147]; ეს იმას ნიშნავს, რომ მარტო ბერძნებს კი არ მოუხდენიათ მათზე კულტურული და ცივილიზაციური ზეგავლენა, არამედ პირიქით, მათაც არანაკლებ განუცდიათ ადგილობრივთა ზემოქმედება, რაც ადგილობრივთა კულტურულ-ცივილიზაციური განვითარების მაღალ რანგზე მეტყველებს და მათი ლაზებად წოდება, შეიძლება სწორედ ჩვენ მიერ შემოთ დასახელებული ხალხის ქვეცნობიერში შენახული სინამდვილის ასახვას წარმოადგენდეს. და რომ „საბერძნეთში გადასახლებულ ამ ხალხს თურქები ურუმებს, ან ბერძნებს უწოდებდნენ“, ეს სრულებითაც არ არის შემთხვევითი, რადგან იმ ადრეულ პერიოდში, რომელზედაც ჩვენ ვსაუბრობთ, ამ რეგიონში ეთნიკური ტერმინის – თურქი – ხსენებაც არ იყო და მათ საიდან უნდა შემორჩენოდათ ანალოგიური მესხიერება? და ისინიც იმ რეალობას ასახავენ, რაც მათ აქ დახვდათ ბიზანტიის, ანუ ბერძენთა ბატონობის სახით.

და, სწორედაც, სინამდვილეში, „ისინი საბერძნეთში გადასახლებულნი, არც ურუმები (Rum) და არც ბერძნები იყვნენ. ისინი ქრისტიანები იყვნენ, ბერძნულად საუბრობდნენ და ეკლესიაში დადიოდნენ. ეს კოლექტივი რეგიონის ადგილობრივი ხალხი იყო, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ელინისტური კულტურის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა“ [იქვე]. და, დიახაც, „ეს ხალხი თავს ლაზებად და არა ბერძნებად რომ თვლიდა, ამის მიზეზი ზემოთქმულიც იყო“ [იქვე].

„ადგილობრივი მოსახლეობა (იგულისხმება სინოპის, სამსუნის, ორდუს, გირესუნის, ტრაპიზონის გარშემო – უ.ო.), სოციალური პირობების გამო, ივინყებს თავიანთ მშობლიურ ენას და ითვისებს ბერძნულს; შემდგომ პერიოდში ქრისტიანებიც ხდებიან, ერთად დადიან ეკლესიაში, მილეტელების ტრადიციებითა და ადათებით ცხოვრობენ და, ბუნებრივია, თავს ბერძნებად აღიქვამდნენ. ჩვენც ასე არ ვიყავით?“ – სვამს კითხვას ავტორი და იქვე განაგრძობს – „ჩვენს ქვეყანაში, თურქებთან საერთო ენით და რელიგიით, თავს თურქებად არ ვთვლიდით? XIX-

XX საუკუნეებში ომების შედეგად თავსდატეხილი ქაოსის, ტკივილისა და მტრობის მიზეზი, განა ასეთი არამართებული, მცდარი შეფასებები და შეცდომები არ იყო?“ – ამბობს იგი და ბოლოს დაასკვნის, რომ „ოსმალეთის იმპერიის ბოლო წლებამდე აქ ნაცხოვრები ხალხების შემაკავშირებელი და დამაშორებელი ყველაზე მნიშვნელოვანი ძალა და სპეციფიკური საზოგადოების დამორჩილების საშუალება რელიგია იყო“, – რაც, ჩვენი აზრით, სიმართლისგან შორს არ არის. სამომავლო განვითარებისთვის კი, ვფიქრობთ, მეზობელმა სახელმწიფომ ამ მიმართულებითაც უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები, მისი ყოველმხრივი განვითარების მიმართულება და ტემპები ამის საკმაოდ დიდ იმედს იძლევა. ჩვენ, რა თქმა უნდა, გვირჩევნია ჩვენ გვერდით იყოს მაღალგანვითარებული დემოკრატიული ფასეულობების პატივისმცემელი სახელმწიფო, რომელიც წარმატებით შეასრულებს შუამავალი ხიდის დანიშნულებას ჩვენსა და ევროპას შორის.

## **Ucha Okropiridze**

### **Laz People and Lazika in Turkish Editions**

#### **Summary**

Referring to the research of history, language and culture of Lazika, Georgia has a great tradition, highlighting a number of issues, on the above topics.

Studies about Lazika and Laz language have always been connected with difficulties, since for centuries the historical Lazika was inside the borders of the Ottoman Empire, then the Republic of Turkey. For decades, it was practically impossible for Georgian scientists to carry out any research on the ground. Today, there hardly are such obstacles, and this is the reason for growing scientific interest in studying the Laz language and history.

Here we present a brief review of some results of the research of Laz history conducted in Georgia and Turkey.

გამომცემლობის რედაქტორები: **მარინე ვარამაშვილი**  
**ნანა კაჭაბავა**  
დაკაბადონება **ხათუთა ბადრიძე**  
გარეკანის დიზაინი **თინათინ ჩირინაშვილი**

TSU Press Editors: **Marine Varamashvili**  
**Nana Katchabava**  
Compositor **Khatuta Badridze**  
Cover Designer **Tinatin Chirinashvili**

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14  
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179  
Tel 995(32) 225 14 32  
[www.press.tsu.ge](http://www.press.tsu.ge)

